

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Akaki Tsereteli 170

Anniversary Collection

Tbilisi 2011

აკაკი წერეთელი 170

საიუბილეო კრებული



თბილისი 2011

UDC(უაკ) 821.353.1.092[წერეთელი აკ.](92)
ა-402

რედაქტორი
ირმა რატიანი

სარედაქციო კოლეგია:
ჯულიეტა გაბოძე
მაკა ელბაქიძე
ნანა ფრუიძე

ტექნიკური რედაქტორი
მირანდა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ დუგლაძე

მხატვარი
ნოდარ სუმბაძე

ISBN 978-9941-0-3935-5

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2011

შინაარსი

წინათქმა.....7

ზაზა აბზიანიძე
აკაკი.....9

იუზა ევგენიძე
აკაკი წერეთელი გლობალიზაციის ფონზე.....28

ნანა ფრუიძე
აკაკის პროზა
(შემოქმედებითი ინტერესები).....51

ემზარ კვიტაიშვილი
ყველგან პოეტად რჩებოდა.....62

ლამარა გვარამაძე
ბაირონი, პუშკინი და ლერმონტოვი
აკაკი წერეთლის თარგმანებში.....77

ჯულიეტა გაბოძე
აკაკის პოემების უცნობი ავტოგრაფები.....94

ლევან ბრეგაძე
„ვნებიანი მწუხარება... მოწყურება სიდიადის“.....111

თამაზ ჯოლოგუა
მიხეილ ვორონცოვის
„კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ.....121

ვასილ კიკნაძე
აკაკი და თეატრი.....146

დოდო ჭუმბურიძე
აკაკი წერეთელი და საქართველოს
ისტორიის საკითხები.....157

როსტომ ჩხეიძე
„ბაში-აჩუკი“ კინოსამზერიდან
(გრიგოლ რობაქიძის ერთი დაკვირვების კვალზე).....171

აკაკის ერთი უცნობი ავტოგრაფი.....187

რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია.....199

პირთა საძიებელი.....262

წინათქმა

ას წელზე მეტია საქართველო სულგანაბული უსმენს ათრთოლებულ ხმას პოეტისა: „დედაშვილობამ, მეტს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“... სიყვარული, ტრაგიზმი, მარტოობა, ტკივილი, მიუსაფრობა, მოლოდინი, რწმენა, ლოცვა — თითქოს ყველაფერია თავმოყრილი ამ არნახული ენერგეტიკის მქონე ლექსში, ყველაფერი, რამაც ადამიანს თავისი დანიშნულება და მოწოდება უნდა შეახსენოს, საკუთარი ღირსება და მოვალეობა უნდა შეაგრძნობინოს. თვალწინ დაგვიდგება ჭაღარა კაცი, ღვთიური მადლით გადაფენილი სახე, მგრძნობიარე, ოდნავ დახრილი თვალები, ნათელი მზერა. ხმა კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოისმის: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, სულის ჩამდგმელო მხარეო, შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარეო!..“ ... არ არის ქართველი, რომელსაც ცრემლი არ ერეოდეს მისუსტებული ხმით წარმოთქმულ ამ ტაეპებზე და არ ფიქრობდეს: ნუთუ შეიძლება, რომ ადამიანმა ერთ მუშტად შეკრას სული და სხეული და თავის ქვეყანას მიუძღვნას იგი?

აკაკი პოეტია. ქართველი ხალხის პოეტი. სახალხო პოეტი. მას არასოდეს ჰქონია უფრო მაღალი ჩინი და წოდება, ან კი არსებობს ასეთი? რა შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე „სულიკო“, ან — „საიდუმლო ბარათი“ და „ციცინათელა“, გნებავთ, „აღმართ-აღმართ“, ან თუნდაც — „გამზრდელი“? აკაკი მისთვის ჩვეული ვირტუოზულობით აქსოვს პოეზიაში უზადო ჰარმონიულობას; არა მარტო ააღორძინებს ლექსის ბუნებრივ ჟღერადობასა და მუსიკალურობას, არამედ — განაზავებს სათქმელის სიღრმესთან და დრამატიზმთან, რაც მოუპოვებს კიდევაც პოეტის უმაღლეს და უზენაეს წოდებას: „აკაკი — რითმის დიდოსტატი“, „აკაკი — ქართული ლექსის ჯადოქარი“, „აკაკი — მოვლენა“... ქალაქური „ფოლკლორი“ კი აკაკის ოინბაზობებითაა სავსე: აქეთ ფრაკის ამბავიო, იქით — ვერმიშელის ამბავიო, ხან — ენამწარობის ამბავიო, ხანაც — უპასუხო სიყვარულის ამბავიო... ემოციური, მხურვალე, ფიცხი, ფეთქებადი პოეტი, მართლაც პოეტი, — ნაცნობი უცნობი, მიუსაფარი და მარტოსული, როგორც ყველა გენიოსი.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. ფეხზე დამდგარი საქართველო დაუმადლებელი გულწრფელობით მიესალმება თავის მგოსანს, ცხოვრებისაგან ნათრევს და გატანჯულს, უსახლკაროს, უქონელს, ათასგზის იმედგაცრუებულსა და შეურაცხყოფილს და მაინც, მომლოდინეს. რისა? განთიადისა საქართველოში. ლექსი კი

მორაკრაკებს: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო!.."

ის მუდამ იდგა ქართული ინტერესების სადარაჯოზე: იდგა კალმით — პოეზიით, პროზით, პუბლიცისტიკით, და სულით — პოეტური იდუმალებითა და ამოუხსნელობით, ქვეყნიდან ზეცისაკენ მიპყრობილი მზერით. აკაკი იყო და არის საქართველოს ყველაზე დიადი „მეჩანგურე", რენესანსული კარნავალურობის მატარებელი მოაზროვნე, კაცი და პოეტი...

პოეტის დაბადებიდან 170 წელი გასრულდა. წინამდებარე გამოცემა „აკაკი წერეთელი 170. საიუბილეო კრებული" კიდევ ერთი, მოკრძალებული დაფასებაა იმ დიდი ღვაწლისა, რომელიც მას საქართველოს წინაშე მიუძღვის. კრებული რამდენიმე განაკვეთისაგან შედგება; მასში თავმოყრილია საკმაოდ საინტერესო მასალა, როგორც სამეცნიერო, ისე ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით: პოეტის ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან დაკავშირებული უახლესი სამეცნიერო გამოკვლევები, რომელთა ავტორები ითვალისწინებენ ბოლოდროინდელ მიგნებებსა და აღმოჩენებს; უცნობი ავტოგრაფის ნიმუში, ძალზე საინტერესო ტექსტი — „ძველი ნაშთები", რომელიც, სამომავლოდ, ბეჭდური სახით განთავსდება შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ აკაკი წერეთლის თხზულებათა ოცტომეულის შესაბამის ტომში; და, რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც საშუალებას მისცემს მკითხველს, გაეცნოს ინფორმაციას აკაკის თხზულებათა როგორც ძირითადი გამოცემების, ისე — მასზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ქრონოლოგიისა და ძირითადი შინაარსის შესახებ.

აკაკი წერეთელზე ბევრი რამ უკვე დაწერილია და კიდევ ბევრი დაიწერება. ჩვენ კი იმედს ვიტოვებთ, რომ კრებული „აკაკი წერეთელი 170" ღირსეულ ადგილს დაიჭერს ამ საერთო-ინტერპრეტაციულ სივრცეში.

ირმა რატიანი

ა კ ა კ ი

ას სამოცდაათი წელი გავიდა აკაკი წერეთლის დაბადებიდან და დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც მანამდე და არც შემდეგ, ქართველ კაცს ამგვარი ერთსულოვნებით არ დაუსახავს ერთი რომელიმე პოეტი მთელი თავისი სათქმელის გამომხატველად — ფარული ტრფობა იქნებოდა ეს თუ დაუფარავი ირონია, არსებულით აღშფოთება თუ მომავლით შთანერგილი იმედი.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით აკაკის პორტრეტს, ვაკვირდებით მის იერს და ნაკეთებს, თვალს მივადევნებთ მის „აღმართ-აღმართ“ მიმავალ გზას იმიტომაც, რომ სწორედ ამ ფენომენის ამოხსნა გვაინტერესებს.

აკაკის ხიბლი მისი გარეგნობით იწყებოდა. სერგო კლდიაშვილმა თავის დროზე ზუსტად შენიშნა: „აკაკი ყოველთვის და ყველგან მომხიბლავ სანახაობას წარმოადგენდა. თავის სინდისად თვლიდა ერი აკაკის და ყველა თავისი კარგი თვისების ცოცხალ გამოხატულებად. უკეთეს გარეგნობას ვერ ინატრებდა ხალხი პოეტისათვის, რომელიც თავისი ქვეყნის სახედ მიაჩნდა“ (მოგონებები 1990: 267). კიდევ ერთი შთაბეჭდილება, ამჯერად იოსებ იმედაშვილისა – „მუდამ მღიმარე, სახენათელი, გულღია, ზეაღმტაცი!..“

დაწვრილებით აქვს აღწერილი აკაკის იერი ილია ზურაბიშვილს: „მეტისმეტად იმპოზანტური ფიგურა ჰქონდა, ნამდვილი სასკულპტურო. მარტო იმიტომ კი არა, რომ ბრგე აგებულებისა იყო. იმაზე ბუმბერაზულ ტანადობისას სხვასაც ნახავდით, მაგრამ ისინი აკაკისებურ შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ. იმიტომ, რომ იშვიათი ჰარმონია სუფევდა მის ტანსა და თავს შორის. საკვირველი მოყვანილობის თავი ჰქონდა: მრგვალი, თარაზოში გამოსული, არსად შეზნექილი ოდნავადაც, არსად ზედმეტად გამოწეული, თმაც რომ არა ჰქონოდა, მარტო ეს იშვიათად სწორი მოყვანილობა ყურადღებას მიიქცევდა.

ხშირი, მეტისმეტად გრუზი თმა. ისე ხშირი და ერთმანეთში ისე გადახლართულ-გადატმასნილი, რომ ნაპენტი მატყლი გეგონებოდათ. აკაკის თმის ფერი, თვით სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იმ სითეთრემდე არ მისულა, რომელსაც თოვლის სისპეტაკეს უწოდებენ. იგი უფრო ჭაღარა იყო, ვიდრე თეთრი. ეს ბუნებრივი თმა შარავანდედივით ადგა მის საკვირველ — არა მარტო მაღალ, განიერ

— არამედ სწორედ დიად შუბლს, რომელიც ერთსა და იმავ დროს ბრძენისაც იყო და პოეტისაც. სახე... მსხვილნაკვთიანი, დიდრონთვალება. მკვეთრად მოხაზული ბაგე, მაგრამ ვნებიანობის არმჩენი ტუჩები... არც ირონიისა (მოგონებები 1990: 190).

რა საინტერესო დეტალია: სახე, რომელშიც ხასიათის ორი უმთავრესი თვისება არ მყღავნდება! ასეთივე კონტრასტია აკაკის დაუდგრომელ, ცოცხალ, ცვალებად ხასიათსა და მის გარეგნულ მანერებს შორის: „აკაკის, თითქოს თავისი ბუნების უნებურად, — განაგრძობდა თავის თხრობას ილია ზურაბიშვილი, — მართლა ოლიმპიური სიდინჯე ახასიათებდა: წყნარი მიხრა-მოხრა, მძიმე ნაბიჯი, თითქმის სრულიად შეზღუდული ჟესტიკულაცია და თითქოს რაღაც ზევსურ გარინდებაში ყოფნა სიჩუმის დროს“ (მოგონებები 1990: 191).

მხოლოდ გერმანელი მეგობრისა და კოლეგის — არტურ ლაისტის დაკვირვებულ თვალს შეუნიშნავს გარეგნული გამოვლენა აკაკის ტემპერამენტისა და ისიც, ილიას განსაკუთრებული სიდინჯის ფონზე...

აკაკის ხასიათი — ესაა ურთიერთგამომრიცხავი თვისებებისა და მიდრეკილებების ნაზავი: იშვიათი უდარდელობისა და პრაქტიციზმის, გულუშურველობისა და ეგოცენტრიზმის, სულიერებისა და ავხორცობის, გონიერებისა და ზედაპირულობის...

უცნაური სიჭრელე გასდევს მთელ მის ცხოვრების გზას და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც, რომელშიც მომაჯადოებელ ჰანგებთან მეზობლობს ამგვარი ნიჭისათვის უცხო და ყურისმომჭრელი სტრიქონები.

ამ კონტრასტს თავის ხასიათში, ცხოვრების ნირში, პოეზიაში აკაკი, რაღა თქმა უნდა, სხვაზე უკეთ გრძნობდა და აკი გამოთქვა კიდეც:

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი,
არც მინისა ვარ, არც ცისა.
ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა:
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.
(წერეთელი 1950ა: 168)

გავყვეთ ამ გზას — სხვიტორში, წერეთელთა სასახლეში რომ იწყება, გზას, რომელსაც ის ზენაარი, „სულ სხვა ხელისუფალი" დაჰყურებს, ამქვეყნიურ ხელისუფალთა ნება-სურვილს ანგარიშს რომ არ უწევს, და თავისი რჩეული, ხელჩაკიდებული, მთაწმინდისაკენ მიჰყავს...

1840 წლის 9 ივნისს, სისხამ დილით, სხვიტორში, თავად როსტომ წერეთლის აივნიდან თოფის ხმა გაისმა: როსტომსა და მის მეუღლეს — ეკატერინე ივანეს ასულ აბაშიძეს, მეოთხე შვილი შეეძინათ, ვაჟი, აკაკი.

„მე ცოტაოდნად კიდევ ძველ-ქართულად გაზრდილს, ეროვნულ იგავ-არაკებითა და ზღაპრებით მაქვს გული სავსე", — წერდა შემდგომ აკაკი თედო ჟორდანიას. ამ „ძველ-ქართულ" გაზრდაში ის „გაძიძავებაც" იგულისხმებოდა სოფელ სავანეში, რომელიც აკაკიმ ესოდენი სითბოთი აღწერა თავის მხატვრულ ავტობიოგრაფიაში — „ჩემ თავგადასავალში" და დედისაგან მოსმენილი ლექსებიც, ზღაპრებიც, ლეგენდებიც და საგმირო ისტორიებიც. ზოგჯერ, ამ საგმირო ისტორიათა პერსონაჟები თავად აკაკის წინაპრები იყვნენ — ქველი და დავით წერეთლები, იმერთა მეფე სოლომონ პირველი და მისი შვილიშვილი ივანე აბაშიძე — პაპა აკაკისა.

შემდგომ, აკაკის პოემებში — „გამზრდელში", „თორნიკე ერისთავში", „ნათელაში", მის პროზაში — „ბაში-აჩუკში", მის დრამებში („პატარა კახში" პირველ ყოვლისა) ყოველთვის მოისმოდა ამ ისტორიული იდეალების გამოძახილი, ხოლო აკაკის ლექსების მომხიბლავ სისადავეში და მელოდიკაში ის ჰანგი, რომელიც ხალხურ ზეპირსიტყვიერებას ჰქონდა შენარჩუნებული და რომელიც სწორედ აკაკიმ, პირველმა, ესოდენ ბუნებრივად შეუკავშირა ქართული კლასიკური პოეზიის საუკუნოვან ტრადიციას.

გავიხსენოთ მისი ერთ-ერთი ადრინდელი ლექსის სტრიქონები:

გაბრწყინდი, ჩემო კანდელო,
მინათლე ბნელი ღამისა!..
მინათლე, რადგანც დაგირჩა
სინათლე მცირე ჟამისა!..
(წერეთელი 1950: 59)

ანდა აკაკისსავე "საიდუმლო ბარათი" — პირველი მისი ლექსი, ავტორის ნებისა და საწინააღმდეგოდ, ინიციალების ნაცვლად, უკვე მისი გვარით ხელმოწერილი რომ გამომვეყნდა იმჟამინდელი "ცისკრის" 1859 წლის პირველ ნომერში:

საიდუმლო ბარათო!
გითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მიმნიჭედ
და სევდისა ფარადო...“
(წერეთელი 1950: 66)

„იმ ხანებშივე ამ ლექსის გამოისობით ორი წერილი მივიღე, — იგონებდა აკაკი, — ერთი ჩემი უცნობის ანჩისხატის დეკანოზის ეფრემის იყო... მეორე წერილი იყო თ. ირაკლი ლორთქიფანიძის. ისიც მაქებდა და მთხოვდა ძველი ენითა სწერეო. ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს გამაყოყოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას, სულსა და გულს მიტკბობდა ის, რომ „ქალები იმღერიანო“ და მეც გადავსწყვიტე, რომ თავი დავუდვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვსწერო“.

როგორც ვიცით, აკაკი იმხანად პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელია. სრულუფლებიან სტუდენტობაში მას ხელი შეუშალა ქუთაისის გიმნაზიის დამამთავრებელი ატესტატის არქონამ. ეტყობა, აკაკის ერთი სული ჰქონდა, გასცლოდა ამ გიმნაზიას, რომლიდანაც, „ჩემი თავგადასავლის“ მონათხრობს თუ ვენდობით, ნათელ მოგონებად მხოლოდღა პოლონელი მასწავლებლის — რადზიევიჩის საუბრები გამოჰყოლოდა მიცკევიჩის პოეზიაზე.

ყმაწვილ აკაკის უთუოდ წარმოესახა თავისი თავი მიცკევიჩის ცნობილი პოემის „კონრად ვალენროდის“ გმირად – ლიტველ გიორგი სააკაძედ, ტევტონთა მთავარსარდლის აბჯარქვეშ სამშობლოსათვის შეწირული გული რომ უცემდა.

არაა გასაკვირი, რომ აკაკი სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა და თავდაპირველად, 1859 წლის ზაფხულის დამდეგს, პეტერბურგში სწორედ ამ ოცნებამ ჩაიყვანა.

ახლა, აკაკის ბიოგრაფიის იმ მომენტს მივადექით, როდესაც მკაფიოდ მჟღავნდება, რომ სწორედ ეს ერთია — ბედის რჩეული და რომ ეს გამორჩეულობა თანაბრად ატყვია მის პოეტურ ნიჭსაც და მის არაორდინარულ ხასიათსაც.

დიდი ქალაქის უნახავი, სამხედრო კარიერაზე მეოცნებე 19 წლის ბიჭი პეტერბურგში ჩადის, აქ, იმპერატორის „კანვოიში“ გამწესებულ, თავის უფროს ძმას ხვდება და ილიკოს მაცთუნებელ მონათხრობს უსმენს: ქეიფი, კარტი, ქალები... დროდადრო — აღლუმები... აკაკი, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, მშვენიერი მომლხენიც იყო (თუმცა, თვისტომთა უმეტესობისაგან განსხვავებით,

ღვინის სმაში ძალზე ზომიერი), კარტის მოყვარულიც და არც ქალებისადმი დარჩენილა გულგრილი.

ილიკოს ნაამბობმა ცთუნების ნაცვლად, უმცროსი ძმა გააღიზიანა და გადაწყვეტილება შეაცვლევინა. აკაკიმ ზურგი შეაქცია „კონეოის“ სიბარიტებს და პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელის ასკეტური ყოფა ირჩია.

რით აიხსნება, რომ „ბუნებისა და ბედის ნებიერი“ (ეს არტურ ლაისტის სიტყვებია), თითქოსდა მხოლოდ სიცოცხლით ტკბობისა და სილაღისათვის გაჩენილი, უზრუნველ ცხოვრებაზე მეოცნებე, სწორედ ამ დარდიმანდულ ყოფაზე ამბობს უარს ყოველთის, როდესაც კი ხელახალი არჩევანის წინაშე დგება.

ქუთაისში, 1889 წელს (ეს ის დროა, აკაკი ხუთ-ხუთ მანეთს რომ აგროვებს საჩხერეში წასასვლელად), საადგილ-მამულო ბანკის საერთო კრებამ ერთხმად შესთავაზა მას ბანკის დირექტორი გამხდარიყო. ახლა აკაკის პასუხს მოვუსმინოთ: „მე რომ დირექტორობა ვიკისრო, საკუთრად მე მოხელეობას უნდა დავუდგა გული და ეგ იქნება ჩემთვის ბორკილი. თუმც ოქროს ბორკილი ჩემთვის პირადად სასარგებლოა, მაგრამ მაინც ბორკილია და იმ საქმეში ხელის შემშლელი, რომელსაც მე ამდენი ხანია ვემსახურები“.

ვფიქრობ, ჩვენს მიერ დასმულ კითხვას აკაკიმ თვითონ უპასუხა. ახლა, კვლავ „ცივი ქვით მოსიპულ და უზარმაზარ“ პეტერბურგში თუ დავუბრუნდებით, ვასილიევის კუნძულზე, სადაც აკაკი სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად ქირაობს იაფფასიან ოთახს, შეგვიძლია ისიც ნარმოვიდგინოთ, როგორი მოუთმენლობით ფურცლავს იგი „ცისკრის“ მორიგ ნომერს, რომელშიც თავისი ლექსი ეგულება — „ქართლის სალამი“ და ამ ლექსში რედაქტორის — ივანე კერესელიძის კალმით ჩამატებულ სტრიქონებს აღმოაჩენს:

> ჰხედავ რუსეთსა? რუსეთს შენს მხსნელსა?
> ვით ზრუნავს შენთვის, გიმართავს ხელსა?
> (გურგენიძე, გორგაძე 1989: 23)

და ა.შ.

ამის თაობაზე გულნატკენი აკაკი მიწერს დედამისს ივანე კერესელიძეზე — „ლექსები წამიხდინაო“. სხვათა შორის, აქვე აღსანიშნავია, რომ მიწერ-მოწერა აკაკის სწორედ დედასთან აქვს, — მას ანდობს თავის გულისნადებს. მამა, როგორც წესი, მხოლოდ პოსტ-სკრიპტუმში გამოჩნდება ხოლმე: „მამა ბატონს მოწყალეს ხელებს ვეამბორები“. ეს არის და ეს.

შემდგომ, როდესაც როსტომ წერეთელმა მისი შვილის ლექსებით განაწყენებული ახლობელ-ნათესავების წყრომას თავისი რისხვაც შეუერთა (ეგებ წაქეზებითაც — „ფარისეველში“ შენა ხარ გამოყვანილიო), მამა-შვილის ურთიერთობა საერთოდ გაფუჭდა და როსტომი ისე გარდაიცვალა 1876 წელს, რომ აკაკიზე გული არ მობრუნებია.

ისე, როსტომისაც არ უნდა გაგიკვირდეს კაცს. როგორია, თავმომწონე თავადისათვის ნათესავისაგან ამგვარი წერილის მიღება: „ძმაო როსტომ! — იწერებოდა თავადი კონსტანტინე აბაშიძე, — შენი შვილი რომ რუსეთიდან დაბრუნდა, ჩვენ ყველა სიხარულით მივეგებეთ: გვეგონა, რომ ოჯახს ფეხზე დააყენებდა და ჩვენც, მისიანებს, ბევრად გვარგებდა, მაგრამ მის ნაცვლად, რომ სამსახურში შესულიყო და წინ ნაბიჯი წაედგა, ან ადვოკატობით სხვებსავით სახელი მოეხვეჭა რამე, ეგ დალოცვილი მესტვირეობას გამოუდგა და ლანძღვით ქვეყანა გადაიკიდა!“

რაღაც მოჯადოებული წრე იკვრება: გასაგებია, როდესაც აკაკის, პეტერბურგიდან გამოყოლილი რადიკალური იდეების გავლენით, სურვილი ებადებოდა გაეღიზიანებინა ქუთაისის თავადაზნაურობის მარშალი, დიდად გავლენიანი თავადი ნესტორ წერეთელი; სამიოდე წლით ადრე, გლეხთა განთავისუფლების ჟამს, აკაკიმ „იმერული ნანინათი“ უკვე ისედაც გაიფუჭა ურთიერთობა თავის „მემამულურ“ გარემოცვასთან. ეს ყველაფერი გასაგებია.

გაუგებარია, როდესაც, იმავდროულად, აკაკი თავისსავე თანამოაზრეებს და თანატოლებს ამასხრებს და 1861 წელს პაროდიას წერს ილიას პათეტიკურ ლექსზე „ქართველ სტუდენტთა სიმღერა“.

ორად-ორ კაცთან მეგობრობდა აკაკი სტუდენტობისას პეტერბურგში — ნიკო ნიკოლაძესთან და კირილე ლორთქიფანიძესთან. დანარჩენებმა იმდენად აითვალისწუნეს მწარე და გამქირდავი ენის გამო, რომ სტუდენტობის წლებიდან მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი აგონდებოდა სითბოთი. სიტყვაზე, შეხვედრა ტარას შევჩენკოსთან, სტუმრობა ჩერნიშევსკის ოჯახში... მაგრამ, საზოგადოდ, მისსავე სიტყვით — „ის სანატრელი დრო, როცა ადამიანს ეკალიც კი ვარდად ეჩვენება“, — საკმაოდ ჩაუშხამდა.

1863 წლის ზაფხულში აკაკიმ დაიცვა სადიპლომო ნაშრომი (მაშინ „საკანდიდატო“ ერქვა ამას) – „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ და სამშობლოსაკენ გამოეშურა.

ასე დამთავრდა პირველი, სტუდენტური პერიოდი აკაკის ცხოვრებისა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, აკაკი ერთხანს უცხოეთისაკენ მიიწევს „ჰსწავლის შესამსებლად“, მაგრამ ამის ნაცვლად, სრულიად მოულოდნელად, 1864 წელს მოსკოვში ცოლს ირთავს –ნატალია პეტრეს ასულ ბაზილევსკაიას.

„ნურვინ ნუ დაიჩემებს: მომავალში ამას ვიზამ, თუ იმასო, — წერდა აკაკი, — მე გადაწყვეტილი მქონდა გუნებაში, რომ ცოლი არ შემერთო და მერე ისიც უცხოელი, მაგრამ შემთხვევას ყოველიფერი შესძლებია!“

ერთი წლის შემდეგ, აკაკი ისევ მოსკოვშია და ებმება გაუთავებელ სასამართლო პროცესში ცოლის ბიძასთან — ოქროს მრეწველ ბაზილევსკისთან ცოლის მემკვიდრეობის თაობაზე. ამგვარმა პროცესებმა — მარგანეცის საბადოს გამო, — თბილისელ მილიონერ მადათოვთან, საჩხერის ტყისა – თავისსავე ნათესავთან, აკაკის სისხლი გაუშრეს და, რაც მთავარია, კაპიკი არ მოუტანეს.

აკაკის შემოქმედებაში ნატალია ბაზილევსკაია ერთი ფერმკრთალი აკროსტიქითა და რუსულად დაწერილი პატარა ლექსით დარჩა. აი, რაც შეეხება ბიოგრაფიას — მათ ცალკ-ცალკე ცხოვრებას, გაუთავებელ ურთიერთპრეტენზიებს, გადარუსებულ ვაჟიშვილს — ყოველივე ეს ცალკე თხრობის თემაა...

ერთი საუკუნის შემდეგ, სერიოზული განსჯა იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა შეერთო ცოლად აკაკის, ან ვინ არ უნდა შეერთო, დაახლოებით იგივეა — კაცმა „თორნიკე ერისთავის“ წერა თავიდან რომ დაიწყოს.

ბედმა ინება, რომ აკაკი — მისი რჩეული, ამ მხრივადაც გამორჩეული ყოფილიყო: კიდეც ყოლოდა ცოლ-შვილი, მაგრამ, ამასთანავე, მარტოხელა დარჩენილიყო და თავისუფალი მამაკაცის ცხოვრებით ეცხოვრა...

აკაკის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ მკვირცხლი და ტანწერწეტა ნატალია სულ მალე ფარფაშა და აბეზარ დედაკაცად გადაიქცა. მაგრამ, აბა თქვით, რომელ ცოლს გაუხარდება ამგვარი წერილის მიღება: „ახალგაზრდობას ჩემსას ვგრძნობ მხოლოდ იმ ახალგაზრდა ქალიშვილებთან, რომლებიც თავის დაუსრულებელი ალერსით მხიბლავენ და არა იმასთან, ვისაც ნესტოები არაბული ცხენივით ებერება და შხამიან სიტყვებს ბომბებივით ისვრის პირიდან“. გადის რაღაც ხანი და აკაკი სხვა გუნებაზე დგება: „მთელი ჩემი სწრაფვა და მიზანი ის არის, რომ სიბერის წლებში მაინც განვახორციელო ჩემი იდეალი: ვიცხოვრო ჩემს ოჯახში, აღტაცებას ვეძლეოდე ჩემი იდეალური ნატაშათი...“ და ა.შ.

აკაკისავით პარადოქებით აღსავსე ხასიათი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ორი ამგვარი წერილი შეუთავსოს ერთმანეთს და თან ორივეგან გულწრფელი იყოს.

ცოლ-ქმრის დროდადრო ერთობლივ ცხოვრებას, ეტყობა, ამგვარიეე ცვალებადი ელფერი ჰქონდა: ასე მაგალითად — ჩამოდის ნატალია პეტრეს ასული თბილისში. აკაკი აღფრთოვანებული ეგებება და პირველი რამდენიმე დღე თავს ეელება. ცოტა ხნის შემდეგ, აკაკის მოთმინება ელევა. ილევა ფულიც, რადგან ქ-ნ ნატალიას შვიდი ოთახი უჭირავს სასტუმროში და მოახლის გარდა, ცალკე მზარეული ჰყავს. თვითონ აკაკი თავმბეზრებულია წვრილმანი ზრუნვით: ეს უნდა ჩაიცვას, ეს არაI კლუბში კარტის სათამაშოდ არ უნდა იაროს და ა.შ.

საბოლოო ჯამში, აკაკი სესხულობს ფულს ცოლის პეტერბურგში გასამგზავრებლად, გადადის იმავე სასტუმროს ერთ ოთახში და შვებით ამოისუნთქავს...

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, რომ ოცნება მყუდრო საკანეზე — ოცნებად რჩება... აკაკი, ეტყობა, მართლაც არ იყო შექმნილი ოჯახური იდილიისათვის: ერთ ქალთანაც ბეზრდებოდა დიდხანს ყოფნა და ერთ ადგილზეც: ხან სხვიტორში იყო (აქ, აკაკის დედის გარდაცვალების შემდეგ, მისი უფროსი და — ანეტა დიასახლისობდა), ხან ქუთაისში, ხან თბილისში, ხან კიდევ პეტერბურგში ცოლშვილთან ან ბაქოში — ივანე ელიაშვილთან.

აკაკის გადაადგილებების რუკა რომ შედგეს, ამ გეოგრაფიას ვერასოდეს ვერ ჩაეწვდებით პოეტის მხოლოდღა საქმიანი ინტერესების გათვალისწინებით. ბევრი მარშრუტი იდუმალი და რომანტიკული ხასიათისაა...

არის მამაკაცის ტიპი, რომლისთვისაც ყოველი ახალი რომანი ერთგვარი თვითდამკვიდრების ფორმაა — ამიტომაც ცდილობს ხოლმე თავის გატაცებათა აფიშირებას. აკაკი სწორედ რომ საპირისპირო ტიპს ეკუთვნოდა. აკი დანერა კიდეც: „საიდუმლო ტრფიალება ლოცვაა და აღსარება...“. მისთვის ეს იდუმალების ხიბლი იყო მთავარი, თვით ეს მარადიული თამაში, ის უთქმელი შეთანხმება — ქალსა და მამაკაცს შორის რომ მყარდება ხოლმე... ამიტომაც არც დონ-ჟუანური სია დაუტოვებია პუშკინის მსგავსად და არც სატრფიალო ლექსების უმეტესობისათვის მიუწერია ჭეშმარიტი ადრესატების სახელები.

განა საინტერესოა არაა — ვის ეძღვნება „გაუბედავი სიყვარულის“ ეს სტრიქონები, 1873 წელს დაწერილი:

ორთავ ვიცით,
ფიცით მტკიცით
გრძნობა ჩვენი შეგვიტყვია!
თუმც კი ვხედავთ,
თქმას ვერ ვბედავთ,
გულზედ გვაწევს როგორც ტყვია!
ათი წელი,
მეტად მწველი,
გულზე გვაქვს ეს ნეტარება!
ვუგდებთ-რა ყურს,
ორივეს გვსურს
და ვერ გვითქვამს აღსარება!
(წერეთელი 1950: 279)

მაშ, ასე, მაინც ვის ეძღვნება ეს სტრიქონები — ანასტასია (ანიჩკა) ნიკოლაძეს, ათი წლის წინ, ესოდენი ინტერესით რომ მიანათა თვალები პეტერბურგიდან ქუთაისში მობრუნებულ მეგობარს თავისი უფროსი ძმისა, ხოლო შემდგომ, ისევე იდუმალად ატარა მთელი სიცოცხლე გულში აკაკის სიყვარული, როგორც სასთუმალქვეშ — მისი წერილები? თუ ვისმე სხვას?..

ისიც ხომ საინტერესოა, ვინ შთააგონა ოცდაათ წელს მიტანებულ აკაკის „ციცინათელა“ დაეწერა, შემდგომ კი უკვე – „ჩემო თავო ბედი არ გიწერია“, „აღმართ-აღმართ“ ან „სულიკო“ — ესოდენ ტკბილხმოვნად რომ ამღერებდა გიტარაზე ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლისა...

და კიდევ ერთი კითხვა, რომელიც ყოველთვის თანსდევს აკაკის ლირიკული დღიურის თვალმიდევნებას: ყოველთვის სამშობლო იგულისხმებოდა პოეტის ამ ლირიკულ მიმართვებში, როგორც ამას ჩვენი სახელმძღვანელოები გვასწავლიდნენ, თუ მას თვალწინ, ლექსის წერისას, მაინც საყვარელი ქალის სახე გამოკრთოდა ხოლმე...

აკაკის ინტიმური ლირიკის ადრესატების სახელები მეტწილად სწორედ მაშინ ვიცით, როდესაც ეს ტრფობა ან მართლაც პლატონურია, ან უკვე უსასოო და უიმედო — როგორც მაგალითად ახალგაზრდა და მომხიბლავი ლოლო ნიკოლაძისადმი პარიზში მიძღვნილი ექსპრომტი სამოცდაათ წელს მიტანებული თაყვანისმცემლისა (ეს ლოლო გახლდათ ნიკო ნიკოლაძის უფროსი ქლიშვილი პირველი ცოლიდან).

რადგან ნიკოლაძეებზე ჩამოვარდა სიტყვა, უთუოდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ოჯახმა საზოგადოდ ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აკაკის ცხოვრებაში: ნიკო ნიკოლაძესთან მეგობრობა („მტერ-მოყვრული", როგორც თვითონ პოეტი ამბობდა), აკაკის ბიოგრაფიის განუყოფელ ნაწილად იქცა, ხოლო ნიკოს დების — ეკატერინე და ანასტასია ნიკოლაძეების პანსიონი ქუთაისში აკაკის ძირითადი თავშესაფარი იყო.

აკაკის, როგორც მოგეხსენებათ, სახლი მხოლოდ სხვიტორში ჰქონდა — სხვაგან ყველგან სტუმარი იყო: ქუთაისში, გარდა ნიკოლაძეებისა, ხელთუფლიშვილების, ხოლო თუ განმარტოება უნდოდა — სასტუმრო „კოლხიდას" მეპატრონის, გიორგი ჭილაძისა; თბილისში — ნიკო დიასამიძის, სერგეი მესხის, ნიკო დადიანის; აგრეთვე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა და ტასო მაჩაბლის, რომელიც, აკაკისსავე მსახურის, სპირიდონ ზამბახიძის თქმით – „ძალიან გატაცებით უყვარდა"...

სოფრომ მგალობლიშვილი იგონებდა, რომ „აკაკის უბით დაჰქონდა რვეული, ძაფზე გამობმული ფანქარი ედო შიგ. უცებ ღამე სანთელს აანთებდა და რვეულში ჩასწერდა ლექსს ან სხვა რამე გაგონილს ამბავს ხალხურსა..." (მოგონებები 1990: 308). აქ ისიც უნდა ითქვას, რომ აკაკიმ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვებას და არაერთი ბრწყინვალე ფოლკლორული ნიმუში გამოაქვეყნა თავის ჟურნალში.

მით უფრო გასაკვირველია, რომ ხალხის წიაღში შობილი ძარღვიანი სიტყვის ისეთმა დამფასებელმა, როგორიც აკაკი იყო, ძალად დაიხშო ყურთასმენა ვაჟა-ფშაველას გამოჩენისას. ჩვენ ყველას გვახსოვს მისი — „ენას გიწუნებ ფშაველო...". აკაკიმ, ფაქტობრივად, არ გაიკარა ის ვაჟა, რომელიც, სოფრომ მგალობლიშვილისსავე თქმით, გორის საოსტატო სემინარიაში სწავლისას, აკაკის საღამოებს არ აცდენდა და მონუსხული შესცქეროდა თავის იმჟამინდელ კერპს.

ეტყობა, აკაკი პოეზიაში ისევე ვერ იტანდა მეტოქეს, როგორც სიყვარულში — რაყიფს. ამით თუ აიხსნება, რომ მან ასევე ვერ, თუ არ შენიშნა ახალგაზრდა გალაკტიონი, ხოლო იმავდროულად, მეათეხარისხოვანი პოეტის — თურდოსპირელის ლექსებით იყო აღტაცებული.

აკაკის ლიტერატურული საღამოები ვახსენე. შეუძლოთ თუ არ იყო, იგი არასოდეს უარს არ ამბობდა ამგვარ შეხვედრა-საღამოებ-

ზე. თანამედროვეთა თქმით, ლექსებზე უკეთ თავის იუმორისტულ პროზას კითხულობდა, მაგალითად — „სცენას საპატიმროში“.

აკაკის გამოჩენა, მისი ხმის გაგონება, უკვე თაეისთავად აჯადოებდა მსმენელებს და დარბაზი ტაშით ინგრეოდაო, — იგონებდნენ თვითმხილველნი.

არ არის გასაკვირი, რომ აკაკის სახელი იმდროინდელი ქართული ლიტერატურული პრესისათვის წარმატების გარანტად იქცა. ეს გარემოება უთუოდ გასათვალისწინებელია, როდესაც ვხედავთ, როგორ ითმენენ აკაკის კაპრიზებს მისი „მტერ-მოყვარე“ რედაქტორები, როგორი დელიკატურობით იწვევს მას „ივერიაში“ სათანამშრომლოდ ილია ჭავჭავაძე.

ილიას ეს წერილი, საზოგადოდ, ისეთივე ნიმუშია გასული საუკუნის ორი უდიდესი ქართველი მწერლისა და მოღვაწის ურთიერთობის ნათელსაყოფად (ყველა ჩრდილოვანი მხარის მიუხედავად), როგორც აკაკის ბრწყინვალე სიტყვა ილიას დაკრძალვაზე და მისივე — „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას...“

აქ ერთ ნაწყვეტს მოვიხმობ ილიას ზემოხსენებული წერილიდან: „ძმაო აკაკი! მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისა მაიძულა ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებული წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა...“ (მოგონებები 1990: 178).

განსაკუთრებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა აკაკის მიანც გაზეთ „დროებასთან“ ჰქონდა — გიორგი წერეთელთან, სერგეი მესხთან, ივანე მაჩაბელთან.

თუ რა ფასად უჯდებოდათ ეს თანამშრომლობა „დროების“ რედაქტორებს, კარგად ჩანს სერგეი მესხის ერთი წერილიდან: „ეს მგონი მეხუთედ არის, — წერდა სერგეი მესხი თავის საცოლეს, კეკე მელიქიშვილს აკაკის შესახებ, — რომ რაღაცა უბრალო მიზეზს მონახავს და გამომიცხადებს, ყველაფერს თავი უნდა დავანებოვო, გაზეთშიაც არავითარ მონაწილეობას აღარ მივიღებო და საზოგადოდ ყველა საქმეს და ლიტერატურას ვეთხოვებიო. შენ ვერ წარმოიდგენ, რამდენ წვალებად მიღირს მე ამის თანამშრომლობა!..“

მაგრამ, სერგეი მესხს ნამდვილად უღირდა ეს წვალება. აქ ჩამოთვლაც კი შეუძლებელია იმ ლექსების, წერილების, ფელეტონების, რომლებიც „დროებაში“ აკაკიმ სწორედ სერგეი მესხის რედაქ-

ტორობისას დაბეჭდა: აკაკის „ცხელ-ცხელი ამბებით“ — მახვილგონიერი ფელეტონების ციკლით — XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართული სინამდვილის მთელი პანორამა წარმოჩნდა. იმასაც თუ დავსძენთ, რომ ამ ფელეტონებში მარგალიტებივით იყო ჩასმული ვთქვათ — „ციცინათელა“, ან „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!“, — უთუოდ მივხვდებით, რას ნიშნავს გაზეთის რედაქტორისათვის აკაკისნაირი ავტორი.

აკაკის თანამირომლობა „დროებაში“ 80-იან წლებსაც გადაწვდა (გაზეთი ხელისუფლებამ 1885 წელს დახურა), მაგრამ საუბარი აკაკის შემოქედებაზე XIX საუკუნის 80-იან წლებში, მის მოქალაქეობრივ იერზე, რომლის ფონზეც მკრთალდება ყველა მისი ადამიანური სისუსტე თუ ნაკლი, საუბარი აკაკის პოეზიის ზენიტზე — ცალკე თემაა.

არიან პოეტები, რომელნიც სიჭაბუკეშივე ქმნიან თავის შედევრებს — ბარათაშვილი მაგალითად. აკაკის ნახევარი ცხოვრება დასჭირდა იმისათვის, რომ „განთიადი“ დაეწერა — ჭეშმარიტი მწვერვალი ქართული პოეზიისა.

რატომ გამობრწყინდა ეს „განთიადი“ მაინცდამიანც პოეტის ცხოვრების შუადღეს? როგორი იერი აქვს ამ დროიდან აკაკის — იმდროინდელი ქართული პოეზიის პატრიარქს და ერის სულიერი ცხოვრების უკვე ჭაღარამოსილ მეგზურს? მივყვეთ ამ კითხვებს...

1887 წელს, როდესაც სტავროპოლში მოკლეს იქ გადასახლებული დიმიტრი ყიფიანი, აკაკისათვის, ისევე, როგორც მთელი იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობისათვის, ნათელი იყო, რომ ამ მკვლელობაში მთავრობის ხელი ერია.

აკაკის გამოსათხოვარი სიტყვა დიმიტრის ყიფიანის დაკრძალვაზე არ შემონახულა, არსებობს მხოლოდ პოლიციის აგენტის რუსული ჩანაწერი ამ სიტყვისა და მრავლისმეტყველი პატაკი იმდროინდელი მთავარმმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვისა, იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი წარდგენილი: „...Погребальный кортеж с музыкою и молодыми людьми в национальных костюмах направился, вопреки протесту полиции, кружным путем по главным улицам города к назначенному для погребения месту, где тело предано было земле после краткой речи грузинского поэта и присяжного надгробного оратора Церетели...“ („საისტორიო მოამბე“, ტ.III, თბ., 1947, გვ. 514).

ეს წერილი ორიგინალში მომყავს, რათა თარგმანში არ დაიკარგოს ის ირონიულ-ქედმაღალი ინტონაცია, რომლითაც მეფის მოხე-

ლე ლაპარაკობს უდიდეს ქართველ პოეტზე. აკაკი, ცხადია, იმთავითვე გრძნობდა, რომ დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა მხოლოდ გზიდან ჩამოცილება კი არ იყო გამორჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ერთგვარი გამოწვევაც იყო და დაშინებაც ხელისუფლების მხრიდან.

საპირისპირო რამ მოხდა და XIX ს. 80-იანი წლების დასასრულს აკაკის შემოქმედებამ ნათლად ასახა ქართული საზოგადოების ზნეობრივი რეაქცია ამ გამოწვევაზე.

დიმიტრი ყიფიანის მკვლელობიდან ორი თუ სამი თვის შემდეგ, აკაკი წერს და შემდგომ უკვე „ივერიაში“ აქვეყნებს ლექსს „ქართველები სპარსეთში“ („ძველი ამბავი“), რომელშიც აღწერილია სტავროპოლში მომხდარი ტრაგედიის ფინალური აქტი:

ამ დროს გაიღო კარები,
მის წინა ნარსდგა სკვითელი!
და მირონ-ცხებულ მოხუცსა
მტრულად შეახო მან ხელი...
(გურგენიძე, გორგაძე 1989: 208)

და ა.შ.

სხვა პოეტი, ანდა, შესაძლოა თვითონ აკაკიც (ოღონდ სიყმაწვილის ჟამს), ალბათ ამ გამოძახილით დაკმაყოფილდებოდა და თავის მოქალაქეობრივ ვალს შესრულებულად ჩათვლიდა.

თითქმის ხუთი წელი დაჭირდა აკაკის იმისათვის, რომ სრულყოფილად გამოეხატა თავისი მიმართება დიმიტრი ყიფიანისადმი, მისი ღვაწლისა და მოწამებრივად დასრულებული ცხოვრებისადმი:

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.
დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა;
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...
მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მაგრამ ცხადია, რომ აკაკისათვის დიმიტრი ყიფიანის გახსენება იმავდროულად თავის მისიაზე და ბედზე დაფიქრებაც იყო: „განთიადით“ აკაკიმ რაღაც იშვიათი მხატვრული მირაჟი შექმნა — უხილავად თვითონ ამოუდგა გვერდით დიმიტრი ყიფიანის ლანდს და მისი დაწყებული მონოლოგი სრულიად ბუნებრივად განაგრძო:

მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არემარესა
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

ავტორის ბოლო თხოვნაც „განთიადში“ ხომ აშკარად ამჟღავნებს აკაკის გულისწადილს:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ;
შენს მიწას მიმაბარეო!..
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“
(წერეთელი 1950ა: 238)

რამდენჯერაც არ უნდა გადავიკითხოთ აკაკის ეს ლექსი, ალბათ ყოველთვის ჩავეკითხებით ჩვენს თავს — რა ზეგარდმო ძალამ დაახატინა აკაკის ეს სურათი, საქართველოს სიმბოლოდ რომ იქცა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

ალბათ, თუკი გვჯერა იმ ზეგარდმო ძალის, კიდევ ამიტომაც გვჯერა...

„განთიადის“ საეტაპო მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავდა გიორგი აბზიანიძე აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ თავის მონოგრაფიაში (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი გახლდათ აკაკის ბიოგრაფიის უბადლო მცოდნე და პოეტის თხზულებათა აკადემიური 15-ტომეულის მთავარი რედაქტორი): „განთიადი“ ახალი ქართული ლირიკული პოეზიის გვირგვინია, რამდენადაც პოეტი მასში განაზოგადებს ქართველი ხალხის გაუტეხელ ნებისყოფას თავისუფლების ძიების გზაზე“ (აბზიანიძე 1960: 59).

„განთიადით“ დასრულდა ერთი, განსაკუთრებულად ნაყოფიერი პერიოდის აკაკის შემოქმედებისა — 1880 წელს „დროებაში“ „ავადმყოფის“ გამოქვეყნებით რომ დაიწყო.

სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა მისი „თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ“ და „ღამურა“ — თაობათა მეხსიერებიდან წარუხოცელი განაჩენით:

„ერთმა უგნაურმა თაგუნამ
იუკადრისა თაგვობა,
დასწყევლა თვისი გაჩენა.
ბუნების იწყო მან გმობა“.
.....
„კრულია მისი ხსენება
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ღალატობს და მითი
თვით ფიქრობს მაღლა ფრენასა!“..
(წერეთელი 1950: 21)

ამავე წლებით აღინიშნება აკაკის თეატრალური მოღვაწეობის ყველაზე მჩქეფარე პერიოდი: ქართული დასის ხელმძღვანელობა, 1880 წლის სექტემბერში კი მისივე „კუდურ-ხანუმის“ პრემიერა.

მომდევნო წელს აკაკი გოგოლის „რევიზორს“ დგამს და ბრწყინვალე ანსამბლს უყრის თავს: ვასო აბაშიძეს, კოტე ყიფიანს, ნატო გაბუნიას, მაკო საფაროვას... თანამედროვენი აღნიშნავდნენ, რომ ყველაზე სუსტი ამ სპექტაკლში — „ფოჩტმეისტერი იყოო“ — ალექსანდრე ყაზბეგი.

„აკაკი და თეატრი“ — ცალკე თემაა და ხატოვან ენაზე თუ გადავალთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „პოეზიამ აკაკი სცენას მოსტაცა“. მართლაც, ეტყობა, პოეტური ნიჭი რომ არა, აკაკი სწორედ თეატრალურ კარიერას აირჩევდა. საბოლოოდ იგი „კომპრომისის“ გზას დაადგა და ქართულ თეატრს „დიდძალი ხარკი“ გადაუხადა, როგორც იშვიათად ნაყოფიერმა დრამატურგმა, და უფრო მოკრძალებული კი — როგორც რეჟისორმა და მსახიობმა.

ანა ნიკოლაძის სტატიაში – „აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი“ (რომელიც თბილისის უნივერსიტეტის მიერ აკაკის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულშია გამოქვეყნებული) ერთი ნიშანდობლივი დეტალია აღნიშნული: „როდესაც ქართული მუდმივი თეტრის დაარსების 10 წლის იუბილე გადაიხადეს 1889 წელს, გამოფენილი იყო მხოლოდ სამი დრამატურგის სურათი. ესენი იყვნენ: გიორგი ერისთავი, რაფიელ ერისთავი და აკაკი წერეთელი“. აქვე ვეცნობით აკაკის „სამსახიობო კარიერასაც“: „აკაკი არა მარტო თეატრის ერთი პირველი ორგანიზატორთაგანია 60-70-იან წლებში. იგი გატაცებული აქტიორიცაა.

როდესაც პირველად 1862 წელს აკაკის ინიციატივით, ქუთაისში დაიწყო წარმოდგენების გამართვა, მათში ახალგაზრდა პოეტიც ღებულობს მონწილეობას. აკაკი წერეთელი, როგორც მსახიობი, მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე 1868 წ. ქუთაისში რაფიელ ერისთავისა და მისი თაოსნობით დაარსებულ სცენის მოყვარულთა წრის წარმოდგენებში" (აკაკი 1940: 336).

80-იან წლებში, მრავალ სხვა საზოგადო და ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად, აკაკი მონაწილეობს „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. შედეგი ამ მუშაობისა გახლდათ 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა რუსთაველის პოემისა. ქართველ მეცენატს თითქოს საგანგებოდ ეწადა, რათა ამ წიგნის ნახვისას, აკაკის გახსენებოდა რამდენიმე წლის წინ მწარედ ნათქვამი: „აბა მიჩვენეთ ერთი მაგალითი, რომ მდიდარ ქართველს რაიმე სასახელო საქმე ექნასო?"

1904 წელს, როდესაც აკაკის პირველად დაეცა დამბლა, ქართველობამ თითქოს ერთბაშად აღმოაჩინა, რომ ეს ოლიმპიური გარეგნობის მოხუცი უკვდავი არ არის და რომ მის ღვანლსა და ამაგს სათანადო დაფასება სჭირდება. მაგრამ ამასობაში 1905 წელიც დადგა და ქვეყანა აირია.

„თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ კავკასიაზე და აქაურ ამბებზე, — წერდა აკაკი ცოლ-შვილს, — რომ დღემდე თქვენთან ვერ ჩამოვსულვარ და რომ ასეთი ტერორის დროს წერილები თქვენამდე ვერ აღწევს, გასაკვირველი არაფერია. არ არის დღე, რომ სიკვდილს არ ველოდე. ჩვენი ნაცნობებიდან ნახევარი ამოხოცილია ბარბაროსულად. ხოცავს ყველა პარტია და გარდა ამისა პროფესიული ყაჩაღებიც — ისინი საშინლად მომრავლდნენ და დაუსჯელად მოქმედებენ. ჯერჯერობით მე ღმერთი მწყალობს და ეს სასწაულია!" (წერეთელი 1966: 126).

იმავე, 1905 წლის სექტემბერში ცოლ-შვილისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამი დამამშვიდებელი ფრაზა: „მთავარი ის არის, რომ მე არავის საქმეში არ ვერევი და ვარ ჩემთვის", – ნამდვილად არ შეეფერებოდა სინამდვილეს. გავიხსენოთ აკაკის ცნობილი „ძირს" — აშკარა მოწოდება ბარიკადებისაკენ:

ძირს, მთავრობავ უსამართლო!
„ეელარ ვიტანთ გასაჭირსო", —
ყოველი მხრივ გეძახიან:
„ძირს მთავრობავ!.. ან-კი ძირსო!"
(წერეთელი 1954: 164)

ეს მეამბოხური პათოსი რაღაც არ ესადაგება განწყობას იმ კაცისა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ესოდენ გონივრულად უხსნიდა ცოლ-შვილს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.

როგორც მოგახსენეთ, აკაკის ცხოვრება და შემოქმედება ამგვარი ამოუხსნელი პარადოქსებითაა აღსავსე.

იმავ, 1905 წელს აკაკიმ პირველად იმოგზაურა ევროპაში: შვეიცარია და საფრანგეთი მოინახულა. როდესაც 1909 წლის ზაფხულში იგი პარიზში მეორედ ჩამოვიდა, ფრანგი ჟურნალისტების ჯგუფმა კამპანია წამოიწყო აკაკისათვის ნობელის პრემიის მისანიჭებლად.

პარიზში აკაკი თავის ცოლ-შვილთან ცხოვრობდა. ალექსის, რომელსაც ინერციით, ბავშვობისას შერქმეულ მეტსახელს — „ლოლიას“ ეძახდნენ, აქ საგასტროლოდ საოპერო დასი ჰყავდა ჩამოყვანილი პეტერბურგიდან. საერთოდ, როგორც ეტყობა, ანტრეპრენიორობას იგი თავის მოწოდებად თვლიდა (აქ, უთუოდ, პარიზში სერჟ დიაგილევის მიერ ორგანიზებული „რუსული სეზონების“ წარმატებამაც შეასრულა თავისი როლი). ლიტერატურასთან (მით უმეტეს, ქართულ) მას ცოტა რამ აკავშირებდა...

თვით აკაკი ამ დროისათვის უკვე ჯანგატეხილი ჩანს, შთაგონებასაც უჩივის... „ის აღარა ვარ რაც ვიყავ, — შესჩივლებს მოგზაურობიდან გამოგზავნილ წერილში თავის ერთგულ მეგობარს იაკობ გოგებაშვილს, — გუშინ დავამთავრე პოემა „ვორონცოვი“ და შევატყვე თავს, რომ ძალიან შორს ჩამოვგორებულვარ თავდაღმართში...“

ეს უკმარისობის განცდა, ცხოვრებისაგან დაღლა და უიმედობა აკაკიმ ლექსადაც გამოთქვა:

გული გამიტყდა ამ სიბერის დროს,
რომ ვერ მოვესწარ, რასაც ველოდი.
მსოფლიურ ზრახვებს და ჩემს გულისთქმას
მალე დაფარავს საფლავის ლოდი.
(წერეთელი 1954: 280)

კიდევ ერთი მწარე იმდროინდელი გამონათქვამი აკაკისა, ცოლისათვის მიწერილი: „არ არის იმაზე უსასტიკესი სასჯელი ღვთისა, როგორც ხელმოკლეობა სიბერის წლებში“.

ამ საერთო, დამთრგუნავ ფონზე, აკაკისათვის უთუოდ დიდი შვება უნდა ყოფილიყო 1908 წელს მისი მოღვაწეობის 50 წლის

იუბილეს აღნიშვნა — ჯერ თბილისში, საზეიმო პარაკლისით სიონში, შემდეგ საოპერო თეატრში, სადაც სავანელმა გლეხებმა აკაკის მისივე აკვანი მიართვეს... ჯერი „სავარდო და სამაისო" ქუთაისზე მიდგა, სადაც ყმაწვილკაცები ეტლში შეებნენ და ისე მიიყვანეს თეატრში მხცოვანი პოეტი.

XX საუკუნის ათიანი წლებიდან აკაკის სახელი საქართველოს ფარგლებს გასცდა: ერთნი მას ქართველ პუშკინს უწოდებენ, მეორენი — ქართველ შევჩენკოს, მესამენი — ქართველ ბერანჟეს... „სულიკოს" უკვე შორეულ ქვეყნებშიც მღერიან. ეს სიმღერა ერთგვარი ჰიმნის მოვალეობას ასრულებს და ბედნიერების გრძნობით ავსებს გულს იმ ჭაღაროსანი პოეტისა, თავის დროზე რომ დაწერა:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა...
(წერეთელი 1950ა: 303)

აკაკის, უთუოდ, მაშინაც განსაკუთრებით გაუთბა გული, როდესაც იანვრის ერთ ყინვიან დღეს, პეტერბურგიდან მოსკოვში ჩასულმა, ნახა აქაური გაზეთი „Утро России" მეტყველი სათაურით — „Некоронованный король Грузии в Москве".

და მაინც, თანამედროვეთ რაღაც განსაკუთრებულად ჩარჩენიათ მეხსიერებაში აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, რომელიც საერთო-სახალხო ზეიმში გადაიზარდა. ყველგან, სადაც კი ჩადიოდა აკაკი, მას ყვავილოვანი თაღები და ასობით თაყვანისმცემელი ხვდებოდა... (საბედნიეროდ, ეს მოგზაურობა, რომელიც 1912 წლის 21 ივლისიდან 2 აგვისტომდე გაგრძელდა, ფირზე აღბეჭდა პირველმა ქართველმა კინოდოკუმენტალისტმა ვასილ ამაშუკელმა და ჩვენ დღესაც შეგვიძლია ეს უნიკალური კადრები ვიხილოთ).

საოცარი, პათეტიკური, მაგრამ გულის სიღრმიდან წამოსული სიტყვები ჩაესმოდა პოეტს: „ქართველი ერი, კერძოდ კი რაჭა, დღეს თქვენ გაჯილდოვებთ ღრმა და გულწრფელი სიყვარულით, ბუნება კი უკვდავებით. საუკუნები გაჰყვებიან საუკუნეებს, თქვენ კი ყველა თაობაში ახლად და ახლად აღმოცენდებით".

ამაზე უფრო მრავალრიცხოვანი აუდიტორია აკაკიმ უკვე მხოლოდ თავის დაკრძალვაზე შეკრიბა 1915 წლის 9 თებერვალს: ასი ათასი კაცი მიაცილებდა თავის სათაყვანებელ პოეტს მთაწმინდისაკენ... გზად, ახლანდელ თავისუფლების მოედანზე, სახელდახე-

ლო სამგლოვიარო მიტინგზე გამოსათხოვარი სიტყვა მხცოვანმა ნიკო ნიკოლაძემ წარმოსთქვა.

ყოველივე დანარჩენი, მთაწმინდის კალთაზე სასოებით ატანილი, ერთადერთი გვირგვინის წარწერაში იყო ნათქვამი – „აკაკის – საქართველო"!

თავის უკანასკნელ ლექსში აკაკი განგებას მიმართავდა:

... მაგრამ ეს შენთვის ერთია:
ცოცხალი ვიყო გინდ მკვდარი,
აღარ აენთვის აწ სხვისგან
ჩემი ჩამქრალი ლამპარი!
(წერეთელი 1960: 255)

ეს უმართებულო საყვედური იყო, რადგან სწორედ იმ ჩაუმქრალმა ლამპარმა მიიყვანა იგი მთაწმინდაზე და იმავ ლამპრის შუქზე ვკითხულობთ ჩვენ დღეს აკაკის უკვდავ სტრიქონებს.

დამოწმებანი:

აბზიანიძე 1960: აბზიანიძე გ. *აკაკი წერეთელი*. თბ.: „საბჭოთა მწერალი", 1960.

აკაკი 1940: *აკაკი წერეთელი* (საიუბილეო კრებული). თბ.: თსუ-ს გამოცემა, 1940.

მოგონებები 1990: *მოგონებები აკაკი ზე*. თბ.: „საქართველო", 1990.

წერეთელი 1950ა: წერეთელი ა. *თხზულებათა სრული კრებული თხუტმედ ტომად*. ტომი I, თბ.: სახელგამი, 1950.

წერეთელი 1950ბ: წერეთელი ა. *თხზულებათა სრული კრებული თხუტმედ ტომად*. ტომი II, თბ.: სახელგამი, 1950.

წერეთელი 1954: წერეთელი ა. *თხზულებათა სრული კრებული თხუტმედ ტომად*. ტომი III, თბ.: სახელგამი, 1954.

წერეთელი 1960: წერეთელი ა. *ასი ლექსი*. თბ.: „საბჭოთა მწერალი", 1960.

წერეთელი1966: წერეთელი ა. *წერილები ცოლ-შვილთან*. თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება", 1966.

იუზა ევგენიძე

აკაკი წერეთელი გლობალიზაციის ფონზე

გლობალიზაცია, მისი ჩასახვიდან დღემდე, ერთობ მაცთუნებელი მოვლენა აღმოჩნდა კაცობრიობისათვის. მან იმთავითვე, მიწიერად ისეთი პერსპექტივები დაუსახა ადამიანებს თან ისეთ ფრაზეოლოგიურ სამოსელში გაახვია სამოქმედო პროგრამა, რომ არა თუ იკისრა, არამედ შეძლო კიდეც სადღეისოდ თავისი პრაგმატული მიზანდასახულებითი ჩანაფიქრით ყოვლისშემძლე რეალიზატორის პრეტენზიით წარმსდგარიყო მსოფლიოს წინაშე.

როგორც ცნობილია, ტერმინ „გლობალიზაციას" მეცნიერულ მიმოქცევაში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მიეცა დასაბამი (1883 წ.) და ფილოსოფიურ-სოციოლოგიური აზროვნების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, არათუ ევრო-ამერიკულ სივრცეში, არამედ, უკვე ქართულ სინამდვილეშიც, მის შესახებ მრავალი საინტერესო ნაშრომია შექმნილი (1), სადაც საგულდაგულოდაა შესწავლილი ამ მოვლენის არსი. პრობლემის გარშემო არსებულ ალტერნატიულ შეხედულებების გათვალისწინებით, სპეციალისტები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ,,გლობალიზაცია" თანამედროვე მსოფლიოს არსებობის წესია, რომლის მთავარ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ: ქვეყნების, ხალხების, რეგიონების, საყოველთაო ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, მათი ზემოქმედება და ზეგავლენა ერთმანეთზე, ზოგადი საკაცობრიო ღირებულებათა უნიფიკაცია და ამ საფუძველზე მსოფლიოს გადაქცევა ერთ მთლიანად (ლუტიძე... 2001:100); მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენის კონტურები ადრეულ მოაზროვნეთა ნაწერებშიც იკვეთება. ჯერ კიდევ დიდი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი არა მხოლოდ ცნობილ ტრაქტატში — „სამარადისო მშვიდობა" (ლუტიძე... 2001: 119), არამედ თავის „ანთროპოლოგიურ დახასიათებებში", როცა მსჯელობს რასებისა და ჩამომავლობის (მოდგმის) შესახებ", მიანიშნებს „საკაცობრიო სამოქალაქო საზოგადოების" (კანტი 1996: 586) შექმნის პერსპექტივებზე, რაშიც უკვე ძევს მუხტი „გლობალიზაციისა", მაგრამ ეს არის ჩანასახოვანი იდეა. თუმცა საგულისხმოა, რომ მსოფლიო ხალხთა ქარაქტეოროლოგიური ნიშნების დახასიათებისას ის ევროპელ ხალხთა შორის „საზღვაო ვაჭრობის" (კანტი 1966: 566) განვითარების და მის ნიადაგზე ჩამოყალიბებული კომუნიკაბელურობის გამო, უპირატე-

სობას ანიჭებს ინგლისელებს და ამ მიმართებით ეფექტურ საკომუნიკაციო ენად სახავს ინგლისურ ენას (კანტი 1966: 567). მოგვიანებით, გლობალიზაციის იდეით ატაცებულმა ავტორებმა, „ჩვენი დროის კრიზისის" სახელით მონათლულ ეპოქაში, როცა დაიწყო „კულტურის კრიზისი", შეიქმნა „კულტურის იდეანაციონალური"... „უნიფიცირებული სისტემა" (სოროკინი 2006: 3-5), ამ მომენტის გაფეტიშება მოახდინეს. მიწიურ, პრაგმატულად მოსახერხებელ, როგორც უახლესი დროის დიდი ესპანელი მოაზროვნე ხოსე ორტეგა ი გასეტი ბრძანებს „ცხოვრების ამერიკულ წესს" (ხოსე ორტეგა 1993:19) აყოლილი „ევროპა უკვე ამერიკანიზებულია" (ხოსე ორტეგა 1993: 19). ესაა სწორედ ახალი დროისათვის სპეციფიკური ამერიკული ცხოვრების ზეგავლენით ჩამოყალიბებული. „ექსისტენციალური კრიზისი", რომლის სათავეა „ტექნიკის აბსოლუტიზაცია" (კაკაბაძე 1989: 20) და „უნივერსალური კატასტროფის" მაუწყებელი „ტექნიკური გაუცხოება" (კაკაბაძე 1989: 11). ამ ფონზეც კი, მართალია „არავინ დავობს იმაზე, რომ გლობალიზაცია ობიექტური, აუცილებელი, გარდაუვალი სინამდვილეა", რომ „ეს არის სამყაროს მთლიანობის, ურთიერთკავშირის, ურთიერთდამოკიდებულების, ინტეგრალობის ფორმირება... ...ეს არის არა სრული უნიფიკაცია (ამერიკანიზაცია), არამედ, კაცობრიობის თავმოყრა, გაერთიანება მთლიან სამყაროში, მთლიანობის შიგნით სხვადასხვა სახის ნაციონალური, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ცივილიზებული და სხვა კომპონენტების შეერთება" (ლუტიძე... 2001: 119-120), მაგრამ აქვე სხვადასხვა ავტორებზე დაყრდნობით (ჯ. სტიგლიცი, ა. ყულიჯანაშვილი) იმაზეცაა აქცენტი გადატანილი, რომ „გლობალიზაციის პროცესები თავისი მაუნიფიცირებელი ზეგავლენით, ეროვნული ენების მნიშვნელობის არეალსაც ამცირებენ, რაც არ შეიძლება მტკივნეულად არ იქნეს აღქმული ამ ენის მატარებელთა მხრიდან", რადგან „ენაში ფიქსირებულია ერის ბიოგრაფია. მისი დაკარგვით ინგრევა ისტორიული მემკვიდრეობითობა, დროთა კავშირი, მეცნიერება, კულტურა, ადამიანის ინდივიდუალობა და საკუთარი „მე". უარის თქმა კულტურაზე მეხსიერების გაწყვეტას და შესაბამისად საკუთარი თვითმყოფადობის დანგრევას ნიშნავს" (ლუტიძე... 2001: 124). გლობალიზაციისადმი სიმპათიით გამსჭვალული ავტორებიც კი, თუ ერთ შემთხვევაში ამტკიცებენ, „სიკეთე გლობალურია, მას არც საზღვრები აქვს და არც დრო-ჟამს უფრთხის" (ჩოგოვაძე 2006: 28), იმასაც გახაზავენ, რომ „კულტურულ კონტექსტში გლობალურს, ეროვნულსა და ლოკა-

ლურს შორის ურთიერთკავშირის აღმწერი რამენაირი მოდელი ამჟამად არ არსებობს" (ჩოგოვაძე 2006: 86). ქართველ პოლიტიკოსთა მოწინავე ნაწილს, ამიტომაც აფიქრებს საქართველოს ბედი ამ რთულ დროში, გლობალიზაციის ეპოქაში, პირველყოვლისა ის, თუ როგორ გაიკვლიოს გზა ამ პატარა ქვეყანამ ვეებერთელა სამყაროში ისე, რომ არ დაკარგოს საკუთარი სახე და განიმტკიცოს უფრო დიდი ქვეყნების პატივისცემა" (ჩოგოვაძე 2006: 7). გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები (ზურაბ კაკაბაძე, თამაზ ბუაჩიძე და სხვ.) ქართული „ეთნო-ფსიქო-ლოგოსის" (გ. გაჩევი) ანალიზის საფუძველზე, დასავლეთის ყველა მოაზროვნის დარად, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ „დღევანდელი კაცობრიობა იმყოფება კრიზისულ მდგომარეობაში, იმის გამო, რომ შეიქმნა ტექნიკის კულტი... კულტურის ხერხემალი არის ზნეობა და კულტურული ადამიანიც პირველ რიგში ზნეობით ფასდება. თანამედროვე ადამიანი ძირითადად ფიქრობს გართობაზე და მისი კულტია ტექნიკა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ კულტურის მტერია არა საერთოდ ტექნიკა, არამედ ტექნიკის კულტი. ტექნიკის კულტი და სულიერების ნაკლებობა საქართველოშიც მკვიდრდება... მთელი უბედურება კი ისაა, რომ დღეს ცივილიზაცია, ტექნიკა არის მიზანი და არა საშუალება. ამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალი არის ის, რომ ადამიანში უნდა გაიღვიძოს ზნეობამ. ამისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს რწმენას, რელიგიას, კერძოდ ქრისტიანობას. სწორედ „ქრისტიანობაშია ნინა პლანზე ზნეობა" (ბუაჩიძე 2005: 711-712). როგორც მიუთითებენ, სადღეისოდ, „გლობალიზაციის პროცესებში აშშ გაბატონებულ როლს თამაშობს. მსოფლიოში ეს ეკონომიკურად და პოლიტიკურად უძლიერესი სახელმწიფო თავის პირობებს კარნახობს დანარჩენ მსოფლიოს" (ლუტიძე, ტაბლიაშვილი 2001: 121). არადა, მსოფლიოში ახალ დროში სხვადასხვა კონცეფციათა ნიადაგზე შექმნილი ქვეყნის ამერიკული ცხოვრების გამოცდილება სწორედ მხოლოდ ტექნიკის გაფეტიშების წყალობით უკანა პლანზე გადასული კულტურული და სულიერ-ზნეობრივი რესურსების დეფიციტის გამო, შეიძლება მართლაც სავალალო აღმოჩნდეს დიდი კულტურული წარსულის მქონე ყოველი პატარა ერის და მათ შორის, ქართველი ხალხისათვისაც ამ ძნელ სამყაროში. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენი უშუალო ამოცანაა, ვაჩვენოთ თუ რანაირ რეაგირებებს ახდენს ტოტალიტარიზმისა და ნეოტაოტალიტარიზმის წიაღში შობილ ხან „ინტერნაციონალიზმის", ხან კიდევ „კოსმოპოლი-

ტიზმის“ სახელებს ამოფარებული გლობალიზაციის ჯერ კიდევ ჩამოყალიბებად პროცესებზე თანამედროვეობის მძაფრი გრძნობით აღსავსე ისეთი დიდი ხელოვანი, როგორიც აკაკი წერეთელი იყო. საყოველთაოდ ცნობილი აზრის მიხედვით, რამდენადაც პოეტებს „ეროვნებათა სულის უპირველეს ისტორიკოსებად“ (ვიკო 1940: 357) სახავენ, ამდენად, საინტერესოა როგორ აღიბეჭდა „ქართული პოეზიის იალბუზად“ წოდებული აკაკი წერეთლის სულიერ ცხოვრებაში თანამედროვეობის თანამდევი სიახლეები და სადღეისოდ გლობალიზაციის კონტექსტში როგორ აღიქმება მისი ნაწერები.

***

მრავალი პოეტი მისცა საქართველოს მე-19 საუკუნემ, მაგრამ ისეთი „დაუმონებლად ამაყი და ციური ნიჭით დაჯილდოებული ნამდვილი პოეტი, რომელიც მთლიანად გამოსახავდა თავის თავს, და თავის დროს პოეზიაში, აკაკის მსგავსი არავინ არის“ — უბრძანებია დიდ გალაკტიონს (ტაბიძე 1975: 602) და მართლაც, საინტერესოა, რით არის ეს პოეტი „თანამედროვე“, მარად ცოცხალი მოვლენა ჩვენთვის და რას ნიშნავს „თანამედროვეობა“ საერთოდ.

ბრძენ სწავლულთა დაკვირვებით „თანამედროვეობას“ ორი ასპექტი აქვს. ქრონოლოგიურ-ისტორიული ანუ დროითი და კულტურულ-ფსიქოლოგიური ანუ შემოქმედებით-ესთეტიკური ღირებულებისა. ამ თვალსაზრისით უფრო პრიორიტეტულად გვესახება შეხედულება. რომლის თანახმად „თანამედროვეობა“ ეს უპირველეს ყოვლისა, კულტურულ-ფსიქოლოგიური მოვლენაა. ამიტომაც ახლა უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ თუ კაცი ნამდვილად პოეტია, ყველაფერს, რასაც წერს, წერს თანამედროვეობაზე, რითაც ის არღვევს ლოკალურსა და დროით ჯებირებს ასეთი წინამძღვრებიდან გამომდინარე, აკაკი არ განეკუთვნება იმ ფსევდოთანამედროვე ხელოვანთა რიგს, რომლებიც თავის თავს ხმამაღლა უწოდებენ თანამედროვეს, სინამდვილეში კი მათში არაფერია „თანამედროვე“, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

აკაკი წერეთელი მართალია შესტრფოდა ძველს, რაშიც შეურყვნელ ქართულ თვისება-ხასიათის გამოვლენას ხედავდა, მაგრამ ძველის ტრფიალის გრძნობას არასოდეს ჩაუკლავს მასში სიახლის აღიარების შეგნება. პირიქით, ის მუდამჟამს ანმყოს სულიერ ღირებულებათა შინაარსით ტვირთავდა ყოველივე ძველს, გარდასულსა და ისტორიის კუთვნილს... მაგრამ აკაკისათვის ქრისტი-

ანული კულტურა, მისი პათოსი ამ რელიგიიდან ცალკეულ „დოგმატთა სესხების" (გამოთქმა ეკუთვნის ს. ბულგაკოვს) ბაზა კი არ ყოფილა, არამედ ქართულ სულში საუკუნეებით გადატეხილი სასიცოცხლო არსებობის ფორმადქცეული სულიერი კრედო, — სიყვარული, როგორც ჰაერი. ამიტომაც აცხადებს პოეტი: „მაქვს გადახსნილი ყველასათვის გული, მინდა ჩავიკრა გულში სამყარო"... ესაა კოსმიურ სიმაღლეზე მისული ჰუმანიზმი, რომელიც აერთებს თავის თავში შედუღებულ პრომეთესა და ქრისტეს ტანჯვას...

„ზეციური იდეალის" მაძიებელი პოეტი, როცა ამქვეყნად ეძებს ესთეტიკურ-ეთიკურ იდეალს, გულდანყვეტილი რჩება და წერს: „დიდხანს ვსძებნე იდეალი, მაგრამ არსად მოინახა", რადგან მისი დაკვირვებით, „ჩვენი ცხოვრების სარკეში თვალთმაქცობა ჩაისახა". რაკი „პოეტი ცხოვრების სარკეა, სადაც იხატვის ყოველი ფერი", ამდენად, მას არა აქვს უფლება, გულგრილი იყოს მის თვალწინ გადაშლილი სინამდვილის მიმართ. ამიტომაც ამ გადაუდებელი, შინაგანი აუცილებელი მოთხოვნილების კარნახით, ჰქმნის აკაკი თანადროულობის მძაფრი ვნებებით დატვირთული საქართველოს სურათს, და ამას ჰქმნის დიდი ვნებით, საოცარი გატაცებით... ალბათ იმის გამოც, რომ თუ ვინმე მე-19 საუკუნეში იცნობდა ქართველს და საქართველოს, ერთ-ერთი აკაკი წერეთელიც იყო, მისთვის საქართველო არის „მხარე, შემკული ბუნებისაგან, ხალხი ავსილი ნიჭიერებით". თუ ვინმე ამაყობდა მისი წარსულით, სილამაზით და პოტენციით, ეს დიდი მგოსანიცაა. მაგრამ ამავე დროს, დიდ ქართველთა „საგმირო საქმეთა" მოუღლელი მეხოტბე აკაკი, როცა ახალ საქართველოსა და ქართველს აკვირდება, იმ დასკვნამდე მიდის, რომ

„აქ მონება ჭკუა არის,
ორპირობა — სიბრძნე დიდი
და მას რჩება მოედანი
ვინც კი არის მეტად ფლიდი!
ცოტა მაღლა ასასვლელად
ძმა ძმას იხდის კიბე-ხიდად,
მშობელს შვილი, შვილს მშობელი,
ქმარს ცოლი პსურს გასაყიდად.
აქ თვით სჯული ფარისევლობს,
ხელთ უპყრია ბადე-ქსელად,
ძლიერების საპირფეროდ,
უძლურების მოსაწველად".
(„ახალი გზა", 1880)

აკაკი წერეთლის დიდ ტკივილს ადამიანის, ქართველის შინაგანი ბუნების „ავადმყოფობა“, სულის რღვევა, ანუ მისი დისჰარმონია იწვევს.

აკაკი ყველაზე მეტად გრძნობს თანამედროვე საქართველოს პულსის ცემას, და გრძნობს ისე, რომ მისი დროის ტკივილში არ-ჩევს ყოველი დროის ქართველის მარადიულ სატკივარს... უჭირს ავადმყოფ საქართველოს, ფარისეველნი მოსძალებიან მას. ასეა ეს აკაკის ახალგაზრდობაში (1864), როცა პოეტი ამჩნევს, რომ სათაყვანებელი ქართველის ადგილი დაუჭერია ისეთ არსებას, ვისაც „სისხლით უყარდა ხელი, გულში ედვა მას გველი და შუბლზე კი ეწერა შავად: „ფარისეველი“.

ასე ხედავს ახალგაზრდობის წლებში აკაკი ახალ დროში უკუღმართად აღზრდილ ქართველს და რაც ხანი გადის, მას ეს შთაბეჭდილება კი არ უქრება, არამედ უფრო და უფრო ულრმავდება. ახალი საქართველოს და ქართველის ურთიერთგაუტანლობის მარადიული სენის სამხელად პოეტი შემართულია მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე და ამ მყარი, შეუნელებელი ინტერესის გამოა, რომ სწორედ აკაკის და არა სხვა პოეტს ჩვენს სინამდვილეში, უჩნდება სურვილი, წარმოადგინოს თანამედროვეობისა და მის თანამედროვე ქართველში ჩაბუდებული მოჩვენებითობის, თვალთმაქცობის, გაუტანლობის, ქვაზიპატრიოტიზმის, მუცლისმაღმერთებლობის, ყალბი ინტელიგენტობის, ცრუპოეტობის პანორამა. არც ერთ ქართველ პოეტს აზრად არ მოსვლია, შეექმნა ლექსი და მისთვის მიეცა სათაური — „პანორამა“. აკაკის, მოცემულ შემთხვევაში არა მხოლოდ განცდილი, არამედ სავსებით გაცნობიერებული აქვს მიზანდასახულება ლექსისა, როცა გვეუბნება:

ზოგს ის მოსწონს, ზოგს ის მოსწონს,
სულ სხვადასხვა ბეერი რამა,
მე კი ყველას მირჩევნია
პანორამა პანორამა.
ჩაიხედავ გამოჩნდება
ყველა ნათლად, უტყუარად,
გინდ იხმარონ მელის ტყავი
პირბადედ და ხელში ფარად".

ამ პანორამაში არის მოქცეული „საზოგადო სარბიელი“, რომელშიც თვალნათლივ მოჩანს ქართული ცრუინტელიგენციის ნამდვილი სახე. პოეტი მძაფრად ესხმის თავს ყველა ჯურის „ენაჭახ-

რაკ", „საქმეხრიკა", იმ „საგულკოჭლო ლიბერალებს", „სათვალთ-
მაქცოდ რომ იძახიან":

„ოჰ, სამშობლო, ოჰ, მამულო!"
ვინც იჩემებს მოღვაწობას
მოღვაწეა განა ყველა!"

მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს პოეტი და თანმიმდევრუ-
ლად წარმოადგენს „პანორამაში" „თავმოყრილ" „სულ ჩვენ" და არა
„უცხო" ინტელიგენტთა სახეებს, — ინტელიგენტებისა. რომელ-
თაც არაფერი აქვთ საერთო „სულიერ რაინდობასთან", ინტელექ-
ტთან, ნათელ და მაღალ იდეალებთან. თითქოს დღევანდელი
საქართველოს შუაგულიდან იცქირებოდეს აკაკი, ისე დამაჯერებ-
ლად გვიხასიათებს არა მხოლოდ თავისი ეპოქის, არამედ ამ ეპო-
ქიდან ჩვენში გლობალიზაციის ხანაში გადმოსულ, რაც უნდა მწა-
რე იყოს, ქართველთა ცხოვრების სამარცხვინო და მუდმივ თანამ-
გზავრებად ქცეულ სახეებს ადამიანებისა, რომლებსაც ინტელი-
გენტური მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროსათვის შეუფარებიათ
თავი, არა იმისათვის, რომ უპასუხონ ინტელიგენტის წინაშე წაყე-
ნებულ უპირველეს მოთხოვნას: ემსახურონ ერს, სამშობლოს, კა-
ცობრიობის ნათელ იდეალებს, ინტელექტს, მართალ გრძნობას,
არამედ აქ მყოფობენ მხოლოდ იმიტომ, რათა მოხერხებულად,
კერძო ინტერესებისათვის იმსახურონ ერი, საზოგადოება, კაცობ-
რიობის ნათელი გონების მონაპოვარი. ასეთია აკაკის თვალით და-
ნახული „თავმოყვარე", „მეტიჩარა" პუბლიცისტი, როგორც ს. ბულ-
გაკოვი იტყოდა, „მოქრისტიანო ინტელიგენტი", რომელიც „დღეს
ერთია, ხვალ მეორე":

„ხან მხარს აძლევს ფარისევლებს,
გოლგოთაზე მისდევს ქრისტეს"...
„ხან კელაპტრით ლიტანიას
ქრისტიანთან უელის ერთად,
არც აქ არის, არც იქ არის...
მიხტი-მოხტის როგორც რწყილი!"

თავისი ამბიციურობით, თვითმარქვიობითა და მებრძოლი
უმეცრებით მას ბევრი აქვს საერთო ჩვენი დროის საქართველოში
მოძრავ იმ გლობალისტ პუბლიცისტ-პოლიტიკოსებთან, რომლე-
ბიც, როგორც აკაკი ბრძანებს, ქვეყანას ამაოდ არწმუნებენ:

„ჩემი გეგმით, ჩემი რჩევით
ეს ქვეყანა გაჩენილა“!

და თავადაც თავისი უვიცობის გამო, იმდენად თვითდარწმუნებულნი არიან, რომ სჯერათ:

„თვით შემოქმედს ჩემი რჩევით
მოუწყვია არე-მარე!...
მე ვათენებ, მე ვალამებ,
მე ამომყავს მზე და მთვარე“...
მოდით რაღა, მეთაყვანეთ!“

ესაა სწორედ გარდამავალ ეპოქაში გაჩენილი ავადმყოფური სახე ადამიანებისა, აკაკის თქმით „ყველგან“ „მე“-ს რომ ბღავის“. თუკი ვინმემ იცის ამქვეყნად, ისევ და ისევ აკაკიმ, სწორედ დიდმა პოეტებმა იციან, რომ:

„მე“-ს რომ ბღავის, არ ვარგია
იმისთანა ბედაური!
თუ გარეთ მგელს გადაურჩა
ძაღლი შეჭამს შინაური!“

1895 წელსაა ეს ლექსი შექმნილი. ესაა ხანა დუღილისა. როცა „ევროპეიზმი“, მისი ცხოვრების წესი ეძალება საქართველოს და რჩეულ ქართველთა გარდა, ქართული ინტელიგენცია, აკაკის თქმით, „კაჭკაჭივით იმეორებს“ რუსეთსა და ევროპაში შობილ ყოველ აზრს და „ცოხნის სხვის ნაცოხნს“. ამ დროს თეორიულად ჩამოუყალიბებელი მოვლენის გლობალიზაციის ნიშნები „კოსმოპოლიტიზმისა“ და მის კვალობაზედ — „ინტერნაციონალიზმის“ ყლორტებად დროდადრო გაიელვებენ ქართულ სივრცეში...

ყველა სხვა საქმიანობის — მოღვაწეებთან ერთად, ჭეშმარიტ მგოსანთა გვერდით, ამ პირობებში ჩნდება ჩვენში ისეთ ცრუპოეტთა კატეგორია, რომელთაც „ცოტა ნიჭი, ცოტა ცოდნა, ზედ ქართული ანაბანას“ გამო „ცა ქუდად არ მიაჩნია და ქალამნად მას ქვეყანა“. თითქოს ჩვენი დროის პოსტმოდერნიზმით ატაცებული საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების წიაღში იმზირება დიდი მგოსანი, „ბულბულს ყვავისაგან რომ ვერ არჩევენ“, ისეთ „ჩვენს კაჭკაჭა კრიტიკოსების“ მიერ განდიდებულ ამ ვაი-პოეტთა იერ-სახეს, როცა გვამცნობს:

„შეფერებულ ვითომ პოეტს,
თავი მოაქვს რაღაც დიდად
და მწერლობას ცხოვრებისთვის
ის იკეთებს გზად და ხიდად.
ხან აქ არის, ხან იქ არის,
მიძვრებ-გაძვრებ-გამოძვრება!
მაგრამ ყველგან მედიდურობს
კოლიტივით იბერება“.

ნიჰილიზმი თუ ამორალიზმის პირმშოა, ამ ატმოსფეროში ჩნდება სწორედ არა მხოლოდ ამბიციური პუბლიცისტი, „კოლოტივით გაბერილი“ მოლექსე, თავისი აზრთა და განცდათა წყობით „მეხრე-ტეტია“, ვაიპედაგოგები, რომლებიც „მხოლოდ მას იმეორებენ, რაც სხვისაგან გაუგონიათ“. აკაკის აზრით, პედაგოგისათვის მხოლოდ „კორფის, ეოდოეოზოვის, უშინსკის, პესტალოცდისტერვერგების“ შესწავლა და უცხოელ ავტორთა სახელებით „არშია შემოვლება“, ანუ მათი სიტყვებით მსჯელობა, თუ პედაგოგი კონკრეტულ გარემოს არ უწევს ანგარიშს, ფუჭია, თავისი საქმით იგი „მთაგაღმიელ მოლას“ „უკეთებს გულს“. საქართველოს, აკაკის დროსაც ჰყავდა და ჩვენს დროშიც ჰყავს ისეთი ადამიანები, რომელთაც „პედაგოგობა დაპქონდა გასაყიდადა და ჩვენი ახალგაზრდობა დაიდვა გზად და ხიდადა“. ასეთმა არსებებმა „რაც უნდოდა იშოვნა... აუხდა გულის წადილი“...

ბუნებრივია, ესაა განსაკუთრებით ჩვენს პირობებში შექმნილი სახე მედროვისა, რომელიც წმინდა პროფესიას აფარებს თავს. სინამდვილეში მათი გონებრივი და ზნეობრივი ავლა-დიდება ისაა, რომ „მოყვარე მტერი ჰგონია და მტერი-შემამკობელი“...

ასეთია აკაკის საყვარელ პანორამაში წარმოსახული ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილის იერი. მაგრამ დიდი პოეტის უმკაცრესი რეალიზმი კიდევ უფრო გამოჩნდება 1902 წელს, როცა შექმნის ლექსს — სათაურით „საქართველოს დღევანდელი სახე“. ისევე, როგორც „პანორამაზე“ მსჯელობის დროს, მოცემულ შემთხვევაშიც, ძნელია სხვა შემოქმედის დასახელება აკაკიმდე საქართველოში, ვისაც გასჩენოდეს სურვილი, დაეხატა თავისი ქვეყნის ნამდვილი, შეულამაზებელი სახე ისე, რომ ნაწარმოებისათვის შეერჩია ასეთი სათაური. აკაკი წერეთელს იერემია წინასწარმეტყველის გლოვა-გოდების დონეზე აჰყავს ჩვენს სამშობლოში იმჟამად შექმნილი ზნეობრივ-სულიერი ვითარების სიმწვავე და სიდუხჭი-

რე, რომელიც დროის მანძილს კი არ გაუსწორებია, არამედ დღესაც მეტი სიმძაფრე შეუძენია.

ძველ, ბიბლიურ დიად წიგნებიდან აღებულ უკვდავ პერსონაჟთა მოდელებში ახალი დროის პოეტს – აკაკის სხვა შინაარსი შეაქვს, ახალ ემოციურ დატვირთვას აძლევს თავისი სამშობლოს ცხოვრების გულიდან გადმოსულ დღევანდელ საფიქრალს, როცა ღაღადებს:

„ვის იგლოვ იერემია?
თავზე რად იყრი ნაცარსა?
რად სტირი იერუსალიმს
და სოლომონის ტაძარსა?"

სხვადასხვაგვარ კონტექსტში აკაკი ბრწყინვალედ ახერხებს იერემიას გოდების ფონზე გაიაზროს „დღევანდელი საქართველოს სახე", სახე ერის ზნეობრივი გადაგვარებისა, როცა „იხრწნება ფარისეველობით თანასწორ ყველა წოდება"...

ვერც „ღვთის რჩეული" დავითის დახმარება, ვერც დიდი თამარის „მალამო" ვერ უშველის საქართველოს სხეულში ჩაბუდებულ წყლულს. ძნელი მიზნის მისაღწევად „წარსული ვერ დაბადებს და წარმოშობს მომავალს", თუ რომ ხალხში „შესაფერისად თვით ბუნებამ" არ განამტკიცა ძლიერება — „ეროვნებად შენახორცი ცა და მიწის"... აკაკის თქმით, „ეროვნება" „ღვთის ნიჭია". არც საპოვნი, ვერც სასყიდი"... მხოლოდ და მხოლოდ „თვითარსებობა არის" „გზა და ხიდი" ერის ხსნისა. „ცუდ დროში დანაბადი" აკაკი შენატრის იმ ნეტარ დროს, როცა ქრისტეს ტანჯვის გზით მავალი ქართველი გაასწორებს „დღევანდელობის გამრუდებულ გზა და კვალსა"...

„გაასწორებს და გზას მისცემს
ტარიელს და ავთანდილსა,
ამირანის სისხლ-ცრემლებით
ქართველებად გამოზრდილსა"...

ასეთ ჭეშმარიტად ქრისტიანულ მცნებათა არსებობის პირობებში შეიძლება გაღრმავდეს მხოლოდ ის გრძნობა ოპტიმიზმისა, რომლითაც აკაკი წერეთლის სულია მოცული, როცა იმედიანი განწყობილების ამოურწყავი ენერგიით აღავსებს მკითხველებს:

„არ მომკვდარა საქართველო!
აყვავდება ერთხელ კიდე"...

მაგრამ ეს ხომ მაინც ოცნებაზე აგებული რწმენის შენობაა. რეალურად კი აკაკი წერეთელი მწარე სინამდვილის შვილია, მწარე იყო მისი ახალგაზრდობის წლები, 60-იანი წლები, გარდატეხის წლები, როცა ფარისევლობამ, სიცრუემ, კარიერიზმმა, შურმა და ქართველთა უმეტეს ნაწილში დაბუდებულმა მონურმა ფსიქოლოგიამ თავის აპოგეას მიაღწია. ადამიანში მოძლიერებული ეს მანკიერი თვისებები შობს აქტიურ ბოროტებას. შედეგიც კანონზომიერი აღმნოჩნდა. თუ აკაკის ახალგაზრდობა ამბივალენტურ გრძნობათა და იდეათა ჭიდილში წარიმართა, სიჭარმაგემ მას გარდამავალ ეპოქაში მოუსწრო, რომელსაც პოეტი ნათლავს „გიჟი დროის“ სახელწოდებით. აკაკი, როცა დროის სიგიჟის დიაგნოზს სვამს, თავისი მხატვრული ინტუიციით წინ უსწრებს იმ დასკვნას, რომელიც მოგვიანებით (1935წ.) დაფიქსირდა ფსიქოანალიტიკურ ლიტერატურაში „კოლექტიური სიგიჟის“ სახელწოდებით. ესაა ეპოქის, კოლექტივისა და საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, როცა ნებას დაუქვემდებარებელი გონების უმართავი არაცნობიერი შინაარსის აფექტები ეუფლება საზოგადოებას, მასას, ქვეყანას... „მოძალადეობრივად გადამდები“ ამ მოვლენის პირმშოა სწორედ „ომი, რევოლუცია და რაღაც ამდაგვარი“ (იუნგი 1995: 62).

ერის „სიგიჟის“ ამდაგვარ სიმპტომებს პოეტი ადრეც ამჩნევდა, როცა გმობდა ნიჰილიზმს, — ბუდეს ყოველგვარი ამორალიზმისა, ათეიზმს — წყაროს ადამიანის გახრწნილობისა, მაგრამ თავის ზენიტში წარმოსახა აკაკიმ ერის დამღუპველი ფსიქიკური ავადმყოფობა 1908 წელს შექმნილ ლექსში „გიჟი დრო“, როცა გლობალურად, მთელი ეპოქის კონტექსტში გაიაზრა ერის მდგომარეობა. ქართული ხალხური პოეზიის ქარგაზე აგებული ლექსის მიხედვით პოეტი ხედავს არა მხოლოდ ამ პერიოდის საქართველოს, არამედ გარდამავლობის ფაზაში მყოფი ყოველი დროის საქართველოს სოციალურ სურათს...

მაინც რანაირად გამოიყურება აკაკის თვალით დანახული „გიჟი დრო“ ანუ ეპოქა, რომელშიც ყველაზე უფრო მუქი ფერებითაა წარმოსახული ჯერ კიდევ მატიანეებში მითითებული ისტორიული ქართველის ტრადიციული „ავადმყოფობა“. „ქართველთა ბუნება ორგულ არს“ და დავით გურამიშვილის მიერ აღნიშნული — „ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი“. დიდი მგოსანიც ამ ასპექტში წარმოსახავს ქართველისა და საქართველოს შავ ბედსა და სურათს:

„მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
ქართველს ქართველი მოუკლავს
და უპატრონოდ გორავსა“...

ვფიქრობთ, არა თუ მხოლოდ იმდროინდელ საქართველოს აფხიზლებს ამ სიტყვებით პოეტი, არამედ გვაფხიზლებს ჩვენც, ანალოგიურ ვითარებაში მცხოვრებ მის მემკვიდრეებს: ასეთია პოეზიის წყალობით უკვდავყოფილი, ისტორიული ქართველის სულიერი წყობის ერთი ასპექტი.

რაა მიზეზი ერის ავადობისა, რამ მიიყვანა საქართველო ამ დღემდე? აი, კითხვა, რომელსაც თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე თავს დასტრიალებს აკაკი წერეთელი და უნდა ითქვას, რომ მის მდიდარ სულიერ მემკვიდრეობაში სხვადასხვა რაკურსით არის ნაჩვენები ეს მიზეზები. მგოსნის მხატვრულ წარმოდგენაში დამაჯერებლადაა ასახული მის გონებრივ ცხოვრებაში შესული რეალობა, ეს რეალობა კი მოვლენათა ალტერნატიულობას გულისხმობდა. მაგრამ უდაო იყო ერთი: ყოველი ერის, და მათ შორის, ქართველთა ავადმყოფობის მიზეზი თავისუფლების არქონაა. ერი, რომელიც დამონებულია — ავადმყოფად იქცევა. ესაა აკაკის ამოსავალი თვალსაზრისი. „უცხო ხალხთაგან დამონებული ვართ, შვილო! არ გვაქვს ჩვენში ჩვენ ბინა („სხვაგვარი ტრფობა“)“, აცხადებს ერთგან პოეტი და ჩამოთვლის ყველას, ვინც იმონებდა და ცდილობს დაიმონოს საქართველო და ქართველი:

„სპარსელს, თურქსა და ბერძენსა
არ ჩაუგდე თავი ხელში,
გულით მტრედს და სულით ბრძენსა
ვინ გეჩაგრავდა ამ სოფელში?
თავშეხვეულს შენს მოტრფიალს
ხშირად სცემდი თავში კომბალს,
მეორესაც თავშელებულს,
უგზავნიდა ხშირ შერცხვენას“...
(„სიყვარული“. 1878)

მაგრამ ჟამთა ცელამ პოლიტიკური ტაროსიც შეცვალა და მტრის სახე-ხატიც. ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც პოეტის სიტყვებით: „მოლამ, ყადმა და ახუნდმა შეჰკრეს კავშირი ძლიერი, რომ გაიყვანონ ყირაზე საბრალო ქართველი ერი,“ — ესაა, როგორც აკაკი ამბობს, „ახლანდელი პოლიტიკის“ ბუნებრივი ნაყოფი, ასე ჰქვია ლექსსაც: „ახლანდელი პოლიტიკა“,

(1886). ამ ახალი ანუ „ახლანდელი პოლიტიკის" მონაპოვარია „დიპლომატია", რომელიც პოეტის სულიერ სამყაროში შესულია როგორც ბარბაროსობის სახეცვლილი ფორმა, ანუ უზნეობა, „კაცობრიობის სინდისს, აბა, რა მოუმატია? ადრინდელ ბარბაროსობას დღეს ჰქვია დიპლომატია" („არაბი ფაშა", 1882), რადგან აკაკის დაკვირვებით, ლამაზ სიტყვებს ამოფარებული „დიპლომატია" ადამიანებს, ქვეყანას მონობისათვის სწირავს. ამ დიპლომატიის სავალალო ნაყოფი ისაა, რომ „მამის სული გამიშვია, ეფიცავ მამინაცვლის მზესა" და პოეტი მოაგონებს თანამემამულეებს: „დედის რძე თაფლი ყოფილა და დედინაცვლის-ნაღველა, დავლიე- ყელზე დამადგა, ძირმწარედ წამომახველა!" („ობოლი", 1895). ამიტომაც ყველას — „მტერსა მოყვრულად მოსულსა, ვერიდოთ ვარდის მფენარსა" („ჩემს მეგობარს", 1898) — გვაფრთხილებს დღესაც აკაკი და მოუწოდებს ქართველებს: „გამოიფშვნიტეთ თვალები, არ გშვენით ძილი ამიერ" („სიმღერა", 1905).

მოყვარედ მოსულ მტერს მოაქვს მოჩვენებითი კანონი და წესრიგი, სინამდვილეში კი „უსამართლობა წინ მიდის კანონიერის გზებითა" („არაბი ფაშა"). სხვისი წამხედურებით, იმედით, სხვათა ხელის შემყურე ქვეყანა და ერი, ზნეობას იცვლის და აკაკიც მოუღლელად ასურათებს სახეცვლილ საქართველოს... დროის ცვალებადობის დინამიკა გავლენას ახდენს ერის ზნეობრივ სახეზე, იგი ღირებულებათა მიმართულებებისაკენ სავალი გზის გამრუდებას და ამით ხალხის სულიერი ფიზიონომიის სახეცვლილებასაც იწვევს. ეს აზრი და განწყობილება გასდევს თავიდან ბოლომდე ლექსს „გამოცვლილი დრო" (1880):

„გამოიცვალა ქვეყანა
ჩარხი უკუღმა ტრიალებს,
ვირი კოკობ ვარდს დაჰგალობს,
ბულბული ვირებ ღრიალებს"...
ბრიყვი და უსწავლელები
თავში უდგია ჭკვიანებს,
გაჰქრეს ეს ჟამი ბარემღა,
ნეტავი რას იგვიანებს!".

აკაკის შემოქმედებაში ასე იღებს სისტემურ სახეს მხილება თანამედროვეობისა, რომლის ექოს ჩვენამდე მოუღწევია და სადღეისო ყღერადობაც შეუნარჩუნებია:

„ფიი... იმ მოედანს, სადაცა
ვირები ბედაურობენ!
შაბაშ იმ ერსა, რომელსაც
ულირსნი მეთაურობენ!..“

რა იმედით უნდა იცოცხლოს ადამიანმა, როცა „დღევანდელი გმირი არის, გუშინდელი თხაპარია“ (1893). ასეთ დროში თავს წამოყოფს ყოველთვის დროს, მოჩვენებითს დიდებას მიჩერებული მარადიული სახე მედროვისა, რომელიც მამულიშვილის სახეს ეფარება, ფარად იყენებს სამშობლოს და ერს:

„ბევრი ვნახე ჩამოსული,
ჩვენში ბრძოლა განეზრახა,
მაგრამ გადუბრუნდათ გული
სასაცილოდ, ხა, ხა, ხა“...

თითქოს დღევანდელი საქართველოს გულისძგერას უგდებს ყურს, მის სადღეისო ტკივილზე, გაყიდულ და დაკარგულ მიწა-წყალზე მოთქვამს დიდი პოეტი ლექსში, რომლის სახელწოდებაა „მოთქმა“ (1905). „ფსალმუნთა“ ავტორის ღაღადისის ექოდ გაისმის ქართველი მგოსნის ხმა:

„ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს
და ნუ ადგამთ ბიჯს ზედ ნარამარად!
ის არის ჩვენი ,,წმინდა-წმინდათა“
უნდა გვახსოვდეს მარად და მარად!
იმის სიღრმეში ჩამარხულია
ჩვენი წინაპრის სული და გული!
რა უფლება აქვს ვინმეს გაჰყიდოს
სისხლი და ძვალი მამა-პაპური“.

განუკითხაობა, სოციალაური ლოზუნგებით ერის დალუპვა, მისი მიწა-წყლის განსყიდვა ეროვნული უბედურება იყო ყოველ დროში: „ნუთუ სკვითი არ მეყოფოდა, ახლა რომ მოდის კიდევ სხვა მეხი? ჩემს მიწა-წყალზე ჰსურს დაესახლოს“... ამაზე გოდებს აკაკი „ძმობა“—„ერთობა“—„სიყვარულის“ (1908) ნათელ სიტყვებს ამოფარებულ, ერისთავის იმ სასიკვდილო განაჩენში, რაც მას ინტერნაციონალიზმის ქურქში გახვეულმა დაწყევლილმა დრომ მოუტანა, ინტერნაციონალიზმისა, რომელიც იმ ეპოქაში გლობალიზაციის საწყისი ფორმაა. „იყიდება საქართველო“-გოდებდა თავის დროზე გრიგოლ ორბელიანი და ეს წყლული სერავს მოხუცი აკაკის

გულსაც, როცა „ნებიერ ბავშვად“ (გასეტი) აღზრდილ, პედოკრატიის უტიფრობისაგან შეწუხებული, 1910 წელს, გულდათუთქული მიმართავს მის, თავისთვად საყვარელ ახალგაზრდობას:

„ნუ გეწყინებათ მოხუცისაგან,
ნურცა ვედრება და ნურც ყვედრება,
...ენა რომ გყვედრისთ, გული სხვასა გრძნობს,
მამობრივი რამ დაფარულია!“

მხოლოდ ამ განცხადების შემდეგ იწყებს ის ქართველთა იმ ნაკლის მხილებას, დღევანდელობაშიც ასე რომ ჰყვავის:

„რა ხარ, ქართველო, შენ, დღევანდელი,
რომ ძლივს დაღოღავ, ვით ცოცხალ-მკვდარი?
სამოწყალოზე გაგიშვერია
ხელი და დახვალ სხვის მათხოვარი!..“

როცა აკაკის ამ და მსგავს სტრიქონებს ვკითხულობთ, ვრწმუნდებით, რომ ის ჩვენი თანამედროვეცაა, რადგან, ეტყობა, გრძნობს პოეტი, ქართველს მომავალშიც საგზლად გაჰყვება ნაკლი, ნაკლი, რომლის აღმოფხვრას შესწირა მან თავისი დიდი ტალანტის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქართველთა ბედოვლათობაზე ჩაფიქრებულ აკაკის თუ ახალგაზრდობაში წამოსცდა: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ“, — სიბერეში ასე ეთხოვება იგი თავის სალოცავ საქართველოს:

„მეც მივდივარ, შენც მიდიხარ,
გეთხოვები, საქართველო...
მე ის მტანჯავს, ის მანუხებს
და ის მიხეთქს ასე გულსა,
რომ აღარავინ არ გიყურებს
მოსარჩენსა ვით სნეულსა!
და პირიქით ხელს უწყობენ
მაგ შენს მალე წამოქცევას“
(„ჩაფიქრება“, 1907)

არის კი გამოსავალი? ისმება კითხვა და ისევ და ისევ დიდი მგოსანი გვეხმარება ამ „წყევლა-კრულვიან საკითხავზე“ (ილია) პასუხის გაცემაში:

„ბრძოლა, ბრძოლა, მაგრამ, ვაი,
მიხდილი მაქვს დამჭკნარს ღონე...
მაგრამ მაინც შენი სინჯე
ეგებ მითი თავს უშველო!“

თუ ვინმეს სწამდა და სჯეროდა ახალგაზრდობის, ეს აკაკიც იყო: „ახალგაზრდებო, ახლა კი გამოდით თქვენი ჭირიმე!“ — მოუწოდებდა ის „გიჟი დროის“ წყალობით ზნეობაშეცვლილ ახალგაზრდობას და ასეთ რჩევას აძლევდა მათ:

„სადღეისოს, სახვალიოდ
ნუ გადასდებთ, დამიჯერეთ,
თავის დრო აქვს სუყველაფერს
და მის მისად შეიფერეთ!
(„რჩევა“, 1911)

საკუთარი შვილის სახეში პერსონიფიცირებულ მომავალ თაობას პოეტი ანდერძად უბარებდა: „ყველა გიყვარდეს და ცოდვაც შეუნდე წრფელის გულითა! შრომა აიღე მახვილად და მოთმინება ფარადა!“, რადგან აკაკის მრწამსით, მხოლოდ ესენია „ამქვეყნად შება და ბედნიერება და უკვდავების მარადი უჭკნობი მშვენიერება“!

ყველა შემთხვევაში აკაკი წერეთელი ცხოვრების ნორმად სახავს გამძლეობას, მტკიცე თვითდისციპლინას, შრომისმოყვარეობას, მოთმინებას. ეს ჭეშმარიტი ქრისტიანი მესაგრის თვისებებია. ნიჰილიზმი გონებრივი ამორფულობის სათავეა და წარმოშობს ცინიზმს, დაუნდობლობას, ვერაგობას, შურს „ფარისევლობას“, სხვადასხვა რანგის „თვისტომში გამოწყვეტილ“ „ღამურებსა“ და „კუდქიცინა მურიებს“ და გზას აძლევს ამორალიზმს. ეს შლის სწორედ ადამიანთა ფსიქიკას, იწვევს სოციუმის რღვევას და მისი სასიცოცხლო ენერგიის „საზოგადოებრივი ისტერიკის ტალღაზე“ გადართვას, ე.ი. ქმნის „გიჟ დროს“, „წარმოშობს თვითგახრწნის საფრთხეს და გარდაუვალი კრახი ელის“ (ბულგაკოვი 1994: 319).

აკაკი მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის, ახალი დროის ადამიანის იმ სულიერ კრიზისის მომსწრეცაა, რომელმაც თავისი გამოხატულება კულტურულ ღირებულებათა გადაფასების ნაირნაირ ცდებში ჰპოვა. პოეტი თანამედროვე ადამიანის სულიერ სამყაროში ჯანსაღ ღირებულებებთან გამოთხოვებით გამოწვეული კარდინალური ცვლილებების თვითმხილველია. ის თავისი აღზრდით, ბუნებით, მრწამსით ვერ ეგუებოდა ადამიანის, ქართველის, ერის, კაცობრიობის სიჯანსაღესთან გამოთხოვებას, ამიტომაც აშკარა ომს უცხადებდა „ცრუდემოკრატიას“, ცრუინტელიგენტს, ათეიზმით, კოსმოპოლიტიზმით, ნიჰილიზმით დაშხამული ჯანყისა და რევოლუციის წიაღში შობილ „ნებიერ ახალგაზრდობას“, პედოკრატიას, მაგრამ აკაკი წერეთელი უპირ-

ველესად პოეტია, და რამდენადაც მხატვრული სიტყვის ყოველ დიდოსტატს შეეფერება, მის სულშიც დიალოგური ფორმით არის გადახსნილი სინამდვილე, გრძნობები, ჯერ კიდევ 60-იან წლებში 25 წლის აკაკი-სტატიაში „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის" შესახებ" სამ საფეხურს გამოყოფს ადამიანის სულიერ განვითარებაში (ოჯახი-სამშობლო-კაცობრიობა), უფაქიზეს მოვლენად ის „პატრიოტობას" სახავს, ხოლო „უკანსკნელი ბიჯი" მისი თქმით, ასეთი ადამიანისა არის „ზრუნვა მთელი კაცობრიობისათვის". პოეტის აზრით „ამგვარი კაცი არის კოსმოპოლიტი" (წერეთელი 2004: 136), მაგრამ ამ დროისათვის ეს არაა „გლობალიზაციის" იერის მქონე მოვლენა. ცხადია, დიდი მგოსანი არ შეიძლება იყოს (და არც კონკრეტულ შემთხვევაში არის) რომელიმე პოლიტიკური, იდეოლოგიური, წმინდა ფილოსოფიური „იზმის" წარმომადგენელი. აკაკი პოეტია და მის „სარკედ ქცეულ გულსა" და სულში აისახება ახალი დროის მონაპოვარი — სიკეთე თუ სენი. ყველა ვითარებაში აკაკი ქართველი მგოსნის თვალით შეჰყურებს სამყაროს და ამ სამყაროში ცოდვებით დამძიმებული ადამიანების ფუსფუსს, როცა, თავისი პოეტური ცხოვრების ზენიტში მყოფი (1908 წ.), მაღალი მხატვრული ხიბლით არა, მაგრამ ჭეშმარიტი გულწრფელობით ეტყვის მკითხველს მართლაც რომ „გამოტეხილ სიტყვას" და სხვადასხვა მასონური „იზმებისა" და „ისტების" მომძლავრების ეპოქაში აფხიზლებს თანამემამულეებს:

„ყველაზე პირველ მე ქართველი ვარ,
მერე თუ გინდა სხვაგვარი ისტი,
სხვისი თვალითაც არ ვიყურები
არ გადამკვრია ჩემსაზე ბისტი.
ეხედავ და ვიცი, რაც გვეჭირვება
წყლულზე მალამოდ, მოსაშუშებლად.
არ მნამს შელოცვა მე შორეული"...

ცუდმა ცხოვრებამო, პოეტის თქმით:

„...დაგვიბორკილა ხელი და ფეხი
და რჯულთან ერთად ეროვნებასაც
საშვილიშვილოდ თავს დასცა მეხი
აიმღერა ჩვენი ცხოვრების წყარო
და აირია მით მონასტერი...
... გზააბნეული, როგორც რომ ცხვრები
მივდივართ, მივხტით, არა გვყავს მწყემსი...
დუდგულას თოფი ზარბაზნად გვიჩანს

და დიდ მახვილად პატარა ნემსი,
აღარ დაეძებთ შინაურობას,
სხვებისგან ველით საიმედოს შორს...
ერთმანეთს ვხოცავთ, ერთმანეთს ვიკლებთ...
მტერსაც ეს უნდა! ეს არის მხოლოდ
განზედ ხელმარჯვედ ბურთის აგდება,
ჩვენ რომ ერთმანეთს ყველა შევანყდეთ
იმითი იმას რა დააკლდება?!..."

აკაკი წერეთლისათვის უცხოა სამყაროს მხსნელის, მესიის როლში ხელოვანის და, რასაკვირველია, საკუთარი „მე"-ს დასახვა, რაც ასე სპეციფიკური იყო ჰეროიკული სულით სავსე ათეისტური და ნიჰილისტური შხამით გაჟღენთილი რუსი რევოლუციური ტიპის ინტელიგენციისათვის. მისი ფანტაზიის უშრეტი წყაროა „ევროპული კულტურის ხის „სულიერი წვენი" (ს. ბულგაკოვი); პოეტის ნარმოსახვაში დიდების შუქითაა მოსილი ელადა და ელინიზმი, ევროპა და ევროპეიზმი: „ბერძნებსაც ჰქონდათ ერთი დრო, საქვეყნოდ იყვნენ ცნობილნი". „სწავლით და მეცნიერებით" გაბრწყინებულ ძველ კულტურულ სამყაროს შესტრფის ის: ეს სძენს რუსული კულტურული გარემოდან სრულიად განსხვავებულ, ჯანსაღ „ისტორიულ კონსერვატიზმზე" დამყნილ ქრისტიანული მოსაგრეობის იერს აკაკის პოეტურ პროფილს. აკაკის წარმოდგენით, ჰეროიზმზე აგებული რუსული „ნიჰილისტობა ბევრ რამეს ჰგმობდა წარსულში... უშიშრად სდებდა თავს, მაგრამ გადააჭარბა და სამაგიეროდ უწმინდურობა, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი შემოიღო"... ნიჰილიზმი, აკაკის გაგებით, სინამდვილისადმი „ახირებულობის დროს" შექმნილი მიდგომაა, რომელიც მრავალი „შესანიშნავი სისულელის" აკვანია (წერეთელი 2004: 97-98). აკაკის მსჯელობის მიხედვით, ნიჰილიზმი „უწმინდურობის" ანუ ყოველგვარი უზნეობის სათავეა. მგოსანი გამოსავალს ეძებდა და ამიტომაც შენატროდა ჯანსაღი სამყაროს გაუბზარავ შვილებს, ვულკანური გრძნობებით და დიადი ძალებით დაჯილდოებულ გმირებს: მითიურ ამირანს, ბიბლიურ სამსონს, ისტორიულ და მხატვრულ პერსონაჟებს: ნინოს, ქეთევანს, თამარს, ვახტანგს, თორნიკეს, დავითს, ერეკლე-სოლომონს, ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს, ნესტანსა და თინათინს, როცა მოულღელად მოუხმობდა მათ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ვრწმუნებით, რომ აკაკი წერეთლის გარდა, ვერ დავასახელებთ მეორე პოეტს ჩვენში, ცოცხალი რეალობის ესოდენი მძაფრი გრძნობა რომ გააჩნდეს და ასე ახლოს

იცნობდეს თავის ქვეყანას, მის კუთხეებს, ლეგენდებში გადასულ ბრძოლის ველებს, მთებს და ხეობებს, მდინარეებს, ტურფად ნაშენ ციხე-ტაძრებს, ხიდებს, უმშვენიერეს ხედებს, ანუ სალოცავ ხატს-ერთიანად „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ საქართველოს, რომელიც დიდ მგოსანს, თავისი მოძრავი ბუნების გამო, მისსივე თქმით, დავლილი აქვს, „კიდით-კიდე“... აკაკიმ სამარადჟამოდ უკვდავყო მკითხველის ხსოვნაში არა მხოლოდ მშობლიური სხვიტორი, სავანე, გელათი, მოდინახეს ციხე, ჯრუჭი, შუამთა, კრწანისი და მთაწმინდა... იმერეთის, კახეთის და თითქმის მთელი საქართველოს მომაჯადოებელი ხედები წარმოსახა თავის ლექსებში, პოემებში, მოთხრობებსა და დრამებში. მან გეგუთისა და რაჭის სულწარმტაცი სანახების გვერდით, საჩვენოდ აქცია კულტურული ქართველისათვის ეგზომ ძვირფასი ათონის მთა, ულუმბო, ჰალისი, პეტერბურგი და პარიზი... და ა.შ. მხოლოდ აკაკის გზით სვლას შეუძლია გააღონიეროს ეროვნული ცნობიერება, დაგვამუნათოს, სამშობლოს დაცვა-მოვლის მოთხოვნილება გააღვივოს, ნაციონალური ღირსება-სიამაყის გრძნობა გაგვიღრმავოს, რათა ამით კიდევ ერთხელ შეგვახსენოს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!“ — ბრძოლებში ახლაც სისხლით შეღებილი, „აღდგომის კვერცხს“ დამსგავსებული საქართველო.

„თანამედროვეობის“ მძაფრი გრძნობით აღსავსე აკაკი, თავის თავს „დღიური მუშის“ გარდა, ისე უყურებდა, როგორც „მოციქულსა და ქვეყნის მოძღვარს“. ამიტომაც მარადჟამს მოუბეზრებელია ქართველთა ამ ერთ-ერთი „მოციქულისა“ და „წინასწარმეტყველის“ შეგონება: „თითოეულ ერს თავისი საკუთარი, ერთი მეორისაგან განსხვავებული სახე აქვს და მათ ლიტერატურას როგორც სარკეს ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებული ელფერი უნდა ედგას, ჩვენი მწერლობაც სარკე უნდა იყოს ქართველობისა: შინ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, მისი მინა-წყლით, მთა-ბარით, ტყე-ველითა და სხვა და სხვა. ქართველის გრძნობა-გონება ხორცშესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტნაკლებოდ, ზომიერად“... წერეთელი 2004: 489). ასეთ გაკვეთილს აძლევდა აკაკი ქართველობას და თვით იყო ამ მხრივ ბრწყინვალე, ლიტერატურული გმირობის მაგალითი... და ეს მაშინ, როცა ტოტალიტარიზმისა და ნეოტოტალიტარიზმის ეპოქაში შობილი ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში არის ისეთი მასალა, რაც ამართლებს და მხარს უმაგრებს გლობალიზაციის პროცესს; აკაკი წერეთელი, როგორც ხელოვანი, თავისი პროფეტური აზ-

როვნებით, უტყუარი მხატვრული ინტუიციით არათუ გრძნობს, არამედ თავისი დროის სხვა სახელოვან ქართველ მწერალ-მოაზროვნეთა (ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა) დარად, უარყოფითადაა განწყობილი გლობალიზაციის ნიშნების შემცველი პროცესებისადმი. დიდი მგოსანი ამ გზაზე შემდგარი ყველა ქართველის მიმართ იმთავითვე ერთგვარ პროგნოზსაც იძლევა: „გადაგვარების მოსურნე, ბუნებისაგან კრულია, მისი პირადი ღირსება, ყოველგან დაჩაგრულია“ („ღამურა“). აკაკის სიცოცხლეში და შემდგომაც, ამ პროგნოზირებად მოსაზრებაზე მკვირცხლი და ანალიტიკური გონების სახელოვანი ქართველი მოაზროვნეები ასეთ დიაგნოზს შემოგვთავაზებენ: „ქართველი ხალხისათვის სრულიადაც არაა ხელსაყრელი ისეთ ერებში შერევა, რომლებიც ფიზიკურადაც და მორალურადაც დაბალ საფეხურზე დგანან“ (ქიქოძე 2003:112), ხოლო მოძალებული გლობალური პროცესებისადმი ზოგიერთი იმ დასკვნამდეც მიდის, რომ „ჩვენ ვართ პატარა ერის შვილები“... ამიტომაც „პატარა ერს არ შეუძლია გადაიტანოს ის ექსპერიმენტები, რომლებიც დიდი ერისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს“ (ნუცუბიძე1994: 137). სადღეისოდ, ევრო-ამერიკული პოლიტიკის გათვალისწინებით გვაფრთხილებენ, რომ „თანამედროვე ამერიკული გლობალური პოლიტიკა პრობლემების მომტანია და... დამღუპველ დაპირისპირებას იწვევს“ (რცხილაძე 2008: 254). სხვა ერთა ღირსებების დამფასებელი აკაკი წერეთელი პირველყოვლისა, თავისი ერის თაყვანისმცემელი ჭეშმარიტი პატრიოტი იყო. თუკი ვინმემ იცოდა ამქვეყნად ერისა და კაცობრიობის ურთიერთმიმართების ღირებულება ეს დიდი ქართველი პოეტიც იყო, როდესაც აცხადებდა: „ხელოვნებას არა აქვს ეროვნება და საზღვარი“ („ნ. გოგოლის ხსოვნას“), მაგრამ ქართველ მწერალ-მოაზროვნეთა შორის ერთ-ერთი გამწევი ძალა, ვინც ქართული მენტალიტეტის, მისი სულიერების შენარჩუნებას სწირავს თავის დიდ ნიჭს — ეს აკაკი წერეთელიცაა.

1911 წელს პოეტი აქვეყნებს ლექსს — „ოცნება“, სადაც მწვავედაა გამოვლენილი უარყოფითი დამოკიდებულება ქართულ სინამდვილეში არა მხოლოდ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა (სომეხი, რუსი) მოძალების დამღუპველი შედეგებისადმი, არამედ ცხოვრების არენაზე შემოჭრილ უცხოელთა სახიფათო პოლიტიკურ-ეკონომიკური მისიებისა და ექსპერიმენტებისადმი ჩვენში. აკაკის პირველყოვლისა, აღელვებს ის ფაქტი, რომ „ჩვენს პატრონად და მპყრობელად, ველარ ვხედავთ ქართველ კაცებს, „ძე“ და

„შვილი" განახევრდა, ვრჩებით „ოვებს" და „იანცებს". ეროვნულ უბედურებადაა განცდილ-მოაზრებული მისი მხრივ უცხოელთა მოძალება იმის გამოც, რომ

„უცხოელი, კი მის რჯულზე
მოსაპნულ თავს, სხვა მხრივ გვიკრავს,
სისხლს გამოგვწოვს, ნვეთა-ნვეთად,
რბილს გაგვაცლის, ძვალს გამოგვხრავს.
და მშვიდობით მინა-წყალო,
მასთან ერთად ქართლის ერო.
გულუხვო და ენა ტკბილო
„ჩვენო მრავალჟამიერო".

პოეტის პროგნოზირებით:

„გადამთიელს აქ რა უნდა?
რას მოიხმარს ჩვენს მინა-წყალს?
ნახდება და ჩვენც ნაგვახდენს
შეგვიფორხებს მით მომავალს".

აკაკის აზრით, ეს იმიტომაც ხდება რომ „ხეს ვერ დამყნი ისეთ ხეზე, თუ არ არის მისი გვარის, შეიძლება განა სადმე, გასწორება მთა და ბარის?!" მიმდინარე გლობალური პროცესებისადმი ესაა ბუნებრივი რეაქცია პატარა ერის ღირსეული შვილისა, რომლის პოზიციასთან მოგვიანებით უნისონში აღმოჩნდება უახლეს დროში ევროსივრცეში გაჟღერებული, ნობელის პრემიის ლაურეატის, დიდი გერმანელი მწერლის, ჰერმან ჰესეს შთამბეჭდავი განაცხადი: „იდეალად სულაც არ მესახება, ეროვნული თვისებების მოსპობა-განადგურება, რომლის შედეგიც სულიერად უნიფიცირებული კაცობრიობა იქნებოდა. გაუმარჯოს მრავალფეროვნებას და მრავალგვარობას, ამ ჩვენს საყვარელ დედამიწაზე!" (ჰესე 2007: 252). ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო შთამბეჭდავია მეორე თანამედროვე ნობელიანტი მწერლის გიუნტერს გრასის აზრი, რომ „გლობალური შერწყმა-შეერთების" „მიზანია მაქსიმალური სარგებლობის მიღება"... „იღებს რა უცოდველის პოზას", ამ მხრივ ამერიკა „ამტკიცებს, რომ მას (გლობალიზაციას) ალტერნატივა არ გააჩნია" (გრასი 2008: 6-7). მისი პროგნოზირებით, ესაა მხოლოდ „ამერიკელების თვითდაჯერება... რასაც შეიძლება დიდი მარცხიც მოჰყვეს" (გრასი 2008: 9).

ბუნებრივია, დღევანდელ მოაზრე ქართველობასაც სხვაზე მეტად აღელვებს ეს მტკივნეული პრობლემა. შემთხვევითი არაა,

რომ მაღალ ტრადიციულ ღირებულებათა საფრთხით შექმნილ სულიერ ავადობას, მძაფრად განიცდის უახლესი დროის ქართველი პოეტი და სწორედ აკაკის სახელის მოხმობით შეახსენებს თანამემამულეებს: „მეცხრამეტე დასრულდა, ჯერი დადგა მეოცის... ვხედავ ხმები მიმწყდარა, მშობელ ეო, მეოსი, ავთანდილის სული მსურს, სიგიჟე რომეოსი“ (ტარიელ ჭანტურია, აკაკი 1900 წელს), ხოლო ევროსივრცეში ცნობილი მეორე ქართველი მწერალი — ოთარ ჭილაძე, — უკვე მხატვრულს კი არა, ანალიტიკურ ფორმას შეურჩევს სათქმელს, როცა გაგვიმხელს სულიერ ტკივილს: „ცივილიზაციამ ადამიანში კულტურული მხეცი გააღვიძა“ (ჭილაძე 2010: 90). მას, როგორც უძველესი კულტურის პატარა ერის შვილს უფრო აწუხებს დიდ იმპერიათაგან „იგნორირებული პატარა ქვეყნის ბედ-იღბალი“ (ჭილაძე 2010: 157). ოთარ ჭილაძის თქმით სწორედ „ამერიკამ კულტურასთან ერთად მსოფლიოს თავგადასავალი მიითვისა“ (ჭილაძე 2010: 255), ამერიკანიზმს ამოფარებული „ცივილიზაცია, თავისი არსით დამპყრობელია, მისთვის არც სამშობლო არსებობს, არც ეროვნებები... ერთადერთი ვის წინაშეც უმწეოა, კულტურაა“... ამიტომაც სულიერად გაუსაძლის ამ ხანაში „ჩვენი ხსნაც ისევ და ისევ კულტურაა. კულტურა გვაძლევს სახეს და სახელს“ (ჭილაძე 2010: 311). მართლაც, „გლობალური პროვინციალიზმისა და სულიერი კანიბალიზმის აღზევების ეპოქაში“ (ჭილაძე 2010: 157), მხოლოდ ჯანსაღი უძველესი კულტურის ფესვებზე ამოზრდილი აკაკი წერეთლის და მის კვალზე მყოფ ფენომენთა სამყაროსეული ხედვა შეიძლება იქცეს მხოლოდ კაცობრიობასთან ერთად, საქართველოს ხსნის გზად.

როგორც ვხედავთ, ნათელ და ქრისტიანული ჰუმანიზმის ნიადაგზე ამოზრდილ სულიერებას, რომელიც თითოეული ხალხის თავისთავადობას აღიარებს, მართლაც არ აქვს ეროვნული და დროითი საზღვარი...

ამიტომაც, მშობელი ხალხის ავ-კარგზე მუდმივი ფიქრით, საკაცობრიო იდეალების ერთგულებით, ქართულ მენტალიტეტში არსებული უკეთესი მერმისის რწმენის გამომხატველი სიჯანსაღის ხოტბით, რომელიც ერის ავადმყოფი სულის განკურნების საწინდარია — ასე გადმოდის დიდი მგოსანი თავისი დროიდან გლობალიზაციის გზაზე შემდგარ თანამედროვეობაში და იქცევა ჩვენი სულიერი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად.

დამოწმებანი:

ბუაჩიძე 2005: ბუაჩიძე თ. *ერი, ენა, კულტურა.* ფილოსოფიური ნარკვევები. II, თბ.: 2005.

ბულგაკოვი 1994: ბულგაკოვი ს. *პეროიზმი და მოსაგრეობა* (განაზრება რუსი ინტელიგენციის ბუნების შესახებ). თარგმნა ზეინაბ სარაძემ. საუნჯე, № 1-2, იანვარი-აპრილი, 1994.

გრასი 2008: გრასი გ. *ჩემი საუკუნე.* გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა.თბ.: 2008.

ვიკო 1940: Вико Дж. *Основания новой науки об Общей природе наций.* перевод А.А. Губера. Л.: 1940.

იუნგი 1995: იუნგი კ. *ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* სიზმრები. გერმანულიდან თარგმნა ირინე ჯიოევამ. თბ.: 1995.

კაკაბაძე 1989: კაკაბაძე ზ. *„ექსისტენციური კრიზისის" პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია.* თბ.: 1989.

კანტი 1966: Кант И. *Сочинения в шести томах.* том 6. под общей редакцией В.Ф. Асмуса, А.В. Гулыги, Т.И. Ойзермана, изд. «мысль», М.: 1966.

ლუტიძე 2001: ლუტიძე ბ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა კრებული- „ფილოსოფიური ძიებანი". კრებული მეცხრე. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. თბ.: 2001. აქ დასტამბულ შრომათაგან გლობალიზაციის პრობლემას ეძღვნება შემდეგი გამოკვლევები: ლუტიძე ბ. *გლობალიზაციის ცნების განსაზღვრებისათვის.* გვ. 92-102; ტაბლიაშვილი ზ. *გლობალიზაცია და ნაციონალური სახელმწიფო.* გვ. 118-128.

ნუცუბიძე 1994: ნუცუბიძე ქ. *შალვა ნუცუბიძე.* თბ.: 1994.

რცხილაძე 2008: რცხილაძე გ. *ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ამერიკელი და ევროპელი ავტორების მიხედვით.* დასკვნები საქართველოსათვის. თბ.: 2008.

სოროკინი 2006: სოროკინი პ. *ხელოვნების კრიზისი.* — ჩვენი დროის კრიზისი. თარგმნა ნუგზარ კუჭუხიძემ. 2006.

ტაბიძე 1975: ტაბიძე . „აკაკი". თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი XII, თბ.: 1975.

ქიქოძე 2003: ქიქოძე გ. *ეროვნება და ტერიტორია* (1914წ.). პატარა ერის ხვედრი. თბ.: 2003.

ჩოგოვაძე 2006: ჩოგოვაძე გ. *გლობბალანსი.* თბ.: 2006.

ნერეთელი 2004: ნერეთელი ა. *წერილი მეგობართან.* კრებული: აკაკი წერეთელი „ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ". კრებული შეადგინეს: ბეგო ბეჟუაშვილმა, ნოდარ გაფრინდაშვილმა, ზურაბ გოგიჩაიშვილმა, იუზა ევგენიძემ, ლადო მინაშვილმა, ნანა ფრუიძემ და თამაზ ჯოლოგუამ. 2004.

ჭილაძე 2010: ჭილაძე ო. *ცა მიწიდან იწყება.* ჩანაწერები. თბ.: 2010.

ხოსე ორტეგა 1993: ხოსე ორტეგა ი გასეტი. *მასების ამბოხი.* ესპანურიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ. თბ.: 1993.

ჰესე 2007: ჰესე ჰ. *წერილი შვედეთის აკადემიას.* 1946 წელი. დამსვენებელი. გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა. თბ.: 2007.

ნანა ფრუიძე

აკაკის პროზა
(შემოქმედებითი ინტერესები)

აკაკიმ არცთუ ისე მცირე პროზაული მემკვიდრეობა დატოვა. მის თხზულებათა სრული კრებულის მე-7 და მე-8 ტომებში სამოცამდე პროზაული ქმნილებაა თავმოყრილი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ წერილ-წერილ ამბებსა და დაუმთავრებელ მოთხრობებს), თუმცა მკითხველ საზოგადოებას ყოველთვის ჰქონდა ერთგვარი უკმარობის განცდა.

1889 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებულ წერილში ნიკო ნიკოლაძე გულდაწყვეტით აღნიშნავდა: „ზარმაცმა მონამ მიწაში დაფლა ღვთის მიერ ბოძებული მძლე იარაღი და მისი ხალხის ლიტერატურამ ვერ ისარგებლა მისი მოღვაწეობიდან ყველაფერი იმით, რისი მოცემაც შეეძლო ამ ბუმბერაზ ტალანტს“ (ნიკოლაძე 1915). გრიგოლ რობაქიძემაც აკაკის შემოქმედებითი ინდივიდუალურობა დაახასიათა, როგორც „შეუცნობელი გენიალურობა“ — „მან ვერ მიაღწია გენიალურ შეცნობილობას, ეს არის მიზეზი, რომ მისი გენიალური ბუნება გენიოსად ვერ იქცა“. მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული პ. ინგოროყვასაც: „აკაკი მთელი ერის მგრძნობიარე ნერვი იყო. მან თავისი ცოტა გვითხრა, საკუთარი სახე საესებით ვერ გამოაქანდაკა. მან სამარეში წაიღო საარაკო, მომხიბვლელი სიმღერები“ (ინგოროყვა 1916). სავარაუდოდ, მკვლევარი ამ შემთხვევაში აკაკის „სიზარმაცეს“ კი არ გულისხმობდა, არამედ იმას, რომ „დღიურ სიცხადით გულდაჩაგრულ“ პოეტს სწორედ იმ საჭირბოროტო საკითხებზე უხდებოდა წერა, რომელთა მოვლასაც მაშინდელი ვითარება ითხოვდა და ნაკლები დრო რჩებოდა საკუთარი ესთეტიკური მრწამსის სრულყოფილად გამოსავლენად.

ამდენად, შესაძლოა, მიზეზთა გამო, აკაკიმ მართლაც ვერ მოახერხა თავისი შემოქმედებითი პოტენციალის ბოლომდე დახარჯვა და შექმნა გაცილებით ნაკლები, ვიდრე შეეძლო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი თხზულებებით მან ბევრი ისეთი რამ გვითხრა, რისი ამოცნობაც, ალბათ, მკითხველმა ბოლომდე ჯერაც ვერ მოახერხა. ეს ლოგიკურიცაა: მ. ბახტინი სიტყვიერი ხელოვნების ესთეტიკაზე მსჯელობისას აღნიშნავდა: „გვესმოდეს ტექსტი ისე, როგორც ის ავტორს ესმის, კარგია, მაგრამ გაგება შესაძლე-

ბელია და უნდა იყოს კიდეც უკეთესი. მძლავრი და ღრმა შემოქმედება ხშირად ქვეცნობიერი და მრავალმხრივია. აღქმის პროცესში (წაკითხულის — ნ.ფ.) შეფასება ხდება ცნობიერების მეშვეობით და ნათელი ხდება აზრის მრავალსახეობა. ამგვარად, გაგება ავსებს ტექსტს... შემოქმედებითი გაგება გაგრძელებაა თავად შემოქმედებისა" (ბახტინი 1986: 365-366). მასვე შემოაქვს ტერმინი „ურთიერთგამგებთა თანაშემოქმედება". სასურველია, ტექსტის კითხვისას როგორც მკვლევრის, ისე მკითხველის მიზანი სწორედ იმის მიღწევა იყოს, რასაც ბახტინი „ურთიერთგამგებთა თანაშემოქმედებას" უწოდებს.

გოეთეს ერთხელ უთქვამს: ყველაფერი, რაც დამიწერია, ჩემი სულის აღსარების ნაწილებს წარმოადგენენო. მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის არსის უფრო ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია.

აკაკი ადრეულ სიყრმეშივე ეზიარა ქართულ მითოსს, ქრისტიანულ რელიგიასა და საქართველოს ისტორიას; ამ „სამებამ" განსაზღვრა მისი შემოქმედების ხასიათიცა და მიმართულებაც; სწორედ ეს ცოდნა იქცა შემოქმედისათვის იმ „მარგალიტების სალაროდ", რომელშიც ულევად მოიპოვებოდა სიკეთის, სათნოების, გმირობის, მაღალი ზნეობრივი იდეალებისთვის თავგანწირვის მაგალითები. თუმცა აკაკის მიერ ნაქადაგები ზნეობრივ-ესთეტიკური იდეალები ვერასოდეს მოიპოვებდა მკითხველის თანაგრძნობას, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციას რომ არ შეეწყო ხელი. სავსებით სწორად შენიშნავდა პარტმანი: „ნაყოფიერი მხოლოდ ის იდეალებია, რომლებიც, პირველ ყოვლისა, ეხებიან ნამდვილად არსებულ ღირებულებათა სფეროებს და, მეორე მხრივ, შეესაბამებიან ნამდვილ, ისტორიულად არსებულ ტენდენციებს ამა თუ იმ ხალხის ეთიკურ ცხოვრებაში" (პარტმანი 1953: 39).

XIX საუკუნის 50-60-იან წლებში ყველა და ყველაფერი იყო გაჟღენთილი იმის შეგნებით, რომ საფუძველი ეყრებოდა რაღაც ახალსა და განსაკუთრებულს. ამიტომაც, საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები ცდილობდნენ აღბეჭდათ წარსულის საფუძველზე აწმყოს ფორმირების ყველა წვრილმანი, რათა საცნაური გაეხადათ მომავლის შობის კანონზომირება. ამ პერიოდში ზედიზედ გამოქვეყნდა ა. ტოლსტოის „ბავშვობა" (1862), ა. გერცენის „ნამყო და ფიქრები" (1868), ი. ტურგენევის „ლიტერატურული და ცხოვრებისეული მოგონებები" (1869) და სხვანი. ბუნებრივია, აკაკისაც გაუჩნდა ანალოგიური სურვილი. მანაც აქცია შემოქმე-

დებითი ინტერესის საგნად საკუთარი სულიერი ფორმირებისა და მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების პროცესი. მართალია, თხზულების ჟანრობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, აკაკი იცავს ქრონოლოგიის პრინციპს, მაგრამ მისი ქმნილება სულაც არ არის ავტორის თავგადასავლის ოდენ თანმიმდევრული გადმოცემა. აკაკი საგანგებოდ არჩევს საკუთარი ცხოვრების იმგვარ ეპიზოდებს, რომლებიც უფრო გამოადგება მიზნის მისაღწევად, ანუ სათქმელის უფრო რელიეფურად გამოსაკვეთად.

ქართველმა 60-იანელებმა განსაკუთრებულად გაამახვილეს ყურადღება მომავალი თაობის აღზრდაზე, რადგან მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ერის ხსნა. ცხადია, აკაკიც იზიარებს ამ შეხედულებას, მაგრამ ნაცვლად რიტორიკული ხასიათის მსჯელობისა, მკითხველს საოცრად ხატოვნად აღუწერს, თუ როგორ განუვითარდა ესა თუ ის თვისება. აკაკი პირუთვნელად გადმოგვცემს საკუთარ ავსაც და კარგსაც, ხსნის თითოეული მათგანის ჩამოყალიბების მიზეზს და ამგვარად უჩვენებს მკითხველს სწორ გზას, რითაც შეცდომის თავიდან აცილების შანსს აძლევს. ასეთივე აზრი გამოთქვა ვაჟა-ფშაველამ წერილში „საუბარი ბავშებზედ“: „ჩვეულებას ცოდნა ვერ ერევა. თავის ცხოვრებაში კაცი უფრო ჩვეულებას მისდევს, მინამ საღი გონების რჩევას (ყმაწვილიც სიყმაწვილეშივე შაეჩვევა ბევრს ცუდსა). რომ დაუკვირდეთ ჩვენს სიყმაწვილეს, მოვიგონოთ ყმაწვილობის დრო, ბევრს ჩვენს ჩვეულების სათავეს სიყმაწვილეში დავინახავთ. ენახოთ, იმ... ჩვეულებას, რომელიც ბალღმა შეითვისა სიყმაწვილეში, რა შედეგი ექნება ცხოვრებაში, სიდიდეში“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 105-106). აკაკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გამორჩეული ადგილი უჭირავს საყმაწვილო შემეცნებით თხზულებებს („პირველი საღამო“, „მერცხლისა და ჭივჭავის ომი“, „კურდღელი“, „თოხიტარა“, „ბრიყვი და ჭკვიანი“, „პატარა ტარიელი“, „ნამდვილი ამბავი II“). ავტორი სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის იდეების ერთგული გამგრძელებელია. იგი თავისი მოთხრობებით უპირისპირდება იმპერიულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული ცნობიერების წაშლას და ქართველი ბავშვებისგან „ჭკუით ურწმუნო“ და „გულით უნდო“ ადამიანების შექმნას. სასწავლებლებში გამეფებული ანტიქართული ატმოსფერო, მისი აზრით, ერს გადაგვარებით ემუქრება, რადგან სახელმწიფოს მიზანია, აღზარდოს იმპერიის მოქალაქე, უსახო და უსახელო სუბიექტი, რომელსაც მხოლოდ ერთგულქვეშევრდომული ინსტინქტები ექნება განვითარებული.

აკაკი, ილიას მსგავსად, თვლიდა, რომ ჯანსაღი იუმორი ზოგჯერ უებარი წამლის ტოლფასი იყო. გამოკვეთილად იუმორისტული მოთხრობები აკაკის ბევრი არ შეუქმნია („კრიჭ და ხრიშ", „როგორ გადაჰყვა თავადი გოჯასპირ თავის ულვაშებს"), მაგრამ ყველა მისი ქმნილება ჯანსაღი იუმორითაა აღსავსე. ისეთებიც კი, რომელთა თავისთავად მიზანდასახულებას კომიზმის შექმნა არ შეადგენს.

აკაკი წერეთლის ჟანრობრივად მრავალფეროვან შემოქმედებაში ძალზე მცირეა ისეთ თხზულებათა რიცხვი, რომლებიც პატრიოტული გრძნობით არ არიან შთაგონებულნი, თუმცა ისტორიულ მოთხრობებს: „კორინთელი", „ოთია მესხი", „გრიგოლ წერეთლის ირემი", „ბაში-აჩუკი", „ქართული ფულის თავგადასავალი", „წმ. გიორგის რაზმი", „რაჭის ერისთავი როსტომ", „დათუნა გოცირიძე", „სოფელ ალის აოხრება" — პირობითად შეიძლება ეუწოდოთ ისტორიული, რამდენადაც აკაკის ისტორია აინტერესებდა მხოლოდ იმდენად, რამდენად გამოადგებოდა ქმედით საშუალებად აპათიაში ჩავარდნილი ხალხის გამოფხიზლებისა და მათთვის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალის დასასახად. ალბათ, ეს გარემოება იყო მიზეზი იმისა, რომ აკაკის ისტორიულ მოთხრობებში აშკარად იჭრება პუბლიცისტიკის ელემენტები (გამონაკლისად მხოლოდ „ბაში-აჩუკი" შეიძლება მივიჩნიოთ).

თავად ფაქტი, რომ აკაკი თავისი ისტორიული მოთხრობებით ცდილობდა თანამემამულეთა მოჩლუნგებული ეროვნული თვითშეგნების გრძნობის გამახვილებას, მეტყველებს მის ღრმა ოპტიმიზმზე. ამ ოპტიმიზმის სათავე, ალბათ, ისევ ისტორიაშია საგულვებელი. თამარის ისტორიკოსის აზრით, ადამიანს გააჩნია თანდაყოლილი საგვარეულო მიდრეკილება და თვისებები, რასაც იგი „თანაშთამომავლობას" უწოდებს. სწორედ ეს თანაშთამომავლობა აძლევს ადამიანის ბუნებას გარკვეულ გეზს და აიძულებს „მამაპაპურ კვალთა სელად" (ჯავახიშვილი 1948: 508). მართალია, პოეტის თანამედროვეთა ქცევაში ეს „თანაშთამომავლობა" ნაკლებად იგრძნობოდა, მაგრამ იგულისხმებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ამ საწყისის გაძლიერება. ყოვლივე ამის მიღწევა კეთილის განდიდებითაც შეიძლებოდა და ბოროტის გაკიცხვითაც. საამისოდ კი დიდებულ სარდალთა ნაშიერი ჩინებულად ხმარობდა წინაპართათვის უჩვეულო იარაღს — კალამს — და თავდაუზოგავად „იბრძოდა" მაყაშვილთა თუ ახმედ-ფაშა კახაბერთა წინააღმდეგ; ამხელდა ცრუმედიდურობით დაბრმავებულთ (რაჭის ერისთავი როს-

ტომ, გრიგოლ წერეთელი), ეთაყვანებოდა ოთია მესხის, დათუნა გოცირიძის, გლახუკი ბაქრაძისა და სხვათა მსგავს გმირებს.

აკაკისათვის პატრიოტული გრძნობა განყენებულად არ არსებობს და ის მხოლოდ ისტორიული მასალის მიხედვით არ ცნაურდება. პატრიოტიზმი, როგორც ცნობილია, მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ თუ პოლიტიკურ პრობლემატიკას. მწერალი გულისყურით აკვირდებოდა ერის სხეულზე ყველა „იარას“, რათა შეერჩია „წამალი საფევი“. ამგვარი სულისკვეთებითაა დაწერილი მოთხრობები: „საუბარი ორთა შუა“, „ახმედ ფაშა კახაბერი“, „პატრიოტის აღსარება“, „ძველი ჩინოვნიკის აღსარება“, „მტირალი დედა“, „საავადმყოფოში“, „სიკვდილი“, „ყვითელი სანთელი“, „ორი სიზმარი“, „ბენია და ბეშტია“, „ნამდვილი ამბავი — II.

ზემოჩამოთვლილ თხზულებებში საგანგაშო ვითარება იკვეთება: ინტელიგენცია არ ინტერესდება გლეხობის აზრით; გლეხს აწუხებს არა მარტო ნივთიერი გაჭირვება, არამედ სოციალური დაუცველობაც; რომ მხოლოდ უცხოტომელთა ერთგულება ფასდება და „საკუჭო და საბედნიერო გზაც“ ამ ხიდზე გადის. მწერალი აკვირდება საზოგადოებას და ამჩნევს, რომ „კუდაბზიკობა ცხოვრების ერთ ჭახრაკთაგანია“ (წერეთელი 1958: 84). მოღვაწე სანამ ცოცხალია, მას საზოგადოება თავისი გულგრილობით, მწარე ენით, მტრული გამოხდომებით სისხლს უმღვრევს. გარდაიცვლება თუ არა, „უკანასკნელი ვალის ასასრულებლად“ ყველა დაირაზმება. „პირველი ვალი როდის ახსოვთ, რომ უკანასკნელს არ ივიწყებენო“, — სევდიანად კითხულობს პოეტი (წერეთელი 1958: 84); აკაკიმ ჩინებულად იცის, რომ ქართველმა ერმა საუკუნეების მანძილზე თავისთავადობა ქრისტიანული რწმენის წყალობით შეინარჩუნა, ახლა კი დამლუპველი ტენდენცია იკიდებს ფეხს: საზოგადოების ცნობიერებაში ერთმანეთს ორი ისეთი შეუთავსებელი ცნება გადასჯაჭვია, როგორიც რწმენა და მოდაა, ხოლო მამაპაპურ ჩვეულებებზე ხელის აღება — პროგრესად შეფასებულა.

აკაკის მოთხრობებში ხშირია ხილვები, ჩვენებები, სიზმრები. მათში, როგორც წესი, ფიგურირებენ წმ. მარიამი, წმ. ნინო, წმ. გიორგი; მეფეები: დავით აღმაშენებელი, თამარი, ერეკლე II; რეალურად არსებული ისტორიული თუ ლიტერატურული გმირები, თუმცა მათ ერთმანეთისაგან არც მიჯნავს ავტორი. აკაკისათვის, ვთქვათ, ტარიელი და გიორგი სააკაძე ერთნაირად „რეალურნი“ არიან. ამგვარი მოვლენის ანალოგი შეიძლება დაიძებნოს ძველ ბერძნულ დრამატურგიაში (აქ მითოლოგიური გმირები რეალურ

პერსონაჟებად გვევლინებიან). ეს გარემოება არა მარტო დიდი მწერლის წარმოსახვის სიღრმეზე, არამედ მისი რეალიზმის სპეციფიკაზეც მიგვითითებს.

ლესინგი წერდა: „მწერალს უნდა შეეძლოს მთხრობელის პოზიციიდან თითოეული მოქმედი პირის პოზიციაზე გადანაცვლებაო“ (ლესინგი 1936: 123); მაშასადამე, ლესინგი განასხვავებს ავტორსა და მთხრობელს, ან, უფრო ზუსტად, არ აიგივებს ავტორს მთხრობელთან. აკაკისათვის ამ გარემოებას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. მის მოთხრობებში ავტორისა და მთხრობელის „თანხვედრა“ იმ შემთხვევაშიც დასტურდება, როცა ტექსტში აკაკის პოზიციისაგან დიამეტრულად განსხვავებული ვითარებაა გამოკვეთილი, მაგ.: „ძველი ჩინოვნიკის აღსარება“, „პატრიოტის აღსარება“;

აკაკი წერეთელი რამდენადაც ერთგულად ცდილობდა ქართულ სინამდვილეში შემუშავებული ლიტერატურული ტრადიციების დაცვას, იმდენადვე მისასალმებლად თვლიდა ყოველგვარი პროგრესული სიახლის დანერგვასაც. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაუჭირა მხარი ახალ მიმართულებას მწერლობაში: „ნამდვილი განთიადი ხელოვნებისა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გვიმტკიცებენ ახალგაზრდა მწერლები თავის პატარ-პატარა ფსიხოლოგიურის ეტიუდებით, რომელთა რიცხვში პირველი ადგილი უჭირავს შიო დედაბრიშვილს“ (წერეთელი 1961: 244). თუმცა თავისი თავი არასოდეს მიუჩნევია მათ წინამორბედად, მაგრამ აშკარაა, მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ნოველის, როგორც ჟანრის, ამღორძინებლის პატივი აკაკის უნდა მივაგოთ. ისტორიულ თემაზე დაწერილი მისი ბევრი თხზულება ნოველისტური ხასიათისაა, ზოგ მოთხრობაში ჩართულია მცირე ნოველა (მაგ.: „საუბარი ორთა შუა“ — კიკოს ნაამბობი). „ბაში-აჩუკში“, გრიგოლ რობაქიძის აზრთ, ყველა დამხმარე სიუჟეტური რკალი დამოუკიდებელი ნოველაა (აბდუშაჰილის ისტორია, პირმზისას და პირიმთვარისას ამბავი და ა.შ), რომ არაფერი ვთქვათ ისეთ თხზულებებზე, როგორიცაა „ეშმაკები“, „ქალი რომელი თვეა“, „სამგვარი სიყვარული“ და „სიყვარული, ანუ დარო და მარო“. აკაკის ნოველები გამოირჩევიან კომპოზიციური სრულყოფილებითა და დახვეწილობით. აკაკი თხრობის ჩინებული ოსტატია და ამიტომაც მის ყოველ თხზულებას მკითხველი თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით კითხულობს. მწერალი პერსონაჟის ხასიათის ჩვენებას სრულყოფილად ახერხებს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებით — ჟესტი, რეპლიკა, საგნობრივი გარემო და ა. შ. და სწორედ

პერსონაჟის ხასიათი გვევლინება აკაკის ნოველებში სიუჟეტის მამოძრავებელ ძირითად ძალად.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, კაცობრიობამ ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინ დაკარგა მითის თხზვის უნარი; მაშინ, როცა მითოსურმა დაკარგა პირველადი მნიშვნელობა, მაგრამ გაგება იმისა, რომ იგია „სიტყვა, რომელიც ჯერ კიდევ არ ხსნის.. არამედ მხოლოდ აღნიშნავს.. ერთიანობა ენისა და ვითარებისა, რომელიც არა მარტო გამოთქვამს, არამედ თვით გვევლინება მიზეზგარეშე და დროულ პერსპექტივას მოკლებულად, პარაბოლად არსებულთან თანასწორობის აზრით“ (ზატონსკი 1965: 88) არ დაკარგულა. ცხადია, არც აკაკია მითის მთხზველი, მაგრამ იგი ქმნის ლეგენდას. ლეგენდა სინამდვილეა, სარწმუნო ინფორმაციაა, მაგრამ მასში გარკვეულად იგრძნობა მხატვრული აზროვნების კვალი — ჩნდება სიმბოლო, ალეგორია. აკაკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, ცოტაა ისეთი თხზულება, რომელსაც თავად ავტორმა უწოდა ლეგენდა, მაგრამ მის ბევრ ქმნილებას აქვს ლეგენდური ელფერი, განსაკუთრებით კი ისტორიულ თემაზე შექმნილ მოთხრობებს.

აკაკის ლეგენდებში ისტორიული დრო არ არსებობს. მოთხრობილი ამბიდან გამომდინარე, შეიძლება მკითხველმა თავად განსაზღვროს, თუ დაახლოებით რომელ ეპოქაშია ეს უკანასკნელი მომხდარი. ავტორი თხრობას ისეთი უშუალობით იწყებს, რომ სრული ილუზია იქმნება მისი თვითმხილველობისა. აკაკისთვის არც აქვს პრინციპული მნიშვნელობა, როდის მოხდა ესა თუ ის ფაქტი. რაც მთავარია, მოხდა და მწერალს თავის მოვალეობად მიაჩნია, ერის ხსოვნაში გააცოცხლოს ოდესღაც ყოფილი. აკაკის ლეგენდები არაფრით გვანან ერთმანეთს, თითოეული განსხვავებული თემატიკის მქონეა, მაგრამ მასალის შერჩევის პრინციპი ყველგან ერთია — მოთხრობილი ამბავი მკითხველის სულისა და ზნეობის გამაფაქიზებელი უნდა იყოს. ამ თვალსაზრისთ ყურადღებას იპყრობენ მოთხრობები: „გოგია მეჩონგურე“, „ქუთათელის სიზმარი“, „მამალი რას ყივის“, „დავითის გვირგვინი“, „22 თებერვალი 1898 წლისა“, „ლეგენდური“, „ვინ არის აზნაური“, „მამალი რას ყივის“.

ზღაპარს დიდი აღმზრდელობითი ფუნქცია და ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარი აქვს. იგი ერთნაირად ხიბლავს როგორც ბავშვს, ისე — ზრდასრულ ადამიანს, აკაკი ჩინებული მეზღაპრეცაა. გრიგოლ კიკნაძემ აკაკის პროზის პოეტურობის საკითხზე მსჯელობისას განმარტა: „როცა ვლაპარაკობთ, რომ პოეტურია აკაკის

პროზა, ეს ნიშნავს, რომ იქ მოთხრობილი ამბებიც ზღაპრულია. ბუნებაც ასეთია, პერსონაჟებიც ამაღლებულია და სტილიც მუსიკალური. ამბებიც ზღაპრულიაო, რომ ვამბობთ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ზღაპარს გვიამბობს აკაკი, არამედ მხოლოდ იმას, რომ ნამდვილ ამბავსაც კი ზღაპრული მომხიბვლელობით გადმოგვცემს. მისი რელიზმი — ეს არის განაყოფი ხალხური შემოქმედების რეალიზმისა, ანუ ფოლკლორის რეალიზმის სანიმუშო განსახიერებაა ინდივიდუალურ შემოქმედებაში“ (კიკნაძე 1978: 281-282). ჩვენი მხრივ დავამატებდით, რომ გარდა ზღაპრული სურნელით გაჯერებული რეალისტური პროზისა, აკაკის კალამს ნამდვილი ზღაპრებიც ეკუთვნის.

აკაკის მიერ შეთხზულ ზღაპრებში „ბრონეულის წყარო“ იმით გამოირჩევა, რომ ერთი შეხედვით, ჯადოსნური ზღაპრის დამახასიათებელ ყველა ნიშანს ატარებს: იწყება და მთავრდება ტრადიციული ფორმულებით; ტრადიციულნი არიან ფუნქციური პესონაჟებიც — მზეთუნახავი, გამგზავნი, ანტაგონისტი, გმირი, ცრუ გმირი, მშველელი, მჩუქებელი; ტრადიციულია გაგზავნის მოტივაცია — მზეთუნახავი დედოფალი დევ-კაჟმა გაიტაცა და ვაჟები მის დასახსნელად მიდიან. ფიგურირებს გზის მოტივი. დევის დამარცხებაც ჯადოსნური ზღაპრისთვის ჩვეული ხერხით ხდება და წარმოითქმება ტრადიციული „ჭირი იქა, ლხინი აქა“, მაგრამ აკაკის არა მხოლოდ ამ, არამედ ყველა დანარჩენი ზღაპრის („ოქროს წყაროს ზღაპარი“, „კუდაბზიკეთი“, „კიკოლას ნაამბობი“, „კუჭია“, „ნაცარქექია“) მთავარი ღირსება ისაა, რაც ტრადიციულს პოეტის „ფანტაზიისა და გონების მანგანაში“ გატარებამ შეჰმატა. აკაკი ზღაპრის ფუნქციურ პერსონაჟებს ახლებურ დატვირთვას სძენს. მათი პირით თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებსა და მტკივნეულ პრობლემებზე გვესაუბრება და სწორედ თხრობის ეს მეთოდი ანიჭებს განსაკუთრებულ ჟღერადობს ამ ქმნილებებში მწერლის მიერ გამოხატულ მოქალაქეობრივ პოზიციას.

აკაკი ჩინებულად ხვდებოდა იგავის მორალურ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალას. ამდენად, ლოგიკურია მისი დაინტერესება ამ ჟანრით და მისივე თანამედროვე დიდი მეიგავის, კრილოვის, შემოქმედებით. მკვლევრებმა აღნუსხეს, რომ ი. კრილოვის 205 იგავიდან აკაკიმ 153, ანუ ნახევარზე მეტი თარგმნა. თანაც ის გარემოებაც უდავოდ ანგარიშგასაწევია, რომ იგი უფრო აქართულებდა ტექსტს, ვიდრე თარგმნიდა. თ. ჩხეიძის დაკირვებით, „აკაკის იგავების უდიდესი ნაწილი თხრობით-ეპიკური ხასიათისაა

და შეესაბამება მის ხალხურ ფორმას" (ჩხეიძე 1990: 28). თუ კრილოვის იგავები ძირითადად დიალოგის ფორმითაა დაწერილი, ზოგი ავტორის აზრით (უ. ობოლაძე), აკაკი თარგმნისას ეპიკურ თხრობას არჩევს; ამის მიზეზი ნორჩი მკითხველისათვის სათქმელის უფრო ადვილად აღქმადი ფორმით მიწოდების სურვილია.

ჟუკოვსკის უთქვამს: პროზად მთარგმნელი მონაა ავტორისა, ლექსად მთარგმნელი — მეტოქეო. აკაკიმ მართლაც ღირსეული მეტოქეობა გაუწია კრილოვს, მაგრამ ბრწყინვალე თარგმანებთან ერთად შესანიშნავი ორიგინალური პროზაული იგავებიც შეთხზა: „ძაღლი და ცხვრები", „მესარკე", „ბრიყვი და ჭკვიანი", „მოსწავლე და მასწავლებელი", „ღამურა", „სნეული მზეთუნახავი", „მეორე საღამო". აკაკი ამ შემთხვევაშიც „გარემოების საყვირია" და თითოეული მათგანის შექმნა სწორედ ყოველდღიური პრობლემური საკითხებითაა ნაკარნახევი. იგავებს განსაკუთრებულ ხიბლს მატებს ხალხურ სიტყვა-თქმათა და ანდაზურ გამონათქვამთა სიუხვე. აკაკი უმნიშვნელოსა და მეორეხარისხოვნის საფარქვეშ მოხდენილად ახერხებს საკითხის მთელი სიმწვავით წამოჭრას. თავისი მახვილი კალმითა და ბასრი ირონიით თანამედროვეთა წყრომა ბევრჯერ დაიმსახურა აკაკიმ, მაგრამ ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია, ერთხელვე არჩეული გზით ევლო. იგავების მამხილებელი პათოსი და არაორაზროვანი მინიშნებები მკითხველისათვის ცალსახად ნათელყოფს დიდი მგოსნის მოქალაქეობრივ პოზიციას.

ისტორიულ თემაზე შექმნილ თხზულებათაგან „ბაში-აჩუკის" შემდეგ გამორჩეული ადგილი უნდა მივაკუთვნოთ თხზულებას „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე", როგორც მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ჩინებულ ნიმუშს. აკაკის თქმით, ეს ამბავი სიკო კანდელაკისათვის უამბია პაპას, რომელიც სოლომონის თანამედროვე ყოფილა. სამწუხაროდ, ხელთ არ გვაქვს თავად სიკო კანდელაკის ჩანაწერები, და, ამდენად, ძნელია მსჯელობა, კონკრეტულად რაგვარი ცვლილება განიცადა ტექსტმა აკაკის „ფანტაზიის მანგანაში" გავლისას; ჩვენ არც ის ვიცით, თავისი შეხედულებისამებრ შეარჩია და ამოკრიბა მასალა აკაკიმ სიკო კანდელაკის ჩანაწერებიდან თუ კეთილსინდისიერად გადმოიღო დედანი, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: თხრობის სტილი იმდენად აკაკისეულია, ისეთ მჭიდრო ნათესაობას ავლენს მისივე პროზაულ ქმნი-

ლებებთან, რომ თამამად შეიძლება ითქვას: ხელთ არსებულ დოკუმენტურ წყაროზე დაყრდნობით აკაკიმ შექმნა მაღალმხატვრული ნაწარმოები; მხატვრული დოკუმენტალიზმის ბრწყინვალე ნიმუშებია მწერლის სხვა ისტორიული მოთხრობებიც: მათში იდეალურადაა შერწყმული რეალური და ავტორის ფანტაზიით შექმნილი სინამდვილე.

მკვლევართ არაერთხელ შეუნიშნავთ (გრ, რობაქიძე, აკ. კენჭოშვილი), რომ აკაკის თხრობის კინემატოგრაფიული მანერა აქვს. ამ მხრივ გამონაკლისი არც „სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფეა". ტექსტში მრავლადაა გამომსახველი, შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი მიზანსცენა; თხრობისთვის დამახასიათებელია დინამიკურობა, მკაცრი კომპოზიცია და საიდუმლოება-მოულოდნელობის ეფექტის გამოყენება. გმირთა გადაადგილებას სივრცეში აკაკი ყოველთვის მეტ ყურადღებას უთმობს და გეოგრაფიულ პუნქტებსაც ზედმიწევნით ზუსტად ასახელებს მაშინ, როდესაც დროის ფაქტორი თითქმის უგულებელყოფილია. ავტორი არ ასახელებს არცერთ თარიღს. როგორც წესი, კმაყოფილდება იმგვარი გაურკვეველი მითითებით, როგორიცაა: „ამ დროს", „ერთ აღდგომა დილას", „მეორე დღეს", „გავიდა რამდენიმე წელიწადი" და ა. შ. მოვლენების გადმოცემის სტილს ხშირად ფოლკლორული ელფერი დაჰკრავს. ისევე, როგორც ზღაპარში, ყველაფერი „უცებ" ხდება. ამასთანავე, ტექსტში ცოცხლდება XVIII საუკუნის იმერეთის ცხოვრება დამახასიათებელი ყოფითი დეტალებით (დარბაზობის წესი, საკანონოს მოხდის ადათი, ფიცისკაცობის ინსტიტუტი და ა. შ.).

აკაკი მიზნად ისახავს, მკითხველს აჩვენოს, თუ რაოდენ დიდ ენერგიას ხარჯავენ ამა თუ იმ ეპოქის საჩინო კაცნი ერთმანეთის წინაღმდეგ საბრძოლველად მაშინ, როდესაც მათი ერთი დროშის ქვეშ გაერთიანება ქვეყნის ძლიერებისა და აყვავების საწინდარი გახდებოდა. აკაკი არასოდეს ცდებოდა. მის მიერ შერჩეული ისტორიული მასალა ყოველთვის საოცრად ეხმიანებოდა პოეტის თანამედროვე საზოგადოების ჭირ-ვარამს. აკაკი ცდილობდა, გულისხმაში ჩაეგდო მკითხველი და მისთვის საბედისწერო შეცდომის (ამჯერად მაინც) თავიდან აცილების შანსი მიეცა.

როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ინტერესების სფერო მეტად ფართოდაა განფენილი. ავტორი უამრავ სა-

კითხს ეხება და, თითოეული მათგანის სპეციფიკიდან გამომდინარე, არჩევს გამოხატვის ფორმას. ამიტომაც გამოირჩევა მისი შემოქმედება ყანროობრივი მრავალფეროვნებით. მეტიც, ერთსა და იმავე თხზულებაში საოცარი ოსტატობით შეიძლება იყოს შეხამებული ლექსი და პროზა, ნოველისტური პასაჟი და ეპიკური თხრობა, პუბლიცისტიკა და რიტორიკა, იგრძნობოდეს ზღაპრული ელფერიც და რეალისტური ხედვაც.

დამოწმებანი:

ბახტინი 1986: Бахтин М. *Эстетика словесного творчества.* М.: 1986.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. *საუბარი ბავშვებზე.* თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. X, თბ.: 1964.

ზატონსკი 1965: Затонский Д. *Исскуство и миф*, Журн. «Иностр. Лит.», 1965. №6.

ინგოროყვა 1916: ინგოროყვა პ. *აკაკის სალამო.* გაზ.: „თანამედროვე აზრები", 1916.

კიკნაძე 1978: კიკნაძე გრ. *აკაკი წერეთლის პროზის პოეტურობის საკითხი.* — ლიტერატურის თეორიისა და ისტორის საკითხები. თბ.: 1978.

ლესინგი 1936: Лессинг Г. *Гамбургская драматургия.* М.-Л.: 1936.

ნიკოლაძე 1915: ნიკოლაძე ნ. *აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე.* „განთიადი", № 7,1915.

ჩხეიძე 1990: ჩხეიძე თ. *ლიტერატურული პარალელები.* ბათუმი: 1990.

წერეთელი 1958: წერეთელი ა. *თხზ. სრული კრებული თხუთმეტ ტომად.* ტ. VIII, თბ.: 1958.

წერეთელი 1961: წერეთელი ა. *თხზ. სრული კრებული თხუთმეტ ტომად.* ტ. XIII, თბ.: 1961.

ჯავახიშვილი 1948: ჯავახიშვილი ი. *ქართველი ერის ისტორია.* ტ. II, თბ.: 1948.

ჰარტმანი 1953: Гартман Н. *Эстетика.* М.:1953.

ემზარ კვიტაიშვილი

ყველგან პოეტად რჩებოდა

(დაკვირვებები აკაკის პროზასა და ორატორულ ხელოვნებაზე)

აკაკი წერეთლის შემოქმედების მკვლევარებს (კიტა აბაშიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ლევან ასათიანი, გრიგოლ კიკნაძე...), სხვადასხვა დროს, გამოთქმული აქვთ საკმაოდ სწორი მოსაზრება, რომ აკაკი პროზაშიც პოეტად რჩება, ეს მოსალოდნელიც იყო, ჩვეულებრივი ამბავია და არა გვიკვირს, როცა, მაგალითად, ვკითხულობთ: „ბუნინი პოეტი და ბუნინი პროზაიკოსი ერთი მთლიანობაა, ერთი არსის ორი „იპოსტასი.“ (ნ. ლიუბიმოვი).

საკამათო არც ის გახლავთ, რომ აკაკიმ პროზაში, საჭიროების კვალობაზე, შეინარჩუნა თავისი პოეზიის საუკეთესო თვისებები და, ამავე დროს, გაითვალისწინა პროზის კანონები, პროზის სპეციფიკაც, რის გარეშეც მისი ბელეტრისტული ნაწერები მისსავე პოეტურ მემკვიდრეობას მხარს ვერ დაუმშვენებდა.

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ — აკაკის პროზის ენა ნატიფი, დახვეწილი და უზადოა; იგი შეიძლება ჩვენი სალიტერატურო ენის ერთ–ერთ იდეალურ სახედ ჩავთვალოთ. ყველაზე თვალნათლივ ეს გამოვლინდა მის ავტობიოგრაფიულ ნიგნში „ჩემი თავგადასავალი“, რომელიც ავტორს ბევრად ერცლად ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ, გარემოებათა გამო, თავდაპირველი განზრახვა ვერ განხორციელდა.

აქ ზედმეტი არ იქნება, გავიხსენოთ ერთი სავალალო გარემოება, რაც წინ უძღოდა ქართული დოკუმენტური პროზის ამ უდავო შედევრის გამოქვეყნებას. თავისი პოეზიის შთამაგონებელსა და გასაჭირის ჟამს მანუგეშებელს, ღვთაებად მიჩნეულ ტასო მაჩაბელს აკაკი ერთ–ერთ ბარათში ატყობინებს, რომ ქალალდისა და სტამბის ხარჯების დასაფარავად, რათა „ჩემი თავგადასავალი“ როგორმე გამოეცა, გამოაცხადა ხელმოწერა (წიგნზე ხელის მომწერს ერთი მანეთი უნდა გადაეხადა). პოეტი გულისტკივილს ვერ ფარავს: „... წარმოიდგინე, რომ ამდენი ხანია, თითქმის 7 თვეა, და მთელ საქართველოში მხოლოდ 38 ხელმომწერი და მსურველი გამოჩნდა, მეტი არა. ამის შემდეგ მოდი და ნუ იტყვი, რომ ჩვენი ხალხი მხოლოდ პატივსა სცემს უფლებასა და ქონებას, თორემ ზნეობრივი იმას ყოლიფერი სამასხარო ჰგონია და მათი ღარიბ მოღვაწეების სიკვდილის შემდეგი ქება–დიდება და გვირგვინები

მხოლოდ თავშესაქცევარი და საკუდაბზიკო მაიმუნობაა!.. ჩემ თავზე ასეა სწორედ, და მიტომაც არ მინდა, რომ მკვდარი მათ ჩავუვარდე ხელში.“

ასეთი გულქვაობა, განუკითხაობა, არაფრად ჩაგდება გაჭირვებაში მყოფი უთვალსაჩინოესი მწერლებისა, ჩვენში, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათი ამბავია და ამ მწარე ხვედრს ვერც დიდი აკაკი ასცდა.

თუ რა წყაროს ნაკადივით ანკარა, ხატოვანი და მრავლის დამტევია აკაკის ენა, როგორ ახალ სულს უდგამს და ასხივოსნებს იგი სიკვდილ–სიცოცხლის განმასახიერებელ ცნობილ მეტაფორებს, რა ლაღი, ძალდაუტანებელია მწერლის მეტყველება, ამის ნათელსაყოფად „ჩემი თავგადასავლის“ პირველივე აბზაციც კმარა:

„ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება: დაიბადება, იზრდება, დაბერდება — კვდება!.. წყალი რა არის... წყალი!.. უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს: დაიბადება თუ არა, ე.ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს ჟონვას ნელ–ნელა, ახალფეხადგმულ ბავშვივით დაუყეება დაღმართს, თანდათან იზრდება, ფეხს იკიდებს, სანამ წკრიალით არ ჩაცუნცულდება რომელსამე ხევში, სადაც, როგორც აღვირუხსნელი, სისხლჭარბი, თავმომწონე და შეუპოვარი, სანავარდოდ გამოსული ჭაბუკი, აღარავის ეკრძალვის, აღარაფერს ერიდება: მირბის და მიხტის ღრიალ–გრიალით! უძრავ ქვებს თავზე ევლება და კლდოვან კიდეებს თავგამეტებით აქეთ–იქით ეხლება, რომ გაგლიჯოს და გაიტანოს მისი მოწინააღმდგე!. მაგრამ, ვერ შემძლები ამისი, ზარითა და ზეიმით ჭალებისაკენ მიექანება. აქ კი გაგულდიდებული, ღრმა კალაპოტში ჩამჯდარი და გულსავსე, ვაჟკაცური მედიდურობით, მშვიდობიანად ტალღებს ტალღებით მიაგორებს!.. მიდის, მიშხუის, ზღვისაკენ თავმიცემული, შორის გზით მიმავალი და, რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩქარებლობას, როგორც მოხუცი, და ბოლოს კიდეც შეჩერდება ერთი შეჩერება... ტბორავს, თითქოს უნდა, რომ უკანასკნ,ელად ერთი კიდევ მოიხედოს უკანვე, თ ვ ა ლ ი გ ა დ ა ა ვ ლ ო ს თ ა ვ ი ს წ ა რ ს უ ლ ს, ფერადად გავლილ შორეულ გზას და მერე კი საუკუნოდ ჩაინთქას, ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში.“

ისეთი განცდა მიჩნდება — ეს დიდებული წიგნიც წარსულზე თვალის გადავლებაა, ბრძნული, გულდადინჯებული, სასარგებლო

აზრის გამომტანი; თავად მთხრობელი — თავისივე თავის პირუთვნელი მსაჯული, ამოდ მოუბარი, უსაზღვროდ კეთილი, მოსიყვარულე, ცხოვრებისეულ გამოცდილებათა უშურველად გამზიარებელი. ავტორის ერთ–ერთი მთავარი რწმენა ის გახლავთ, რომ ადამიანი ბავშვობაშივე უნდა ეზიაროს სოფლის მადლს, სოფლურ გარემოს, შრომას, ბუნების სიმშვენიერეს — თუ გვინდა იგი ჰარმონიული, სრულყოფილი პიროვნება გამოვიდეს.

აკაკი წერეთლის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი პროზაული ქმნილება ისტორიული მოთხრობა „ბაში–აჩუკი“ ავტორის სიცოცხლეში არ იყო ჯეროვნად შეფასებული, რაც მას, ცხადია, საწყენად დარჩა. ეს მოთხრობა მრავალმხრივ საყურადღებოა. სამაგალითო ენის გარდა, აღსანიშნავია კომპოზიციის უნატიფესი გრძნობა, პერსონაჟთა ხატვის, მათი შინაგანი სამყაროს წვდომისა და ჩვენების საუცხოო უნარი, ცალკეული, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული თავების უკიდურესი ლაკონიზმი, მოქნილობა და დინამიურობა.

საგანგებოდ უნდა ითქვას იმ ამაგზე, რაც აკაკი წერეთლის პროზის კვლევას გრიგოლ კიკნაძემ დასდო. აკაკის მხატვრული ოსტატობის, მისი სტილის დასახასიათებლად იგი, ძირითადად, „ბაში–აჩუკს“ დააკვირდა და ცხადად წარმოაჩინა თავისებურებები, რასაც საქართველოს გმირულ წარსულზე შექმნილი ამ უმძაფრესი პატრიოტული სულისკვეთების მოთხრობის ავტორი ავლენს. მეცნიერის მსჯელობა, მისი თვალსაზრისი სადაა და ნათელი:

„განსხვავებულია აკაკის მხატვრული გზა. მას უფრო განსაკუთრებული აინტერესებს; აკაკი ეძებს არაჩვეულებრივს და კიდეც პოულობს მას. უკვე ასეთი ძიება გულისხმობს პოეტურობას, რამდენადაც ამ შემთხვევაში ფანტაზიის მოხმობაა აუცილებელი. თვით „ბაში–აჩუკის“ სიუჟეტია პოეტური. ამისთვის საკმარისია თვალი გადავავლოთ ამ თხზულების სიუჟეტურ საყრდენს: გლახუკი ბაქრაძე ეტრფის წერეთლის ასულს; „ვეფხისტყაოსანს“ აყოლილ ჭაბუკს სურს „საყვარელსა უჩვენოს საქმენი საგმირონია“; ის სათანადო ასპარეზს ეძებს და კახეთს მიაშურებს, სადაც ირანელები დათარეშობენ; კახეთში რაც ხდება, ყველაფერი წარმტაცია, უკლებლივ ყველაფერი, — აკაკი გვიამბობს შემაძრწუნებელ, მაგრამ მაინც წარმტაც ამბებს, — შეიძლება სწორედ ამიტომაც წარმტაცია ზოგიერთი ამბავი, რომ შემაძრწუნებელია, ასეთია მაყაშვილის თავის მოკვეთა, პირმთვარისას საარაკო თავგანწირვა და სხვა. ამ აზრით ითქმის, რომ ამ მოთხრობაში თვითონ ცხოვრებაა

სტილიზებული, აქ აკაკიმ თითქოსდა გვერდი აუარა ყოფას; მაგრამ „ბაში–აჩუკი“ არის ყოფის გამოხატვაც, რადგან მასში თავისებურადაა გადმოცემული ის, რასაც ჩვენ სინამდვილეში ვხვდებით, ოღონდ სხვა ფორმით. ამაში მდგომარეობს პოეზიის რეალური ღირებულება და მას პასუხობს აკაკის პროზაც“ (კიკნაძე 1978: 279).

შეუძლებელი იყო, გრიგოლ კიკნაძეს, „ბაში აჩუკზე“ დაკვირვებისას, აკაკის პოეტური ხედვის, მისი მწერლური მანერის ერთი უარსებითესი ნიშანი არ შეუმჩნევია და ამიტომაც აღნიშნა: „... ეს მოთხრობა უჩვეულოსა და კონტრასტების პრინციპებზეა აგებული“ (კიკნაძე 1978: 282). მკვლევარს მოხმობილი აქვს მაგალითების ერთი ნაწილი: „კონტრასტულია თეიმურაზ პირველის გატაცება ლექსთა თხზვით და კახეთის გმინვა, კახეთის უბედურება და მაყაშვილის დაწინაურება, ბიძინა ჩოლოყაშვილის პრინციპულობა და ჯანდიერის მედროვეობა... რამდენადაც კონტრასტულობა ნიშნავს ერთიმეორის გვერდით განსხვავებულთა (დაპირისპირებულთა) მოთავსებას, რითაც თითოეული მათგანის თავისებურებები მკაფიოვდება, კონტრასტებით ხატვის გზას პოეტურობისკენ მიეყავართ. კონტრასტულობა ობიექტებისა თუ მათი თვისებების მკვეთრსა და ერთბაშად აღსაქმელ მონაცვლეობას გულისხმობს და სწორედ ამიტომ აღნიშნავენ ამ ხერხის განსაკუთრებულ პოეტურ ძალას... კონტრასტის ფენომენის მოქმედებას ეყრდნობა პოეზიის მთავარი ძარღვი — ოცნება, რამდენადაც ის ჯერ არსებულის ნატვრა და სურვილია.“ ამის მერე მოტანილია კონტრასტის ხერხის სიორენ კიერკეგორისეული დახასიათება: „ადამიანური ცხოვრების მთავარი უკმარობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სასურველს მხოლოდ კონტრასტების გზით აღწევს... და თვით წმინდანობაც კი სხვაგვარად არ მიიღწევა, თუ არა ცოდვის მეშვეობით“ (კიკნაძე 1978: 283).

„ბაში–აჩუკში“ ყოველი, მეტ–ნაკლებად დასამახსოვრებელი ეპიზოდი თუ პასაჟი უთუოდ რაიმეთი არის განპირობებული და არა ეფექტის მოსახდენად გამიზნული. ნათელმხილველობის ნიშნითაა აღბეჭდილი, მაგალითად, მოთხრობის პირველსავე თავში მოქცეული, ეკლესიის მოძღვარის კირილეს ამაფორიაქებელი სიზმარი, რომელსაც თავად მღვდელი ჩვენებას უწოდებს და ზაალ ერისთავის სახლეულს უყვება. ეს მართლაც ზღაპრული, მითიური არქეტიპებით გაჯერებული ხილვაა — ალავერდის მონასტერს გარშემო საზარელი გველეშაპი შემოგრაგვნია და ყოველი გამოღვიძებისას ადამიანებს მუსრს ავლებს. უეცრად სამი უმამაცესი

ვაჟკაცი გამოჩნდება, ისინი ამხნევებენ თავზარდაცემულ ხალხს, შეებრძოლებიან ურჩხულს, მაგრამ ვერაფერს აკლებენ, მისი გარქოვანებული ქერექი ისხლეტს ისრებს. ამ დროს მთიდან თეთრ ცხენზე მჯდომი, შუბშემართული მხედარი ეშვება (მასში იოლად შეიცნობა ქართველთა საყვარელი ღვთაება თეთრი გიორგი) და უწმინდურს ლახვრით განგმირავს. ეს სიზმარი მთელ მოთხრობას განეფინება და თანდათან ცხადი ხდება მისი შეფარული, სიმბოლოების ენაზე გამოხატული აზრი.

საერთოდ, აკაკი მთელ თავის შემოქმედებაში მარჯვედ, მოხდენილად იყენებს სიზმარს, როგორც განსაკუთრებული დანიშნულების მქონე მხატვრულ ხერხს და ამას მუდამ გარკვეული მიზანდასახულობა აქვს.

გავიხსენოთ თუნდაც მედიას გრძნეული სიზმარი, „ცხადის ნამსგავსი... ჩვენება“. როცა მთელი კოლხეთის თვალს, მშვენიერების განსახიერებას, „საარაკო ყმა“ ეცხადება და ამის მერე, განგების ნებით, მასაც და ქვეყნის სიმდიდრეს, ოქროს ვერძსაც, არგონავტების სწორუპოვარი წინამძღოლი, ელადის გმირი იაზონი დაეპატრონება.

სიზმარი, ხშირ შემთხვევაში, თავისებური გასაღებია ამა თუ იმ ნაწარმოების დედააზრის გასახსნელად, ღრმად შესაცნობად და, ამდენად, საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს.

მცირე ხნით ისევ მივუბრუნდებით „ბაში–აჩუკს“, კერძოდ, შუამთის მონასტრის აკლების ეპიზოდს, სადაც თათრები მუსრს ავლებენ უმწეო ქალებს და მათი წინამძღოლი ატყვევებს გულწასულ პირმთვარისას, რათა, პირობის თანახმად, ქალთაგან ერთი ულამაზესი ცოცხალი მიჰგვაროს ალი–ყული–ხანს. პირმთვარისა, ბაში–აჩუკის და, აბდუშაჰილის შეყვარებულის, პირიმზისას ტყუპისცალია, აუტანელი, დამამცირებელი ხვედრი თავიდან რომ აიცილოს, იგი თათარს მოატყუებს, თითქოს ქართველებს აქვთ ჯადო (ნაწილებიანი ხატი), რომლის წყალობითაც მათზე იარაღი არა სჭრის, ჯადოს ხელში ჩაგდების ცდუნებით შეპყრობილი თათარი ქვაზე გულაღმა განწოლილ პირმთვარისას ხმალს დაჰკრავს, შუაზე გაჰკვეთს და საგონებელში ჩავარდება, რომ უბედურმა ქალმა ასე მოატყუა. აბდუშაჰილი მყისვე ცხენით ავარდება, დაბუგულ მონასტერს იხილავს და ამ სისასტიკით თავზარდაცემულს მოკლული თავისი სატრფო ეგონება, სიმწრისაგან შეჰყვირებს და წაბარბაცებული ხეს მიეყრდნობა, მერე უსულო გვამს გულზე მიიკრავს, პირველი შეხვედრის ადგილას, წყაროსთან, წაიღებს და მიწას მიაბარებს.

სასწაულს ჰგავს, აბდუშაჰილს უჭირს ამის დაჯერება, როცა რამდენიმე ხნის მერე, მთვარიან ღამეში, მას თავისი ნამდვილი შეყვარებული, დაჭრილი შვლის გადამრჩენელი, პირიმზისა გამოეცხადება და უხსნის, რომ დაღუპული მისი და, საბრალო პირმთვარისა იყო, ხოლო მას პირიმზისა ჰქვია.

ადვილი წარმოსადგენია აბდუშაჰილის გაოგნება და სევდანარევი სიხარულიც, მაგრამ აქ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას; აკაკიმ ტყუპი დებიდან, სამსხვერპლოდ, პირმთვარისა გაიმეტა (ეს უცნაურობა და დრამატიზმი თავად მოთხრობას ესაჭიროებოდა), ვინაიდან მზე სიცოცხლის დასაბამი და აღმომაცენებელია, ხოლო მთვარესთან დაკავშირებულია გარდაცვლილთა კულტი, მთვარე, ხალხური რწმენით, მიცვალებულთა სულების თავშესაფარიც არის. შემთხვევითი, ალბათ, არც ის უნდა იყოს, რომ აბდუშაჰილისა და პირიმზისას ხელახალი შეყრა მთვარიანი ღამით ხდება და ამ იდუმალი ციური სხეულის ათინათი შეყვარებულებს ვერცხლისფერ ბურუსში ხვევს.

საგულისხმო ფაქტია, რომ აკაკის ისტორიული მოთხრობის ამ ადგილს, კერძოდ, პირმთვარისას სახეს, აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ უძღვნა გამოკვლევა — „ბაში–აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის“. გარდა შედარებით გვიანდელი მასალებისა, კორნელი კეკელიძეს დასახელებული აქვს გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულება „მარტვილობა ევფრასია ქალწულისა“, სადაც ქრისტიანობის გამო დევნილი, კერპთაყვანისმცემელთაგან შეპყრობილი უბინო ქალი ბარბაროსს მოტყუებით აკვლევინებს თავს, მაგრამ აქ სასწაულმოქმედი ძალის მქონედ, ხატის მაგიერ წამალი გვევლინება (უძველეს სლავურ „პროლოგში“ კი წამლის ადგილს ბალახი იჭერს). კორნელი კეკელიძე ფიქრობს, რომ აკაკი წერეთელს გიორგი მთაწმინდელის თარგმანი არ გამოუყენებია, რომელიღაც ზეპირი გადმოცემით უსარგებლია, ვინაიდან „ბაში–აჩუკში“ ჯადოდ ხატი ფიგურირებს.

უთუოდ სარწმუნო და ანგარიშგასაწევია კორნელი კეკელიძის მოსაზრება, დიდი მეცნიერი დასკვნის სახით რომ გვთავაზობს:

„ევფრასიას ეპიზოდის პროტოტიპი, რომელიც მერე სხვადასხვა დეტალებით გავრცობილა, ეჭვი არაა, ფოლკლორული წარმოშობისაა; იმას საფუძვლად უდევს რწმენა ე.წ. „შელოცვის“ მაგიური ძალისა, რომელიც ამა თუ იმ საგანს ან მოვლენას ართმევს მის სპეციფიკურ თვისებას ანდა ისეთ თვისებას ანიჭებს, რაც მას ჩვეულებრივ არ ახასიათებს“ (კეკელიძე 1945: 70).

კორნელი კეკელიძის წინამდებარე წერილი და ზემოთ ნახსენებ ეპიზოდთან დაკავშირებული ფილოლოგიური წიაღსვლები საჭიროა დამოწმებული და ასახული იქნეს „ბაში–აჩუკზე“ დართულ შენიშვნებში.

„ბაში–აჩუკში“ არის ერთი ადგილი, რომელსაც ამ ნაწარმოებისა და თვით აკაკი წერეთლისთვისაც არსებითი, საკრალური მნიშვნელობა აქვს და რომელშიც კონტრასტული აზროვნებისადმი დაუოკებელმა მისწრაფებამ იჩინა თავი. ესაა საქართველოს დაუძინებელი მტრის, „სპარსეთის ლომის“ შაჰ–აბაზის შინაგანი მონოლოგი, სადაც, მიუხედავად გამარჯვებისა და ქვეყნის ჯოჯოხეთურად აოხრებისა, მრისხანე დესპოტი საკუთარ უძლურებასა და ქართველების უძლეველობაზე ლაპარაკობს. აი, უსასტიკესი მტრის პირით წარმოთქმული სიტყვები, რომელთაც სადღეისოდაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა: „ეს დასავლეთ–აღმოსავლეთის გზა და ხიდი, ეს ხ მ ე ლ თ ა შ უ ა კ ა რ ე ბ ი, ეს პატარა ქვეყანა თუ ხელში არ ჩავიგდე, რა იქნება უმისოდ ჩემი დიდი სამეფო?

უზარმაზარი ციხე უგალავნოდ. ადრე თუ გვიან ადვილად ასაღები და დასანგრევი!.. არა, საქართველო ის ნატვრის თვალია, რომელიც ხელში უნდა იგდოს სპარსეთმა! იგდოს?!. ჰმ!.. ადვილია! რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს?.. საარაკო ლანგა–თემურმა მხოლოდ აქ იგრძნო თავის კოჭლობა, როცა ამ პატარა „ქვეყნის ქვაკუთხედს“ წამოჰკრა ფეხი. ვაითუ ირანის ლომმაც აქ ამოიძუოს კუდი?! ხალხი, რომელსაც სხეული გაუკაჟებია და სული აუმაღლებია, საშიშია!.. ჯერ უნდა სხეული დაუდუნდეს, სული დაუმდაბლდეს და მერე, მხოლოდ მერე შეიძლება მისი მოდრეკა!..“

ერთმანეთზე გადაჯაჭვული სარწმუნოება და ეროვნება, სხეულის სიმტკიცე და სულიერი სიმაღლე! — ეს იყო აკაკის იდეალი, ასეთად ესახებოდა „ბაში-აჩუკის“ დამწერს თავისი საფიცარი სამშობლო. აქ დაინახა საქართველოს არსებობის საძირკველი და სამარეშიც ამ ურყევი რწმენით ჩავიდა.

აკაკი წერეთლის თხუთმეტტომეულის მერვე ტომში დამამატების სახით შეტანილია მეტად საყურადღებო ისტორიული ნარკვევი — „სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე (ზეპირ–გადმოცემული თანამედროვისაგან, რომელიც იყო სიკო კანდელაკის პაპა და ჩაწერილი მისი შვილიშვილის სიკო კანდელაკისაგან)“.

ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, ამ მასალას უთუოდ დაატყო თავისი ხელი და ოსტატობა აკაკი წერეთელმა, რის გარეშეც მას ასეთი დიდებული იერი და ზემოქმედების ძალა არ ექნებოდა. აქ არცთუ იშვიათია ამგვარი მომნუსხველი დეტალები: „მეფე სოლომონს თვალს უჭრიდა და ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ოთხი თვალი აქვსო. მართლაც, პირდაპირ მისი შეხედვა და თვალის გამართვა შეუძლებელი იყო“. ამ სისხლიან მოთხრობში თვალი შემთხვევით არ არის ნახსენები. მალე ვნახავთ, რომ განრისხებული მეფე სოლომონი ახალციხის ფაშასთან დაკავშირებულ როსტომ ერისთავს და მთელ მის სანათესაოს საშინლად დასჯის, ყველას თვალებს დასთხრის. ნაბდებწაფარებულ, ულმობლად დასახიჩრებულ რაჭის ერისთავებს ამპარტავნული შესახედაობა აუტანელი წამების მერეც აქვთ შერჩენილი: „ეს დიდი კაცები, ბრწყინვალე ტანისამოსებით და სხვადასხვა ძვირფასი ფარჩებით ეყარნენ თოვლში და მაინც მედიდურობა ეტყობოდათ.“

ყოველივე ამის შემყურე კათალიკოსის აღშფოთება მისსავე წამოძახილში იგრძნობა, მაგრამ საერო ხელისუფალი მოძღვარს ხმას არ გასცემს, უსიტყვოდ განერიდება:

„— მეფეო, შეჩვენებული იყოს შენი მეფობა, უკეთუ მეც არ გამასწორო ერისთავთან და თვალები არ დამთხარონ!— კარისკაცები აშფოთდნენ. მეფემ ზურგი აქცია კათალიკოსს, გაბრუნდა“.

შემაძრწუნებლად არის აღწერილი წამების სურათები, ისეთი დამთრგუნველი განცდა გეუფლება, თითქოს ამ ველური ქმედების მხილველი იყო:

„როსტომი, მეთოდი, ცაგუნი, კუხნოტი, გივი, ბარძიმი და სვიმონ, თოკებით შეკრულნი, ხედავდნენ გიორგის თვალების ამოჭრას და თვითონაც იმავე სატანჯველს მოელოდნენ. ახლა სხვებსაც მიჰყვეს ხელი. პირველად როსტომი დაანჯინეს გულაღმა, ბევრი აცოდვილეს და მაშინ თვითონვე ურჩია, თვალის კილოები ჩამჭერით და მერე თავისით გამოცვივდებიან თვალის კაკლებიო, და მართლადაც, სხვებს ადვილად მოთხარეს თვალები“ (კვნესა არც ერთ მათგანს არ დასცდენია — ე.კ.)

ეს ამბავი რომ მოხდა, მეფე შეტრიალდა სახლში და გარეთ აღარ გამობრძანებულა. იახლა შიგ წერეთელი და მეფე რომ შეწუხებული ნახა, თვალცრემლიანი, გაკვირვებულმა მოახსენა: — თუ მაგრე სანანებლად დაგრჩებოდათ, ნეტავი არ დაგესაჯათ ის ცოდვილებიო... მეფემ წყენით ბრძანა: „მებრალება კაცი და დავსაჯე კი ღვთისა და ქვეყნის ორგული მოღალატე...“

ამ მკაცრი ანალების მონათესავე ინტონაცია ისმის ნიკო ლორთქიფანიძის საუცხოო მოთხრობაში „მრისხანე ბატონი.“ „სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე“ სტილის სისადავითა და შთაბეჭდილებით, რამდენადმე, სტენდალის „იტალიურ ქრონიკებსა“ და ისლანდიურ საგებსაც გვაგონებს.

აკაკის აქვს შედარებით გვიან (1902) დაწერილი მცირე მოთხრობა „რაჭის ერისთავი როსტომ“, რომელიც „სოლომონ პირველის“ მწუხარე ეპილოგად გამოდგებოდა, აქ მოთხრობილია, თუ რაოდენ არის შეცვლილი და პატივაყრილი, დასჯის მერე, ერთ დროს გულზვიადი ფეოდალი. მან ადრე, ყოვლად უსამართლოდ, სხვათა ჩაგონებით და წასისიანებით, თვალები დათხარა უერთგულეს შინაყმას ჯაფარ ჯაფარიძეს, რის შემდეგ მასაც იგივე ბედი ენია. როსტომი იშვიათი მგალობელი იყო და დღესასწაულების ჟამს ციხიდან გამოჰყავდა მის აბუჩად ამგდებს, მეფის სარდალ წერეთელს, დვრინის სათქმელად. როსტომს გზის გამკვლევად ასევე კარგი მომღერალი ყმაწვილი კაცი ახლდა.

ერთხელ, აღდგომა დილას, როსტომ ერისთავისგან დაბრმავებულმა, უკვე მოხუცებულმა ჯაფარამ, ეკლესიაში, ხმაზე იცნო მისი დამლუპველი და მასავით ბრმა, დაბერებული ყოფილი ბატონი. დიდოსტატის კალმითაა აღწერილი, ეს ამაღელვებელი შეხვედრა: „მივიდა მგალობელთან უცნობი მოხუცი და ხმის კანკალით წარმოსთქვა: „ეიცანი შენი ხმა, როსტომ ერისთავო! ქრისტე აღსდგა!“

— ვინ ხარ შენ? — უპასუხა შემკრთალმა ერისთავმა. — ველარ გამიხსენე? შენც წახდი, მეც წამახდინე... ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს!

— ჯაფარა?! — დაიბობღინა ერისთავმა: — მეც წავხდი, შენც წაგახდინე... ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს!

ჩაეკვრენ ერთმანეთს გულმკერდში ორი ბრმა მოხუცი, გადააჭდეს ყელი ყელს და აქვითინდნენ...“

როსტომი მწარედ ნანობს წარსულში თავის ნამოქმედარს. ამბობს, რომ თვალების დათხრის მერე აეხილა „გონების თვალი“, ჩახვდა მედიდურობისა და გულბოროტობის მავნეობას, ამაოებას და ახლა უხარია, რომ ქრისტეს მსახურებს, უფლის სადიდებელს გალობს. ერისთავი ერთ დროს მისგან ასე გამეტებულ ჯაფარიძეს შესთავაზებს ძველებური, რაჭული საგალობელი ერთად დავძახოთო. ჭეშმარიტად დიდებულია ამ პატარა მოთხრობის ფინალი:

—„ამოისვეს ორივემ ხელები ამოთხრილ თვალებში ცრემლების ამოსაწმენდად, გაისწორეს ხმა ჩახველებით და შეხმატკბილდნენ, ახალგაზრდა მხლებელმა დაიწყო, ჯაფარამ მაღალი ბანი მიაყოლა

და როსტომ ერისთავმა ზედ დერინი დააკვერა. გაისმა „ქრისტე აღსდგა“, რომლის მსგავსიც მანამდი საწერეთლოს არა გაუგონია რა. მოხიბლულ მსმენელებს ჟრუანტელმა დაუარათ...“

შეგვიძლია დავასახელოთ არაერთი მოთხრობა თუ თქმულება, სადაც აკაკი აღწევს სტილის გასაოცარ ლაპიდარობას, მომჭირნეობასა და მოქნილობას; ამასთანავე, მკითხველზე ზემოქმედების დიდ ძალასაც ავლენს. მისი პროზის ენა ამ მხრივაც გზის მაჩვენებელი და სამაგალითოა.

არსებობს დასაბუთებული მოსაზრება, რომ მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში რეალიზმის ახალი მიმდინარეობის მხარდამხარ ვითარდებოდა რომანტიკული ესე, რომელიც პროზაში პოეზიის მეთოდებს, ეფექტებს იყენებდა (ნ. დიაკონოვა), გადამტებული სრულებითაც არ იქნება თუ ვიტყვით — აკაკი წერეთლის დოკუმენტურ პროზაში აშკარად საგრძნობია ჭეშმარიტი, ამაღლებული პოეტურობით აღბეჭდილი ესეისტური ნაკადი.

ადვილი შესამჩნევია, რომ აკაკი პუბლიცისტურ ნაწერებშიც მხატვრად, ბელეტრისტად რჩება და მრავალ ადგილას იგრძნობა პოეტის მახვილი თვალი. სანიმუშოდ გამოდგებოდა მოგონებების სახით დაწერილი „ორი შეხვედრა“, სადაც თავდაპირველად იხსენებს თბილისში 1862 წელს ჩასვლასა და „ცისკრის“ რედაქტორის, მისი მოამაგე ივანე კერესელიძის გაცნობას, ოჯახში გულღია მასპინძლობას. უზადოდაა დახატული პორტრეტი მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცისა, სტუმრად მისულ პოეტს რომ გამოგებებია:

„გამოვიდა ერთი შავგვრემანი, კარგი თვალ–ტანადი ვაჟკაცი; ამათვალიერ–ჩამათვალიერა და ბოლოს ჩემი სახელი რომ ვუთხარი, სიცილით გადამეხვია. ის იყო ივანე კერესელიძე. საკვირველი მწუხარე სახე ჰქონდა. რომ იცინოდა, მაშინაც თითქო სტირისო, ასე ეგონებოდა კაცს, მაგრამ ეს მოჭმუხვნა–სევდიანობა შვენოდა და სასიამოვნო საყურებელიც იყო.“

ამის მერე გადის ოცდაათი წელი. უკვე მოხუცებული ივანე კერესელიძე და შეჭარმაგებული აკაკი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს (პირველი ივანე იცნობს: „კაცო, ეგ შენა ხარ?! — შესძახებს), „ცისკრის“ ყოფილი რედაქტორი გაღატაკებული, გასაცოდავებული, ვიღაც ინტრიგანი, აბეზარი მომჩივანი, არაფრის გამო, სასამართლოებში დაათრევს, მეგობრები შემოცლია, დახოცილან. ნუნუნებს ბერიკაცი: „მელა დავრჩი ობლად და მე რომ ჩემი გაჭირვება შევჩივლო გულის მოსაფხანად, აღარავინ დარჩენილა. სულ სხვა დრო მოვიდა, სხვა კაცები!.. ჯვარცმული ვარ, სწორედ ჯვარ-

ცმული". ასეთნაირად დაბეჩავებულს, სასტუმროში უჭირავს ერთი ოთახი (იქ წაიყვანს აკაკის), ძველი ნივთებიდან მხოლოდ კედელზე დაკიდებული თარი და ჭიანური შემორჩენია. ხასიათი იგივე აქვს, გუნებ–განწყობილება სწრაფად ეცვლება, სუფრაზე, ჭიქა ღვინოსთან, თანდათან გამხიარულდება, თარსაც ჩამოხსნის და ვითომდა დარდიმანდულად დაამღერებს, ამოოხვრასაც დაატანს. „ორი შეხვედრა" როცა იწერება, ივანე კერესელიძე მიწაში განისვენებს და აკაკიც ნაღვლიანად იგონებს ძვირფას, უკეთილშობილეს ადამიანთან გატარებულ უკანასკნელ საღამოს: „... ის სიმღერა ორაზროვანი და ორხმოვანი იყო. სახეც აერია... ცალი თვალით იცინოდა, მაგრამ მეორეთი კი სტიროდა. და მეც, დღეს რომ მის საფლავს ვუყურებ, ორი თვალი ცრემლით მევსება.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, კარგო ქართველო."

უფროსი მეგობრისადმი რაოდენი პატივისცემა და სიყვარული, რაინდულ თავშეკავებასთან შეზავებული როგორი გულწრფელი თანაგრძნობა იკითხება ძუნწად ჩამოქნილ ამ ორიოდე ფრაზაში. ასე მხოლოდ დიდი პოეტი, უკიდურესად დახვეწილი, მთრთოლვარე სულის ადამიანი თუ გამოხატავს თავის სათქმელს.

მემუარული ხასიათისაა, აგრეთვე, აკაკის უმშვენიერესი, ლირიზმით აღსავსე წერილი „გახსენება", რომელშიც საუბარია საქართველოს პოეტ ქალებზე. მაგრამ, ძირითადად, ეძღვნება რაფიელ ერისთავის დას, ბარბარე ჯორჯაძეს, ვინაც მამათა და შვილთა ცნობილი შეპაექრების ჟამს ძველი თაობის პოზიციისა და შეხედულებების მხარდამჭერი იყო. ერთხელ, ახალგაზრდობისას ხვდება აკაკი ალექსანდრე ორბელიანს და მისგან იგებს, გარუსების თავგადაკლულ მომხრეს, გადაგვარებულ გიორგი მუხრანსკის როგორ ჩააკმენდინა ხმა ბარბარე ჯორჯაძემ, როგორ იმარჯვა. ამის მერე უზომოდ კეთილმა ალექსანდრე ორბელიანმა აკაკი წაიყვანა იმავე ივანე კერესელიძის ოჯახში, სადაც მაშინ ბარბარე ჯორჯაძე სტუმრობდა, ეს შეხვედრა — პოეტი ქალის გაცნობა — ისე ხატოვნად, სახიერად არის გადმოცემული, ისეა დიდი ხნის ნანახი სურათი აღდგენილი, გაცოცხლებული, რომ უკანასკნელ აბზაცს, სადაც თვალნათლივ ჩანს ყოფითი წვრილმანების ესეისტური ხედვა, სასურველი განწყობილების შექმნის ესოდენ საჭირო უნარი, მთლიანად ამოვიწერთ:

„მე რადგანაც ბარბარეს არ ვიცნობდი, ალექსანდრემ წამიყვანა გასაცნობად. მწერალი ქალი, სოფლიდან ჩამოსული, კერესელიძესთან ჩამომხდარიყო, რომელთანაც ნათელ–მირონობა ჰქონდა;

სახლის პატრონმა რომ ჩვენი მისვლის მიზეზი გაიგო, ძალიან იამა და მითხრა: „ეს ქალი ახლა საკუთარ ოთახში ზის, სწერს და ისე შეგიყვან უცბად, რომ თითონაც არ იცოდესო“. მომავლო ხელი და ძალათი წამიყვანა. როდესაც მე კნ. ბარბარე ჯორჯაძის ლექსებს ვკითხულობდი, სულ სხვანაირად მყვანდა წარმოდგენილი ავტორი; ჩემის აზრით ის უნდა ყოფილიყო ტანმორჩილი, გამხდარი, მეტად მკვირცხლი, მოუსვენარი, სხაპა-სხუპით მოლაპარაკე და განსაკუთრებით წერის დროს მეტად აღელვებული, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც შევედით: სტოლთან იჯდა ერთი საკმაოდ მსუქანი, მოსული, თვალ-ტანადი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მუხლი-მუხლზე გადაედვა, ზედ ერთი ფურცელი ქაღალდი დაედვა და დინჯად ლექსსა სწერდა. ეს იყო მისი უკეთესი ლექსი „არაგვი“. მაშინ მეც შევიტყვე, რომ თუ არ მუხლზედ, ძველებურად, ისე წერა არ ემარჯვებოდა, ნ ე ტ ა ვ ი ა ხ ლ ა ც ი ს ე ს წ ე რ ს , თ უ ა რ ა ?“

შეკითხვის ინტონაციით შეფერილი ბოლო ფრაზა ნამდვილი პოეზიის შუქით მოსავს და ანათებს მთელ მონათხრობს, იგი ლექსივით ჟღერს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, წერტილის დასმის როგორი დიდი ოსტატი იყო ზემოთ მოხმობილი სტრიქონების ავტორი.

საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა — უძველესი კულტურა, უპირატესად, ზეპირ მეტყველებას ემყარებოდა; ძველ საბერძნეთსა და რომში ორატორული ხელოვნების შესწავლას ყველაფერზე წინ აყენებდნენ და ვინაიდან წიგნი იშვიათობა იყო, ხელნაწერებად გადადიოდა ხელიდან ხელში, ხმამაღალი კითხვა ჰქონდათ დანერგილი, ეს ჩვევად ექცათ, შემთხვევითი ფაქტი არც ის არის, რომ ორატორულ ხელოვნებას „სიტყვიერების თეორიის“ პირველ ფორმად თვლიდნენ და ანტიკურ სამყაროში რიტორიკა, იმთავითვე, პოეტიკის მონათესავე, ყველაზე ახლო მდგომ დარგად მიაჩნდათ.

რომის უდიდესი იმპერატორი ოქტავიანე ავგუსტუსი თავგამოდებით ეუფლებოდა ორატორულ ხელოვნებას, გულმოდგინედ ითვისებდა თავისი მოძღვრის გავიუს სილონის მდიდარ გამოცდილებას,. რომლის შეხედულებითაც ნამდვილი მჭევრმეტყველება ის არის, როცა მისი კვალი არ შეიმჩნევა. მართლაც, შეუძლებელია დაგვაეჭვოს ცნობილმა თავალსაზრისმა: აუცილობელია, როდესაც არ ჩანს გაწაფული შრომის ნიშნები, ოსტატობის ყველაზე დიდი გამოვლინება სწორედ ეს გახლავთ“ (ჟან პიერ-ნერედო).

ოსტატობის ასეთი განსაზღვრა ზუსტად მიესადაგება აკაკი წერეთლის როგორც მხატვრულ შემოქმედებას, ასევე ორატორულ ხელოვნებასაც, რომელსაც იგი ზედმიწევნით სრულყოფილად ფლობდა. თავისი მოწამებრივი ცხოვრების მანძილზე, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, აკაკის ხშირად უწევდა სიტყვის წარმოთქმა და მუდამ ჩვეულ სიბრძნესა და ტაქტს იჩენდა, ერთნაირად ხიბლავდა ყველა ფენისა თუ წოდების მსმენელს.

მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე შემთხვევის გახსენებას უნდა დავჯერდეთ. გონის ნათელისა და კაცობის, მჭევრმეტყველების ნამდვილი მწვერვალია სიტყვა, რომლითაც ავადმყოფმა, დაუძლურებულმა აკაკი წერეთელმა თვით ტვინდაბნელებული, გაპირუტყვებული ქართველებისაგან უღვთოდ გამეტებული ერის მამის, ილია ჭავჭავაძის ცხედარს რომ მიმართა, ჩვენ თითქოს ახლაც ჩაგვესმის, ზარივით რეკავს დიდი მგოსნის გაბზარული, აკანკალებული და მაინც მთელ საქართველოზე გადაწვდენილი მღელვარე ხმა:

„შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა–მოთქმა ვეღარც არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა–უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!.."

მეტად ღრმა შინაარსი და მიზანდასახულობა აქვს, აგრეთვე, წინანდალში, 1911 წელს, გლეხობის წინაშე წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც ვეება აზრით დატვირთულ ერთ უმშვენიერეს მეტაფორაზეა აგებული. სიტყვის დასასრულს აკაკი ქვეყნის მარჩენალ, ჭირნახულის მომწევ გამრჯე ქართველ გლეხკაცობას შეახსენებს: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ ფესვი საქართველოს ეროვნებისა თქვენ ხართ და წოდებანი კი თქვენზე ამონაყარი თქვენვე."

დაწყებით კი ეს დიდებული გამოსვლა იგავურად იწყება და მისი აზრი ყველასთვის მისახვედრი, გამჭვირვალეა. გლეხის ოჯახში ფეხადგმულმა და გაზრდილმა კარგად იცის, რა ენაზე ელაპარაკოს გლეხობას. ცოცხალი, ხატოვანია ეს ენა:

„ამ ხეს ხომ ხედავთ? სამი ნაწილისაგან არის შემდგარი: ფესვებისაგან, ღრმად რომ არიან მიწაში ჩაფლული და არა სჩანან, ღეროსა ანუ შუატანისაგან, ფესვებისაგან რომ არის ამონაყარი, და

მერე სათავეში ღეროზე გადაშლილ შტოებისაგან, ყვავილ–ნაყოფს რომ იძლევიან. ეს სამი ნაწილი, ერთმანეთზე გადაბმული, შეადგენენ ერთ ხეს. ფესვები საზრდოს იღებენ მიწიდან, გადასცემენ ღეროს, ანუ ხის შუა ტანს, და ისიც შეაწოებს შტოებს, რომ ნაყოფი გამოიღონ. უერთმანეთოდ კი ვერც ერთი ნაწილი ვერ იხეირებს!..“

ამ ლამაზი მეტაფორის აზრს აკაკი, როგორც სჩვევია, ცოტა ქვემოთ, თავადვე განმარტავს: „ესეთივეა ეროვნების ხეც. ყოველი ერი შესდგება დაბალის, შუათანა და მაღალი წოდებისაგან. ისინი ერთიერთმანეთის შეკავშირებით შეადგენენ ერთ რომელიმე ერს. დაბალი, ე.ი. ფესვები ეროვნების თქვენ ხართ, შუათანა და მაღალი წოდება თქვენზე არის ამონაყარი. თქვენვე ხართ ნაზარდი. უერთმანერთოდ არ ვარგიხართ. თქვენს ერთ მთლიანობას სამივე ნაწილი შეადგენს და ამიტომაც მტკიცედ უნდა იყოთ ერთმანეთთან შეკავშირებული „ძმობით“, „ერთობით“ და „სიყვარულით“ და არა ერთი მეორის მტრობით, დაუნდობლობით და მედიდურობით...“

სხვაგვარად არის აგებული და ერისკაცის სიბრძნესთან ერთად პოეტური ელფერითაც გამოირჩევა სიტყვა, რომლითაც გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, 1913 წელს, მოსკოვში გამართულ ნადიმზე. პოეტი იხსენებს თავისი თაობის, სამოციანელების „ეკალნარიან გზას“ და ახალგაზრდებს მოუწოდებს: „და ახლა თქვენი ვალია, რაც ძველებმა ვერ მოასწრეს, თქვენ დაამთავროთ და ბოლომდე გაიყვანოთ, გაპკაფოთ ის ეკლიანი გზა, რომლის სათავეშიაც უკვდავების წყარო ჩუხჩუხებს. ქართულ საგულისხმო ზღაპრებში ეხედავთ რაინდებს, უკვდავების წყაროს საძებრად გაჭრილებს, რომ მათ აღმძვრელ საყვარელ–მზეთუნახავებს, მიუტანონ ის უკვდავების წყარო და შეასვან. ამისთვის ისინი თავს არ ზოგავენ და არ ერიდებიან არც ხიფათს და არც განსაცდელს, თქვენც იმ ძველ რაინდებს უნდა მიჰბაძოთ, მოუპოვოთ ის უკვდავების წყარო თქვენს საყვარელს, მაგრამ დასნეულებულ მზეთუნახავ სამშობლოს და აიაზმად ასხუროთ, რომ გამობრუნდეს... ისტორიულმა მსვლელობამ დაგვიმტკიცა, რომ ეს პატარა საქართველო ყოველგვარ განსაცდელსა და გასაჭირს გაუძლებს!“

ყოველმა ქართველმა გულის ფიცარზე ამოიკვეთოს მარადსახსოვარი სიტყვები ამ მგზნებარე მიმართვის დასკვნით ნაწილში რომ ვკითხულობთ: „შოვინისტობა, ესე იგი, სამშობლოს უკულმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვალებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, საძაგლობაა, მაგრამ ერთი ათასად უფრო საზიზღრობაა, თავის ქვეყნისთვის სამშობლოს გარეწრობა. ვისაც

თვისი მშობელი არ უყვარს, ის სხვებსაც ვერ შეიყვარებს. ვინც თავის პატარა ერს არ ემსახურება, ის ვერც კაცობრიობას გამოადგება, თავის ქვეყნის სამსახურში მსოფლიოც გამოიხატება“.

ყველა ჩვენგანს „სულიკოსა“ და „განთიადის“ დამწერმა სამშობლოს თავდადებული სამსახური და უანგარო სიყვარული უანდერძა. უამისოდ ათას ჭირ–ვარამში გამოვლილ ჩვენს ქვეყანას არსებობა და გახარება არ უწერია.

აკაკი წერეთლის ადგილი და მნიშვნელობა განუზომელია მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, განვლილ ეტაპად არასოდეს იქცევა, აკაკი ქართული მწერლობის, საქართველოს მარად მფეთქავი, ცოცხალი ძარღვია.

დამოწმებანი:

კეკელიძე 1945: კეკელიძე კ. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.* II, თბ.: 1945.

კიკნაძე 1978: კიკნაძე გრ. *ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები.* თბ.: 1978.

ლამარა გვარამაძე

ბაირონი, პუშკინი და ლერმონტოვი აკაკი წერეთლის თარგმანებში

აკაკი წერეთლის ორიგინალურ პოეტურ შემოქმედებას ჩვენს აკადემიურ გამოცემაში (იგულისხმება სრული აკადემიური გამოცემა 20 ტომად), რომელსაც უახლოეს დროში შეხვდება ქართული საზოგადოება, აგვირგვინებს თარგმნილი ლექსები, თარგმნილი და გადმოკეთებული იგავ-არაკები, რომელთა შორის ბევრს პირველად გაეცნობა მკითხველი და ბევრიც საგულისხმო და მნიშვნელოვან სიახლეებს მიაწვდის მას.

თარგმნის სფეროში აკაკი წერეთლის პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის წლებს დაემთხვა, როცა მეექვსე კლასის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, საჩხერეში, აგვისტოს მოცალეობაში გაასრულა მან თარგმანი და ქუთაისში დაბრუნებულმა გადაუგზავნა იგი ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორს ორ საკუთარ ლექსთან ერთად. თუ არ ჩავთვლით ბავშვობის დროინდელ მის პირველ მცდელობებს, ეს თარგმანი — ლერმონტოვის „რტო პალესტინისა“ მიჩნეულია აკაკი წერეთლის პირველ პოეტურ განაცხადად ქართული საზოგადოების წინაშე*.

ამ თარგმანს მოჰყვა უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩასული ჭაბუკის ჩაბმა რუსული კულტურული და ლიტერატურული ცხოვრების ორომტრიალში და ახალი მნიშვნელოვანი თხზულებების თარგმნა რუსული თუ ევროპული პოეზიის საგანძურიდან: ჰაინრიხ ჰაინე, დობროლიუბოვი, ბაირონი, ბერანჟე, პუშკინი, ლერმონტოვი, პლეშჩეევი, კრილოვი, ფეტი — ასეთი მრავალფეროვანია აკაკის მთარგმნელობითი პოეტური ალმანახი.

ორ, დღემდე უცნობ თარგმანს ამათგან — პუშკინის „ქართულ სიმღერას“ და უცნობი ავტორის შოტლანდიურ ბალადას — „დედოფლის აღსარება“, ქართველი მკითხველი უკვე გაეცნო ჟურნალ „წახნაგის“ ფურცლებზე (იხ. ლამარა გვარამაძე, „აკაკი წერეთლის ორი უცნობი თარგმანი“, „წახნაგი“, № 2, თბ., 2010, გვ. 65).

---

* იოსებ გრიშაშვილის შეფასებით, „ლერმონტივის ეს „ჩინებული ლექსი“, როგორც მას „ცისკრის“ რედაქტორი აღნიშნავს, არც ისე „ჩინებულად“ იყო ნათარგმნი“ (გრიშაშვილი 1957:134).

წინამდებარე სტატიაში კი განხილული იქნება აკაკის კიდევ ოთხი თარგმნილი ლექსი, რომელთაგან ერთი — მიხეილ ლერმონტოვის „სიზმარი" პირველად დაიბეჭდება ახალ აკადემიურ გამოცემაში აკაკის თარიღიანი ხელნაწერი ავტოგრაფიდან (იხ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის ფონდი, № 25 909).

როგორც დასანყისში შევნიშნეთ, სწორედ ლერმონტოვი იყო ის პირველი რუსი პოეტი, რომელმაც ჭაბუკი აკაკის ყურადღება მიიპყრო და რუსული პოეზიის მშვენება — „რტო პალესტინისა" ათარგმნინა. გამოქვეყნდა ეს თარგმანი ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე (ცისკარი 1858: № 11, 129-131).

საგულისხმოა, რომ ეს ლექსი — „Ветка Палестины" ლერმონტოვმა 1837 წელს დაწერა, როცა მის წინააღმდეგ აღიძრა საქმე პუშკინის გარდაცვალების გამო დაწერილ მის ლექსზე „Смерть поэта" და რის გამოც მან დახმარება სთხოვა იმხანად სასახლის კართან ახლო მდგარ მოხელესა და ლიტერატორს, ალექსანდრ მურავიოვს. ამ ფაქტთან დაკავშირებით მურავიოვი იგონებს, რომ დიდხანს ელოდა მას დახმარების სათხოვნელად მისული ლერმონტოვი და ამ ლოდინში შემთხვევით შენიშნულმა პალმის რტომ შთააგონა მას ეს ბრწყინვალე ლექსი: «Долго ожидал меня, — იგონებს ა. მურავიოვი — и ... написал он... чудные свои стихи « Ветка Палестины», которые по внезапному вдохновению у него исторглись в моей образной, при виде палестинских пальм, принесенных мною с Востока» (ლერმონტოვი 1979: 593). პალესტინის წმინდა ადგილების მოლოცვისას მურავიოვს წამოუღია იერუსალიმიდან ეს „ოსტატურად დაწნული პალმის რტო" და ხატების წინ დაუკიდია იგი. მასთან სტუმრად მისული ლერმონტოვი აღუფრთოვანებია ამ რტოს და შთაგონებულ პოეტს ერთი ამოსუნთქვით შეუთხზავს ეს ლექსი. ჩანს, იქ, სადაც ლერმონტოვის ეს ლექსი წაიკითხა ყმაწვილმა გიმნაზისტმა აკაკიმ, ალბათ, ხელიც მიუწვდებოდა მურავიოვის ამ მოგონებაზე და ლერმონტოვზე არანაკლები აღფრთოვანების შედეგი უნდა ყოფილიყო ამ თარგმანის დაბადებაც.

«Ветка Палестины» პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში «Отечественные Записки», 1839 წელს, ხოლო 1840 წელს დაიბეჭდა იგი ლერმონტოვის სიცოცხლეში ერთადერთხელ გამოცემულ ერთტომეულში. როდის და როგორ მოხვდა ეს ლექსი ჭაბუკი აკაკის თვალსაწიერში, ძნელი სათქმელია, ის კი ცხადია, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამან პოეზიის გზაზე ახლადფეხშედგმულ ყმანვილ-

ზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ პალესტინის თემამ შემთხვევით არ მიიქცია მისი ყურადღება, რასაც მისი მომდევნო ორიგინალური ლექსები თუ თარგმნებიც გვიდასტურებენ. მხედველობაში მაქვს იმავე წლებში თარგმნილი ბაირონის ლექსი „We sat down end wept" (ამაზე ქვემოთ).

აკაკის თარგმანი „რტო პალესტინისა" შესრულებულია ზედმინევნით გულმოდგინედ, პოეტური სახეების ადეკვატური აღქმით, ბწკარედის სიზუსტით აღწერილი დეტალებით:

Прозрачный сумрак, луч лампады,	კიდობან-ჯვარი, სიმვოლო წმიდა...
Кивот и крест, символ святой...	მჭვირვალე ბინდი სხივ-კანკელისა,
Все полно мира и отрады	სავსე მშვიდობით და ნუგეშითა
Вокруг тебя и над тобой.	შენსა ზედა და გარემო შენსა.

აკაკის მიერ თარგმნილი ლექსები, გარდა კრილოვის იგავ-არაკთა შეუდარებელი თარგმანებისა, ხშირ შემთხვევაში, გარკვეულწილად ბწკარედის შთაბეჭდილებას სტოვებს (იხ. მსჯელობა ამასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ გამოსაცემად მომზადებულ IX ტომის კომენტარებში), თუმცა დედნის მხატვრული სახეები, შედარებები თუ მეტაფორები მეტნაკლებად თარგმანშიც აისახებოდა ხოლმე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მხრივ აკაკის სწორედ ეს თარგმანი საგრძნობი უპირატესობით გამოირჩევა, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს ახალბედა მთარგმნელის აღფრთოვანების შედეგად მიღწეულ წარმატებას.

მეორე მნიშვნელოვანი თარგმანი ლერმონტოვის პოეზიიდან აკაკი წერეთელმა უკვე პეტერბურგში, უნივერსიტეტის კედლებში მყოფმა განახორციელა. ესაა რუსული პოეზიის მშვენება — „სიზმარი".

აკაკი წერეთლის ეს თარგმანი პოეტის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. არ დაბეჭდილა იგი აგრეთვე დღემდე არც ერთ გამოცემაში. ლექსი შემოინახა ერთადერთმა თარიღიანმა ავტოგრაფმა, რომელიც მოთავსებულია კირილე ლორთქიფანიძის მიერ შედგენილ ხელნაწერ ალმანახში „ჩონგური".

უთარგმნია ეს ლექსი აკაკის პეტერბურგში, როცა იგი სწავლის გასაგრძელებლად ჩავიდა რუსეთის დედაქალაქში და მაშინვე დაეწაფა იქაურ მღელვარე კულტურულ თუ ლიტერატურულ ცხოვრებას. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ წლებში შექმნა პოეტმა ევ-

როპული თუ რუსული მწერლობის სფეროში სხვა მნიშვნელოვანი თარგმანებიც.

ეს ლექსი — «Сон» ლერმონტოვს 1841 წლის ზაფხულში დაუწერია, როცა იგი უკანასკნელად გაემგზავრა კავკასიაში. გამოქვეყნდა იგი 1843 წელს ჟურნალში «Отечественные записки» (т. 27, № 4, отд. 1, с. 183). როგორც ე. ვასილენკო მოგვითხრობს, გამგზავრების წინ ვ. ოდოევსკის მისთვის უჩუქებია უბის წიგნაკი ერთი პირობით — «с тем, чтобы он (Лермонтов) возвратил ее ...всю исписанную» და მართლაც, ლერმონტოვს აუვსია ეს უბის წიგნაკი საქვეყნოდ ცნობილი თავისი შედევრებით, რომელთა შორის იყო „სიზმარიც“. ხოლო თუ რას ნიშნავდა რუსული პოეზიისთვის ეს ლექსი, ცხადი ხდება ვლადიმირ სოლოვიოვის სიტყვებიდან: «Одного этого стихотворения, конечно, достаточно, чтобы признать за Лермонтовым врожденный, через голову многих поколений переданный ему гений» (სოლოვიოვი 1991:389).

როგორია ეს თარგმანი?

აკაკის თარგმანში ლერმონტოვის ლექსის ხუთი სტროფი ათ სტროფადაა გაშლილი. ეს იწვევს ლერმონტოვის ლექსის ერთგვარად წყნარი, დაუნჯებული თხრობის გადაყვანას მსუბუქ ტონალობაში, შეიძლება ითქვას, ხალხური შაირის კილოზე აწყობას, რაც, ვფიქრობ, საკმაოდ აზარალებს დედნის შთაბეჭდილებას. მაგალითისათვის:

«В полдневный жар в долине Дагестана	„დაღისტნის ტიალ მინდორზედ
С свинцом в груди лежал недвижим я,	შუა დღისას, ცხელ ზაფხულში,
Глубокая еще дымилась рана,	მკვდარივით უძრავად ვეგდე,
По капле кровь точилася моя».	ტყვია მაჯდა კაკალ გულში“

მოტანილი შედარებიდან ცხადი ხდება, თუ როგორ ზარალდება დედნის მწყაზარი, ეპიურ-დრამატული თხრობა შაირის ტონალობაში გადატანით, რომ აღარაფერი ვთქვათ მხატვრული სახეების დაუდევარ ჩანაცვლებაზე: მაგ., თავისთავად მშვენიერი ხალხური ლექსის ჰანგიც კი — „ძმა-ბიჭებში დაჩაგრული, მე ვარ სიმონა დოლიძე...“ (ან მსგავსი რამ შაირი), საკმაოდ დისონანსურია „სიზმარის“ ჟღერადობისთვის, მაგრამ ბევრად უფრო ძლიერ დისონანსს იწვევს აკაკის თარგმანში იმერიზმი — „ტყვია მაჯდა კაკალ გულში“ შესატყვისად დედნისა — «С свинцом в груди лежал недвижим я», რომელიც წარმოადგენს ერთგვარ წინასწარმეტყველურ რემინისცენციას მისივე ლექსისა «Смерть Поэта». ბუნებრივია,

რომ შემაძრწუნებელი სიტყვების «С свинцом в груди лежал недвижим я» დაუნდობელი რეალიზმი სრულიად უფერულდება, როცა მათ ნაცვლად ვკითხულობთ „ტყვია მაჯდა კაკალ გულში“. სტრიქონი ვერ აჟღერდა შესატყვის პანგზე, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ რემინისცენციაზე, რომელიც, ვლ. სოლოვიოვის თქმით, „უნებლიეთ აახლოვებს ორი რუსი გენიოსის ბედს“, თუ ბედუკუღმართობას!*

შედარებით უკეთესად გამოიყურება ლექსის მომდევნო სტროფების თარგმანი — მაგ., დაჭრილი ჭაბუკის სიზმარშივე ნახული სატრფოს სიზმარი: როგორც ვლ. სოლოვიოვი შენიშნავს: «Тут из одного сна выходит по крайной мере, три. 1) Сон здорового Лермонтова, который видел себя самого смертельно раненым...2) Но видя умирающего Лермонтова, здоровый Лермонтов видел вместе с тем и то, что снится умирающему Лермонтову:

«И снился мне сияющий огнями
Вечерный пир в родимой стороне ...

это уже достойно удивления...Но таким сном (2) дело не оканчивается, а является сон (3),

«И в грустный сон душа ее младая
Бог знает чем была погружена»
(სოლოვიოვი 1991: 388-389)**.

აკაკის თარგმანში გულგანგმირული პოეტის სიზმრად ნანახი სატრფოს სიზმარი ასევე თანამიმდევრულადაა გადმოცემული:

მაგრამ მკვდარივით მეძინა
და ვნახე მაშინ იმ ძილში,
ვითომ ჩემს მშობელ მხარეში
ჰქონდათ დიდი რამ მეჯლიში...

აღწერს აკაკი მომაკვდავი პოეტის ძილში ნახულ სიზმარს — что снится умирающему Лермонтову, ხოლო ამ სიზმარში ხილულ ზმა-

---

* აღსანიშნავია, რომ ორი წლით ადრე, 1860 წელს, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში (პაველოვსკში) ამავე ლექსს დედნისეულ დრამატიზმთან მისადაგებული 14-მარცვლიანი მეტრით თარგმნის. მის თარგმანში ეს შესიტყვება «с свинцом в груди» ადეკვატური სიძლიერით არის გადმოცემული: „ტყვიითა გულში“ (ჭავჭავაძე 1951: 268). ამ თარგმანის შესახებ იხ. ([გრიშაშვილი 1957:135).

** ამ „სამმაგი სიზმრის“ თემას ვლ. ნაბოკოვი პოულობს „ჩვენი დროის გმირის“ ნარაციის სტრუქტურაში. იხ. მისი წინასიტყვაობა ინგლისურად მისივე თარგმნილი ლერმონტოვის რომანისათვის (ნაბოკოვი 2010: 1-4).

ნებას — И в грустный сон душа ее младая, Бог знает, чем была погружена — კი ასეა გადმოცემული:

მხოლოდ ერთი ტურფა ქალი
მაშინ იმათ მუსაიფში
არ ერეოდა და იყო
შესული რაღაცა ფიქრში.
და ღმერთმა უწყის რის გამო
იმისი ჭაბუკი გული
იმ დროსა იტანჯებოდა
და იყო აღელვებული.

მესამე (ვლ. სოლოვიოვის განმარტებით) დამაგვირგვინებელ წინასწარმეტყველურ ხილვას პოეტისა —

«И снилась ей долина Дагестана,
Знакомый труп лежад в долине той
В его груди дымилась, чернела рана,
И кровь лилась хладеющей струей».

აკაკის თარგმანში ასეთი სახე აქვს:

თურმე თვალნინ წარმოუდგა
საწყალს დაღესტნისა ველი
და ნახა, რომ იქ უსულოდ
ეგდო მისი საყვარელი.
უწყალოდ დაჭრილი გული
უშავდებოდა მას ჩქარა
და გადმოსჩქებდა იქიდამ
ცივი სისხლისა კამარა".

ეს საფეხურებრივი თანამიმდევრობა ლერმონტოვის სიზმარზმანებებისა აკაკის თარგმანშიც ასევე საფეხურებრივადაა გადმოცემული, თუმცა არა დედნის ადეკვატური წარმატებით. ჩანს, პოეტი აღარ მიბრუნებია თარგმანის ტექსტს, რასაც მისი ერთადერთი, შეიძლება თქვას, ნედლი ავტოგრაფი, მოწმობს.

აკაკი წერეთლის უთარიღო თხზულებებში მოხვედრილია თარგმანი პუშკინის ლექსისა — „ყვავმა დასძახა ყორანსა". თარგმანი შემორჩენილია ერთადერთი უთარიღო ავტოგრაფით. შესრულებული უნდა იყოს იგი 1860-1864 წლებში, როცა ჭაბუკი აკაკი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა.

პუშკინის ეს ლექსი დაიბეჭდა ალმანახში: «Северные цветы», 1828 წელს, ხოლო 1829 წელს იგი შევიდა წიგნში: «Сочинения Александра Пушкина», 1829 г.

ალმანახში სათაურად ეწერა: «Два ворона», ხოლო წიგნში იგი შევიდა უსათაუროდ, პირველი სტრიქონით: «Ворон к ворону летит», ქვესათაურად კი მითითებული იყო: «Шотландская песня». აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის — შვიდტომეულის მეორე ტომშიც (გვ. 735), დაფიქსირებულია ეს ცნობა: „ლექსი „ყვავმა დასძახა ყორანსა", რომელიც აკაკიმ თარგმნა პუშკინიდან, პუშკინს თავის მხრივ, თარგმნილი აქვს ინგლისურიდან (იგი წარმოადგენს ხალხურ შოტლანდიურ ლექსს)", ხოლო თხუთმეტტომეულის მეოთხე ტომის კომენტარებში მხოლოდ ავტოგრაფის პასპორტია მითითებული.

რუსულ წყაროებში მოიპოვება უფრო ზუსტი ცნობა ამ თარგმანის წარმომავლობაზე: «Шотландский источник ... Баллада «Два ворона» ... действительно находится среди народных баллад, собранных и опубликованных Вальтером Скоттом и известных Пушкину по прозаическому французскому переводу, который сохранился в составе его (Пушкина) библиотеки» (ლობანოვა: 112).

რუს პუშკინისტებს თანამიმდევრულად გამოუკვლევიათ ამ ლექსის თარგმნა-გადმოკეთების ვითარება და ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად საინტერესო დასკვნები გამოუტანიათ, რაც თვით აკაკი წერეთლის თარგმანისა და, საერთოდ, ლექსის თარგმნა-გადმოკეთების ზოგადი პრობლემის ანალიზისთვისაც კარგ სამსახურს გაგვიწევს (ამის შესახებ იხ. ოცტომეულის IX ტომის შესავალი).

კერძოდ, რაკი პუშკინს თარგმნისას ხელთ ჰქონია შოტლანდიური ხალხური ბალადა (ფრანგული პროზაული ვარიანტი), ბუნებრივია პოეტს დაუწყია რუსულ ხალხურ პოეზიაში მსგავსი მასალის მოძიებაც, რადგან საყოველთაოდ ცნობილია მისი მჭიდრო შემოქმედებითი დამოკიდებულება რუსულ ფოლკლორისადმი როგორც სიუჟეტების, ისე მხატვრული სახეების უხვად და წარმატებით გამოყენებისა ორიგინალურ პოეტურ თუ პროზაულ თხზულებებში.

ირკვევა, რომ პუშკინი ამ ბალადის თარგმნის პროცესში ცდილობდა, შოტლანდიური ბალადის მხატვრული კომპონენტები რაც შეიძლება ბუნებრივად ჩაენაცვლებინა რუსული ფოლკლორული სახეებითა და ეპითეტებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს თარგმანი პირველად გამოქვეყნდა 1828 წელს ჟურნალში «Северные цветы», „სათაურით «Два ворона», მაგრამ მომდევნო — 1829 წელს ეს ლექსი შევიდა კრებულში — «Сочинения Александра Пушкина» უკვე უსათაუროდ, როგორც «Шотландская песня», ხოლო უფრო გვიან — პირველ სტრიქონად გამოტანილი სათაურით — «Ворон к ворону летит». გამოკვლევას კი ასეთი განმარტება ახლავს:

«Исследователи отмечают перенос действия в обстановку, обычную для произведений русского народного творчества – вместо «старой стены» оригинала у Пушкина появляется «ракита» – сначала «за горою», затем «в чистом поле», вместо «рыцаря» ... «молодец», затем – «богатырь», вместо «ястреба» – «сокол», вместо «собаки» – «конь», затем «лошадь» и, наконец, «кобылка вороная», вместо «дамы» или «возлюбленной» – «подружка», а затем – «хозяйка молодая» (ლობანოვა 2010: 111). ფოლკლორული ეპითეტებისა და მეტაფორების ესოდენ უხვად გამოყენება პუშკინის მიერ თარგმანში — «Ворон к ворону летит», აფიქრებინებს რუს მკვლევარებს, რომ პოეტი იცნობდა რუსულ ხალხურ სიმღერას «Горы Воробьевские», დრამატული შინაარსის გრძლად სამღერ ლექსს, რომელმაც არაჩვეულებრივად მეტყველი გახადა პუშკინის თარგმანი.

როგორ თარგმნა აკაკი წერეთელმა შოტლანდიური ფოლკლორიდან წარმომავალი პუშკინის ეს შედევრი?

რაღა თქმა უნდა, რომ აკაკი, ქართული ფოლკლორის დიდი მცოდნე და მოჭირნახულე, ადვილად გაითავისებდა არაერთ ქართულ ხალხურ ლექსს თუ სიმღერას დაღუპული გმირის ტრაგიკული ბედის შესახებ. ამიტომაც ხალხური პოეზიის წყაროს დაწაფებული აკაკის თარგმანი სწორედ ამ მხატვრული სახეებითაა ნაკვები. ამას პირველივე სტრიქონი გვიდასტურებს: „ყვავმა დასძახა ყორანსა“ ქართულ პოეზიაში ხომ სწორედ „ყვავი“ და „ყორანი“ უქმნის მკითხველს რაღაც შავბედითობის, უბედურების განცდას. ეს მხატვრული სახე საბედისწეროდ გაისმის „ნარჩევი ვაჟების“ თითქმის ყოველი უიღბლო განსაცდელის რექვიემად: „ჭამლისკლდეს ყეფდა ყორანი, ერთი უძახებს სხვასაო...“; „სისხლისა კვალზედ გაუდგა, ყორან თან მისდევს კლდისაო.“ ყორანია საბედისწერო აღსასრულის მომასწავებელი „მერნის“ გმირისთვისაც: „შავი ყორანი გამითხრის საფლავს...“; ან ვაჟას:„ არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა...“ და ა.შ.

სწორედ ყვავი და ყორანი, ქართული ხალხური პოეტური სამყაროსთვის ესოდენ განუყრელი არსებანი, შემოჰყავს პუშკინის თარგმნის დროს პერსონაჟებად აკაკის: „ყვავმა დასძახა ყორანსა: სადილს სადა ვჭამთ დღესაო...?", რითაც უფრო ამძაფრებს ტრაგიკულ ვითარებას. აკაკის თარგმანშიც ისევე უხვადაა გამოყენებული ხალხური ბალადების პერსონაჟები, როგორც პუშკინთან:

ხალხური:	აკაკი:
„ჭამღის კლდეთ ყეფდა ყორნები, ერთი უძახებს სხვასაო: ველთ მიოს ოჩიაური, გავხყვეთ ამაგის კვალსაო; ჩვენის მისვლისად გასწირავს ყორის ნყალზედა მკვდარსაო, უშიშა არ დაგვაკლებდა სახრაოდ ღილღელის ძვალსაო". (ქართ.ხალხ. პოეზია, IV, გვ. 32).*	„ყორანმა უთხრა: „ყვანჩალავ! სადილი მეგულებაო: მინდორში გდია ვაჟკაცი, დაუმარხავი კედებაო!" ვის რად მოუკლავს, ის იცის მხოლოდღა ბედაურმაო, მისმა კაპოტ-მიმინომ და ცოლმა უბედურმაო".

აკაკის ამ თარგმანის მიმართ სავსებით მისადაგებულია შეფასება, რომელსაც პუშკინის თარგმანის შესახებ გამოთქვამს მკვლევარი ა. ლობანოვა: „Пушкин в процессе работы над стихотворением еще больше заостряет присущий народной балладе драматизм, ее «загадочность», недосказанность... Во взаимодействии шотландского и русского источников с авторской волей поэта возникло органичное произведение совершенной литературной формы, сохранившее сюжетную основу «материнского» шотландского оригинала, заполненную системой образов, полностью соответствующей образности русской песни..." (ლობანოვა: 120).

მართლაც, აკაკის „ყვავმა გასძახა ყორანსა" ინარჩუნებს შოტლანდიური დედნის „მშობლიურობის" კვალსაც, პუშკინის პოეზიის მომხიბვლელობასაც და მაინც ქართული სულით სუნთქავს:

„ღმერთო, რა დიდი ბრალია
სიკვდილი კაის ყმისაო...".

---

* უნდა შეინიშნოს, რომ აკაკისთვის ალბათ უცნობი იქნებოდა ეს ხევსურული ლექსი, რომელიც მის ხანაში გამოქვეყნებული არ ყოფილა. თუმცა ამას არსებითი მნიშვნელებოა არ უნდა ჰქონდეს: აკაკის ლექსი ხომ საერთო ქართულ ხალხურ ტრადიციას გამოხატავს, მიუხედავად იმისა, იცნობდა თუ არა იგი ამ კონკრეტულ ლექსს.

ამბობს წუთისოფლის დაუნდობლობის მოწმე ხალხი. ხოლო აკაკი ასე მოგვითხრობს:

„მაგრამ მიმინო გაფრინდა,
სიტყვა არ ეყურებაო!
ბედაურზედ ზის სხვა ვინმე
და ცოლთან ეშურებაო!"

და კიდევ ერთი თარგმანი აკაკი წერეთლისა, რომელიც ასევე მისი სტუდენტობის ხანას განეკუთვნება. ესაა ბრწყინვალე ლექსი — „გოდება ებრაული", რომელსაც ქვესათაურად უწერია: „ბაირონით".

აკაკი წერეთელს სრულიად განსხვავებული ორი რედაქცია შეუქმნია ამ თარგმანისა. პირველად იგი გამოქვეყნდა 1863 წელს „ცისკარში" და განმეორებით დაიბეჭდა აკაკის სიცოცხლეშივე გამოცემულ ორ სხვა პუბლიკაციაში — 1893 წელს თხზულებათა პირველ ტომში და 1912 წელს „ჩემი ნაწერების" პირველ ტომში.

ეს ტექსტი თითქმის სიტყვა-სიტყვით, უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობის გარდა, იმეორებს ორივე ამ წყაროს. მაგრამ თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ამ გამოქვეყნებული ტექსტის პარალელურად იქმნება საგრძნობლად განსხვავებული შინაარსის ახალი ტექსტი, ახალი და სრულიად მტკიცე განსხვავებული თარიღით — 1901 წ., 3 ღვინობისთვე, ს. ტყვიავი. ამ ახალი რედაქციის სათაურია — „გოდება ებრაელთა". დაიბეჭდა ლექსის ეს რედაქცია „ივერიაში" (1901 წ., № 213).

ალ. აბაშელისა და პ. ინგოროყვას რედაქციით დაბეჭდილ შვიდტომეულის მეორე ტომში ძირითად ტექსტად აღებულია „ივერიის" ტექსტი — „ჰგოდებს ისრაილ", ვრცელი თარიღით — [1863-1901]. ხოლო „ცისკრის" 1863 წლის რედაქცია კი — „ბაბილონისა წყლისა კიდეთა" „ვარიანტებშია" გატანილი თარიღით — 1863 წელი.

რაც შეეხება აკაკის თხზულებათა სრული კრებულის თხუთმეტტომეულს, მეოთხე ტომის 59-ე გვერდზე დაბეჭდილია აგრეთვე „ივერიის" ტექსტი — „ჰგოდებს ისრაილ" და თარიღიც „ივერიის" ტექსტისა უზის (1901), ხოლო ვარიანტებში გატანილია 1863 წლის „ცისკრის" პუბლიკაცია — „ბაბილონისა წყლისა კიდეთა" (გვ. 438), თარიღის მითითების გარეშე.

ინგლისური დედნის გაცნობამ დაგვანახა, რომ ბაირონს თითქმის სიტყვასიტყვით აქვს გალექსილი 136-ე ფსალმუნი დავითისა. მოთავსებულია იგი ებრაული სიმღერების კრებულში: „Hebrew Me-

lodiel", სათაურით „By the Rivers of Babylon we sat down and wept" (ბაირონი 1815: 44). ბუნებრივია, რომ თარგმნისას აკაკიც გაიზიარებდა ბაირონის პოზიციას და ასევე თანამიმდევრულად მიჰყვებოდა ფსალმუნის ტექსტს.

თვალსაჩინოებისათვის, თუ რამდენად თანამიმდევრულია აკაკის თარგმანი 136-ე ფსალმუნის ქართული ტექსტისა, საჭიროდ მივიჩნიეთ მათი პარალელურად მოტანა:

აკაკის თარგმანი:	136-ე ფსალმუნი:
„ბაბილონისა წყლისა კიდეთა დამონებული ერთად ვისხედით ვიგონებდით რა წარსულთა დღეთა, ბედით ჩაგრულნი, აღვსილნი სევდით.	მდინარეთა ზედა ბაბვილონისათა მუნ დავსხედით და ვტიროდეთ, რაჟამს მოვიხსენეთ ჩუენ სიონი.
ძენნას საკრავი უქმად დავკიდეთ, ვიგლოვდით ჩვენსა საგლოვარს მწარეს და ცრემლთა ღვარი რწყავდა რა კიდეთ ცხლად ერთობოდა ცივსა მდინარეს.	ძენნათა ზედა, შორის მისსა დავჰკიდეთ საგალობელი ჩუენი;
წარმტყვენნი ჩვენნი მაშინ გაკიცხვით მიზეზს გვკითხავდენ მწუხარებისას და მტერნი ჩვენნი ბრძანებისა ხმით გვეტყოდენ მათდა შესხმას ქებისას.	რამეთუ მუნ მკითხვიდეს ჩუენ წარმტყუენველნი ჩუენნი სიტყუათა გალობისათა და წარმყვანებელნი ჩუენნი მეტყოდეს ჩუენ: გუაქებდით ჩუენ გალობითა მით სიონისაითა!"
„აიღეთ თქვენნი ჩანგნი, ბობღანნი, ჩვეულებრივად ჩამოჰკარით სიმს და გვიგალობეთ ჩვენც გალობანი რომლითც აქებდით იერუსალიმს".	

აჰა, გაკიცხვა, შერცხვენა მონის,
წინაპართ ძვლებო, საფლავში
ძრწოდეთ!
წმინდას გალობას ჩვენი სიონის,
უნდა გამკიცხველთ ჩვენთ
ეუგალობდეთ?!

არა, სიონო! წმინდა გალობა
იგი შენია და შენ გეკუთვნის,
მასში არს გრძნობა და ჩვეულება
სამშობლო მხრისა და დედა-ენის.
მას ჩვენ ვერ მივსცემთ მტერს
საკიცხავად,
ვერ დავივიწყებთ ტკბილსა
სამშობლოს,
რაგინდ დაგვტანჯოს, მოგვეპყრას
ავად,
სიკვდილამდეც რომ სასტიკად
გვდევნოს.

ოჰ, გასწყდით, სიმნო, გაქვავდი ენა
და უძრავადა მიეკარ სასას,
თუ რომ სიონის გალობით ჩვენა
ძალით ვატკბობდეთ სასმენელს
მტრისას!

ნეტარ არს იგი, ძე სიონისა,
ვისაც მონება მტრისა არა ჰსურს,
რომელიც ძეთა ბაბილონისა —
ემტერებოდეს და აგებდეს შურს.

და როს შეიპყრობს ბაბილონის
შვილს,
მაშინ სიცოცხლეს დაამწარებდეს,
კლდესა ასრესდეს თოთოს თავით
ჩჩვილს
და ზედ კმაყოფით
დაჰხარხარებდეს!"

ვითარ-მე გაქებდეთ შენ გალობითა
უფლისაითა ქუეყანასა ამას
უცხოსა?

უკუეთუ დაგივიწყო შენ,
იერუსალემ,
დამივიწყენ მეცა მარჯუენემან
შენმან!

აღექუნ ენაი ჩემი სასასა ჩემსა,
არა თუ მოგიხსენო შენ და არა თუ
პირველებრვე განგებულ გყო შენ,
იერუსალემ,
ვითარცა სახეი
დასაბამსა მას სიხარულისა
შენისასა!

მოიხსენენ, უფალო, ძენი ედომისნი
და დღეი იგი იერუსალემისაი,
რომელნი იტყოდეს:
„დაარღვიეთ, დაარღვიეთ
მისაფუძველადმდე!"

ასულო ბაბილონისაო, უბადრუკო,
ნეტარ არს, რომელმან მიგაგოს,
მისაგებელი შენი, რომელ შენ
მომაგე ჩუენ!
ნეტარ არს, რომელმაც შეიპყრნეს
ყრმანი შენნი
და შეჰხეთქნეს კლდესა! "

როგორც ვხედავთ, აკაკის 1863 წლის თარგმანი „გოდება ებრაული“ სავსებით მისდევს ბაირონის ზემოხსენებულ ლექსს, ანუ 136-ე ფსალმუნის თარგმანის ტექსტს. რაც შეეხება 1901 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ „გოდება ებრაელთას“, იგი საგრძნობლად განსხვავდება 1863 წელს გამოქვეყნებული ტექსტისაგან, თუმცა მასაც მიწერილი აქვს — „ბაირონით“ და თემაც ლექსისა იგივეა, მაგრამ აქ უფრო გაძლიერებულია პატრიოტული პათოსი („წმინდა-წმინდათა ხარ, ეროვნებავ, თვით ტყვეობაშიც ხელუხლებელო!“), რომელიც აშორებს მას პირვანდელ ტექსტს და რის გამოც მისი ვარიანტად მიჩნევა გაუმართლებელია. ვარიანტად იგი ვერ ჩაითვლება თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს ტექსტები 40-წლიანი ინტერვალით არიან დაშორებული ერთმანეთისაგან. ამიტომ უფრო სწორად მივიჩნიეთ, რომ ძირითად წყაროდ ტომში მოგვეთავსებინა პირველნაბეჭდი ტექსტი — 1863 წელს ბაირონიდან თარგმნილი და 136-ე ფსალმუნის ძველი ქართული თარგმანით შთაგონებული „გოდება ებრაული“ („ბაბილონისა წყლისა კიდეთა“), ხოლო 1901 წლის „ივერიის“ ტექსტი „გოდება ებრაელთა“ (ჰგოდებს ისრაელ“), დაგვებეჭდა არა „ვარიანტებში“, განსხვავებულ რედაქციად, არამედ დამოუკიდებელ პოეტურ მოვლენად აკაკის შემოქმედებაში, სათანადო ქრონოლოგიურ ადგილზე, მით უმეტეს, რომ 1901 წლის „ივერიის“ ტექსტი, ფაქტიურად, სრულიად ახალი, დამოუკიდებელი თხზულებაა საკუთარი დამოუკიდებელი თარიღით. აი, ეს ლექსიც:

გოდება ებრაელთა
(ბაირონიდან)

ჰგოდებს ისრაილ, მოსთქვამს იუდა
და ებრაელნი სტირიან ერთხმად,
რომ ბაბილონის, ამიერიდან
გადაქცეულან მონებად და ყმად!
მტრები მოყვრულად გარს ეხვევიან,
ეუბნებიან: „რასა სწუხართო?
თქვენც ჩვენთან ერთად იმხიარულეთ
და მონყენილი ეგრე ნუ ხართო!..
ჩვენებურ ჰანგზე მოჰმართეთ ჩანგი!
გადმოაკეთეთ თქვენი ხმებიო
და გვიგალობეთ ქებათა-ქება!..
ჩვენ ბატონი ვართ და თქვენ ყმებიო!..
დაემორჩილეთ ბედს! ნურას ჩიეთო!..

აღარავინ გყავთ თქვენ გამგონიო.
ნუღარ იგონებთ იერუსალიმს!..
გახსოვდეთ მხოლოდ ბაბილონიო!"
აი, სად არის შეურაცხყოფა!
ამას ეტყვიან მხოლოდ ცოცხალ მკვდრებს!..
ჩვენი სიონის წმინდა გალობა
უნდა ვუმღეროთ ჩვენს მოსისხარ მტრებს?
არა, სიონო, ვერ გიღალატებთ,
სანამდის პირში გვიდგია სული! —
შენი ტახტია...შენი სამარე
შეურყეველად ეს ჩვენი გული!.
თუმც კი მონა ვართ დღეს ბაბილონის,
მაგრამ უნებურ და უსულგულოდ...
და, მაშ, საერთო რა გვაქვს ჩვენს მტრებთან,
რომ მათთან ერთად ვიმხიარულოთ?
დასწყდით სიმებო, გაქვავდი ენავ,
მტრების მაქებარ-მადიდებელო!..
წმინდა-წმინდათა ხარ, ეროვნებავ,
თვით ტყვეობაშიც ხელუხლებელო!
სამგლოვიარო ძაძას ჩავიცვამთ,
თავზე დაეყრით ნაცარსა და მტვერს
და თანაგრძნობით არ გავახარებთ
სამოყვროდ მოსულს და განაცხად მტერს...
ნეტარ არს მხოლოდ ის ებრაელი,
ვინცა მონურად მტერს არ უხრის თავს
და სამშობლოსთვის თავისდადებას
სამხიარულოდ გამოისახავს!..
ქვეყნის სავნებელს და სასარგებლოს
დაუფარავად ვინც აღიარებს!..
და მისის ქვეყნის მტრის ნორჩ ყმაწვილებს
თავს უჭყლეტს ქვით და ზედ დახარხარებს!!.."
(1901წ., 3 ღვინობისთვე, ს. ტყვიავი)

ეს ფაქტი გვიდასტურებს, რომ აკაკი წერეთელი თავისი სამწერლო მოღვაწეობის გრძელ გზაზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ებრაულ თემასთან. იგი არაერთხელ უბრუნდებოდა მას, პოულობდა მასში შთაგონების წყაროს და პოეტურად სრულყოფდა ახალ-ახალი სახეებით ებრაული თქმულებებისა თუ ბიბლიური სიუჟეტების კვალდაკვალ. ქუთაისსა თუ საჩხერეში ხანგრძლივი და ხშირი ცხოვრება, ებრაულ საზოგადოებასთან სიახლოვე ახალ-ახალი ცნობისწადილითა და ებრაელი ხალხის ყოფა-ცხოვრების

მდიდარი სურათებით კვებავდა აკაკის პოეტურ ფანტაზიას. ამის დასტურია ისიც, რომ ეს თემა მუდმივად გასდევს მის პოეზიას — დასაწყისში, 1863 წელს, თარგმანით „გოდება ებრაული“, ოთხი ათეული წლის შემდეგ, 1901 წელს — ლექსით „გოდება ებრაელთა“, რომელსაც ქვესათაურად აწერია (ბაირონით) და, მიწურულშიც — 1907-8 წლებში ბრწყინვალე ორიგინალური ლექსით — „ურიული მოთქმით ტირილი საქართველოში“:

ახა, ნარინჯო, ნარინჯო, შე ბროწეულო, იაო,
პირი ზურგისკენ გიქნია, კისერი მოგგრეხიაო!..
აღარა ჰყვავი ვარდივით, რა ფერი დაგდებიაო?..

ლექსის ამ ფრაგმენტის მეორე სტრიქონთან ერთად* თითქოს უჩვეულოა ებრაული კულტურისა თუ ძველი აღთქმის კონტექსტში ნარინჯი, ია, ვარდი, თუმცა ეს არ ანელებს შეძახილის ექსპრესიას, რაღაც მისტიკურ ელფერს კი აძლევს მას. შთამბეჭდავი და მრავალსაუკუნოვანი კონტექსტის შემცველია მომდევნო ხანა, როცა მესიის მოლოდინით სავსე ჭირისუფალი აბარებს მიცვალებულს:

იქ ნახავ იერემიას, გადაეც გულში ნადები:
ჯერ არ სრულდება არც ერთი იმისი დანაქადები,
ველით და ველით მესიას, გვიგვიანდება ვადები...“

ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, რომ აკაკი წერეთელი ბავშვობიდანვე მხურვალედ ეწაფებოდა ძველი აღთქმის წიგნებს, როგორც ტრადიციული ქართული ოჯახის შვილი, ხოლო სიმწიფის ხანიდანვე მთელი მისი პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური შემოქმედება ღრმა და ორგანული კავშირებითაა გამსჭვალული ამ ხელთუქმნელი სიბრძნის მიმართ. ბევრი შთამბეჭდავი მხატვრული სახე მისი ნაწარმოებებისა ამ დაუშრეტელი წყაროთი იკვებება. ბიბლიური სახეები, პერსონაჟები და მოვლენები ქართველი პოეტისთვის ის საყრდენებია, რომელთა მეშვეობით იგი საკუთარი ხალხის ბედუკულმართობას და, ამასთანავე, იმედი-

* ამ ადგილს ავტორისეული სრულიად მოულოდნელი შენიშვნა ერთვის: „ებრაელები მკვდარს კისერს უგრეხენ ზურგისაკენ და ნაჯახსა და ფულს თან ჩაატანებენ“. ამ ჩვეულებას არც ერთი ეთნოგრაფიული ნყარო და არც ებრაელთა გამოკითხვა არ ადასტურებს. თუმცა დადასტურებულია ბიბლიაში, რომ სამსხვერპლო პირუტყვს განსაკუთრებულ შემთხვევაში კისერს უმტვრევდნენ (რჯლ. 21:4). შესაძლოა, აკაკის ამგვარად სურდა გამოეხატა ებრაელის, როგორც მსხვერპლის, მდგომარეობა.

ან მოლოდინებს გამოხატავს. ამ „ურიულ მოთქმაში“ კი ჩვენი პოეტი უბრუნდება საღვთო წიგნის ებრაულ საზრისს და ებრაელი ერის სახელით მოთქვამს და ამ მოთქმაში მისი მშობლიური ხალხის დაუამებელი ტკივილის ხმა გაისმის.

„შეხვდები მოსეს, აარონს, ილიას, ელისესაო —
უთხარი: არ ვსტეხთ „ძველ აღთქმას, რაც რჯულმა დაგვიწესაო;
ვერ ვხედავთ ახალ რჯულებში იმ ძველზე უკეთესსაო,
გადაგვამტერა ქვეყანა იმან და დაგვაკვნესაო.
. . . . . .
გაბნეული ვართ ყოველგან, სხვადასხვა უცხო მხარესა,
ვერ ვხედავთ იერუსალიმს, იმის მზეს, მისსა მთვარესა,
ვეღარც ვჭვრეტთ სოლომონისა დიდ ტაძარს მოელვარესა...“.

ასეთი სევდითა და მწუხარებითაა აღსავსე „ურიული მოთქმით ტირილი საქართველოში“. და ეს მწუხარე თემა, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ბუნებრივად გასდევს აკაკის თარგმანებსაც და ორიგინალურ ლექსსაც, რადგან საუკუნეების მიღმა ამ ორი ხალხის ბედიღბალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთურთთან — არაერთგზის თქმულა, რომ ქართულ მიწაზე დამკვიდრებულ ებრაელთათვის იგი მეორე სამშობლოდ განიხილებოდა, მათი ეროვნული ავბედითობა „სხვისა ჭირად“ არასოდეს მიუჩნევიათ ქართველებს, ხოლო მათ ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს მუდამ თანაგრძნობასა და გაზიარებას აგებებდნენ ადგილობრივი მკვიდრნი. ჩანს, აკაკი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ებრაული გოდების თემას ამჯერად ორიგინალურ ლექსში, რომ უფრო მაღალ, შთამბეჭდავ პოეტურ სიმაღლეზე აეყვანა იგი.

დაგიკრეფია ხელები, თვალები დაგხუჭვიაო,
აქ დაგრჩენია, რაც გქონდა, თან ეელარ წაგილიაო,
ნაცვლად დაგხვდება იმ ქვეყნად სამოთხის კარი ღიაო....
იქაურებსაც გადაეც, რაც რომ აქ გაგიგიაო!
ახა, ნარინჯო, ნარინჯო, შე ბროწეულო, იაო!"

დამოწმებანი:

ბაირონი 1815: *Hebrew Melodies of Lord Byron.* London: 1815.

გრიშაშვილი 1957: გრიშაშვილი ი. *ლიტერატურული ნარკვევები.* თბ.: სახელგამი, 1957.

ვასილენკო 2007: Василенко Е. *Стихотворение «Сон» В контексте судьбы поэта».* http://lit.1september. ru/ 2007/03/10.htm#4a

გვარამაძე 210: გვარამაძე ლ. *აკაკი წერეთლის ორი უცნობი თარგმანი.* „წახნაგი", № 2, თბ.: 2010.

ლერმონტოვი 1979: Лермонтов М. Ю. *Собр. соч.* т. 1, Л.: 1979.

ლობანოვა 2010: Лобанова А. С. *Русский источник «шотландской песни» Пушкина.* «Фундаментальная электрическая литература». Русская Лит. и Фолклор. http://feb-web.ru/feb/pushkin/serial/v95/v95 (მოპოვებულია 07.05.2010).

ნაბოკოვი 2010: Набоков Вл. *Предисловие к «Герою нашего времени».* http://lib.ru/NABOKOW/lermontov.txt (მოპოვებულია 30.09.2010).

სოლოვიოვი 1991: Соловьев В.С. Лермонтов. *Философия исскуства и литературная критика.* М.: «Искусство», 1991.

ჭავჭავაძე 1951: ჭავჭავაძე ი. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.* პ. ინგოროყვას რედაქციით. ტ. I, თბ.: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამ-ბა, 1951.

ჯულიეტა გაბოძე

აკაკის პოემების უცნობი ავტოგრაფები

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის მომზადებისას მიკვლეულ იქნა რამდენიმე უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი ნაწარმოები და ასევე ზოგიერთი უცნობი ავტოგრაფი. დღეს ისინი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის უძვირფასეს შენაძენს წარმოადგენს.

გამოვლენილია პოემების: „ვორონცოვის“ „ალექსის“, „გორის ციხისა“ და „ასი წლის ამბავის“ უცნობი ავტოგრაფები. ეს პოემა აკაკის სიცოცხლეში საერთოდ არ გამოქვეყნებულა.

„ვორონცოვის“ და „ასი წლის ამბავის“ ავტოგრაფები ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში, აკაკის ფონდში. პოემა „ალექსისა“ და „გორის ციხის“ ავტოგრაფები — ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ფონდში.

პოემა „ასი წლის ამბავი“ აკადემიურ გამოცემაში პირველად იბეჭდება, მას აქვს სამი ავტოგრაფული ხელნაწერი №№ 72, 86 და 88, როგორც აღვნიშნეთ, ისინი ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში, ხელნაწერი ასლი კი დაცულია ლიტერატურის მუზეუმში №12 171 რვეული I-II, გვ. 1-44. ტექსტი სრული სახით პოეტის თხზულებათა არც ერთ კრებულში არ გამოქვეყნებულა არც სიცოცხლეში და არც მის შემდეგ (გაბოძე 2010: 72). იოსებ გრიშაშვილმა აკაკის თხზულებათა შვიდტომეულის III ტომში დაბეჭდა პოემის I თავი სათაურით „ასი წლის ამბავი“ — „ტერშმოვაანთ კეკელა“. გვ. 271). შენიშვნებში იგი წერდა: იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით (იხ. საქართველოს მუზ. პალ. განყ. ხელთ. ფონდი №1488 დღევანდელი № 86 — ჯ. გ.). პოემის ერთი ნაწყვეტი დაბეჭდილი იყო ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ — 1916, № 24 (ვარდენ ყიფიანის პუბლიკაციით). ი. გრიშაშვილი ტომის შენიშვნებში მიუთითებდა: „ტერშმოვაანთ კეკელა მთლიანად პირველად ქვეყნდება“ (წერეთელი 1940: 700). თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს არ იყო პოემის სრული ტექსტი, სამწუხაროდ, შემდეგ აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულში პოემის ეს ნაწილიც კი

ველარ დაბეჭდეს. ამის მიზეზი იყო რუსიფიკატორული რეჟიმის ის მწვავე კრიტიკა, რომლითაც გამსჭვალულია პოემა.

„ასი წლის ამბავი"-ს სრული ტექსტი პირველად 2001 წელს გამოქვეყნდა (ევგენიძე... 2001: 64). პუბლიკაცია ეყრდნობოდა ლიტერატურის მუზეუმში დაცული პოემის ხელნაწერ ასლს, რომელიც, როგორც მუზეუმის საინვენტარო წიგნშია მითითებული, შეძენილია ეკ. ქავთარაძისგან 1941 წელს. როგორც ირკვევა, იოსებ გრიშაშვილმა არათუ ავტოგრაფების, არამედ ამ ხელნაწერი ასლის შესახებაც არ იცოდა, თორემ მას შენიშვნებში მაინც ახსენებდა (შვიდტომეულის III ტომი 1940 წელს გამოიცა), აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებისას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში მუშაობისას წავაწყდით აკაკის სრულიად უცნობ ავტოგრაფულ ხელნაწერს № 88 (№ 240- Q793), რომელიც წარმოადგენს საერთო რვეულს და მასში პოემასთან ერთად შეტანილია 16 ლექსი, ავტოგრაფი შესრულებულია გამართული, სუფთა კალიგრაფიით. როგორც ჩანს, ავტორს გადაუწერია თავისი თხზულებები და გამოსაცემად გაუმზადებია. აღნიშნულ ხელნაწერ კრებულს (№ 88) საერთოდ არ იცნობს აკაკის არც ერთი გამოცემა. შესაძლოა, იგი თხზულებების გამოცემის შემდეგ შეემატა ფონდს.

გარდა ამ ორი ხელნაწერისა, პოემა შესულია აკაკის კიდევ ერთ ავტოგრაფულ კრებულში № 72 (ძვ. №1467). თუმცა მასში პოემის მხოლოდ ნაწყვეტია წარმოდგენილი სათაურით „ისტორია". შესაძლოა, ეს იყოს პოემის პირველი შავი ხელნაწერი. ალბათ, ავტორმა ჯერ ერთი ნაწილი დაწერა, რომელიც შემდეგ განავრცო და სათაურიც შეუცვალა. მუშაობის ამგვარი სტილი ნიშანდობლივია აკაკის შემოქმედებისთვის. ასე დაიწერა „მედეა", „გორგასლანი" (გაბოძე 2010ა: 158). ამდენად, პოემის კიდევ ერთი ავტოგრაფით შეივსება ახალი აკადემიური გამოცემა. უნდა აღინიშნოს, რომ № 72 ხელნაწერს იცნობდნენ წინა გამომცემლები, ეს კრებული რამდენიმე ლექსის წყაროდაა მითითებული, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, თხუთმეტტომეულში პოემის დაბეჭდვა ველარ გაბედეს არსებული საბჭოური ცენზურის გამო (ფოტო № 1).

ასეთივე მძიმე ბედი ეწვია პოემა „ვორონცოვს", რომელიც აკაკიმ 1909 წელს პარიზში დაწერა. დღეისათვის არსებობს პოემის ორი ავტოგრაფული ხელნაწერი, რომლებიც დაცულია ხელნაწერ-

თა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში შემდეგი ნომრებით: № 83 და № 89 გარდა ამისა, არსებობს პოემის რუსული თარგმანის ხელნაწერიც № 95 (შესრულებულია ჩარექოვის მიერ როგორც ჩანს, საცენზურო კომიტეტში წარსადგენად). ამ ხელნაწერთაგან ახალ აკადემიურ გამოცემაში პირველად შედის ორი უცნობი ავტოგრაფი № 83 და №89, რომლებიც ასევე იმავე ფონდშია დაცული. საგულისხმოა, რომ № 83 ავტოგრაფს იცნობს ი. გრიშაშვილიც, თუმცა კონკრეტულად არ მიუთითებს მის შესახებ. იგი უფრო ვრცლად მოგვითხრობს პოემის დაკარგული ნაბეჭდი წყაროს შესახებ. პოემის შექმნის ისტორიას აკაკისგანვე ვეცნობით. პარიზში სამკურნალოდ წასული პოეტი სერგო ბახტაძეს სწერდა: „წერას ვაყოლებ გულს.... ამ ოთხ-ხუთ წელიწადსაც ვერ დავწერდი იმდენს, რაც აქ ამ ერთ თვეში. აქ დავწერე: პოემა „ვორონცოვი", სტატია „ჩვენ და სომხები" და სხვ." (ბახტაძე 1917: 17). 1910 წელს ამასვე სწერდა იაკობ გოგებაშვილსაც: „გუშინ გავათავე პოემა „ვორონცოვი" და შევატყვე თავს, რომ ძალიან შორს ჩავგორებულვარ თავდაღმართში" (წერეთელი 1963: 122). როგორც აკაკის თხზულებათა V-VI ტომების რედაქტორი და შემდგენელი იოსებ გრიშაშვილი ვარაუდობს, აკაკის ამ პოემის შესახებ უფრო ადრე უფიქრია, არაუადრეს 1905 წლისა. აკაკის 1909 წელს მიუმართავს იონა მეუნარგიასთვის ფოთში: „მე უფრო შენი ნახვა მინდა, რომ ცოტა რამ მასალა გამოგტყუო ჩემი ახალი თხზულებისათვის „ვორონცოვი" (წერეთელი 1963: 133) (ფოტო № 2).

საქართველოში დაბრუნებულმა პოეტმა 1911 წელს განიზრახა თავისი ნაწერების გამოცემა ათ ტომად, მაგრამ ვინაიდან სახსარი ვერ იშოვა, დაყაბულდა იაკობ მანსვეტაშვილს, რომელმაც „ჩემი ნაწერების" მხოლოდ ორი პატარა ტომი დაუფინანსა. პირველი წიგნი გამოვიდა 1912 წელს. „ჩემი ნაწერების" II წიგნში იბეჭდებოდა პოემა „ვორონცოვი". 1912 წელს გაზეთი „თემი" (№ 95) მკითხველს აცნობებდა: „ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი" ქუთაისში ამით აცხადებს, ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ, რომ იგი შეუდგა გამოცემას ბ. იაკობ მანსვეტაშვილის საფასით მგოსან აკაკის ნაწერების მეორე წიგნისას. ძველი და ახალი ლექსები და პოემები ავტორისავე დროის შესაფერ განმარტებებით. სხვათა შორის, ამ წიგნში დაისტამბება აკაკის ახალი ისტორიული პოემა „ვორონცოვი და მისი დრო" (თემი, განცხადება 1912).

როგორც ჩანს, სწორედ ეს პოემა გახდა წიგნის აკრძალვის მიზეზი. „ჩემი ნაწერების" II წიგნი 1912 წლის 28 დეკემბერს უკვე

აწყობილი იყო და მესტამბე ივანე კილაძეს წიგნის 15 ცალი, საცენზურო კანონის თანახმად, მის გამოსაცემად ნებართვის აღების მიზნით, გაუგზავნია საცენზურო კომიტეტისათვის. მეორე დღეს ქუთაისის პოლიციას მოსვლია განკარგულება წიგნის დაჭერის შესახებ. ამ დღესვე, საღამოს 6 საათზე პოლიციის ბოქაულმა მოითხოვა კილაძის სტამბაში წიგნები" (მერცხალი 1913: 2).

1913 წლის 9 იანვარს ქუთაისის პოლიციმეისტერი ანტონოვი ბეჭდვით საქმეთა კომიტეტს უპატაკებს აკაკის მეორე ტომის 2800 ცალის დაკავების შესახებ (საისტორიო მოამბე 1953:428).

იმავე წლის 15 მარტს გაზ. „დილა" (№ 10) მკითხველს აუწყებს, რომ აკაკი ქუთაისიდან ტფილისს დაბრუნდა. იქ უნდა ინახულოს მეფის მოადგილე, საცენზურო კომიტეტის მიერ თავისი ნაწერების მეორე წიგნის შეჩერების გამო.

შეწუხებული აკაკი 1913 წლის აპრილში წერილს უგზავნის ივ.ელიაშვილს: „ჩემი მეორე ტომი ჯერაც დაჭერილია, მაგრამ იმედი მაქვს მალე ახსნიან აკრძალვას" (წერეთელი 1963: 210).

წიგნის დაბეჭდვის ნება კი მხოლოდ მას შემდეგ მისცეს, როცა იქიდან ამოჭრეს პოემა „ვორონცოვი". ცენზურამ ტომი დააპატიმრა და წიგნის 2800 ეგზემპლარი გაანადგურა.

9 მაისს ბეჭდვითი საქმის თბილისის კომიტეტი ქუთაისის პოლიციმეისტერს ატყობინებს დადგენილებას აკაკის ნაწერების მეორე წიგნიდან პოემა — „ვორონცოვი და მისი დრო" 3-58 გვერდების ამოჭრას 2800 ეგზემპლარიდან და მის განადგურებას აქტის შედგენით" (საისტორიო მოამბე 1953: 425).

ტომი ერთი წლის დაგვიანებით, 1913 წელს, გამოიცა პოემის გარეშე. მაისის თვეშივე ისიდორე კვიცარიძე ახარებდა მკითხველს, რომ ამ მოკლე ხანში დაურიგებდა ხელისმომწერლებს აკაკის თხზულებების მეორე ტომს, რომელშიც პოემის „ვორონცოვი და მისი დრო" მაგიერ ჩართული იქნება აკაკის სხვა ნაწარმოებები".

ამრიგად, ასეთი მძიმე ისტორია აქვს ამ პოემის ბეჭდვას. იოსებ გრიშაშვილმა საკმაოდ გვიან მიაკვლია პოემის ნაბეჭდ წყაროს. აი, რას წერს იგი ამის შესახებ: „როგორ მოვიძიეთ ამ პოემის ქართული ტექსტი? საცენზურო საქმეებში აკაკის ამონახევი პოემა არ აღმოჩნდა, ცხადია, ჩვენ შევუდგებოდით პოემის ნაბეჭდი ტექსტის ძებნას". მას ჯერ გამომცემლისთვის მიუმართავს, მაგრამ პასუხი ვერ მიუღია, შემდეგ ერთი „ძველი პოეტი" (ჯ.გ.) შეპპირებია წიგნის გადაცემას, მაგრამ ამაოდ, ბოლოს მას უნახავს „ერთი ადამიანი, რომელიც საცენზურო კომიტეტში მუშაობდა და მან დიდი

სიხარულით ჩამაბარა, არამც თუ პოემის ამონახევი, არამედ მთლიანად აკაკის მეორე ტომი (პირველი ეგზემპლარი) ამოუხეველი". ეს ეგზემპლარი ინახება ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდში და გრიშაშვილის ხელით მიწერილი აქვს „აკრძალული წიგნი".

მეცნიერს ეს ნაბეჭდი წყარო შეუდარებია აკაკის ავტოგრაფისათვის, რომელიც ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (H 1475 ძველი ნომერი) ახალი ნომრით 83 და გამოირკვა, რომ პოემას არსად არ ჰქვია „ვორონცოვი და მისი დრო, როგორც ეს საცენზურო კომიტეტმა დაასათაურა, პოემას (დაბეჭდილშიაც და ხელნაწერშიც) ჰქვიან „ვორონცოვი" (წერეთელი 1956: 394).*

როგორც გრიშაშვილი მიუთითებს, პოემა დაწერილი უნდა იყოს 1909 წელს და ნაფიქრი არა უადრეს 1905 წლისა (ამ წელს დაინიშნა ნამესტნიკად ვორონცოვ-დაშკოვი) (ფოტო № 3).

როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აღმოჩნდა პოემის კიდევ ერთი ავტოგრაფი № 89, რომელიც ნაწერია სუფთად და ბოლოში აქვს ასეთი წარწერა: „ამის კორექტურა გავასწორე თვით აკაკისთან ერთად", ახლავს ხელმოწერა „ი.კვიცარიძე 17. XI. 1912 წ." იქვე არის ასეთი ცნობა: „დაწერილია 1911 წელს ს. ბახტაძესთან რომ იდგა აკაკი", ხელნაწერს ახლავს ბეჭდური ლოგო „იმერეთი ქუთაისში". ეს არის გამომცემლობის ლოგო, რომელშიც დაიბეჭდა აკაკის „ჩემი ნაწერები", ხელმოწერა კი ეკუთვნის ისიდორე კვიცარიძეს, რომელმაც გამოსცა აღნიშნული წიგნის ორი ტომი. მითითებული წარწერა სანდოა, რადგანაც ამისი აღნიშვნა საჭიროდ ჩაუთვლია გამომცემელს, თან გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს ყველაფერი აკაკის ხელნაწერზეა მიწერილი.

მაშასადამე, პოემა „ვარონცოვის" დღემდე არსებულ ხელნაწერს აკაკის ახალ აკადემიურ გამოცემაში შეემატება კიდევ ერთი ახალი წყარო, ავტოგრაფი № 89. ამ მინაწერების მიხედვით კი შესაძლებელი ხდება ძირითადი ტექსტის დადგენა და თარიღის დაზუსტებაც.

თავად პოეტი პოემის შექმნას 1909 წელს ატყობინებდა სერგო ბახტაძეს, პოემის პირველი შავი ხელნაწერიც (83) სწორედ პარიზში შეძენილ რვეულშია მოთავსებული. მეორე ავტოგრაფი (89), როგორც ირკვევა აკაკის საგანგებოდ „ჩემი ნაწერებისათვის" გადაუწერია და წაუკითხავს კიდეც ისიდორე კვიცარიძესთან ერთად

* ავტოგრაფებში პოემის სათაურია „ვარანცოვი" (ჯ.გ).

1911 წელს და ალბათ, ამიტომაც წერს იგი, რომ პოემა ამ წელს დაინერაო. რატომ არ ასახელებს იოსებ გრიშაშვილი პოემის ამ (№89), ავტოგრაფს, ჩვენთვის უცნობია, ასევე გაუგებარია ის ფაქტი, რატომ არაა მითითებული წინა გამოცემებში აკაკის სხვა პოემების ავტოგრაფებიც.

„ალექსი" დაწერილია 1876 წელს და აკაკის მიუძღვნია თავისი ვაჟისთვის, თუმცა პოემას ერთ ავტოგრაფში ასეთი სათაური აქვს: „ზღაპარი ყმაწვილებისთვის". პოემა ალეგორიული ხასიათისაა და აშკარად ჩანს ირონია და სიძულვილი მატყუარა და მოძალადე მტრისადმი. მგლის მხატვრულ-ალეგორიული სახის მიღმა აშკარად იკითხება რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა. პოემის ზღაპრული სიუჟეტი და სათაური ცენზურასაც უბამს თვალს და იმავდროულად ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე გადმოსცემს საქართველოს ისტორიის იმ უმძიმეს ხანას, როდესაც რუსეთმა მოტყუებით მოახერხა საქართველოს ხელში ჩაგდება. ამ პოემის შესახებ ი. გრიშაშვილი წერდა: „სამწუხაროდ, ამ პოემის დედანი ჩვენ არ შეგვხვედრია, არის მხოლოდ გადანაწერი (ალბათ დაბეჭდილიდან), რომელსაც ივანე ელიაშვილის ხელით აწერია აშიაზე: „მღვდელი გიორგი ზაბახიძის მიერ გადანერილი, როგორც გვითხრა სპირიდონ ზაბახიძემ (ხელთ. № 1505-H) ლიტ. მუზეუმშიც არის დაცული „ალექსის" ხელნაწერი" (წერეთელი 1956:395).
აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის მზადებისას ჩვენ სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდით ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, სადაც კირილე ლორთქიფანიძის ფონდში K 2173 ვნახეთ აკაკის ლექსების ხელნაწერი კრებული Q 973, რომელშიც მოთავსებულია პოემის დღემდე უცნობი ავტოგრაფი. ხელნაწერი კრებული შეიცავს 40 ლექსს. უმრავლესი მათგანი აკაკის ხელითაა გადაწერილი, თუმცა არის სხვა კალიგრაფიაც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს ხელნაწერიც ცნობილია აკაკის ნაწერების გამომცემელთათვის, მაგრამ რატომ გამორჩათ პოემის ეს წყარო, ჩვენთვის გაუგებარია.

№ 973 კრებულში რიგით მეორე ნაწარმოებად („ქართული ანბანის" შემდეგ) აკაკის ხელით გადაწერილია პოემა „ალექსი" ასეთი სათაურით „ზღაპარი ყმაწვილებისთვის". პოემა შესრულებულია ძირითადად კარგი კალიგრაფიით, აქა-იქ არის ჩასწორება. რამდენიმეგან დაწერილია სტროფი და შემდეგ ნაშლილია. გვერდით მიწერილია სხვა ტექსტი, პირვანდელი კი შემდეგაა გამოყენებული.

ხელნაწერს აშკარად ემჩნევა შემოქმედებითი მუშაობის კვალი. აღსანიშნავია, რომ ი. გრიშაშვილის კონიექტურაც ზუსტად ემთხვევა ამ ავტოგრაფისეულ ვარიანტს. ი.გრიშაშვილი თსკ V ტომში არეულ სტრიქონებს: „ძილი დაუფრთხათ ტკბილი მაგარი“ ასე ასწორებს: „დაუფრთხათ ძილი მაგარი ტკბილი“... ასეა პოემის ავტოგრაფშიც, რომელსაც ბოლოს ერთვის აკაკის ფაქსიმილე და თარიღი — 1876 წ.

ამრიგად, აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის IV ტომს პოემის ეს ავტოგრაფული წყაროც შეემატება. 1910 წელს, წიგნის მაღაზია „ცოდნამ“, რომელიც ეკუთვნოდა აკაკის მეგობარს, ცნობილ გამომცემელს იოსებ (სოსიკო) მერკვილაძეს, დაბეჭდა ეს პოემა. საგულისხმოა, რომ მერკვილაძის მიერ გამოცემული ტექსტი არ განსხვავდება პოემის ახლად მიკვლეული ავტოგრაფისაგან. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენი ადრინდელი დასკვნა, რომ მერკვილაძის გამოცემები მეტად სანდოა და გამოხატავენ ავტორის ბოლო ნებას (გაბოძე 2009: 264), ამიტომაც აკადემიური გამოცემის პრინციპების მიხედვით ჩვენ ძირითად წყაროდ სწორედ ეს გამოცემა ავირჩიეთ (ფოტო № 4, 5).

„გორის ციხე“ აკაკიმ გადმოიღო, უფრო სწორად გადმოაქართულა ველიჩკოს ამავე სახელწოდების პოემიდან. როგორც ი.გრიშაშვილი წერს: „აკაკის ეს თარგმანი არ არის სიტყვა-სიტყვითი განმეორება, თვით ლექსთწყობაც რუსულ ლექსთან შეედარებით, მსუბუქი და კრიალაა“ (წერეთელი 1956: 390). იგი ცალკე წიგნადაც გამოიცა 1892 წელს. ერთ ხანს აკაკი მეგობრობდა რუს მწერალთან, რომელმაც პოეტის რამდენიმე ნაწარმოებიც თარგმნა, მაგრამ ბოლოს აკაკიმ საკმაოდ მწვავე შინაარსის ლექსი, სათაურით „ყიზილბაშური“, უძღვნა მას მზაკვრული მოღვაწეობისათვის:

„თვალი დაუდგეს ქართველ კაცს
ველიჩკოს მოტრფიალესა,
ვერ ჰხედავს მის დასაკლავად
რომ მან მახვილი გალესა“.
(წერეთელი 2011: 403)

თხზულებათა თხუთმეტტომეულში პოემა "გორის ციხის" შესახებ მითითებულია მხოლოდ ერთი ავტოგრაფი, რომელიც ინახება ლიტერატურის მუზეუმში (№ 17 768). ქუთაისის ისტორიულ არქივში მუშაობისას კირილე ლორთქიფანიძის ფონდში მივაკვლიეთ „გორის ციხის“ უცნობ ავტოგრაფს Q 2173/948, რომელიც არის

დაზიანებული, პოემა ნაწერია მოგრძო ფურცლებზე, რომლებიც თავსა და ბოლოში დალაქავებულია, ერთგან — რესტავრირებულიც, თუმცა ხელწერა თავისუფლად იკითხება. შესაძლოა ეს ხელნაწერიც მოგვიანებით შეემატა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივის აკაკის ფონდს და ამიტომაც ვერ მოხვდა იგი თხზულებათა შვიდტომეულისა და თხუთმეტტომეულის გამოცემებში.

აღნიშნული ავტოგრაფული წყაროც სათანადო ადგილს დაიმკვიდრებს აკაკის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში.

საგულისხმოა, რომ ამ ავტოგრაფულ ხელნაწერთა ნაწილს გამომცემლები ადრეც იცნობდნენ, თუმცა ისინი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხვდნენ წინა გამოცემებში. ზოგი კონიუნქტურისა თუ ცენზურული შეზღუდვის გამო ვერ დაბეჭდეს, ერთი მათგანი გვიან შეემატა საცავს, ზოგიერთი კი მხოლოდ იმიტომ დარჩა გამოუქვეყნებელი, რომ არასათანადოდ იყო დამუშავებული და აღნიშნული საინვენტარო წიგნში და, ამიტომაც, ხელმისაწვდომი არ იყო გამომცემელთათვის. სამწუხაროდ, დღეისათვის კვლავაც პრობლემად რჩება არქივების სკრუპულოზურად შესწავლა-დამუშავების საკითხი. აღწერილობები, რომლებიც გაკეთდა ამ ფონდების შექმნისას, ვფიქრობთ, დღეს უკვე ვეღარ აკმაყოფილებს საარქივო მონაცემთა დამუშავების თანამედროვე სტანდარტებს. ყოველი ექსპონატი ხელახლაა შესასწავლი, რადგან ხელნაწერს ხშირად არ ახლავს ხელმოწერა და თარიღი, ამიტომ ფონდების საინვენტარო წიგნებში ისინი უთარიღოდაა მიჩნეული, მაგრამ როდესაც არსებობს ნაბეჭდი წყარო, შესაძლებელია ნაწარმოების დათარიღება არის ისეთი კრებულები, რომლებშიც სხვადასხვა დროს შექმნილი ნაწერებია გაერთიანებული, საინვენტარო წიგნში კი მხოლოდ რვეულის ნომერია შეტანილი ზოგადი მითითებით, მაგ: „ლექსები, პოემები, მოთხრობა“. არაა ამ ნაწარმოებთა ჩამონათვალი, ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება ყველა კრებულის ნახვა, რაც მეტად შრომატევადია და ხელნაწერთა უსაფრთხოებისათვისაც სასურველი არაა.

არის ისეთი ტექსტები, რომლებიც ნაწილებადაა დაშლილი და მათი გამთლიანება მხოლოდ რამდენიმეწლიანი კვლევის შედეგადაა შესაძლებელი. ცხადია, ყოველივე ამისათვის მხოლოდ არქივარიუსის კომპეტენცია არაა საკმარისი. ნაწარმოების შექმნის თარიღი და ატრიბუცია უნდა დადგინდეს ტექსტოლოგიურ-პალეოგრაფიული კვლევით. საჭიროა ტექსტის სკრუპულოზური შესწავლა, რაც ფართო სამეცნიერო პოტენციალის ჩართვას საჭიროებს.

ამგვარი კვლევის მეშვეობით მოხერხდა ძველი ხელნაწერების შესწავლა-გამოცემები, როგორებიცაა: „მცხეთური ხელნაწერი“ (რედ. ზ. სარჯველაძე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1985,1986 წ.წ.); „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“ („მეცნიერება“, 1989, 1990 წ.წ.); „ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია“ (თბ. სახ. უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბ., 1979 წ.) და მრავალი სხვა (ფოტო № 6).

სასურველია, ასეთივე სახით მოხდეს კლასიკოსთა არქივის დამუშავება-შესწავლაც. უპირველეს ყოვლისა, კი საჭიროა ამ ხელნაწერების რესტავრირება და მათი ციფრულ მატარებლებზე გადატანა (დიგიტალიზაცია). ასეთ შემთხვევაში ხელნაწერიც დაცულია დაზიანებისაგან და თავმოყრილი მასალის შესწავლაც უფრო მოხერხებულია მეცნიერ-ტექსტოლოგისთვის. მკვლევარს შესაძლებლობა ექნება ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად დააკვირდეს ხელნაწერის ასლს, შეისწავლოს იგი და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მიმართოს მის ორიგინალს, ეს კი მოხერხებულია მკვლევრისთვისაც და ხელნაწერის უსაფრთხოებაც უფრო მეტად დაცულია. ძალიან საშური საქმეა, აგრეთვე, საარქივო გამოცემების მომზადება, რომელთა სრულად გამოცემის შემთხვევაში უკვე ნაკლებად მოსალოდნელია, რომ აკადემიური გამოცემის მიღმა დარჩეს არქივში დაცული მასალები. რაღა თქმა უნდა, ამ პრობლემის მოგვარება მეცნიერთა ერთი ჯგუფის, თუნდაც ერთი კვლევითი ცენტრის შესაძლებლობებს აღემატება, ამისათვის საჭიროა არქივების ინტენსიური დახმარება სახელმწიფო პროგრამებით.

ამჟამად უკვე დაწყებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში დაცული მასალის დიგიტალიზაცია. კვლევითი ცენტრის საიტზე ვკითხულობთ: „დიგიტალიზაციის ცენტრის შექმნაზე მუშაობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში უკვე დაწყებულია. თუმცა, დღევანდელი მატერიალურ-ტენიკური ბაზა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ განხორციელდეს დიდი ფორმატის, ან დაზიანებულ ხელნაწერთა დიგიტალიზაცია (http://www. manuscript. ge/index.php?m=177). ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაწყებულია ძველი ხელნაწერების დამუშავება. 2005-2006 წლებში ამერიკის საელჩოსთან არსებული კულტურის დაცვის ფონდის ფინანსური დახმარებით განხორციელდა „XI-XVI საუკუნეების ქართული საისტორიო საბუთების დიგიტალიზაციისა და ტექსტურ მონაცემთა ბაზის“ პროექტი, რომელიც ქართული ისტორიული დოკუმენტების დიგიტალიზაციის პირველი ცდაა. მის ფარგლებში შესრულდა მხო-

ლოდ 300-მდე დოკუმენტის დიგიტალიზაცია. პროექტისათვის მომზადებული პროგრამა საშუალებას იძლევა დიგიტალიზაციის სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდეს" (http://www.manuscript.ge/index.php?m=83&newsid=61).

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეროვნულ ცენტრს ჯერ-ჯერობით არ გააჩნია სახსრები XIX საუკუნის კლასიკოსთა არქივების სრული დიგიტალიზაციისათვის. ამჟამად მიმდინარეობს არქივების გადამუშავება. სასურველია ამ პროცესის უფრო დაჩქარება და მასში მეცნიერ-ტექსტოლოგთა ჩართვა, რათა სათანადოდ განხორციელდეს ხელნაწერთა კლასიფიცირება: ატრიბუცია, დათარიღება და ამის შემდგომში მათი ციფრულ მატარებლებზე გადატანა.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა კლასიკოსთა იმ არქივებში, რომლებიც რეგიონებში მდებარეობს. მათ გაცილებით ნაკლები პირობები აქვთ ამ მემკვიდრეობის მოვლა-შენახვისათვის.

სასიამოვნო სიახლედ მიგვაჩნია გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ ამ ბოლო წლებში განხორციელებული გალაკტიონ ტაბიძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის შემოქმედების საარქივო გამოცემები, რაც მისასალმებელია. ასევე, სასურველია, დროულად მოხდეს მუზეუმში დაცული ხელნაწერების დიგიტალიზაციაც.

ამრიგად, აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემა არაერთი უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი ავტოგრაფით გამდიდრდა. მათი ნაწილის გამოქვეყნება თავის დროზე შეუძლებელი იყო, ნაწილი კი საცავთა მოუწესრიგებლობის გამო დარჩა მეცნიერ-გამომცემელთა ყურადღების მიღმა. სწორედ ამიტომ ერთობ საშური და სახელმწიფოებრივი საქმეა კლასიკოსთა არქივების თანამედროვე სტანდარტებით გამართვა და ხელნაწერების რესტავრაცია-დიგიტალიზაცია, რათა მომავალში მაინც არ დარჩეს ისინი საზოგადოებისათვის მიუწვდომელი.

დამოწმებანი:

ევგენიძე... 2001 ევგენიძე ი., ფრუიძე ნ. *უცნობი აკაკი.* თბ.: თბილისი უნივერსიტეტის გამოცემა, 2001.

ბახტაძე 1917: ბახტაძე ს. აკაკის წერილი სერგო ბახტაძისადმი. „ცხოვრება", № 3, 1917.

გაბოძე 2009 გაბოძე ჯ. *„აკაკის უცნობი პოემა".* აკაკის თხზულებათა გამოცემები. თბ.:2009.

გაბოძე 2010: გაბოძე ჯ. *„ასი წლის ამბავი — ასი წლის შემდეგ"* (აკაკის უცნობი პოემა). ლიტმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. III საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

გაბოძე 2010ა: გაბოძე ჯ. ისტორიული ანაქრონიზმი და თვითგამეორება (აკაკის ზოგიერთი ლექსის ადგილის განსაზღვრისათვის). სჯანი, № 11, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

„თემი" 1912: *გა ზ.„თემი",* „განცხადება". № 95, 1912.

მერხცალი1913: *მერხცალი,* 1 იანვარი, 1913.

საისტორიო მოამბე 1953: *საისტორიო მოამბე,* ტ. VII, თბ.: 1953.

წერეთელი 1940: წერეთელი ა. *თხზულებანი შვიდ ტომად.* ტ. II, თბ.: 1940.

წერეთელი 1956: წერეთელი ა. *თხზულებათა სრული კრებული.* ტ. V თბ.: 1956.


წერეთელი 1963: წერეთელი ა. *თხზულებათა სრული კრებული.* ტ. XV თბ.: 1963.

წერეთელი 2011: წერეთელი ა. *თხზულებათა სრული კრებული.* თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, ტ.II 2011.


http://www.manuscript.ge/index.php?m=177.

http://www.manuscript.ge/index.php?m=83&newsid=61

ფოტო № 1 — ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აკაკის ფონდში № 88 (№ 240-Q 793)




ფოტო № 2 — ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აკაკის ფონდში № 89



ფოტო № 3 — წიგნი ინახება ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ფოტო № 4 — ხელნაწერი ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, აკაკის არქივში (Q 2173/973).

ფოტო № 5 — ხელნაწერი ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, აკაკის არქივში (Q 2173/973).



ფოტო № 6 — ხელნაწერი ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, აკაკის არქივში (Q 2173/948).

ლევან ბრეგაძე

„ვნებიანი მწუხარება... მოწყურება სიდიადის“

1970 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურული ჟურნალის „ზინ უნდ ფორმის“ მეექვსე ნომერი თითქმის მთლიანად ქართულ პოეზიას მიეძღვნა. მასში რუსთაველიდან გრიშაშვილამდე ათი ქართველი პოეტის ნაწარმოებთა გერმანული თარგმანებია გამოქვეყნებული. ამ ათ ქართველ პოეტს შორის არ არის... აკაკი წერეთელი. ამის გამო თავის დროზე რეპლიკა დავწერე, მაგრამ მერე მისი გამოქვეყნებისგან თავი შევიკავე. რეპლიკაში გაოცებას გამოვთქვამდი, როგორ მოახერხეს ქართული პოეზიისადმი მიძღვნილ ნომერში აკაკის გამოტოვება, „სულიკო“ მაინც რატომ არ ცნეს ამ საჟურნალო ანთოლოგიაში შეტანის ღირსად-მეთქი. რეპლიკას აკაკისავე ცნობილი ლექსის ერთი სტროფით ვამთავრებდი:

„უსამართლო დაცინებამ
ჩვენში ბევრჯელ გამამწარა.
ცხრა მთას იქით რაღათ მინდა,
გინდ მაქონ და გინდა არა“.

რამდენიმე წლის შემდეგ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ჯუმბერ გაგნიძის წერილი სათაურით „ქართული ლექსი უნგრულად“, რომელიც უნგრეთში ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემას შეეხებოდა. მასში ვკითხულობთ:

„სინანულით გვინდა შევნიშნოთ, რომ ჟ. რაბის მიერ უდიდესი გულისყურითა და სიყვარულით მომზადებულ და გამოცემულ „ას ქართულ ლექსში“ თავისი ღირსეული ადგილი ვერ ჰპოვა ქართული პოეზიის მშვენებამ აკაკი წერეთელმა. „საქართველოს ბულბულად“ აღიარებული პოეტი უკიდურეს შემთხვევაში შეიძლებოდა წარმოგვედგინა თუნდაც „სულიკოთი“, რომელიც უნგრელ ხალხში ასე პოპულარულია“ („ლიტერატურული საქართველო“, 31. 05. 1974, № 22).

კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა რომ ვიცოდე, ვიფიქრებდი, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში აკაკი წერეთლის უგულებელყოფის კამპანია წამოუწყიათ-მეთქი. მაგრამ, რაკი აკაკი წერეთლის იგნორირების სხვა ფაქტი არ ჩანს, ეს ორი შემთხვევითობას ან სამწუხარო გაუგებრობას მივაწეროთ.

დიახ, „სულიკო“, „სულიკო“ მაინც როგორ გამოტოვეს, — ქართული ლექსი, რომელიც მსოფლიომ გაითავისა!

ამაში დარწმუნება დღეს ძალზე ადვილია: აგერ ინტერნეტი, აგერ ვიკიპედია...

„სულიკო“ იმ არცთუ მრავალრიცხოვან **ლირიკულ** ლექსთაგანია, რომელსაც **ვიკიპედიაში** ცალკე აქვს ადგილი მიჩენილი. (**ლირიკულს** იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ „მარსელიოზასა“ და „ინტერნაციონალსაც“ ეძღვნება ვიკიპედიაში გვერდები, რაც სავსებით ბუნებრივია — ესენი, თავიანთი მელოდიებითურთ, მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული პოლიტიკური შინაარსის მქონე ტექსტებია; ხოლო **ვიკიპედია** იმიტომ გამოვყავი შავად, რომ იგი თავისუფალი ინტერნეტენციკლოპედია გახლავთ, პოლიტიკურ კონიუნქტურას მაქსიმალურად განრიდებული (მისი შევსება-გამდიდრება-ჩასწორება ყოველ ჩვენგანს შეუძლია) და მისი მეშვეობით დანამდვილებით შეიძლება იმის შეტყობა, რა თემები, რა საკითხები, მათ შორის, რომელი ლექსი თუ სიმღერაა მართლა აქტუალური და პოპულარული დღევანდელ მსოფლიოში).

ვიკიპედიაში „სულიკოსათვის“ რვა ენაზეა გახსნილი ვებგვერდი: ქართულ, რუსულ, ინგლისურ, პოლონურ, ებრაულ, შვედურ, კომის რესპუბლიკისა და უდმურტეთის რესპუბლიკის ენებზე. (გოეთეს უცნობილეს ლექსს „ველის ვარდს“, რომელზედაც ფრანც შუბერტმა დაწერა თავისი ყველაზე პოპულარული სიმღერა, ვიკიპედიაში ცხრა ენაზე ეძღვნება ვებგერდი).

ჯერ ინგლისურ ვიკიპედიაში შევიხედოთ. აქ გვერდიგვერდ არის განთავსებული ქართული ტექსტი (თავიდან ბოლომდე), პირველი ხუთი და ბოლო ორი სტროფის ინგლისური პწკარედი და პირველი ხუთი სტროფის რუსული თარგმანი (მთარგმნელის მიუთითებლად), რომლის პირველი სტროფი ასე ჟღერს:

Я могилу милой искал,
Но ее найти нелегко,
Долго я томился и страдал;
Где же ты, моя Сулико!

იქვე სხვათა შორის ნათქვამია, რომ სულიკო საქართველოში ქალის სახელიც არის და მამაკაცისაც და იგი სიტყვა „სულიდან“ მომდინარეობს, დასახელებულია ლექსის ავტორი და დაწერის თარიღი, მუსიკის ავტორი (ვარინკა წერეთელი) და სტალინის საყვარელი სიმღერა იყოო, ამასაც იუწყებიან.

რუსულ ვიკიპედიაში ასეთი ვითარებაა:

აქაც თავიდან ბოლომდეა წარმოდგენილი ქართული ტექსტი, იქვეა ნაუმ გრებნევის სრული და კიდევ ორი სხვა (ნანილობრივი) რუსული თარგმანი. ერთი მათგანი იგივეა, ინგლისურ ვიკიპედიაში რომ არის, და რომლის პირველი სტროფი ზემოთ მოვიყვანეთ, მეორე კი ასე იწყება:

Я могилу милой искал,
Сердце мне томила тоска.
Сердцу без любви нелегко.
Где ты? Отзовись, Сулико.

ეს ტ. სიკორსკაიას უთარგმნია (სხვა ვებგვერდზე ამოვიკითხე).

პოლონური ვიკიპედია გვთავაზობს ქართულ ორიგინალს, ორ პოლონურ, ხუთ რუსულ, ერთ ინგლისურ და ერთ გერმანულ თარგმანს. ამ ხუთი რუსული თარგმანიდან ერთი კვლავ ნაუმ გრებნევის სრული თარგმანია, მეორე ის არის, ახლახან რომ დავიმონმეთ რუსული ვიკიპედიიდან (ტ. სიკორსკაიას თარგმანი).

ინგლისური თარგმანი (პოლონური ვიკიპედიისა) ის არის, რომელიც ინგლისურ ვიკიპედიაშია (ანუ პნკარედია), გერმანული კი რითმიანი ლექსია (მთარგმნელი მითითებული არ არის, მაგრამ სხვა ვებგვერდზე ვგებულობთ, რომ ალექსანდერ ოტტოსა და ერნსტ ბუშს უთარგმნიათ) და ასე იწყება:

Sucht ich, ach, das Grab meiner Liebsten
Fragend überall: Wer weiß wo.
Weinend klagt ich oft mein Herzeleid:
Wo bist du, mein lieb Suliko?

აქ იგივე რითმაა, რაც ადოლფ ენდლერის თარგმანში, რომელიც 1971 წელს ბერლინში გამოცემულ ქართული პოეზიის ანთოლოგიაშია შესული, ინტერნეტში კი ვერ ვიპოვე:

Ich ging aus, ihr Grab zu suchen,
Doch wo wars geblieben, wo?
Ach, ich weinte laut und klagte:
"Wo ist Suliko?"

უდმურტული ვიკიპედიიდან ლინკით შეიძლება გადასვლა რუსულენოვან უდმურტულ საიტზე, სადაც მოთავსებულია ერთობ საყურადღებო სტატია „სულიკოზე", დათარიღებული 2008 წლის 28 აგვისტოთი (ამ დროს რუსეთის ჯარები უტევენ თბილისს).

სტატიის უცნობი ავტორი წუხილს გამოთქვამს, რომ ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა, რომელმაც შეაზანზარა ინტერნეტი, ვერ შეუწყო ხელი ვერც ქართული და ვერც ოსური კულტურით დაინტერესებას. დღევანდელი მოსკოველები რუსეთისა და ყოფილი სსრკ-ის ხალხებს ისე უყურებენ, როგორც პაპუასებსა და ზულუსებსო, და ფრჩხილებში შენიშნავს, ისე, არც საკუთარ ხალხს იცნობენ ბევრად უკეთო.

სამაგიეროდ ქართველებზე ბევრი იციან უფროსი და საშუალო თაობის ადამიანებმა, — განაგრძობს იგი. აი, თუნდაც „სულიკოს" შეგახსენებთო.

ციტატა:

„ამ სიმღერას, როგორც ეს ხშირად ხდება, საფუძვლად დაედო პროფესიონალი პოეტის ლექსი, მისი ავტორი აკაკი როსტომის ძე წერეთლია (1840-1915), რომელიც, საუბედუროდ, ბევრად ნაკლებად არის ცნობილი რუსეთში, ვიდრე მისი თანამოგვარე სკულპტორი". მუსიკის ავტორი ვარინკა წერეთელი სტატიის ავტორს აკაკის ქალიშვილი ჰგონია.

იქვე მოთავსებულია აკაკის პორტრეტი, რასაც მოსდევს „სულიკოს" პირველი ოთხი სტროფი ქართულად, ქართული ასოებით, ხოლო შემდეგ — ლათინური ტრანსლიტერაციით და იმავე სტროფების რუსული პწკარედი.

შემდეგ ვკითხულობთ:

„ჩვენთვის ეს სიმღერა ღირსშესანიშნავია იმით, რომ იგი თავის დროზე (ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საბჭოთა ხანაში, როცა ინტელექტუალები ჯერ კიდევ ინტერესდებოდნენ მეზობელ ხალხთა კულტურებით) ერთ-ერთი რუსული პოეტური თარგმანიდან უდმურტულ ენაზე გადმოითარგმნა".

ამას მოჰყვება პირველი ოთხი სტროფის უდმურტული თარგმანი და კიდევ ერთი რუსული პწკარედი.

ბოლოს დასახელებულია „სულიკოს" უდმურტულ ენაზე მთარგმნელი — ცნობილი უდმურტი პოეტი, დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე იგნატი გავრილოვი (1912-1973). აქვეა ორი ფოტო — ერთზე ეს მწერალია გამოსახული, მეორეზე — მისი მემორიალური დაფა უდმურტეთის ეროვნული თეატრის ფასადზე.

* * *

გარდა ვიკიპედიისა, უამრავი უცხოური ვებგვერდი ეთმობა „სულიკოს“ ინტერნეტში. ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომ ენებზე სახელდახელოდ მოვიძიეთ (ვიკიპედიის ჩათვლით) ექვსი ინგლისური თარგმანი. აქედან ერთია გარითმული, ვენერა ურუშაძისა, რომლის პირველი სტროფი ასე ჟღერს:

In vain I sought my loved one's grave;
Despair plunged me in deepest woe.
Scarce holding back the sobs I cried:
"O where art thou, my Suliko?"

(ამ თარგმანს ერთი რუსული ინტერნეტფორუმის მონაწილე 2004 წლის 16 იანვარს ასეთ შეფასებას აძლევს:

„Английский текст изумительный просто. Always think positive, ara. Вот интересно, что по этому поводу думают англоговорящие грузины“) (მისამართი: http://som.livejournal.com/59326.html).

მოვიძიეთ რვა რუსული (აქედან სამი პწკარედია, ერთი — ურითმო [თეთრი] ლექსი, ოთხი გარითმულია), ხუთი გერმანული, ხუთი ფრანგული, ორი პოლონური, თითო ესპანური, ბერძნული, ესტონური თარგმანი. ეს უკანასკნელი 2008 წლის 20 აგვისტოთი დათარიღებულ იმ საიტზეა „სულიკოს“ ქართული და ინგლისური ტექსტების გვერდით, რომელზეც შეგიძლიათ იხილოთ ვიდეოფილმი: ქ-ნი სანდრა რულოვსი ანსამბლ „ბასიანთან“ ერთად მღერის „სულიკოს“ (აქაც თარიღს მიაქციეთ ყურადღება: საქართველოში ომია!).

ამონარიდი ამ პუბლიკაციას დართული ინგლისური კომენტარებიდან:

„დრაგომიროვი, 24 ნოემბერი, 2008:

ეს ლამაზი და ნაღვლიანი მელოდია რუსულად იქნა ადაპტირებული და წლების მანძილზე იმღერებოდა რუსეთში. ბევრი, ვინც საქმეში ჩახედული არ არის, დარწმუნებულია, რომ ეს მელოდია რუსული ხალხური სიმღერების ნაწილია. არსებობს მისი სულ ცოტა ხუთი ან ექვსი ვერსია, თუმცა ყველა ერთსა და იმავე რამეს ამბობს. ლექსი, რომელიც თქვენ მოათავსეთ საიტზე ქართულად, არის ორიგინალი. ზოგი თარგმანი ზუსტად არ იმეორებს მას, იმის

გამო, რომ თითქმის შეუძლებელია ნამდვილი თარგმანის მორგება მელოდიისათვის.

ვინონტსი, 7 დეკემბერი:

მადლობა კომენტარისთვის, მეც მახსოვს ეს სიმღერა ბავშვობიდან და თავიდან ესტონური ტექსტით; საბედნიეროდ, ჩვენ ყოველთვის გვეუბნებოდნენ, რომ ეს ქართული ხალხური სიმღერაა".
(მისამართი: http://winonts.multiply.com/video/item/27).

ჩვენ მიერ მოძიებული ხუთი ფრანგული თარგმანიდან ორის დასაწყისს შემოგთავაზებთ:

Où es tu, tombeau de ma mie?
Sans me dire adieu elle partit.
Je pleurais disant à l'écho:
Dis moi, où es tu Souliko?

და მეორე:

Je recherchais ma tombe du chéri,
Et désirer ardemment déchirait mon coeur.
Sans amour mon coeur senti lourd -
Où êtes-vous, mon Suliko?

პირველი უკეთესია. მთარგმნელები ვერ დავადგინე.

* * *

ერთ გერმანულ საიტზე ვკითხულობთ:
„ეს სიმღერა, სულიერებითა და აღმოსავლური ზღაპრების ხიბლით აღსავსე, კავკასიაში დაიბადა. ტექსტის მრავალი ვერსია არსებობს, როგორც ქართულ (? — ლ. ბ.), ისე რუსულ ენაზეც, და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილთაგანია ის, რომელსაც ჩვენ აქ გთავაზობთ.

დღეს ვიღას ახსოვს, რომ ეს მოკრძალებული სიმღერა, ნაღვლიანი მონატრებით აღსავსე მელოდიის მქონე, იძულებული იყო პოლიტიკური კარიერა გაეკეთებინა. რაკი ეს სიმღერაც და სტალინიც წარმოშობით საქართველოდან არიან, დიდხანს იგი „სტალინის საყვარელ სიმღერად" ითვლებოდა და მას ხშირად და სიამოვნებით ასრულებდნენ. როცა 1956 წელს სტალინის პიროვნების კულტის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, „სულიკოც" უცბად გაქრა და დიდ-

ხანს აკრძალული იყო... მაგრამ დღეს ახალი თაობა მოვიდა, რომელმაც ამ სიმღერასთან [წარსულით] დაუმძიმებელ-დაუძაბავი მიმართება დაამყარა და მღერის მას — უბრალოდ, იმიტომ, რომ „სულიკო“ მშვენიერი სიმღერაა“.

ამ ტექსტს წინ უძღვის ნოტები ბალალაიკისთვის, ლექსის ხუთი სტროფის რუსული თარგმანი (ლათინური ტრანსლიტერაციით) და გერმანული პწკარედი, კაი კრახტის მიერ შესრულებული (მისამართი: http://www.kaikracht.de/balalaika/songs/suli_bal.htm).

* * *

„სულიკოს“ ტექსტზე დაწერილი ამ არაჩვეულებრივი სიმღერის ავტორის, ვარინკა წერეთლის, დამსახურება დიდ ხანს მიჩქმალული იყო — არ უნდოდათ მისი ავტორობა ელიარებინათ. ხან ხალხურად აცხადებდნენ ამ მელოდიას, ხანაც სხვა კომპოზიტორები ეცილებოდნენ ავტორობაში. ამის თაობაზე მოგვითხრობს ლია ჯაყელის ფილმი „სადა ხარ, ჩემო სულიკო?“ და ლელა გაფრინდაშვილის ესეი „სადა ხარ, ჩემო ვარინკა?!“ (დაიბეჭდა ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“, 2009 წლის ნოემბერში, № 54). აი ერთი ციტატა იქიდან:

„დავინყების (ანუ ვარინკა წერეთლის იგნორირების. — ლ. ბ.) ამ მისტიკას ეძღვნება ლია ჯაყელის ფილმი „სადა ხარ, ჩემო სულიკო?“. რეჟისორი დეტალურად მოგვითხრობს „სულიკოს“ ისტორიას და დემონსტრაციულად აღადგენს სამართლიანობას — ტიტრებში ხაზგასმულად აჩვენებს წარწერას: „კომპოზიტორი ვარინკა წერეთელი“... ვარინკას უწოდებს კომპოზიტორს, რაც აქამდე ვერავის დასცდა“.

ამ მხრივ ვიკიპედიას ვერ ვუსაყვედურებთ: მასში ვარინკა წერეთელი დავინყებული არ არის. სხვა ვებგვერდების უმეტესობაზეც ასეა, მხოლოდ რამდენიმე მათგანი გვაუწყებს, „სულიკო“ ხალხური სიმღერააო.

* * *

ერთი ამონარიდიც ერთ-ერთი ინგლისურენოვანი ინტერნეტ-ფორუმიდან:

„სიუ გასტი, 26 მარტი, 2002:

დიდი, დიდი მადლობა „სულიკოს“ საქმეში დახმარებისათვის – რა გულში ჩამწვდომად ლამაზი სიმღერაა.

ორი CD ახლა გზაშია. დამიჯერებ, რომ ჩემი თხოვნის გაგზავნიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ვეძებდი მასალებს კლასისათვის, რომელსაც ისტორიას ვასწავლი, და ჩემს ეკრანზე თავი წამოყო საიტმა, რომელიც გარკვეულწილად შეესატყვისებოდა ზოგ ჩემს საძებნ სიტყვას, და მათ სიმღერის რამდენიმე ვერსია აქვთ სოინარის ჩათვლით. შევუკვეთე რუსული ვერსიაც – მას წითელი არმიის გუნდი მღეროდა, მგონი. მე პირველად ანსამბლ „კახეთის“ შესრულებით მოვისმინე. ახლა შევეცდები ვიპოვო ის ვერსია, და ამ ზაფხულს იქ, კავკასიაში, რომ ჩავალ, იქნებ შევძლო და ვიმღერო მასპინძლებთან ერთად (...).

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა; გაოცებული ვარ, რომ ვიპოვე ხალხი, ვინც ამდენი იცის ქართული მუსიკის შესახებ. ვფიქრობ, მე, უბრალოდ, უვიცი ვარ ამ სფეროში, თუმცა, მას შემდეგ, რაც მოვისმინე ზოგიერთი მათგანი, არა მგონია — დიდი ხნით. დაუჯერებელი რამაა“.

(მისამართი: http://www.mudcat.org/thread.cfm?threadid=45668).

* * *

რა იწვევს ასეთ ინტერესს „სულიკოსადმი“? პირველ ყოვლისა იდუმალება. აკაკი ბაქრაძე წერს:

„მაგრამ რადგან პოეტი ხარ, უნდა იყო გამოცანა“, — ამბობდა აკაკი, მართალია, ირონიანარევი კილოთი. საერთოდ კი, მას მკაფიო საუბარი უყვარდა. აკაკის პოეზიაშიც და პროზაშიც ყველაფერი გასაგებია, იოლი და მისაწვდომია. მაგრამ ხშირად მისი ლექსი იმდენად ღრმაა, რომ მოსილია იდუმალებით. ასეთია, მაგალითად, „სულიკო“, თუმცა, როგორც ზუსტად წერს ტარიელ ჭანტურია, „რომელ ქართველსაც უნდა უთხრა, „სულიკო“ ბოლომდე არ გესმისო, ირონიული ღიმილით მოგაჩერდება“. მოგაჩერდება, მაგრამ უკვე რამდენი წელიწადია პასუხი ვერ მივეცით კითხვებს, რომელიც ტ. ჭანტურიამ დასვა.

„ვინ იყო ის — საყვარელი? რა მოხდა, სად დაიღუპა, რისთვის? რატომ დაიკარგა საფლავი?“

იმას ვერ ვიტყვით, პასუხი არ უძებნიათო. უძებნიათ, მაგრამ ძიების შედეგი არ გვაკმაყოფილებს“ (აკაკი ბაქრაძე. თხზულებანი, ტ. 1, 2004, გვ. 231).

ასე რომ, ერთი მიზეზი „სულიკოს“ მიმზიდველობისა მისი იდუმალებაა.

მაგრამ მას დიდი ქმნილებისთვის საჭირო სხვა ნიშნებიც აქვს. გავიხსენოთ რას წერს ედგარ პო ესეში „კომპოზიციის ფილოსოფია“, სადაც მოგვითხრობს როგორ დანერა თავისი „ყორანი“:

„...ჩემს თავს ვკითხე — ყველა მელანქოლიური თემიდან, კაცობრიობის საყოველთაო აზრით, რომელია ყველაზე მელანქოლიური-მეთქი. სიკვდილი, იყო მკაფიო პასუხი. და მაშინ, ვთქვი მე, არის კი ყველაზე მელანქოლიური ყველაზე პოეტურიც? აქედან უკვე გამოვიტანე გარკვეული, ცხადი პასუხი — ასე მხოლოდ მაშინ ხდება, როცა სიკვდილი მშვენიერებას უკავშირდება: ამრიგად, ულამაზესი ქალის სიკვდილი უეჭველად ყველაზე პოეტური თემაა მსოფლიოში — და ასევე უეჭველია, რომ ყველაზე უკეთ ამას სატრფოდაკარგული მიჯნურის ბაგენი იღაღადებენ“ (პაატა და როსტომ ჩხეიძეების თარგმანი).

თითქოს „სულიკოზე“ იყოს ლაპარაკი!

ახლა ამ ლექსის უნივერსალიზმი! იგი ყველასთვის არის დაწერილი, ყველა ადამიანის ლექსია, იმისიც, ვისაც ის მწუხარება არ გამოუცდია, რაზეც ამ ლექსშია ლაპარაკი — თვითონ თუ არ გამოუცდია, სხვისას მაინც ადვილად გაიგებს, ვინაიდან, ვინ არ იცის, რომ ასეთი რამ მასაც შეიძლება დაატყდეს თავს.

და რაც მთავარია — ნუგეში, ტრაგედიის გამაქარვებელი ნუგეში! ნუგეში, რომელიც ბუნების შეგრძნებიდან, ბუნების გაგებიდან, ბუნებაში ყოფნიდან მომდინარეობს, იმ ბუნებაში ყოფნიდან, იმ ბუნების გაგებიდან, რომელსაც შეერწყა უძვირფასესი. ჩემი აზრით, ეს უმთავრესია ამ ლექსში, ამის გარეშე ის ამდენ გულს ვერ მოინადირებდა. ეს ნუგეშიც უნივერსალურია, დემოკრატიული.

გამოსახვის პლანზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა:

ჩვეულებრივ, საყვარელ ადამიანს ადარებენ ვარდს, ბულბულს, ვარსკვლავს. აქ პირიქით არის, შებრუნებულ შედარებასთან გვაქვს საქმე: ვარდი, ბულბული, ვარსკვლავი აგონებს ლირიკულ გმირს საყვარელ ადამიანს. ნურავინ იტყვის, ამ ლექსში სატრფოს პორტრეტი დახატული არ არისო. დახატულია, მაგრამ არატრადიციულად, არატრაფარეტულად.

აკაკის ამ ლექსის უამრავი ინტერპრეტაცია არსებობს და კვლავაც ბევრს უნდა ველოდოთ. ახლა ერთს შემოგთავაზებთ, სულიკოს გერმანულად მთარგმნელის ადოლფ ენდლერისას:

„ქართველების გასაოცარი გულღიაობა ამავდროულად რაღაც არსებითის დამალვაც არის (აქ ცბიერებასთან ან ორპირობასთან არა გვაქვს საქმე). აკაკი წერეთლის „სულიკოს“ ქართველებიც რო-

გორც სიყვარულის სიმღერას, ისე მღერიან; [მაგრამ] ეს ამავდროულად საქართველოს არსის ძიებაა (...). სულიკო საქართველოა, როცა ჩვენ სულიკოს ვმღერით, საქართველოს ვუმღერით".

* * *

სიმართლე გითხრათ, არ მოველოდი ეს ჩვენი „სულიკო" ასეთ პატივში თუ იქნებოდა დღევანდელ მსოფლიოში, ინტერნეტსივრცეში არაჩვეულებრივია ინტერესი მის მიმართ; მგონი, იქ ვერც ვიპოვოთ მასზე უფრო პოპულარული სხვა ლექსი თუ სიმღერა. მაგრამ კიდევ ერთხელ რომ დავფიქრდი მის ღირსებებზე, აღარ მიკვირს...

სულ არ გააოცებდა ეს გალაკტიონს, რომელმაც 1940 წელს „სულიკოს" გამო დაწერა:

აჰ, სიზმარი მეგონება
მე ამ ჰანგის გაგონება,
მსიამოვნებს იგი მარად,
როგორც კარგი მოგონება.

ჰანგი იგი — დიდ წვაშია,
იგი თითქო ტანჯვაშია,
მისი დიდი გრძნეულების
ძალა ჯადო-სიტყვაშია.
გრძნობა მეტი მე, მგონია,
არცა მაქვს და არც მქონია,
ყველა იმისადმი, რასაც
ეწოდება ჰარმონია.

მასში ისმის დამდაღველი
ძველი დარდი და ნაღველი,
ვნებიანი მწუხარება
სევდის ასე ამსახველი.
. . . . . .
მასში თრთის და ცამდის ადის
მონყურება სიდიადის,
რაღაც დიდის და მაღალის,
რაღაც კარგის, იშვიათის.

ეს ოთხი სიტყვა — „ვნებიანი მწუხარება... მოწყურება სიდიადის", ჩინებულად გამოხატავს ამ ლექსის უმთავრეს თავისებურებასა და ღირსებას.

თამაზ ჯოლოგუა

მიხეილ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ შესახებ

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე კავკასიაში რუსეთის სახელმწიფებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი ნიშანი ის იყო, რომ ახალდაპყრობილი მხარე (Край; იმპერიის განაპირა მხარე — Окраина) განიხილებოდა ასიმილაციური მანიპულაციების სარეალიზაციო ერთიან ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სივრცედ და იგნორირებული იყო ის არსებითი მნიშვნელობის გარემოება, რომ კავკასია სინამდვილეში სხვადასხვა ისტორიის, კულტურის, განსხვავებული ეროვნული ინდივიდუალობის მქონე ერების სამშობლო იყო. საკუთრივ საქართველოში ზემოხსენებულმა პოლიტიკურმა კურსმა მკაფიო ფორმულირება პოვა „კავკასიური პრობლემისადმი“ მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვის (1816-1827) დამოკიდებულებაში: „არ იარსებებს საქართველო და აღარც კავკასიის საკითხი იარსებებს“ („ივერია“ 1986: 30). ქართველი ხალხისა და მისი ისტორიისადმი დამოკიდებულება მკაფიოდ ჩანს იმავე ერმოლოვის წერილში გენერალ არსენი ზაკრევსკისადმი: „აქაური მეფეებისა და მთავრების მთელი ჯიში და ჯილაგი ერთ ცოფიან ძაღლადაც კი არ ღირს“ (ერმოლოვი 1926: 18).

1832 წლის შეთქმულების ჩავარდნამ და მისი მონაწილეების (ქართული პოლიტიკური და კულტურულ-ინტელექტუალური ელიტის) რუსეთის გუბერნიებში მიმოფანტვამ საქართველოში პოლიტიკური, კულტურული და მორალური კოლაფსი გამოიწვია. ეს დაადასტურა 1837 წელს საქართველოში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სტუმრობამ, რაც ხელისუფლებამ და ქართველმა საზოგადოებამ უნისონში აღნიშნეს გრანდიოზული ზეიმით (პოტო 1897: 53-54; ისარლოვი 1899: 181-184; „მწყემსი“ 1903; ბალახაშვილი 1940: 134-142). ქართველი არისტოკრატიის (მათ შორის, მისი გუშინდელი ფრონდირებული ნაწილის) „სერვილურმა“ განწყობამ ნიკოლოზ I დაარწმუნა, რომ შესაძლებელი იყო კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის დასაყრდენად ქართველი არისტოკრატია გადაექცია.* ამისთვის კი აუცილებელი იყო: ა) მმართველობის სამ-

* ნიკოლოზ I-ის მიზანი საქართველოში სტუმრობამდეც ის იყო, რომ კავკასიაში თავისი პოლიტიკის დასაყრდენად ქართველი არისტოკრატია გაეხადა და, ზოგიერთ სხვა გარემოებასთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, სწორედ ამას უნდა გამოენვია

ხედრო სისტემიდან სამოქალაქო სისტემაზე გადასვლა და ბ) ქართველი თავადაზნაურობისათვის სახელმწიფო სამსახურში კარის ფართოდ გახსნა. ამ ამოცანის განსახორციელებლად არც პოლიტიკური, არც ადმინისტრაციული და არც დიპლომატიური რესურსები არ აღმოაჩნდათ მთავარმართებლებს ე. გოლოვინსა (1838-1842) და ალ. ნეიდგარტს (1842-1844). ამასთანავე, გამწვავდა მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც შამილმა რუსულ ჯარებზე ზედიზედ მოიპოვა შთამბეჭდავი გამარჯვებები და მიურიდიზმმაც ახალი ძალა და მასშტაბები შეიძინა.

ნიკოლოზ I-მა გადაწყვიტა, კავკასიის მართვა ჩაებარებინა ისეთი პიროვნებისათვის, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სამხედრო და დიპლომატიური ნიჭი და პრაქტიკული შესაძლებლობები. 1844 წლის დეკემბერში იმპერატორის არჩევანი შეჩერდა უმაღლესი არისტოკრატიული ფენის წარმომადგენელზე — გრაფ მიხეილ ვორონცოვზე (1782-1856), რომელიც იმ დროისათვის იყო სახელმოხვეჭილი გენერალი (მოგვიანებით — გენერალ-ფელდმარშალი),* რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი და, იმავდროულად, ბესარაბიის სრულუფლებიანი ნამესტნიკი. ამასთანავე, ვორონცოვი იყო უაღრესად განათლებული (სხვათა შორის, ცნობილი ბიბლიოფილი) და დიპლომატიური უნარით აღჭურვილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ჯერ კიდევ 1803-1805 წწ. მსახურობდა საქართველოში მთავარმართებელ პავლე ციციანოვთან და იცნობდა ამიერკავკასიასა და მის თავისებურებებს (შჩერბინინი 1858: 8-22; ორჯონიკიძე 1992: 177).** ნიკოლოზ I ვორონცოვს მხოლოდ სა-

---

იმპერატორის ლმობიერი დამოკიდებულება 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მიმართ — მონარქიისათვის უფრო ადვილი და ეფექტიანი იქნებოდა ურთიერთობა შეწყალებულ და არა დასჯილ ფენასთან (საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგუა 2002: 64-65; სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურში შესვლის უფლებით რუსეთის გუბერნიებში გადასახლებული შეთქმულები რამდენიმე წლინახევრის განმავლობაში სამშობლოში და შეთქმულებაში მონაწილეობას მათს შემდგომ სამხედრო თუ სამოხელეო კარიერაზე რამდენადმე შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია. სხვადასხვა მიზეზთა გამო, გამონაკლისები აღმოჩნდნენ ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე და შეთქმულების გამცემი ი. ფალავანდიშვილი, რომლებიც საქართველოში ვეღარ დაბრუნდნენ).

* ვორონცოვს აღიარებდნენ რუსეთის 1812 წლის სამამულო ომისა და ვარნის (1828) გმირად. 1814-1818 წწ. იგი იყო საფრანგეთის საოკუპაციო კორპუსის მეთაური და ა. შ.

** ყმაწვილ ვორონცოვს მამაც ამას ურჩევდა — სამხედრო სამსახურის დაწყებას კავკასიაში და ადგილობრივი ცხოვრების საფუძვლიან შესწავლას (ბრიკნერი 1883: 236).

მი წლით სთხოვდა კავკასიის მართვას და ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორობასაც უნარჩუნებდა (შჩერბინინი 1858: 213).

თავიდან ვორონცოვი ხანდაზმულობისა და ხანგრძლივი ბრძოლითა თუ შრომით გადაღლილობის გამო ყოყმანობდა (შჩერბინინი 1876: 300), შემდეგ კი მიიღო იმპერატორის წინადადება, თუმცა წამოაყენა აუცილებელი პირობა — კავკასიის გარდაქმნა სამეფისნაცვლოდ და მეფისნაცვლისათვის გადაწყვეტილებათა მიღების საგანგებო, რუსეთის იმპერიისათვის უპრეცედენტო უფლების მინიჭება, არსებითად პირდაპირ იმპერატორს დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ავტონომიის შექმნა, რისი სპეციალური ბრძანებით გაფორმებული პირობაც ვორონცოვმა ნიკოლოზ პირველისაგან მიიღო კიდეც (შჩერბინინი 1858: 212-215; მაკიევსკი-ზუბოკი 1906: 633-634; ორჯონიკიძე 1992: 186-188. კავკასიაში წამოსვლის წინ პირად საუბარში იმპერატორმა ვორონცოვს უთხრა: „შენ იქნები Alter ego" — შჩერბინინი 1876: 301).*

ბრიტანეთში განსწავლულ და ბრიტანულ პოლიტიკურ და დიპლომატიურ გამოცდილებაზე აღზრდილ მიხეილ ვორონცოვს სწამდა, რომ ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება წყარო იყო იმპერიის ძლიერებისა და არა მისი სისუსტის მაჩვენებელი. იგი კავკასიაში ჩამოვიდა ფართო და საფუძვლიანი რეფორმისტული გეგმით, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, საქართველოს (ზოგადად, კავკასიის) უმტკივნეულო პოლიტიკურ-ეკონომიკურ შერწყმას რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ სხეულში, ხოლო მეორე მხრივ, ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის აღორძინებასა და განვითარებას.

ვორონცოვი თბილისში ჩამოვიდა 1845 წლის 25 მარტს (ბიოგრაფები საგანგებოდ აღნიშნავენ — ეს ფაქტი ხარებას დაემთხვაო) და აქედან მოკიდებული ცხრანლიანი მმართველობის პერიოდში, მისივე ინიციატივითა თუ განმსაზღვრელი მნიშვნელობის მხარდაჭერით:

თბილისში დაარსდა რუსული თეატრი (1845), რომლის დასის დასაკომპლექტებლადაც ვორონცოვმა მსახიობები ჯერ სტავროპოლიდან ჩამოიყვანა, შემდეგ — პეტერბურგიდან და მოსკოვიდან

---

* იმპერატორსა და მეფისნაცვალს შორის კომუნიკაციის გასაადვილებლად („შუამავალ რგოლად") პეტერბურგში 1845 წლის დასაწყისში დაარსდა „კავკასიის კომიტეტი", რომლის საქმეთა მმართველს, სტატს-სეკრეტარ პოზენს, ნიკოლოზ I-ის ბრძანება რომ ნაუკითხავს, თავი ეერ შეუკავებია და აღშფოთებით უთქვამს — „ვორონცოვს სამეფო ძალაუფლების მითვისება სურსო!" (შჩერბინინი 1876: 301).

(აქტები 1888: 880-882, 890-893, 900-908; თეატრი თბილისში 1888: 1-10, 38-48, 72-103; გერსამია 1950: 37-42; ჩხაიძე 1986: 86-88).

1850 წელს დაფუძნდა ქართული თეატრი გ. ერისთავის ხელმძღვანელობით (აქტები 1888: 914-921; თეატრი თბილისში 1888: 124-149; მეუნარგია 1944: 23-36; გერსამია 1950; ურუშაძე 1982: 25-32; ორჯონიკიძე 1992: 210-211), რამაც არა მარტო საფუძველი ჩაუყარა პროფესიულ ქართულ თეტრალურ ხელოვნებას, არამედ ეროვნული დრამატურგიის განვითარებასაც მისცა სტიმული (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, გ. დვანაძე და სხვ.).

1951 წელს დაარსდა იტალიური ოპერა, სადაც იდგმებოდა როსინის, ბელინის, ვერდის, დონიცეტის, მეიერბერისა და სხვ. საოპერო ნაწარმოებები, მუდმივი დასი კი შედგებოდა იტალიიდან მოწვეული მომღერლებისაგან (აქტები 1888: 908-914; თეატრი თბილისში 1888: 103-124; გერსამია 1950: 94-98; ჩხაიძე 1986: 89. ვორონცოვი ნიკოლოზ I-ს სწერს: „ბევრი აქაური ახალგაზრდა იტალიური დასის წევრებისაგან სიმღერასა და სამსახიობო ხელოვნებას სწავლობსო" — აქტები 1885: 882). შეიქმნა საბალეტო დასიც, რომლის ხელმძღვანელადაც ვორონცოვმა მოიწვია რუსეთში ცნობილი ბალეტმეისტერი თედორე მანოხინი და 1852 წლიდან თბილისში რეგულარულად იდგმებოდა საბალეტო წარმოდგენები, მათ შორის, ადანის „ჟიზელი" და „დუნაის ქალწული" (აქტები 1888: 921-923; თეატრი თბილისში 1888: 149-154; ჩხაიძე 1986: 86-94; გერსამია 1950: 98-100).*

ვორონცოვის ინიციატივით, იტალიელი არქიტექტორის, ჯ. სკუდიერის, პროექტითა და დიდვაჭარ გაბრ. თამამშევის ხარჯით

---

* დიდად საინტერესო და საგულისხმოა „ცისკარში" „მოლაყბის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული ერთ-ერთი „სალაყბოს ფურცლის" მონაკვეთი: „აქეთ-იქიდამ ისმოდა მხოლოდ სახელები: როსსინისა, ბელლინისა, დონიცეტისა, ვერდისა, მეიერბერისა და, ასე გაშინჯეთ, ვაგნერისაც... მეგონა, რო ვიყავ არა გორგ-ასლანის ქალაქში, არამედ მილანაში, ანუ ვენეტიკში. შემხვდა ერთი ჩადრიანი ყმაწვილი ქალი, რომელიც მოდიოდა და იძახდა: თქუენის ბელლინის მზეს, ჩადრზე ფეხი არ დამიდგათო" (მოლაყბე 1858: 19). ბელინის თაყვანისმცემელი ჩადრიანი ქალი არსებითად არის მეტაფორა, რომლითაც შთამბეჭდაედაა გამოხატული ძირეული ეპოქისეული ცვლილებები — ქართველთა ცხოვრებისა და ეროვნული კულტურის სასიცოცხლო მნიშვნელობის ტრანსფორმაცია და „გამართვა", ტ. ტაბიძის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, „ევროპის რადიუსით" (ტაბიძე 1986: 191) [დარწმუნებით უნდა ითქვას — ვორონცოვის მიერ შეთავაზებულმა ცხოვრების წესმა ხალიჩებით განყობილ სასახლეში მთელმარე, თარისა და ზურნა-დუდუკის თაყვანისმცემელი ქართველი არისტოკრატი (სხვათა შორის, თარზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსაც დამღეროდნენ), სკუდიერის მიერ რენესანსის სტილით აგებულ ბრწყინვალე თეატრალურ შენობაში შეიყვანა].

აშენდა და 1851 წლის 12 აპრილს გაიხსნა ბრწყინვალე სათეატრო შენობა, რომელზეც ალ. დიუმა-მამას უწერია: „თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა... ერთ-ერთი საუკეთესო თეატრია დედამიწის ზურგზე“ (დიუმა 1970: 274-275. თეატრის შენობასა და მისი აგების ისტორიაზე იხ.: აქტები 1888: 882-890; თეატრი თბილისში 1888: 10-37, 58-72; ვორონცოვის პერიოდის თბილისის თეატრალურ ცხოვრებაზე დოკუმენტური მასალა იხ. აგრეთვე, იოვიძე 1961: 402-437).

1846 წელს თბილისში დაარსდა გაზეთი „კავკაზი“, კავკასიის მთავარი რუსულენოვანი პერიოდული გამოცემა, რომელშიც, გარდა რუსი ავტორებისა, იბეჭდებოდა ქართველ ავტორთა თხზულებებიც საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურაზე. გაზეთი ვრცელდებოდა რუსეთშიც და, ამდენად, ბუნებრივად წარმოადგენდა ქართული კულტურის პოპულარიზატორს იმპერიის მასშტაბით. ეს კი თავისდათავად აბათილებდა იდეოლოგიურ ინსტრუმენტად ქცეული რუსული მეცნიერება-პუბლიცისტიკის მტკიცებას, თითქოს ქართველობა იყო გაუნათლებელი, უკულტურო, უფერული წარსულისა და სამომავლო პერსპექტივას მოკლებული ხალხი.

დაარსდა აგრეთვე „კავკაზსკი კალენდარი“ (1846), რომელშიც, გარდა საცნობარო-კალენდარული ხასიათის ინფორმაციისა, ქვეყნდებოდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მასალა კავკასიისმცოდნეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

1846 წელს დაფუძნდა საქართველოში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდის დასაკომპლექტებლადაც თვითონ ვორონცოვის ინიციატივითა და, ზოგ შემთხვევაში, მისივე ხარჯით იძენდნენ წიგნებს საქართველოსა და რუსეთში, უნიკალურ საბიბლიოთეკო კოლექციებს, ღებულობდნენ შემოწირულობებს, იწერდნენ გამოცემებს პეტერბურგიდან და მოსკოვიდან (აქტები 1885: 856; უზნაძე 1957: 19-22; გურგენიძე 1969: 137-143; ლორია, გურგენიძე 1974: 189-194. სხვათა შორის, ვორონცოვს თვითონაც ჰქონდა ქართული წიგნების შთამბეჭდავი კოლექცია — შარაძე 1980: 187-204).

ვორონცოვის ინიციატივით თბილისში გაიხსნა წიგნის მაღაზიები, სადაც, გარდა ქართულისა და რუსულისა, იყიდებოდა წიგნები ფრანგულ და გერმანულ ენებზე (კაკაბაძე 1997: 123; ჭიჭინაძე 2002).

1848 წელს ვორონცოვის უშუალო ძალისხმევით შეიქმნა კავკასიის სასწავლო ოლქი (თავზიშვილი 1974: 280-300; ჯოლოგუა 2002: 188-190), რომელიც არ ექვემდებარებოდა რუსეთის განათლების

სამინისტროს (მაკიევსკი-ზუბოკი 1906: 639) და რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტი". „კომიტეტს" ცალკე ჰქონდა ქართული ენის განყოფილება, რომელიც დ. ყიფიანის ხელმძღვანელობით შეიმუშავებდა ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლების მეთოდიკასა და სასწავლო პროგრამებს (სხვათა შორის, თბილისის გიმნაზიაში ისწავლებოდა ასეთი საგნები: „ძირითადი გრამატიკული განსხვავებანი ძველ ქართულ მწიგნობრულ ენასა და თანამედროვე ხალხურს შორის", „სავარჯიშოები ძველი ქართული ენიდან თანამედროვეზე გადმოსაღებად", „ქართლური კილოს მოკლე მიმოხილვა და ძირითადი გრამატიკული სხვაობანი ქართული ენის სხვა კილოებთან", „ქართველ მწერალთა და ცალკეულ თხზულებათა ისტორიული მიმოხილვა"...). იგივე „კომიტეტი" ზრუნავდა სამაზრო სკოლათა ბიბლიოთეკების ქართული წიგნებით დაკომპლექტებაზე (ჯოლოგუა 2002: 190-195) და სხვ.

ახალი ფორმები და შინაარსი შეიძინა სასწავლებლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლებამ (თავზიშვილი 1974: 285), მათ შორის, იმ სამხედრო პირთა შვილებისთვისაც, რომლებიც მხოლოდ დროებით იმყოფებოდნენ საქართველოში (ჯოლოგუა 2007: 12-13) და ეს მაშინ, როცა „პოლონეთის სკოლებში, გარდა იმისა, რომ საგნების სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, 30-იან წლებში გაუქმებულ იქნა პოლონური ენის სწავლება, რაც თითქოს მეამბოხე „პოლონიზმის სულს" ნერგავდა ახალგაზრდობაში" (თავზიშვილი 1974: 280).*

ახალგაზრდებისათვის ხაზინის ხარჯზე დაარსდა სტიპენდიები რუსეთში განათლების მისაღებად: „1849 წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში კავკასიიდან ყოველწლიურად კავკასიიდან ხუთის ნაცვლად 160 სტიპენდიანტის გაგზავნა დააწესეს" (გაფრინდაშვილი 1970: 817).

თბილისში დაარსდა კიდევ ერთი (კომერციული), ხოლო ქუთაისში საგუბერნიო გიმნაზია, გაიხსნა სკოლები (გაფრინდაშვილი 1970: 813; თავზიშვილი 1974: 282, 292-296), მათ შორის, ბიჭვინთაში აფხაზ და მომიჯნავე ტერიტორიებზე მცხოვრებ წებელდელთა

---

* კავკასიიდან ვორონცოვის წასვლის შემდეგ დაიწყო სასწავლებლებში ქართული ენის თანდათანობითი შევიწროება და ეს მიზანმიმართული პოლიტიკა დასრულდა 1873 წლის 22 ნოემბრის სპეციალური დებულებით, რომლის მიხედვითაც, ქართული ენის სწავლება მხოლოდ პროგიმნაზიულ კლასებში დარჩა და ისიც არასავალდებულო საგნად (ხუნდაძე 1951: 27-44).

და სვანთა („...сопредельных Цебельд и Сванетии“) (აქტები 1885: 226-227), თიანეთში თუშ-ფშავ-ხევსურთა (თავზიშვილი 1974: 292), ჯავაში ოსთა (აქტები 1885: 856), ქვეშეთში მთიელთა, ონში რაჭველთა, ლეჩხუმელთა და სვანთა (თავზიშვილი 1974: 295) შვილებისათვის და ა. შ.; 1853 წელს ვორონცოვს თბილისში სურდა საარქიტექტურო სასწავლებლის დაარსება, თუმცა ეს საქმე ვერ დაასრულა (თავზიშვილი 1974: 299). მიუხედავად იმისა, რომ „მ. ს. ვორონცოვის მიერ კავკასიის მეფისნაცვლის პოსტის დატოვებამ 1854 წელს უარყოფითი გავლენა მოახდინა განათლების ქსელის გაფართოებაზე“, 1855 წლის მონაცემებით, საქართველოში უკვე არსებობდა სხვადასხვა ტიპის „147 სასწავლებელი 6023 მოწაფით“ (თავზიშვილი 1974: 298-300).

ვორონცოვმა საგანგებო ყურადღება გაამახვილა ქალთა განათლებაზე — თბილისსა (1846) და ქუთაისში (1847) დააფუძნა წმ.ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები და რეალური შინაარსი და ფუნქცია შესძინა თბილისშივე 1840 წელს დაარსებულ „ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტს“ (აქტები 1885: 856). ქალთა განათლების საქმეს ხელმძღვანელობდა ვორონცოვის მეუღლე ელისაბედ ვორონცოვა* — „წმ. ნინოს სახელობის ქალთა

---

* ელისაბედ ქსავერის ას. ვორონცოვა (1792-1880) იყო რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო ფიგურის, პოლონელი გეტმანისა და რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერლის ქსავერი ბრანიცკის (1731-1819) ასული (ე. ბრანიცკაიამ და მ. ვორონცოვმა ჯვარი დაიწერეს 1819 წ. 20 აპრილს — შჩერბინინი 1858: 164). ე. ვორონცოვა საერთოდ მეტად მაღალი აზრისა იყო ქართველთა ისტორიულ დამსახურებებზე (მახათაძე 1964: 201-202), ხოლო საქართველოში ყოფნისას ენეოდა ნაყოფიერ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მოღვაწეობას; ამასთანავე, თბილისში ჰქონდა სალონი, სადაც ორშაბათობით თბილისის რჩეული საზოგადოება ირიბებოდა [ბალახაშვილი 1940: 191-198; დაქერიებული ე. ვორონცოვას ოჯახში სტუმრობას (ოდესაში) თბილად იგონებს ა. წერეთელი „ჩემ თავგადასავალში“ — წერეთელი 1958: 78-80]. ნოვოროსიის გენერალ-გუბერნა-ტორის თანამდებობაზე მ. ვორონცოვის ყოფნის წლებში (1823-1844) ელისაბედი იყო 1820-1824 წწ. ნოვოროსიაში გამწესებული ალ. პუშკინის (ვორონცოვის კანცელარიის რიგითი მოხელის) მხურვალე ტრფობის საგანი, ლექსებისა და სასიყვარულო ბარათების ადრესატი, რამაც გამოინვია მ. ვორონცოვის აგდებული დამოკიდებულება პოეტისადმი და, აქედან გამომდინარე — პუშკინის გამანადგურებელი ეპიგრამები მ. ვორონცოვზე (პუშკინი 1985: 308, 309, 339, 592; სხვათა შორის, პუშკინის გაღიზიანებას ვორონცოვის ანგლომანიაც იწვევდა — ინტერნ. 1). ელისაბედ და მიხეილ ვორონცოვები გარდაიცვალნენ ოდესაში და იქვე, — მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარში, — დაკრძალეს. 1936 წელს ბოლშევიკებმა ტაძარი დაანგრიეს, მიცვალებულთა სამარხები კი გაძარცვეს და ნაბიილნეს. ოდესის მცხოვრებლებმა ვორონცოვთა ძვლები მალულად დამარხეს ქალაქის სასაფლაოზე. 2005 წელს ოდესის სასულიერო და საერო ხელისუფლების გადაწყვეტილებით მიხეილ და ელისაბედ ვორონცოვების ნეშტები საზეიმო ცერემონიალით გადაასვენეს მაცხოვრის ფერისცვალების აღდგენილ ტაძარში (ინტერნ. 1).

საქველმოქმედო საზოგადოების" თავმჯდომარე [„საზოგადოების" მთავარი მიზანი იყო საქართველოში (საერთოდ, კავკასიაში) ქალთა განათლებისათვის ხელის შეწყობა, ამ საქმის კოორდინაცია და სპეციალურად ქალებისათვის სასწავლებლების დაარსება. „საზოგადოების" წევრები იყვნენ იმ დროის გამოჩენილი ქართველი არისტოკრატი ქალები: ნ. ჭავჭავაძე-გრიბოედოვა, მ. ორბელიანი, ე. ერისთავი, ს. სევარსამიძე, ნ. ჭილაშვილი-ყიფიანი და სხვ. — გოცაძე 1954: 321].

1850 წელს შეიქმნა „რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება" (1852 წლიდან ჰქონდა ყოველწლიური პერიოდული გამოცემა), რომლის „დანიშნულება იყო კავკასიის მხარის სისტემური გეოგრაფიული, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული კვლევა, მისი ფლორისა და ფაუნის შესწავლა, რითაც საფუძველი ჩაეყარა კავკასიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებას" (ქსე 1980: 306). „საზოგადოება", რომელზეც ვორონცოვს უშუალო მეურვეობა ჰქონდა დაწესებული, „ერთხანს მთლიანად განსაზღვრავდა საქართველოში მეცნიერული კვლევა-ძიების შინაარსს, ხასიათს, მიმართულებას" და, სხვათა შორის, ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის შეკრებას, პუბლიკაციასა და შესწავლას (ჯაგოდნიშვილი 2004: 155-161).

1852 წელს გამოიცა გ. ერისთავის „ცისკარი" (მეუნარგია 1944: 36-41; გუგუშვილი 1941: 113-117; გოცაძე 1954: 312-320) — ერთადერთი ქართული პერიოდული გამოცემა იმდროინდელ საქართველოში, რომელმაც „დაუდო დასაბამი იმ საჟურნალო (ჟურნალისტურ — თ. ჯ.) ცხოვრებას, რომელიც მესამოცე წლებიდან არაჩვეულებრივად გაიზარდა და იქცა ქართული საზოგადოებრივი განვითარების მთავარ ფაქტორად" (კოტეტიშვილი 1965: 175).*

---

* ვორონცოვი გულწრფელად რომ ზრუნავდა ქართულ კულტურაზე, ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი მოიპოვება, რომელთაგან აქ მხოლოდ ნაწილს დავიმონმებთ: გ. ერისთავს მთელი თავისი დრო და ენერგია ქართული თეატრისთვის რომ მოეხმარა, მიიღო იგი საგანგებო დავალებათა მოხელედ, ხელფასიც დაუნიშნა, თუმცა სამსახურებრივი მოვალეობებისაგან გაათავისუფლა; უკიდურესი გადატვირთულობის მიუხედავად, ვორონცოვი ესწრებოდა არა მარტო სპექტაკლებს, არამედ რეპეტიციებსაც, მსახიობებს დაუნიშნა მუდმივი ხელფასი და, ამას გარდა, წარმოდგენების შემდეგ ხედებოდა მათ და გადასცემდა საჩუქრებს (მეუნარგია 1944: 26-30); გ. ერისთავის „გაყრის" 1850 წლის 2 (14) იანვრის ისტორიული წარმოდგენით გახარებულმა, სპექტაკლის აფიშა გაუგზავნა იმჟამად თემირ-ხან-შურაში მყოფ გრ. ორბელიანს („ივერია" 1889; ბოცვაძე 1976: 135-138), ხოლო ალექსი ერმოლოვს მოსკოვში გაუგზავნა იმავე გ. ერისთავის პიესა „დავა", ამ პიესის 1850 წლის 3 (15) მაისის წარმოდგენის აფიშა და ბარათი, რომელშიც ვორონცოვი ადრესატს სწერს: „პირველი რუსული თეატრალური წარმოდგენა 1750 წლის იანვარში

1852 წელსვე დაარსდა „კავკასიის მუზეუმი“ უძვირფასესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფონდებით, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა 1919 წელს საქართველოს მუზეუმი — ამჟამად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (ჟორდანია 1951: 14-16).

ვორონცოვი მეურვეობდა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციას, ისტორიული ძეგლებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციას (ყუბანეიშვილი 2005: 382), განაახლა სიონის ტაძარი, ერეკლე II-ის სასახლე, ძველი გავაზის ეკლესია (ბარნაველი 1961: 81, 145) და სხვ.; მის მიერვე მოწვეულ მხატვარ გრ. გაგარინს (რუსეთის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი 1859-1872 წწ.) ბიზანტიური სტილით მოახატვინა თბილისის სიონის ტაძარი (ფერაძე 1964: 41-42), გადააღებინა თამარ მეფის ფრესკა ბეთანიის ეკლესიაში („იერია“ 1899), გრ. გაგარინსვე გადააღებინა ალ. ორბელიანის მიერ ვორონცოვისათვის ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნის ძვირფასი ხელნაწერიდან რუსთველის პორტრეტი და თბილისში მყოფ ფრანგ მოგზაურს ფლერის ეს პორტრეტი პარიზში გაატანა ლითოგრაფიული წესით დასაბეჭდად და გასამრავლებლად (შარაძე 1980: 118-119, 136; თაყაიშვილი 1968: 313)... ვორონცოვის უშუალო დავალებით დიმ. მელვინეთუხუცესიშვილმა არქეოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა უფლისციხე (ქსე 1983: 635; ბერძნიშვილი 1983: 103; ბუაჩიძე 1983: 254-257). ვორონცოვი იწვევდა რუს და უცხოელ მეცნიერებს (მ. ბროსე, გ. აბიხი, ი. ბარტოლომეი, ა. მურავიოვი, ნ. ხანიკოვი და სხვ. — ორჯონიკიძე 1992: 209-210), ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ ინტენსიურ მეცნიერულ საქმიანობაში და ა. შ.

შედგა და სცენაზე კაფეტები თამაშობდნენ. პირველი ქართული ნარმოდგენა 100 წლის შემდეგ განხორციელდა და სხეაობა იმაშია, რომ რუსული თეატრი დაარსებიდან 50 წლის შემდეგაც მეტისმეტად ცუდი სანახავი იყო და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაეტყო ნინსელა, განსაკუთრებით, მსახიობთა ოსტატობის მხრივ. რაც შეეხება ქართულ თეატრს, იგი ფეხის ადგმისთანავე, უბრალოდ, კარგად კი არა, შესანიშნავად გამოიყურება. შეუძლებელია, განცვიფრება არ გამოიწვიოს იმან, თუ რა კარგად ესმით აქაურ საუკეთესო ოჯახიშვილებს ყველა როლი და რა ოსტატურად თამაშობენ ისინი სცენაზე. ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდება და ზნეობრიობაზეც კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს“ („რუსსკი არხივ“ 1890[4]: 355; ინტერნ. 3). საგანგებო ყურადღებას იჩენდა ვორონცოვი „ცისკრის“ მიმართაც — არა მარტო უშუალოდ იმპერატორისგან გამოითხოვა ჟურნალის დაარსების ნებართვა, არამედ გ. ერისთავს გადასცა მეფისნაცვლის კანცელარიის ერთ-ერთი სტამბა, გამოინერა ჟურნალის 100 ნომერი და ამით რედაქტორ-გამომცემელს საქმის მატერიალური მხარეც მოუგვარა (კალანდაძე 1977: 237-238) და ა. შ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვორონცოვის ზრუნვა ძველი ქართული ტექსტების გამოცემაზე. პ. იოსელიანი წერს: „მ. ს. ვორონცოვი, ვითარცა მეცენატე ქართველთა ენისა და მწიგნობრობისა... ზრუნვიდა რათა არა-დაკარგულ იყუნენ წიგნნი და მწერლობა მის მცირედისა ქართველთა ერისა, რომელიცა იყო ძუელად მეფობითისა პატივისა მექონე და ქრისტიანობისა გამო ზღუდე მტკიცე პირისპირ მაჰმადიანობისა... ბრძანა დაბეჭდვით ქართულთა წიგნთა, არა დაეკარგოს კაცთა ნათესავსა საუნჯე გონებისა უნჯად ისტორიისა და მოსახმარად მეცნიერთა ევროპისა... ესრეთ სურვილისა თვისისა აღსრულებისა, წყურვილით, ნამდვილ წყურვილით... მოწადინემან აღმირჩია მე“. პ. იოსელიანმა, ვორონცოვისაგან „გამხნევებულმან“, „მისისავე ხარჯითა და ბრძანებით“ 1851-1853 წწ. გამოსცა იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“, იონა გედევანიშვილის „მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“, არჩილის „ცხოვრება თეიმურაზ პირველისა“ [ვრცელი მონაკვეთი არჩილის თხზულებისა — „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“], ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა“ (იოსელიანი 1869: 1-5). 1849 წელს ვორონცოვმა პ. იოსელიანი მიავლინა ათონის მთის ქართველთა მონასტერში, საიდანაც მკვლევარმა ჩამოიტანა მდიდარი მასალა ათონზე დაცული ძველი ქართული ხელნაწერების შესახებ (მახათაძე 1964: 193-202; ბარამიძე, ვათეიშვილი 1978: 116-153).

ვორონცოვი უშუალოდ მონაწილეობდა „...ახალი, ჰერალდიკურად და შინაარსობრივად უფრო გამართული მუნიციპალური გერბების შემუშავების საქმეში. ჰეროლდიის დეპარტამენტისათვის განკუთვნილ მის რჩევებში ხშირად გამოსჭვივის ადგილობრივი, ქართული კულტურისა თუ ისტორიის ცოდნა და მისდამი მოწიწებული დამოკიდებულება“ (ასათიანი 2002: 26).

საგულისხმოა, რომ, როდესაც ავადმყოფობის გამო ვორონცოვი იძულებული გახდა, იმპერატორისათვის ხანგრძლივი შვებულება გამოეთხოვა [თბილისიდან გაემგზავრა 1854 წლის 1 მარტს (აქტები 1885: 100) და ამის მერე ვეღარც დაბრუნდა კავკასიაში], მან თავის შემცვლელს, გენერალ რეადს, დაუტოვა ვრცელი ინსტრუქცია, რომელშიც სპეციალურადაა აღნიშნული — არ უნდა შენელებულიყო კავკასიის ხელისუფლების საგანგებო ყურადღება ქართული კულტურის მიმართ (აქტები 1885: 99-100).

ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა

თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ (სხვათა შორის, ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო ოჯახის წევრთა მიმართაც*).

როგორც ჩანს, **ვორონცოვი მიიჩნევდა, რომ ქართველთა ენობრივი და კულტურული (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) თვითმყოფადობა საფუძვლად უნდა დასდებოდა რუსეთის ერთიანი და განუყოფელი იმპერიის ფარგლებში საქართველოს, როგორც ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის, ჩამოყალიბებას.** „მთელი მისი (ვორონცოვის თ. ჯ.) მოქმედებიდან თითქოს ასეთი დასკვნა გამოდის, რომ ის ამზადებდა ნიადაგს საქართველოს ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის ფარგლებში“ — წერს სარგის კაკაბაძე (კაკაბაძე 1997: 126). უნდა ვიფიქროთ, მკვლევარი აქ გულისხმობს პოლიტიკურ (ან: პოლიტიკური ელემენტების შემცველ) ავტონომიას, რამდენადაც ადმინისტრაციული ავტონომია ამიერკავკასიას და, კერძოდ, საქართველოს (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ფარგლებში) ისედაც ჰქონდა და ეს თვითონ ს. კაკაბაძესაც აქვს აღნიშნული [„როგორც იმპერატორის მოადგილე (ნამესტნიკი), ის (ვორონცოვი — თ. ჯ.) ემორჩილებოდა არა მინისტრებს, არამედ პირდაპირ იმპერატორს და აღჭურვილი იყო განსაკუთრებული უფლებებით კავკასიის საქმეების მოსაგვარებლად“ — კაკაბაძე 1997: 119].

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ვორონცოვს საქართველოს **აღორძინების გზად მიაჩნდა ქართული საზოგადოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სალი-**

---

* 1845 წელს ვორონცოვი თბილისიდან მოსკოვში სწერს ალექსი ერმოლოვს: „კარგი იქნებოდა, ჩვენს ხელისუფლებას მეტი სამართლიანობა და გულუხვობა გამოეჩინა სამეფო ოჯახის გადარჩენილ და ამჟამად აქ მცხოვრებ ნევრთა მიმართ“ („რუსსკი არხივ“ 1890*: 175; ინტერნ. 4). ვორონცოვმა დიდი მონდომება გამოიჩინა, რათა ქართლ-კახეთის უკანასკნელ დედოფალს — მარიამს — სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცემოდა [„რუსსკი არხივ“ 1890* 175-176; „რუსსკი არხივ“ 1890* 351; ინტერნ. 3; ინტერნ. 4 (მარიამ დედოფალი, — დაჭრილი და რუსის ჯარით გარშემორტყმული, — 1803 წლის 19 აპრილს შვილებთან ერთად გაიყვანეს თბილისიდან, გადაასახლეს კურსკის გუბერნიაში და იქ ბელგოროდის დედათა მონასტერში გამოკეტეს. 1811 წლიდან მარიამი ცხოვრობდა მოსკოვში, სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს 1849 წლის ბოლოს, თუმცა, სანამ საქართველოსკენ გზას დაადგებოდა, იგი მოსკოვშივე გარდაიცვალა. მარიამი ჩამოასვენეს სამშობლოში და 1850 წლის 18 ივნისს დედოფლის საკადრისი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოველის ტაძარში, გიორგი XII-ის გვერდით — „კავკაზ“ 1850; პაპავა 1956: 240-252)]. ხაზგასმული ყურადღებითა და პატივისცემით ექცეოდა ვორონცოვი თეკლა ბატონიშვილსაც, რომელმაც, — სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა, — ზიარების შემდეგ სწორედ ვორონცოვთან და მის მეუღლესთან ისურვა პირისპირ შეხვედრა და დიდხანს ესაუბრა კიდეც მათ, თუმცა ამ საუბრის შინაარსი არ არის ცნობილი (ჯოლოგუა 2010: 73).

ტერატურო ცხოვრების ევროპეიზაცია, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიურ პოლიტიკას — რუსეთის მონარქია საქართველოში ევროპეიზმის ერთადერთ წყაროდ რუსულ კულტურას, ცხოვრებისა და აზროვნების რუსულ წესს მიიჩნევდა* (ჩვენ ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ ვორონცოვის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკაზე და აღარაფერს ვამბობთ მის ეკონომიკურ რეფორმებზე, რომლებმაც ქართველი თავადაზნაურობის უუნარობის გამო მისი, როგორც კლასის, მატერიალური დეგრადაცია გამოიწვია და ხელი შეუწყო საქართველოში სომხური ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას. ეს პროცესი ასახულია ქართულ მწერლობაში: გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი... არ ვეხებით აგრეთვე ვორონცოვის პოლიტიკას რელიგიის სფეროში. ორიოდე სიტყვით კი უნდა ითქვას, რომ იგი, ერთი მხრივ, აღიარებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სარწმუნოებრივ და ისტორიულ დამსახურებებს, ხოლო მეორე მხრივ, ისლამისადმი გამოვლენილი იმ დროისათვის უჩვეულო ტოლერანტობით ვორონცოვმა პოლიტიკური რეჟიმისადმი ლოიალურად განაწყო ამიერკავკასიის მუსლიმი მოსახლეობა და ამით შამილსა და ოსმალეთს კავკასიაში პირდაპირ ხელიდან გამოჰგლიჯა პოტენციური მოკავშირე და დასაყრდენი).

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, „ვორონცოვის დანიშვნა კავკასიის ნამესტნიკად ფრიად სასარგებლო და გამოსადეგი გახდა ქართულ ახალ კულტურის აღორძინებისათვის. მიძინებული ერი თითქოს გამოფხიზლდა და დეზორგანიზაციაში მოყვანილი საზოგადოებრივი სხეული გამრთელების და განკურნების იმედმა შეიპყრო... ვორონცოვის ხანა შეიქმნა ქართულ კულტურის აღორძინების ხანად... ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. არც წინად, არც შემდეგში მის მზგავს მოვლენას არა ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველო-

---

* საქართველოს ევროპეიზაციას ისახავდა მიზნად ვორონცოვის მიერ გატარებული ეკონომიკური და სავაჭრო რეფორმებიც: „ამიერკავკასიის სავაჭრო სისტემაში ვორონცოვის მიერ გატარებული ცვლილებების შედეგად საქართველო თანდათან უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა ევროპის ქვეყნებს, რაც მის ეკონომიკურსა თუ კულტურულ განვითარებაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა“ (ორჯონიკიძე 1992: 212-213). ცალკე უნდა აღინიშნოს ვორონცოვის მიერ 1850 წელს დაარსებული „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“, რომელიც მიზნად ისახავდა ტრადიციულ გამოცდილებაზე დაყრდნობით სოფლის მეურნეობის ევროპეიზაციას და საამისოდ სპეციალისტებს ძირითადად საზღვარგარეთიდან იწვევდა (ქსე 1980: 309-310; ჯოლოგუა 2002: 217-218).

ბის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა, ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ... ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცოცხლა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ — ეს ოცნება რეალობად იქცა..." (ჯორჯაძე 1989: 104-105). ამასთანავე, ა. ჯორჯაძე დასძენს: „ეჭვს გარეშეა, ვორონცოვი ვერ შეჰქმნიდა ჩვენში ვერც თეატრს, ვერც პერიოდულ პრესას, თვით საზოგადოებაში რომ არ ყოფილიყო ამისათვის საჭირო ელემენტები" (ჯორჯაძე 1989: 104).*

ნაციონალურ-კულტურული აღორძინებისათვის „საჭირო ელემენტები" 1840-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მართლაც არსებობდა და აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ვოლოგდის გადასახლებიდან ახალდაბრუნებული დიმიტრი ყიფიანის „ეროვნული ხსნის პროგრამა", რომელიც დაფუძნებული იყო თავადაზნაურულ-ლიბერალური განმანათლებლობის იდეოლოგიაზე და ითვალისწინება განათლების გავრცელების გზით რუსეთის იმპერიის ფარგლებშივე ქართული კულტურისა და საერთო-ეროვნული თვითშემეცნების აღორძინებას. საამისოდ გადადგმული იყო კიდევაც პირველი ნაბიჯები. კერძოდ, 1842 წელს დ. ყიფიანმა დააარსა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა" — საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული პირველი საზოგადოებრივ-კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის დამფუძნებელი წევრები იყვნენ: ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. და ვ. ორბელიანები, მ. თუმანიშვილი, ზ. ფალავანდიშვილი და სხვ. (ჯოლოგუა 2002: 74-95); საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მანანა ორბელიანის ლიტერატურული სალონიც, სადაც წარმოიშვა და დამუშავდა არაერთი ეროვნული მნიშვნელობის იდეა (პროფესიული ქართული თეატრის ჩამოყალიბება, ჟურნალ „ცისკრის" დაარსება, ორიგინალური და მთარგმნელობითი ლიტერატურული პროცესების წახალისება და სხვ. — ბალახაშვილი 1940: 181-190; ბალახაშვილი 1941: 25-36. ვორონცოვი იყო სალონის ხშირი სტუმარი და ხელშემწყობი). უნდა

* საკითხისადმი ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდა მაქს. ბერძნიშვილსაც. იგი თვლიდა, რომ 1840-1850 წლებში „ეროვნული კულტურის აღორძინება" მარტო ვორონცოვის ინიციატივას არ უნდა მიეწეროს, რამდენადაც „ამ „რენესანსს" ნიადაგი უკვე შემზადებული ჰქონდა ვორონცოვის დანიშვნა-ჩამოსულამდე და ქართველობა კარგა ხნის ამოძრავებულია" (ბერძნიშვილი 1980: 6).

აღინიშნოს პ. იოსელიანის სამეცნიერო-საგამომცემლო და ჟურნალისტური საქმიანობაც და სხვ.; ქართველ მოღვაწეთა მონინავე ნაწილისა და ვორონცოვის გეგმები დაემთხვა ერთმანეთს და ამგვარმა უნისონმა კულტურის სფეროში ხელისუფლებისა და საზოგადოების სათანამშრომლოდ შექმნა მყარი საფუძველი მისგან გამომდინარე უაღრესად პოზიტიური შედეგებით („ეს პირველი ეტაპი ქართულ კულტურის აღორძინებისა... იყო მთავრობის და საზოგადოების სოლიდარული თანამშრომლობის ეტაპი" — ჯორჯაძე 1989: 107). უნდა ითქვას, რომ თავისი ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელებისას ვორონცოვმა მთავარ თანამშრომლად და დასაყრდენად აირჩია დ. ყიფიანი, რომელსაც, ბარონ ალ. ნიკოლაის მიერ იმპერიის უმაღლესი ხელისუფლებისადმი გაგზავნილი კონფიდენციალური მოხსენების მიხედვით, მიიჩნევდნენ „ავტონომიურ საქართველოზე მეცნებედ" (ჯოლოგუა 2007: 227) და ს. კაკაბაძეც მას უწოდებს „ავტონომიის იდეის... თვალსაჩინო მოტრფიალეს" (კაკაბაძე 1997: 126). დ. ყიფიანმა, თავის მხრივ, კავკასიაში განხორციელებული ძირეული ცვლილებები მაქსიმალურად შეუფარდა ქართველთა ეროვნულ-კულტურულ ინტერესებსა და საჭიროებებს (ჭიჭინაძე 1892: 23-26; ჯორჯაძე 1909ა; ნიკოლაძე 1964: 307; სახოკია 1969: 12; ჯოლოგუა 2007: 11-13).

ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის" შეფასება ქართულ წყაროებსა და ლიტერატურაში დიამეტრულად განსხვავებულია — უაღრესად პოზიტიურიდან [**გრ. ორბელიანი** (მეუნარგია 1941: 74-75; „დროება" 1867ა), **დ. ყიფიანი** („დროება" 1867ბ; ჯოლოგუა 2002: 169-170), **პ. იოსელიანი** (იოსელიანი 1869: 1-5), **ა. ფურცელაძე** (ჯოლოგუა 2007: 71), **ი. მეუნარგია** (მეუნარგია 1941: 75; მეუნარგია 1944: 23-24), **ა. ჯორჯაძე** (ჯორჯაძე 1909ბ; ჯორჯაძე 1989: 103-105, 107-108), **მიხ. თამარაშვილი** (თამარაშვილი 1995: 125), **კ. მესხი** („ივერია" 1900), **შ. ამირეჯიბი** (ამირეჯიბი 1998: 101), **ს. ყუბანეიშვილი** (ყუბანეიშვილი 2005: 378-385) და სხვ.] უკიდურესად ნეგატიურამდე [**ნ. ავალიშვილი** (ცაიშვილი 1955: 59-61), **ვახტ. კოტეტიშვილი** (კოტეტიშვილი 1965: 167-174), **ლ. ასათიანი** (ასათიანი 1940: 49-51), **ს. გერსამია** (გერსამია 1950: 36-39, 72-73, 102), **გ. თავზიშვილი** (თავზიშვილი 1974: 165-168), **ალ. კალანდაძე** (კალანდაძე

1977: 18), **რ. ჩხეიძე** (ჩხეიძე 1996: 263-266), **ნ. ვახანია** (ვახანია 1998: 13-14) და სხვ.*].

ვახტანგ კოტეტიშვილის შეხედულებით, „ვორონცოვის ხანა უნდა ჩაითვალოს იმ სისტემატური რეაქციის ეპიზოდად, რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა საქართველოს მიმართ... ვორონცოვმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთს, მაგრამ რა მფარველობა გაუწია საქართველოს, — არა ჩანს. მართალია, მან ენერგიულად მოკიდა ხელი ჩვენს ქვეყანას, კულტურას თითქოს სათავეში ჩაუდგა, მაგრამ იგი თავის საქმეს აკეთებდა. და თუ ზოგჯერ ქართულ საქმეს გადმოხედავდა, ეს იყო თვალის ახვევა და შირმა... იგი ქმნიდა იმ ცენტრებს, სადაც აჩქარებით და სისტემით ხდებოდა ეროვნული დეგრადაცია... იგი შეეჭრა ჩვენს ტრადიციულ ყოფას და ქართველ თავადაზნაურობას აიძულებდა შეეთვისებინა ევროპული ეტიკეტი“ (კოტეტიშვილი 1965: 171-172).

ვორონცოვის მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ ნ. ნიკოლაძესა (ნიკოლაძე 1964: 266, 307; შდრ.: ნიკოლაძე 1985: 306-307) და, განსაკუთრებით, ალ. ორბელიანს, რომლის თხზულებებშიც ჩამოყალიბებულია ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი: „[ვორონცოვი] ცფიერულად უალერსებდა სუბუქ ჭკოვანს ზოგიერთს ქართუელებსა... სხუა წარსული მთავარმართებლები ხომ გუატყუილებდნენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტურათ მძვინვარებდნენ, მაგრამ ის დრო ვარანცოვისა საქართველოში, ჩუენგნით გამოუცდელი სულ სხუა გუარი მოსატყუებელი დრო იყო... მითამ კაიკაცობას გვაჩვენებდა, ნამეტნავად უფრო კიდევ იმათ მომატებით, ვინც რუსეთის ინტერესზე იქცეოდა... ვარანცოვამდისინ ქართუელები შორს ვიდექით რუსებზე და იმან რუსებში გაგვრია, შეგვაერთა ამ ცფიერმა დიპლომატმა“ (ორბელიანი 1999: 54-57); მეორე მხრივ, ალ. ორბელიანის თქმით, „უგანათლებულესმა კნიაზ მ. ს. ვარონცოვმა ერთი სიტყვა არ იცოდა ქართული, მაგრამ გრძნობით კი დიდად ესიამოვნებოდა. მისთვის მოგვცა ქართული თიატრი და ქართული სალიტერატურო ჟურნალი — „აჰა, მარადის გქონდეთ და თქვენის მამა-პაპის კარგის ენით ისიამოვნეთო“. იმისი აზრი ეს იყო, იმ ღრმა განათლებულის და გამოჩენ[ილ]ის კაცისა. კნიაზ ვარონცოვი იყო დიდი გონების კაცი,

---

* ჩვენს ზოგიერთ ადრინდელ ნაშრომშიც ვორონცოვი წარმოჩენილია მმართველად, რომელიც „თეატრისა და ჟურნალის დაარსებით, კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურული საქმიანობის წახალისებით ქართველთა ნაციონალური ღირსების ილუზიას ქმნიდა“ (ჯოლოგუა 1997: 281).

სრული განვითარებული და სურდა ჭეშმარიტად ჩვენი კეთილი" (ორბელიანი 1879: 129-130).

ქართულ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკისადმი" ნეგატიურ დამოკიდებულებას საფუძვლად ძირითადად ორი წყარო დაედო:

ა) ალ. ორბელიანის ზემოხსენებული პირველი თვალსაზრისი (თუმცა იგნორირებულია მისივე მეორე — პირველის გამომრიცხავი — შეხედულება) და

ბ) ვორონცოვის მიერ ნიკოლოზ პირველისათვის წარდგენილი 1849-1851 წწ. ანგარიში, რომელშიც ვკითხულობთ: „დაარსდა თეატრი, ლიტერატურა გამოცოცხლდა, ნიგნები იბეჭდება, ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა კეთილინებებს და ჩათვლის — ამგვარი შედეგი უაღრესად კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს განათლების გავრცელებაზე, გემოვნების განვითარებაზე, ზნე-ჩვეულებათა დახვეწასა და რუსებში ადგილობრივთა შერწყმაზე" („...**слияние туземцев с русскими**") (აქტები 1885: 881).*

---

* ვორონცოვის კრიტიკოსები, ჩვეულებრივ, ციტირებას აქ წყვეტენ, თუმცა იქვე ესეცაა ნათქვამი: „თბილისში უკვე სამი თეატრი გვაქვს. უნდა აღვნიშნო, რომ აქაურ ხალხს არაჩვეულებრივად აქვს განვითარებული მშვენიერების აღქმის უნარი და, ამიტომაც, აღფრთოვანებით მიიღეს იტალიური ოპერა; პირდაპირ ანთებულნი არიან როსინის, ბელინისა და დონიცეტის ხელოვნებით. არადა, ცოტა ხნის წინ მათთვის უცხო იყო სხვა მუსიკა, გარდა ნახევრად ბარბაროსული სპარსული ჰანგებისა... ნიგნების ბეჭდვა ჯერ კიდევ ვახტანგ მეფემ შემოიღო ასზე მეტი წლის წინ, თუმცა მის დროს ნელინადში ორი-სამი ნიგნი თუ გამოიცემოდა. ვახტანგის შემდეგ განუწყვეტელი და ქვეყნის დამაქცევარი არეულობების გამო ეს საქმე შეწყდა, დღეს კი საეკლესიო ნიგნები მოსკოვში იბეჭდება და იქიდანვე იგზავნება. მიუხედავად ამისა, საყოველთაო ლტოლვა ლიტერატურული გემოვნებისა და ენის გამშვენიერებისაკენ ქართველებში სულაც არ შენელებულა. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ, ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, საუკუნეების განმავლობაში აქაურ ენას არსებითი ხასიათის ცვლილებები არ განუცდია და, შესაბამისად, ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებამ შეინარჩუნა თავისი პირვანდელი თვითმყოფადობა. დაახლოებით 700 წლის წინ, თამარის ეპოქაში დაწერილი დიდებული პოემა („...**славная поэма**") „ვეფხისტყაოსანი" დღესაც საუკეთესო გამოხატულებაა ქართული ენისა. საქართველოში ეს პოემა თითქმის ყველამ ზეპირად იცის. მართალია, იგი ადრე გამოცემულიც იყო, მაგრამ არასრულყოფილად და იმდენად მცირე ტირაჟით, რომ, გარდა რამდენიმე ხელნაწერისა, იშვიათად, საკუთრად ვინმეს მოეპოვებოდეს. ამასთანავე, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში და დღესაც დიდგვაროვან ოჯახთა შვილები საკუთარ ნიჭს ლიტერატურულ შრომას უძღვნიან — ქმნიან პოეტურ თუ პროზაულ ნანარმოებებს, როგორც ორიგინალურს, ისე თარგმანებს. აუცილებელი იყო, საგანმანათლებლო ცხოვრების ნახალისება, მისი პოპულარიზაცია, ხელი უნდა შეგვეწყო ყოველივე ამისათვის და გაგვეფართოებინა მშვენიერებისაკენ სწრაფვის კეთილშობილური ლტოლვა" (აქტები 1885: 881-882). რაც შეეხება სიტყვას „Туземец", მან ქართველებისათვის გარკვეულ კონტექსტში შეურაცხ-

ვორონცოვი იმპერატორს, რასაკვირველია, ვერ მისწერდა, რუსებისაგან ქართველების ჩამოშორებას ვაპირებო და, რაც მთავარია, მას არც ჰქონია ამგვარი განზრახვა. პირიქით, ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ მიზანდასახულობა, როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ეს იყო — რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია, ოღონდ აუცილებლად ქართველთა ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებითა და აღორძინებით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველი მოღვაწეებისათვის, — დროისა და ვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, — საესებით მისაღები აღმოჩნდა ასეთი პერსპექტივა, მით უმეტეს, ეს **ყველაფერი ხდებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეროვნული კულტურის ევროპეიზაციის გზით**. დიმიტრი ყიფიანისადმი, — იმდროინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მეთაურისა და თვალსაჩინო ევროპეისტისადმი, — მიძღვნილ ერთ-ერთ ნაშრომში ა. ჯორჯაძე აღნიშნავს: „დიაღ, ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ამავე დროს ქართველნი – ჰფიქრობდა ყიფიანი. ქართველობით გვინდა გამოვიდეთ კულტურულ ასპარეზზე. მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ „ქართველობა“ მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართული ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო. იმ ხანებში უფრო ფართოდ საკითხის დაყენება შეუძლებელი იყო...“ (ჯორჯაძე 1909[ბ]).

ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკისადმი“ დამოკიდებულება არც რუსეთში იყო ერთგვაროვანი. ვორონცოვის მმართველობის წლებშივე მის კურსს აკრიტიკებდნენ როგორც კავკასიის ადმინისტრაციულ (გერსამია 1950: 161-162), ისე რუსეთის ცენტრალურ მმართველობით სფეროებში (გუგუშვილი 1979: 91-94; ორჯონიკიძე 1992: 192; ინტერნ. 2), ხოლო მოგვიანებით დიდად გავლენიანი ფიგურა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში და არსებითად რუსული დიდმპყრობელურ-შოვინისტური იდეოლოგიის მეთაური 1860-1880 წლებში მიხეილ კატკოვი ვორონცოვს უწოდებდა ლიბერალიზმის სახელით ნაციონალური ინტერესების უგულებელმყო-

---

მყოფელი (დამამცირებელი) მნიშვნელობა მოგვიანებით შეიძინა, თუმცა თავისთავად ეს სიტყვა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ადგილობრივ მკვიდრს, აბორიგენს, ავტოქთონს [Туземец — мужидри мисქუყნისა, იქაური, მუნებური (ჩუბინაშვილი 1973: 568)].

ფელს, არარუსული თვითშეგნებისა და კავკასიაში სეპარატიზმის (განკერძოებულობის) წამახალისებელ მმართველს და პირდაპირ სდებდა ბრალს რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატში; ამასთანავე, ამტკიცებდა — სწორედ ვორონცოვის პოლიტიკამ აქცია კავკასიაში რუსი დამცირებულ და შეურაცხყოფილ, არსებითად მეორეხარისხოვან ადამიანადო (კატკოვი 1897: 554). საგულისხმოა ისიც, რომ ვორონცოვის შემცვლელმა, კავკასიის მეფისნაცვალმა ნ. მურავიოვმა (1854-1856) ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე უპირველეს მიზნად დაისახა მმართველობის ვორონცოვისეული სისტემის გამკაცრება (ნახევრად გასამხედროებული მმართველობის შემოღება) და წინამორბედის კულტურულ-საგანმანათლებლო ნამოწყებების განადგურება, რასაც ქართველთა მძაფრი უკმაყოფილება და მურავიოვის სასწრაფო გადაყენება მოჰყვა (ორჯონიკიძე 1992: 228-230; ორბელიანი 1999: 59-63; იოვიძე 1961: 440-442; წერეთელი 1961: 496; ზისერმანი 1974).

ვორონცოვი თვალსაჩინო ფიგურაა აკაკი წერეთლის შემოქმედებაში (ლექსები, პუბლიცისტიკა, მემუარები, დრამატული პოემა „ვორონცოვი"). აკაკის თხზულებებში ვორონცოვის სახე წარმოჩენილია როგორც პიროვნებისა და მმართველისა, რომელიც იყო საქართველოში ძმობისა და სიყვარულის დამნერგავი („ბებიას ნაამბობი"), უსამართლობით გატანჯული ერის გულისტკივილის გამზიარებელი („ქართველი ძეგლის წინ"*), ქართველი ხალხის „მამაშვილურად მოყვარული", რომლის ხელშიც საქართველომ „სული იბრუნა" („ვარანცოვის ძეგლი"), „ცით მოვლენილი... ზეკაცი", რომელმაც საქართველოში გაავრცელა სწავლა-განათლება და „ჩაჰნერგა წრფელი სიყვარული" („ვორონცოვი"), მმართველი, „რომელსაც აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივს სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა" („ჩემი თავგადასავალი"),

---

* აკაკის შემოქმედებაში არაერთხელ ნახსენები „ძეგლი" ვორონცოვის ხსოვნის პატივსაცემად თბილისში საზოგადოების ინიციატივითა და ძირითადად მოსახლეობის ნებაყოფლობითი შემოწირულებებით თბილისში ვორონცოვის (შემდომში მარქსის, ამჟამად — ზაარბრიუკენის) მოედანზე დაიდგა 1867 წლის 25 მარტს [პირველი ქანდაკება თბილისში. ავტორი — პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის პროფესორი ნ. პიმენოვი. მისი გარდაცვალების გამო ძეგლი დაასრულა ვ. კრეიტანმა. იდგა ალგეთის ქვის კვარცხლბეკზე (არქიტექტორი ო. სიმონსონი)]. ძეგლზე, აგრეთვე, მის გახსნასა და ამ ფაქტთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე იხ.: ვორონცოვი 1867; ბერიძე 1977: 209; გერსამია 1984: ფოტო და ანოტაცია 101; „დროება" 1866; „დროება" 1867ა; „დროება" 1867ბ; „დროება" 1867გ; „დროება" 1867დ]. ამჟამად ვორონცოვის ძეგლი დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. მანამდე, 1963 წელს, ვორონცოვს ძეგლი დაუდგეს ოდესაში.

ქართული მწერლობის ქომაგი და მასზე უანგაროდ მზრუნველი („მცირე შენიშვნა") და ა. შ.; აკაკი ეკამათება იმათ, რომლებიც საქართველოზე ვორონცოვის ზრუნვას ფარისეველობად მიიჩნევდნენ და აღნიშნავს: „ბრალი არა აქვს, სხვის ხელში / მისი ნამყენი თუ გახმა..." („ვარანცოვის ძეგლი").*

აკაკიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა გულწრფელი პატივისცემა ვორონცოვის მიმართ და მანვე მოგვცა, ჩვენი აზრით, ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის" ყველაზე ლაკონიური და ზუსტი შეფასება — ვორონცოვი მომავლის საქართველოს განიხილავდა როგორც „პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით" და ამას იგი აკეთებდა „საევროპიო სწორის გზით" („ქართული თეატრის დაარსება საქართველოში" — წერეთელი 1961: 458). ანალოგიურ თვალსაზრისს ვრცლად იმეორებს ა. წერეთელი 1912 წელს დაწერილ კიდევ ერთ თხზულებაში „ნარკვევი" („რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა..."): „ტკბილი, კეთილი და მშვიდობიანი მომავალი, მხოლოდ სწავლა-განათლებით და შრომის ოფლით, უსისხლოდ გამოწვეული და წარსულზე მონაქარგი... ნეტარხსენებულ მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვს, საქართველოს მთავარმართებელს, ეს ქართველების იდეალი პროგრამად ეჭირა ხელში. ის სცდილობდა, რომ ხელშეუხებელი ყოფილიყო ის ეკლესია, რომელმაც გადაარჩინა ერი მაჰმადიანობას და მეცხრამეტე საუკუნის კარებამდი მიიტანა ქრისტიანობა შეუბილწავად. უნდოდა, რომ ის დედა-ენა, რომლითაც ქართველობა მეოთხე საუკუნიდან ადიდებდა ღმერთს, არ მოსპობილიყო. და მეცადინეობდა, რომ მიწა-წყალი, ის მიწა-წყალი, რომელიც ქართველთა სისხლით იყო მორწყული და მოწამებრივ-თავდადებულ წინაპართა ძვლებით გაპოხიერებული, არ გამოსცლოდათ ხელიდან მკვიდრებს. ამ გვარად ის ჰფიქრობდა ქართველების რუსებთან დაკავშირებას. უნდოდა, რომ ქართველი დარჩენილიყო თავისის ეროვნულის ელფერით, ენით, ეკკლესიით და მიწა-წყლით ისევ ქართველად, მაგრამ პოლიტიკურად რუსი ყოფილიყო..." — წერეთელი 1961: 492).

ვორონცოვის „კავკასიურ პოლიტიკასა" და მისგან გამოწვეულ კულტურულ-ლიტერატურულ პროცესებს, ვფიქრობთ, პირდაპირი კავშირი აქვს 1860-იანი წლების საზოგადოებრივ და სალიტერატუ-

* ვორონცოვისადმი აკაკის დამოკიდებულებაზე უკანასკნელ ხანს ორი სპეციალური ნაშრომი გამოქვეყნდა — ყუბანეიშვილი 2005: 378-395; გაბოძე 2010: 53-64.

რო ვითარებასთან და, ამ მხრივ, მართებული გვგონია ქ. ნინიძის შეხედულება: „ეს („თერგდალეულთა“ — თ. ჯ.) ფენა ყალიბდება ვორონცოვის საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად“ (ნინიძე 2009: 68).

საქმე ისაა, რომ თითქმის ყველა ენობრივი თუ ლიტერატურული საკითხი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა და ამა თუ იმ ფორმით დაამუშავა 1860-იან წლებში, მეტ-ნაკლები სიღრმითა და ინტენსივობით უკვე დასმული იყო წინა ათწლეულში: ამ დროს უკვე გააზრებულია ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის აუცილებლობის საკითხი (დ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი, ლ. არდაზიანი, დ. ბაქრაძე) და ეს პროცესი თანამიმდევრულად მკვიდრდება სამწერლობო-შემოქმედებით პრაქტიკაში (გ. და რ. ერისთავები, დ. ყიფიანი, ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე...), მკაფიოდაა გამოთქმული თვალსაზრისი ორთოგრაფიული რეფორმის საჭიროებაზე (დ. ჩუბინაშვილი), წარსული გააზრებულია ხალხში ისტორიული ერთობის შეგნების ჩამოყალიბებისა და არისტოკრატიულ წრეებში ფეხმოკიდებული ეროვნული ნიჰილიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად (დ. ყიფიანი, ნ. ბერძნიშვილი), მეტ-ნაკლები საფუძვლიანობით შემუშავებულია თვალსაზრისი ცხოვრების რეალისტურად ასახვისა და ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების (მ. თუმანიშვილი, ნ. ბერძნიშვილი), ლიტერატურაში ეროვნული თემატიკისა და პრობლემატიკის პრიორიტეტულობის, აღმოსავლური (კერძოდ, სპარსული) პოეზიის პირდაპირი და ზედაპირული გავლენის აღმოფხვრისა და ქართული ლიტერატურული აზროვნების ევროპეიზაციის აუცილებლობის, სალიტერატურო კრიტიკის, მთარგმნელობითი პოლიტიკის, ჟურნალისტიკის რაობისა და ფუნქციის საკითხებზე (ნ. ბერძნიშვილი), ჩნდება და ფეხს იკიდებს პუბლიცისტური აზროვნება (მ. თუმანიშვილი, ივ. კერესელიძე) და სხვ.

ერთი სიტყვით, 1860-იანი წლებისათვის მომზადებულია ნიადაგი ახალი, დროის მოთხოვნათა შესაფერისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობრივ და ლიტერატურულ პრინციპებზე დაფუძნებული ეროვნული იდეოლოგიის შესაქმნელად და ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. დიდად საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე და მესვეური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა, სწორედ 60-იანი წლების დასაწყისში მოევლინა ქვეყანას, როცა წარსულს ბარდებოდა ვორონცოვის მიერ გატარებული ლოიალური, სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების

აღმავლობაზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსი და იწყებოდა ახალი ფორმებით საქართველოს რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკის განხორციელება. ამგვარ პირობებში კი მეტისმეტად ძნელი იქნებოდა (თუ შეუძლებელი არა) ნოვატორული კულტურულ-იდეოლოგიური სისტემების შექმნა ვორონცოვისდროინდელი მონარქისტულ-კონსერვატორული მსოფლმხედველობით, პოლიტიკური რეჟიმისადმი გამოცხადებული უპირობო ლოიალიზმითა და არსებული კულტურულ-ინტელექტუალური რესურსებით. ამდენად, ეროვნულმა სასიცოცხლო ენერგიამ, რომელიც იმ დროისათვის სიცოცხლისა და მოქმედებისუნარიანი აღმოჩნდა, ილია ჭავჭავაძე მაინცდამაინც მაშინ წარმოშვა, როცა ამისი სასიცოცხლო აუცილებლობა შეიქმნა და ის, რასაც ილია თავის პროგრამულ თხზულებაში „საქართველოს მოამბეზედ" ზოგადად ამბობდა: „გენიოსი ნაყოფია თავის დროებისაო" (ილია აქ „გენიოსში" „წინამძღოლს" გულისხმობს), თვითონ ამ სიტყვების ავტორზეც უნდა გავრცელდეს — ილია ჭავჭავაძე ნაყოფია იმ „დროებისა", რომლის ფესვებიც, გარდა ნაციონალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციებისა, ვორონცოვის „კავკასიურ პოლიტიკაშიც" უნდა ვეძებოთ.

დამოწმებები:

ამირეჯიბი 1998: ამირეჯიბი შ. [*თხზულებები*]. წგნ. II, თბ.: 1998.

ასათიანი 1940: ასათიანი ლ. *ცხოვრება აკაკი წერეთლისა*. თბ.: 1940.

ასათიანი 2002: ასათიანი თ. *ქართული გერბთმცოდნეობა* (ჰერალდიკა). თბ.: 2002.

აქტები 1885: *Акты*. собранные Кавказской археографической комиссиею, т. X, Тф.: 1885.

აქტები 1888: *Акты*, собранные... т. XI, Тф.: 1888.

ბალახაშვილი 1940: ბალახაშვილი ი. *ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში* (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბ.: 1940.

ბალახაშვილი 1941: ბალახაშვილი ი. *მანანა ორბელიანი*. თბ.: 1941.

ბარამიძე... 1978: Барамидзе А.А. Ватейшвили Д.Л. П.И. Иоселиани. *Очерк жизни и научно-общественной деятельности*. Тб.: 1978.

ბარნაველი 1961: *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები*. შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველმა. თბ.: 1961.

ბერიძე 1977: ბერიძე თ. *ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია*. თბ.: 1977.

ბერძნიშვილი 1980: ბერძნიშვილი მ. *მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სა ზოგადოებრიობის ისტორიისათვის*. I, თბ.: 1980.

ბერძნიშვილი 1983: ბერძნიშვილი მ. *ასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სა ზოგადოებრიობის ისტორიისათვის*. II, თბ.: 1983.

ბოცვაძე 1976: ბოცვაძე ი. *პრესა და მწერლობა*. თბ.: 1976.

ბრიკნერი 1883: Брикнер А. Г. *Письма С. Р. Воронцова к сину, графу М. С. Воронцову*. "Вестник Европы", 1883, № 3.

ბუაჩიძე 1983: Буачидзе Г.С. *Мари Броссе. Страницы жизни*. Тб.: 1983.

გაბოძე 2010: გაბოძე ჯ. *„ვარანცოვის დრო"* (აკაკის უცნობი ლექსების დათარიღებისათვის). „წახნაგი" (ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული). მ. ღაღანიძის რედაქციით. № 2, 2010.

გაფრინდაშვილი 1970: გაფრინდაშვილი მ. *ქართული კულტურა XIX საუკუნეში*. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად. ტ. V (საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში). თბ.: 1970.

გერსამია 1950: გერსამია ს. *გიორგი ერისთავის თეატრი*. თბ.: 1950.

გერსამია 1984: გერსამია თ. *ძველი თბილისი*. თბ.: 1984.

გოცაძე 1954: გოცაძე მ. *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია*. I, 1954, თბ.: 1954.

გუგუშვილი 1941: გუგუშვილი პ. *ქართული ჟურნალისტიკა* (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). ტ. I, თბ.: 1941.

გუგუშვილი 1979: გუგუშვილი პ. *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში*. ტ. VI, თბ.: 1979.

გურგენიძე 1969: გურგენიძე ნ. *ძველი წიგნთსაცავები საქართველოში*. თბ.: 1969.

დიუმა 1970: დიუმა ა. *კავკასია* (მოგზაურობის შთაბეჭდილებანი). რედაქცია, შესავალი წერილი და შენიშვნები ა. გაწერელიასი. თბ.: 1970.

„დროება" 1866: *ვორონცოვის ძეგლი*. „დროება", 11.XI.1866, № 37.

„დროება" 1867ა: *25 და 26 მარტი ტფილისში*. „დროება", 7.IV.1867, № 14.

„დროება" 1867ბ: *უმაღლესი რესკრიპტი*. „დროება", 17.II.1867, № 7.

„დროება" 1867გ: *ვორონცოვის ძეგლის კურთხევა*. „დროება", 24.III.1867, № 12.

„დროება" 1867დ: *კნიაზი ვარანცოვის ძეგლის კურთხევა*. „დროება", 31.III.1867, № 13.

ერმოლოვი 1926: Ермолов А.П. *Письма. Предисловие А. Тахо-Годи*. Махач-Кала: 1926.

ვახანია 1998: ვახანია ნ. *პროზა ალექსანდრე ორბელიანისა*. თბ.: 1998.

ვორონცოვი 1867: *Открытие памятника в Тифлисе светлейшему князю Михаилу Семеновичу Воронцову 25-го марта 1867 года*. Тфл.: 1867.

ზისერმანი 1974: Зиссерман А.Л. *По поводу полемики о князе Воронцове и Н.Н. Муравьеве как наместниках Кавказских*. "Русский вестник", 1874, №11.

თავზიშვილი 1974: თავზიშვილი გ. *რჩეული პედაგოგიური თხზულებანი*. ი. ბოცვაძის რედაქციით. ტ. I, თბ.: 1974.

თამარაშვილი 1995: თამარაშვილი მ. *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა. თბ.: 1995.

თაყაიშვილი 1968: თაყაიშვილი ე. *რჩეული ნაწერები.* გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი ნერილები დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ. თბ.: 1968.

თეატრი თბილისში 1888: *Театр в Тифлисе с 1845-1856 год.* Тф.: 1888.

„ივერია" 1889: *ახალი ამბავი.* „ივერია", 6.X.1889, № 221.

„ივერია" 1899: *ბეთანიის მონასტერი.* „ივერია", 10.XII.1899, № 266.

„ივერია" 1900: *ქართული სცენის დაარსებითგან 50 წლის შესრულების დღესასწაული.* „ივერია", 4.I.1900, № 2.

„ივერია" 1986: *"Ноздрей к ноздре"*. По поводу решения "грузинского вопроса" г. Максимовым. „ივერია" (პარიზი), 1986, № 30.

ინტერნ. 1: http://ru.wikipedia.org/wiki/Воронцов, _Михаил _Семёнович (25.IX.2010).

ინტერნ. 2: http://az.lib.ru/o/ogarkow_w_w/text_0030.shtml (25.IX.2010).

ინტერნ.3: http://fershal.narod.ru/Memories/Texts/Vorontzov_M_S/Vorontzov_2.htm (21.X.2010).

ინტერნ. 4: http://fershal.narod.ru/Memories/Texts/Vorontzov_M_S/Vorontzov_1.htm (21.X.2010).

იოვიძე 1961: იოვიძე ა. *მასალები თბილისის თეატრების ისტორიისათვის.* „საისტორიო მოამბე", № 13-14, 1961.

იოსელიანი 1869: იოსელიანი პ. *სიტყუა საყოველთაოდ საუწყებელი წიგნთა ქართულთა ბეჭუდისა-გამო.* „ცისკარი", 1869, № 3.

ისარლოვი 1899: Исарлов Л.С. *Письма о Грузии.* Тф.: 1899.

„კავკაზ" 1850: *Мцхет.* "Кавказ", 25.VI.1850, №48.

კაკაბაძე 1997: კაკაბაძე ს. *ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921).* თბ.: 1997.

კალანდაძე 1977: კალანდაძე ალ. *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია.* I (1819-1853), თბ.: 1977.

კატკოვი 1897: Катков М. Н. *Собрание передовых статей Московских Ведомостей (1865 год).* М.: 1897.

კოტეტიშვილი 1965: კოტეტიშვილი ვ. *რჩეული ნაშრომები.* წგნ. I (ქართული ლიტერატურის ისტორია. XIX ს.). დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. თბ.: 1965.

ლორია, გურგენიძე 1974: ლორია ა., გურგენიძე ნ. *საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში (1921 წლამდე).* თბ.: 1974.

მაკიევსკი-ზუბოკი 1906: Макиевский-Зубок Н.Г. *Кавказ и кавказские наместники.* "Вестник Европы", 1906, №2.

მახათაძე 1964: მახათაძე ნ. *პლატონ იოსელიანი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები.* კრბ. ძველი ქართული მწერლობის საკითხები. II, თბ.: 1964.

მეუნარგია 1941: მეუნარგია ი. *გრიგოლ ორბელიანი.* — მეუნარგია ი. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. I, თბ.: 1941.

მეუნარგია 1944: მეუნარგია ი. — მეუნარგია ი. *ქართველი მწერლები...* II, თბ.: 1944.

მოლაყბე 1858: მოლაყბე. *სალაყბოს ფურცელი.* „ცისკარი", 1858, № 1.

„მწყემსი" 1903: *იმპერატორის ნიკოლოზ I მოგზაურობა საქართველოში.* „მწყემსი", 1903, № № 12,13,15-16.

ნიკოლაძე 1964: ნიკოლაძე ნ. *თხზულებანი.* დ. გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით. ტ. IV, თბ.: 1964.

ნიკოლაძე 1985: ნიკოლაძე ნ. *თხზულებანი...* ტ. VII, თბ.: 1985.

ნინიძე 2009: ნინიძე ქ. *მილიტარისტული ნარატივის მორფოლოგია* (ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები). თბ.: 2009.

ორბელიანი 1879: ორბელიანი ალ. *მე და ის.*— თ. ალექსანდრე ჯამ. ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანისა. გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. თბ.: 1879.

ორბელიანი 1999: ორბელიანი ალ. *რუსების დასი ქართუელები ჩემზედ.* — ალ. ორბელიანი. სიტყვა მამულის ტრაპესზედ. შემდგენელი ნ. ვახანია. თბ.: 1999.

ორჯონიკიძე 1992: ორჯონიკიძე ე. *რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში.* თბ.: 1992.

პაპავა 1956: პაპავა თ. და ა. *მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი.* ბუენოს აირეს.: 1956 (ხელმეორედ უცვლელად დაიბეჭდა თბილისში — თბ.: 1989).

პოტო 1897: პოტო ვ. *გენერალ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილის 60 წლის სამსახურის იუბილეის გამო.* „მოამბე", 1897, № 11 (განყ. II).

პუშკინი 1985: Пушкин А.С. *Сочинения в трех томах.* т. III, М.: 1985.

ჭორდანია 1951: ჭორდანია გ. *კავკასიური მუზეუმის დაარსება* (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის შესწავლისათვის). თბ.: 1951.

„რუსსკი არხივ" 1890ა: *Письма князя М.С. Воронцова к А.П. Ермолову.* "Русский архив", 1890, т. II.

„რუსსკი არხივ" 1890ბ: *Письма князя М.С. Воронцова...* т. III.

სახოკია 1969: სახოკია თ. *ჩემი საუკუნის ადამიანები.* თბ.: 1969.

ტაბიძე 1986: ტაბიძე ტ. *ირონია და ცინიზმი. პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში.* — ქართული ლიტერატურული ესსე (XX საუკუნის 20-იანი წლები). შეადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო მ. ხელაიამ. თბ.: 1986.

უზნაძე 1957: Узнадзе В. *История Тифлисской публичной библиотеки (1846-1917 гг.).* Тб.: 1957.

ურუშაძე 1982: ურუშაძე ნ. *ქართული თეატრის ამბავი.* თბ.: 1982.

ფერაძე 1964: ფერაძე თ. *რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში* (XIX საუკუნე). თბ.: 1964.

ქსე 1980: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* ტ. 5, თბ.: 1980.

ქსე 1983: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* ტ. 6, თბ.: 1983.

ყუბანეიშვილი 2005: ყუბანეიშვილი ს. *მიხეილ ვორონცოვი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში.* „აკაკის კრებული", II, თბ.: 2005.

შარაძე 1980: შარაძე გ. *პლატონ იოსელიანი — რუსთველოლოგი.* თბ.: 1980.

შჩერბინინი 1858: Щербинин М.П. *Биография генерал-фельдмаршала, князя Михаила Семеновича Воронцова.* С.-Пб.: 1858.

შჩერბინინი 1876: Щербинин М.П. *Воспоминания.* „Русский архив", 1876, кн.III.

ჩუბინაშვილი 1973: ჩუბინაშვილი ნ. *რუსულ-ქართული ლექსიკონი.* ალ. ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. II, თბ.: 1973.

ჩხაიძე 1986: ჩხაიძე ალ. *საქართველოში კლასიკური ბალეტის ჩასახვის ისტორიიდან.* „საბჭოთა ხელოვნება", 1986, № 7.

ჩხეიძე 1996: ჩხეიძე რ. *ალექსანდრე ორბელიანი.* თბ.: 1996.

ცაიშვილი 1955: ცაიშვილი სოლ. *ნიკო ავალიშვილი.* თბ.: 1955.

წერეთელი 1958: წერეთელი ა. *თხზულებათა სრული კრებული...* ტ. VII, თბ.: 1958.

წერეთელი 1961: წერეთელი ა. *თხზულებათა სრული კრებული...* ტ. XIV, თბ.: 1961.

ჭიჭინაძე 1892: ჭიჭინაძე ზ. *დიმიტრი ყიფიანი.* ტფ.: 1892.

ჭიჭინაძე 2002: ჭიჭინაძე ზ. *თბილისში წიგნის მაღაზიების დაარსება 1805 წლიდამ 1878 წლამდის.* გაზ. „ქართული წიგნი", 2002, № 2.

ხუნდაძე 1951: ხუნდაძე ტ. *ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში* (XIX საუკუნე). თბ.: 1951.

ჯაგოდნიშვილი 2004: ჯაგოდნიშვილი თ. *ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია.* წგნ. I (XIX საუკუნე). თბ.: 2004.

ჯოლოგუა 1997: *საშვილიშვილო მოკავშირე — დიმიტრი ყიფიანი* (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. ტ. I, თბ.: 1997.

ჯოლოგუა 2002: ჯოლოგუა თ. *დიმიტრი ყიფიანი* (1830-1860 წლები). თბ.: 2002.

ჯოლოგუა 2007: *საშვილიშვილო მოკავშირე — დიმიტრი ყიფიანი...* ტ. II, თბ.: 2007.

ჯოლოგუა 2010: ჯოლოგუა თ. *შეთქმული ქალები. თეკლა ბატონიშვილი.* „ქართული მწერლობა", 2010, № 7.

ჯორჯაძე 1909ა: ჯორჯაძე ა. *წარსულის გაკვეთილი.* „დროება", 25.XI.1909, № 262.

ჯორჯაძე 1909ბ: ჯორჯაძე ა. *წარსულის გაკვეთილი.* „დროება", 26.XI.1909, № 263.

ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა. *მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის.* — ა. ჯორჯაძე, წერილები, შემდგენელი ა. ბაქრაძე, თბ.: 1989.

აკაკი და თეატრი

ქართველ ხალხს თავისი ქვეყნის რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და განსხვავებული ისტორიული პირობების გამო უაღრესად სპეციფიკურ პირობებში მოუხდა ცხოვრება.

სპეციფიკურ გარემოში უხდებოდა ბრძოლა ქრისტიანობის დასაცავად. მუსულმანური გარემოს შეცვლის შემდეგაც არ შეწყვეტილა ბრძოლა „მოყვარე მტრის“ წინააღმდეგ. ასრულდა ნ. ბართაშვილის პოემის გმირის სოლომონის სიტყვები, რომელიც მან ერეკლე მეორეს უთხრა: „სჯულთა ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება სხვადასხვაობდესო“.

ასეთ ისტორიულ პირობებში მართლმადიდებლობა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ცენტრად იქცა. ზოგადად რელიგია არღვევს ეროვნულის საზღვრებს, მხოლოდ ქართული მართლმადიდებლობა და იუდეიზმი იყო გამონაკლისი, როგორც ეს სამართლიანად შენიშნა არჩილ ჯორჯაძემ.

სწორედ ეროვნული იდეოლოგია გახდა ქართული ეკლესიისა და თეატრის ინტერესთა ერთიანობის ძირითადი ფუნდამენტი. ილიამ და აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვა თანამოაზრეებმა თეატრს მიანიჭეს ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების ზნეობრივი კათარზისის ანუ განწმენდის, ქართული ენის დაცვის, სამართლიანობისათვის ბრძოლის ფუნქცია. 1903 წელს, როცა აკაკი სათავეში ჩაუდგა თეატრს, დასს ასე მიმართა: „თეატრი ხელოვნების ტაძარია, სამოძღვრო ამბიონი და არა უბრალო გასართობი, საფუნდრუკო რამ. სცენა არის ეროვნული სარკე, რომელიც უშიშრად და უტყუვრად უნდა გვისახავდეს ჩვენ ცხოვრების ავ-კარგს, რომ სანახაობით მოხიბლული მშვენიერებისაკენ სიყვარულით მოვისწრაფოდეთ და უშვერებას ზიზღით გავურბოდეთ. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ძლიერი სარკე თქვენ უნდა დაიჭიროთ ხელში“. იმავეს იმეორებს სხვა სტატიაში „სცენა დიდი საღმრთო ამბიონია და წარა-მარად ხელის შეხება დიდი დანაშაულობაა“.

ეს არის თეატრის ისტორიული მისიის განცდა, თეატრის ტაძრამდე ამაღლებისა და ქრისტიანი ერის უნივერსალურ ჰუმანისტური პრინციპებისადმი ერთგულების მოთხოვნა.

ქართული ენის გადარჩენისათვის ერთად იბრძოდნენ ეკლესია და თეატრიც. ეს იყო დიდი და მძიმე ისტორიული ბრძოლა, რადგან მათ იცოდნენ, — „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“.

გოდებასავით გაისმა ილიას სულისშემძვრელი სიტყვები: „ხომ იცით თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის, მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს“.

ქართულ თეატრს სანახაობითი და ესთეტიკური ფუნქციის გარდა საგანმანათლებლო როლიც უნდა შეესრულებინა. არჩილ ჯორჯაძე გულისტკივილით წერდა: „ჩამორჩენილ და დაქვეითებულ ქვეყანაში თეატრს რომ განათლების მისია დააკისრონ, გასაკვირველი არ არის“.

ჩვენ უნდა შეგვეძლოს დღეს მაინც თვალი გავუსწოროთ ისტორიულ რეალობას, გამოვეთხოვოთ რომანტიკულ ილუზიებს, რომელიც გაამძაფრა „უსაქართველო ქართველის“ (ს. ახმეტელი) ფენომენმა. მას უნდა ჩაენაცვლოს მკაცრი რეალიზმი. თბილისში „მაღალ საზოგადოებაში“ ბევრი ისე გადაგვარდა, რომ მაკო საფაროვა-აბაშიძის ცნობით, ასეთ ოჯახებში იყო წითელი ხავერდისაგან შეკერილი ძაღლის ენა, რომელსაც, ვინც ქართულად დაილაპარაკებდა, ენაზე დაარტყამდნენ.

უცხოურისადმი ბრმად მიმბაძველსა და თაყვანისმცემელ პროვინციელ „არისტოკრატებს“ ყოველთვის დიდი გასაქანი ჰქონდათ საქართველოში, — უპირველესად თბილისში. „ჩამორჩენილ“ და „დაქვეითებულ“, „გადაგვარების გზაზე დაქანებულ“ ქართველობას იმედის მომცემი, სულის გამამხნევებელი, თავისი ეროვნული მეობის გამღვიძებელი ტრიბუნა სჭირდებოდა. ასეთი ტრიბუნა იყო თეატრი, რომელიც ეროვნული მთლიანობის იდეისათვის იღვწოდა.

აკაკი ქართულ თეატრს 1862 წლიდან სიკვდილამდე არ მოშორებია. იყო მისი ხელმძღვანელი, რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი, მსახიობი. თითოეული სფერო ცალკე კვლევის საგანია. აკაკის თეატრზე თეატრმცოდნეებამდე მწერლები და ფილოლოგები წერდნენ. ფასდაუდებელია მათი ღვაწლი.

აკაკისა და თეატრის თემათა ციკლიდან დღეისათვის განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია აკაკისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლემიკა. ვფიქრობ, მკითხველს ბევრი რამ ენიშნება აკაკისა და ახალი თაობის პოზიციათა შეპირისპირებაში. საკითხი სცილდება აკაკის ეპოქის საზღვრებს.

საქმე ეხება ქართული თეატრის ეროვნული კონცეფციისა და ესთეტიკურ კრიტერიუმებს, პრობლემური ძველი და ახალი თეატრების გზასაყარს, დროთა მონაცვლეობის მტკივნეულ პროცესს და თაობათა დაპირისპირებას, პატრიოტიზმის ცნების განსხვავებულ ინტერპრტაციას.

დღეს ერთგვარად სევდის მომგვრელიც კი არის საქვეყნოდ აღიარებული 62 წლის აკაკისა და საზოგადოებისათვის უცნობი 23 წლის მიხეილ ჯავახიშვილის პოლემიკა.

სევდის მომგვრელიც არის და საამაყოც ერთსა და იმავე დროს. ორივეს აღელვებდა ქართული თეატრის ბედი, მაგრამ სხვადასხვანაირად ესმოდათ ეროვნული თეატრის იდეა.

იყო დრო, როცა აკაკი ქართული თეატრის დინების წინააღმდეგ წავიდა, არ მიიღო თეატრის განახლების მიხელ ჯავახიშვილისეული კონცეფცია. ჯავახიშვილის უკან იდგა ახალი თაობა და ისტორიული რეალობა, სიტუაცია ნამდვილად დრამატული იყო, რადგან ორივე მხარეს ჰქონდა თავისი სიმართლე. მაშინ აკაკი პოპულარობით მხოლოდ ილიას შეედრებოდა. თეატრშიც განსაკუთრებული იყო მისი დამსახურება. აი ასე, დიდ ავტორიტეტს დაუპირისპირდა 23 წლის ახალგაზრდა — მიხეილ ჯავახიშვილი, რომელსაც ჯერ მწერალიც კი არ ეთქმოდა, მხოლოდ ერთი პატარა მოთხრობა („ჩანჩურა“) ჰქონდა გამოქვეყნებული.

ვინ არის უფრო პატრიოტი, უფრო მართალი — აკაკი, რომელიც იცავს ძველი თეატრის ესთეტიკას და ღრმა ეროვნული გრძნობების გამოხატვის იდეას, თუ ახალბედა მიხეილ ჯავახიშვილი, რომელსაც აღარ უნდა ასეთი სტილის თეატრი. გმირები უნდა შეცვალონ უბრალო ადამიანებმა, ჰეროიკული სტილისტიკა ყოფითმა რეალიზმმა. უნდა მოხდეს თეატრის სრული მოდერნიზაცია.

აკაკი მტრულად შეხვდა ჯავახიშვილის შეხედულებებს.

მიხეილ ჯავახიშვილიც მტრულად შეხვდა აკაკის ძველ შეხედულებებს.

გაიმართა მძაფრი კამათი.

როგორც აღვნიშნე, სიტუაცია თავისთავად დრამატულია. თაობათა დაპირისპირება იკვეთება პატრიოტული ცნების ინტერპრეტაციებში.

ეს იმ დროს ხდება, როდესაც ილიამ, აკაკიმ და მათმა თანამოაზრეებმა მტკიცედ ჩამოაყალიბეს ქართული თეატრის, როგორც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ტრიბუნის იდეა, განსაზღვრეს მისი როლი ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებასა და ქართული

გენის დაცვაში. თეატრი – ტრიბუნაა! — ასეთი იყო მათი კონცეპტუალური პოზიცია.

თუმცა ქართულ თეატრში ძლიერი იყო სოციალური პროცესების კომედიურ ჟანრში წარმოჩენის ტენდენცია.. აკაკიც მონაწილეობდა ამ პროცესებში, მაგრამ ეროვნულ-პატრიოტული იდეა გახსნილი ფორმით მეტწილად ისტორიულ თემაზე დაწერილ პიესებში ვლინდებოდა. კოლონიური ქვეყნის თეატრში პატრიოტული შეგნების გაღვივების სხვა საშუალება არ არსებობდა. აკაკის პიესებიც („პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“ და სხვა) ამ მიზანს ემსახურებოდა. მაგრამ თეატრს საკმარისად არ ჰქონდა მაღალმხატვრული პიესები.

კომპრომისები გარდაუვალი იყო.

1903 წელს აკაკი სათავეში ჩაუდგა თეატრს. სწორედ ამ წელს დაუპირისპირდა მ. ჯავახიშვილი თავისი წერილით „ჩვენ და ჩვენი თეატრი“.

მ. ჯავახიშვილი წერს, რომ წავიდა ის დრო, როცა სიხარულით დადიოდა ქართულ თეატრში: „მე მიყვარდა ქართული თეატრი, ისე მიყვარდა, როგორც სამშობლო, ძვირფასი მეგობარი, კეთილი მამა, მოსიყვარულე ცოლი, — უფრო ძლიერ, ისე მიყვარდა როგორც ჩვენი წარსულის, ჩვენი დიდებული წარსულის მასწავლებელი, როგორც თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე, ირაკლი და ჩვენი ქვეყნის, საქართველოს თავისუფლებისათვის წამებულნი.

მაგრამ, დრო მიდიოდა, მე ვიზრდებოდი და თანდათან ჩემს მასწავლებელს — თეატრსაც ვშორდებოდი. მე ჩემს ბელადს — თეატრს გავუსწარი და ჩვენ ახლა ერთმანეთისა აღარა გვესმის რა“.

ასეთი აზრი გამოუთქვამს მიხეილ ჯავახიშვილს თეატრში აკაკისთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს. მაშინ აკაკის უპასუხია: „თქვენ ყველანი ეგეთები ხართ, სანამ ახალგაზრდობთ — კიდევ არაფერი გიშავთ, ქართული თეატრი, ქართული პიესებიც გიყვართ, მაგრამ როცა წამოიზრდებით და სხვა თეატრებსაც გაეცნობით, მაშინ კი არამცთუ არასდროს არ შემოდიხართ, არამედ მზად ხართ მთელი ჩვენი რეპერტუარი დასწვათ და ზარბაზნებით დაანგრიოთ ქართული თეატრი — ჩვენი ერთადერთი ეროვნული დანესებულება“.

მ. ჯავახიშვილის აზრით „დრამის თეატრის შესახებ ქართული საზოგადოება ორ მოპირისპირე ნაწილად არის გაყოფილი: ერთი

ნახევარი ლოცულობს იმაზე, რის დანგრევასაც ცდილობს მეორე ნახევარი. ე.ი. ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი იცავს ჩვენს ისტორიულ პიესებს, ძველ კომედიებს, ეთაყვანება გ. რ. და დ. ერისთავებს, ანტონოვს, ა. ცაგარელს, ორბელიანს, შერვაშიძეს და ამგვარ დრამატურგებს, საზოგადოების მეორე ნაწილი კი თხოულობს ახალ პიესებს, ახალ სიტყვას, ახალ გამაცოცხლებელ აზრებს და მიმართვებს. პირველნი უწოდებენ მეორეებს კოსმოპოლიტებს, მოდისტებს, „დეკადენტებს“ (?) და კიდევ რაღაცს, მეორეები თავის მხრივ, უწოდებენ პირველებს შოვინისტებს, რუტინიორებს, ჩამორჩენილებს, რეაქციონერებს, რეგრესისტებს და კონსერვატორებს“.

ქართული რადიკალიზმის ტიპიური მოდელია. მაგრამ ისტორიული რეალობა რომ იძლევა ასეთი დაპირისპირების საფუძველს?

მ. ჯავახიშვილი წერს: „ქართულ პიესებში ყველამ არაჩვეულებრივი, ამაღლებული და ციური ენით უნდა ილაპარაკოს, წამდაუწუმ ხმალ-ხანჯალზე გაისვას ხელი, „საქართველოს გაუმარჯოს!“ იძახოს, მაყურებელს ზარბაზნის გრიალით ყურები გამოუჭედონ, ბოლოს უეჭველად მაინც ქართველებმა უნდა გაიმარჯვონ და პიესებში გმირად უეჭველად მეფე ან რომელიმე მხედართმთავარი უნდა იყოს გამოყვანილი“.

დასავლეთ ევროპის თეატრებში კი სულ სხვა პროცესები მიმდინარეობს. სცენაზე „ისეთივე ენით ლაპარაკობენ, როგორც ცხოვრებაშია. ხმალ-ხანჯლებს არ აპრიალებენ. „გერმანიას“ „ან საფრანგეთს გაუმარჯოსო“ არ ყვირიან და გმირად უმეტეს შემთხვევაში ვილჰელმ და ლუდვიგ V ან XII კი არა, უბრალო მოკვდავნი გამოჰავთ“.

კონცეპტუალური პოზიციაა. თითქოს არც არაფერი არ არის საკამათო. მაგრამ იმ ეტაპზე, აკაკისათვის მაინც მიუღებელი იყო ასეთი ინტერპრეტაცია. საქართველო წარმოადგენდა რუსეთის კოლონიას. მას არც გერმანიის და არც საფრანგეთის მდგომარეობა არ ჰქონდა. კოლონიურ ქვეყანაში კი სცენიდან პატრიოტული გრძნობის გაღვიძებისათვის ერთადერთი საშუალება იყო ისტორიული წარსულის გმირული სულის პათეტიკური გამოხატვა.

ახალგაზრდა მიხეილ ჯავახიშვილის პოზიციის მთავარი არგუმენტი იყო ქართული თეატრის მოქცევა დასავლეთ ევროპული თეატრების პრობლემათა არეალში. ამიტომ ქართულმა თეატრმა უნდა იბრძოლოს „პიროვნების თავისუფლებისათვის, ადამიანთა უფლებების დაცვისათვის“.

წამოჭრილია კაცობრიობის მარადიული პრობლემა. აკაკიმ კარგად იცოდა მისი მნიშვნელობა, მაგრამ მისთვის უპირველესი და უზენაესი იყო ეროვნული თავისუფლების იდეა.

ეროვნული თავისუფლების გარეშე არ არსებობს პიროვნების თავისუფლება, ამიტომ გასაგები იყო, როცა აკაკი თეატრში თვით სუსტ პიესებსაც კი მხარს უჭერდა, თუ იგი ოდნავ მაინც ემსახურებოდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას.

ახალგაზრდა მიხეილ ჯავახიშვილი აკაკის თვით „სამშობლოს" დადგმის გამოც კი აკრიტიკებს: „ეს პიესაც ისევე უნდა მოვინელოთ, როგორც კრების გახსნის დროს თავმჯდომარის ლამაზ და კეთილშობილურ სიტყვას ვინელებთ ხოლმე".

მიხ. ჯავახიშვილმა თავის პირველ სტატიაში ბევრი სიმართლე თქვა, მაგრამ გასაოცარი იყო ქართული თეატრის ხელმძღვანელთა ბედი. ჩვენი თეატრის მთელი ისტორია მის ხელმძღვანელთა დევნისა და თეატრიდან იძულებითი წასვლის ისტორიაა.

მუდმივ თეატრში (ანუ რუსთაველის თეატრში) ერთხანს ილია აირჩიეს თეატრის ხელმძღვანელად. ილიამ მკაცრად მოჰკიდა ხელი თეატრში დისციპლინის საკითხს ანუ ჩვენი ქართული სენის — უდისციპლინობისა და უპასუხისმგებლობის განკურნების საქმეს. თვით ვასო აბაშიძესაც კი არ აპატია სარეპეტიციო დისციპლინის დარღვევა და ერთი თვის ხელფასით დააჯარიმა.

ასე არ უნდაო, იფიქრეს მსახიობებმა და დიდი ილია იძულებული გახადეს გადამდგარიყო თეატრის ხელმძღვანელობიდან. გავიდა დრო და იმავე თეატრის ხელმძღვანელად დაინიშნა (1903) აკაკი, მის წინააღმდეგაც გაიშალა კამპანია.

დასთან პირველ შეხვედრაზე აკაკიმ მიმართა მსახიობებს: „ბატონებო! მოხარული ვარ, რომ გარემოებამ ამ სიბერის დროს კიდევ გამომიყვანა თქვენთან ერთად სამუშაოდ".

ამავე შეხვედრაზე ჩამოყალიბდა ხუთი პუნქტისაგან შემდგარი პირობები, რომელიც უნდა შეესრულებინათ მსახიობებს. მისი თეატრის კონცეფციაში პირველი ადგილი ეკავა „გამტკიცებულ-გასპეტაკებულ ქართულ ენას", შემდეგ მსახიობების მიერ პიესის „მთავარი აზრის შეგნებას", როლების ღრმად ცოდნას, მსახიობთა „სურვილის შეთანხმებას". მის დებულებებში არის ერთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აზრი: მსახიობმა არ უნდა თქვას „ეს პატარა როლია", „ეს დიდი როლია", რადგან „ხელოვნება მშვენიერებაა და მშვენიერებამ კი თავისთავად დიდი და პატარა არ იცის".

ზუსტი ფორმულირებაა. კ. სტანისლავსკის აქვს თეზა: „არ არსებობს დიდი და პატარა როლი — არსებობს დიდი და პატარა მსახიობი". აზრი იდენტურია, მაგრამ აკაკის შეხედულება უფრო მასშტაბურია.

აკაკი თეატრის ხელმძღვანელად ახალი დანიშნული იყო, როცა „ცნობის ფურცელში" გამოაქვეყნა კრიტიკული შენიშვნები. წერილში გაკრიტიკებული იყო თეატრის რეპერტუარი. მალე წერილს მოჰყვა მიხ. ჯავახიშვილის ერცელი სტატია „ჩვენ და ჩვენი თეატრი". ასე, რომ კამპანიური ხასიათი მიიღო აკაკის სარეპერტუარო პოლიტიკის წინააღმდეგ ლაშქრობამ, მაგრამ ეს არც ჩასაფრება იყო და არც აკაკის საწინააღმდეგო გამოსვლები. ახალგაზრდებმა ბრძოლა გამოუცხადეს ძველ თეატრს.

ბრძოლა გარდაუვალი იყო!..

ახალგაზრდობა ახალ თეატრალურ-ესთეტიკურ პრინციპებს იცავდა, ახალ გზებსა და ფორმებს ეძებდა.

ფსიქოლოგიური რეალიზმის დამკვდრებისათვის ბრძოლის ჟამი იდგა. გაიზარდა რეჟისორის როლი. თეატრში იყვნენ ახალი თაობის მსახიობები: ნ. ჩხეიძე და ალ. იმედაშვილი, გ. არადელიშხნელი, მწერლობაში დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი, მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე. დაიწყო „ახალი დრამის" განვითარების კანონზომიერი პროცესი.

გმირებს სცვლიდნენ უბრალო ადამიანები.

ერთმანეთს შეეჯახა თაობათა აზროვნება.

მიხეილ ჯავახიშვილმა ვერ გაბედა სტატიაში პირდაპირ გვარით დაესახელებინა აკაკი „...უზენაესი ნიჭის პოეტიო" — წერს მასზე, მაგრამ კრიტიკა ეკუთვნოდა სწორედ აკაკის. მიხ. ჯავახიშვილის სტატიაში დამოწმებული ციტატები აკაკის სტატიიდან იყო მიხ. ჯავახიშვილი აკაკის თეატრის რეპერტუარის ისტორიულ თემაზე დაწერილ პიესებს ბუტაფორულ, ყალბ, პათეტიკურ პატრიოტიზმს უწოდებს: „აი. ხედავთ? სცენაზე არის მეფე, მხედართმთავარნი და სხვა დიდებულნი, მაგრამ არ არის ხალხი, უბრალო ხალხი, ჩვენი გლეხკაცობა, ამიტომ პიესას საძირკველი არა აქვს... გამოჩენილ მეფეებსა და თავადებს სული არ უდგათ, არა აქვთ ფსიქოლოგია, ცარიელნი არიან" — დაასკვნის ახალგაზრდა მიხეილ ჯავახიშვილი.

მიხეილ ჯავახიშვილის ეს აზრი ასოცირდება ილიას ცნობილ სიტყვასთან: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა".

თაობათა პოზიციების სხვადასხვაობა თანდათან უფრო და უფრო მკვეთრად იგრძნობოდა. 1903 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „ქართულ თეატრს კრიზისი დაუდგა, მაგრამ ეს არ არის კრიზისი სიკვდილისა, არამედ მოასწავებს მერმისს და განახლებულ ცხოვრებას. ქართული თეატრის კრიტიკული მდგომარეობა სრულებით არ არის საშიში!“.

საშიში არ არისო, რადგან ცვლილებები დრომ მოიტანა, კანონზომიერია, მაგრამ საკითხავია, ყველა ახალი უკეთესია? ახალს შეუძლია დაიცვას და გაითავისოს „ძველი“ ფასეულობა?

აკაკი ახალგაზრდობის წლებში დაუკავშირდა თეატრს და თითქმის ნახევარი საუკუნე არ მოშორებია, ბევრი რამ გააკეთა, ბევრჯერ ატკინეს გული. 1912 წელს, მაკო საფაროვა-აბაშიძის პატივსაცემად გამართულ საიუბილეო „სადილზე“ განაცხადა: „თეატრში ტანჯვა ბევრი განვიცადე. საზოგადოდ არტისტები ჯიუტები არიან, როცა გაუდით და რასაკვირველია ჩემ დროსაც არ იშლიდნენ თავისას. მაგრამ თუ ქართულმა სცენამ მოაღწია დღემდე, უდიდესია მაკო საფაროვას დამსახურება. ამიტომ ჩვენ ვიხდით იმის იუბილეს და თქვენც ახალგაზრდები ისე მიეგებეთ ამ დღესასწაულს, როგორც ჩვენ, მოხუცები“.

აკაკისა და ახალი თაობის პოლემიკაში შეინიშნება საინტერესო აქცენტები. ახალი თაობა მოითხოვს თეატრში უბრალო ადამიანის ასახვას, გლეხკაცისა და მუშის ცხოვრების გამოხატვას. ეს მოთხოვნები მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის დიდი პოლიტიკური საკითხიც იყო. იმ დროს საქართველოში საკმაოდ მომძლავრებული იყო კლასთა ბრძოლის იდეოლოგია და პარტიული აზროვნება. მიხ. ჯავახიშვილის სათეატრო შეხედულებები პირდაპირი ფორმით არა, მაგრამ ობიექტურად მაინც ეხმიანებოდა ამ ტენდენციებს. არ შეიძლებოდა თავისი გავლენა არ მოეხდინა სოციალ-პოლიტიკურ ატმოსფეროს. ამასთანავე ფსიქოლოგიური რეალიზმის შემოჭრა თეატრში გარკვეულად დაკავშირებული იყო დასავლეთ ევროპულ და რუსულ თეატრთან. აკაკიმ სწორედ ამ კონტექსტში წაიკითხა მ. ჯავახიშვილის წერილის ქვეტექსტი. ზოგადი ტენდენცია იძლეოდა ასეთი ფიქრის საფუძველს. აკაკის პოზიცია ახალი იდეოლოგიის მიმართ ნათლად გამოიკვეთა ლექსში „ჩაფიქრება“.

ლექსი კონცეპტუალური მნიშვნელობისაა. აკაკი პირდაპირ ამბობს: „ათასი წლის ჭირნახული, ასმა წელმა მოგინელა“.

აკაკისათვის ერთნაირად სახიფათო იყო რუსეთის პროლეტარიატის მომძლავრება და რუსული კოლონიალიზმის პოლიტიკაც. აკაკი წერს:

„შენ წაქცევას და დამხობას
„ასი ნელი" შემოჰყურებს
შენ წახვალ და სხვა შემოვა,
შენს ნადგომზე ისადგურებს".

პოეტმა იცის, რომ იმპერია საქართველოს „წაქცევასა და დამხობას" „ასი ნელი" შემოჰყურებს, ამიტომ კიდევ უფრო მძაფრად განიცდის ყოველგვარ არაპატრიოტულ გამოვლენას:

„და პირიქით, ხელს უწყობენ
მაგ შენს მალე წამოქცევას".

მეოცე საუკუნის დასაწყისში გაძლიერებული რევოლუციური მოძრაობა და მუშათა კლასის ასპარეზზე წარმოჩენა პოეტს პესიმისტურ განწყობას უქმნის.

ყველაფერი ეს ერთი შეხედვით თითქოს უშუალოდ არ ეხება მიხეილ ჯავახიშვილს, მაგრამ ქართული თეატრის განახლებისათვის ბრძოლის ზოგადი ტენდენცია მაინც დაკავშირებული იყო ქართულ თეატრზე რუსული თეატრის გავლენასთან. ფსიქოლოგიური რეალისტური თეატრის მძლავრი ბიძგები სწორედ მოსკოვის სამხატვრო თეატრიდან მოდიოდა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ პირველი პროფესიონალი რეჟისორები, რომლებმაც ქართული თეატრის განახლება დაიწყეს და პატარა ადამიანის თემას აუნთეს შუქი, სამხატვრო თეატრის სკოლის მიმდევრები იყვნენ (ა. წუწუნავა, ა. ფაღავა, ვ. შალიკაშვილი, მ. ქორელი). ამ რეჟისორებთან არის დაკავშირებული თეატრში იბსენის, ჰაუპტმანის, მეტერლინკის სახელების წარმოჩენა. აკაკი მათ პიესებს კი დეკადენტურს უწოდებს, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება მიხეილ ჯავახიშვილი.

ღრმა წინააღმდეგობებში მოექცა აკაკის თეატრი. ბევრს არ ესმოდა, რომ აკაკის შიშს, რომ სცენიდან არ გამქრალიყო პატრიოტული თემა და თეატრს არ დაეკარგა ეროვნული ტრიბუნის ფუნქცია, რეალური საფუძველი ჰქონდა.

ახალი თაობის ინტელექტუალები მიხეილ ჯავახიშვილის მეთაურობით ხშირად იმეორებდნენ, რომ ქართულ თეატრში „მოდად იქცა წამდაუწუმ ხმალ-ხანჯალზე ხელის გასმა და „საქართველოს

გაუმარჯოს!“ ძახილი“. მაგრამ გავიდა დრო, მიხეილ ჯავახიშვილი ცნობილი მწერალი გახდა, მის დღიურებში კი გაჩნდა ასეთი ჩანაწერები: „ერთი ქართველის თავი უნდა მოეკვეთნათ. უკანასკნელი სათხოვარი ჰკითხეს. მოითხოვა წვერის გაპარსვა, აბანო, საცვალი, ყალიონი, უკანასკნელ სათქმელს მერე ვიტყვიო. ბოლოს სთქვა: „საქართველოს გაუმარჯოს!“ და თავი ჯალათს გაუშვირა“.

ჩანაწერი ეკუთვნის ჩვენი ისტორიის ტრაგიუკულ წელს — 1924 წელს!..

მეორე ჩანაწერია 1926 წელს: „გაუმარჯოს საქართველოს!“ — დაიყვირეს ქართველებმა, როცა შაჰ-აბასი სპარსეთში თავებს ჰკვეთდა. „გესმის, საქართველოვ?“ და მათი ხმა საქართველოს მოსწვდა“.

ეს ხომ აკაკის თეატრის გამოძახილია?!..

ასე ტრაგიკულია ბედი ჩვენი მწერლობისაც და თეატრის ისტორიისა.

1937 წელს, ციხეში სასტიკად ნაწამებ სანდრო ახმეტელს გამომძიებელმა ჰკითხა: ადასტურებთ თუ არა რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს სხდომაზე მიხეილ ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ დღეს თეატრს ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, როგორც ძველ თეატრს ჰქონდაო მეფის რუსეთის დროს?

სანდრო ახმეტელმა დაადასტურა მიხეილ ჯავხიშვილის ნათქვამი.

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერებიდანაც კარგად ჩანს, თუ რა მაგიური ძალა ჰქონდა სიტყვას: „გაუმარჯოს საქართველოს!“.

ასეთი თეატრისათვის იბრძოდა აკაკი.

როგორ თანამედროვედ ჟღერს ასზე მეტი წლის წინ გამართული პოლემიკა!..

მე-19 საუკუნეში თეატრის ბედი მთლიანად ქართველ მწერლებს მიენდო. თითქმის ყველა მწერალი იმავდროულად თეატრის მოღვაწეც იყო. უმძიმესი იყო საქართველოს დედაქალაქში დემოგრაფიული სიტუაცია. 1897 წლის აღწერით, თბილსში ქართველი მხოლოდ 26 % ყოფილა. დიდი მოღვაწის ალ. სუმბათაშვილის აზრით, ქართველების უბედურება იყო: რუსული მმართველობა, სომხური კაპიტალი და ქართული ხასიათი. ამ ისტორიული რეალობის პირობებში ქართული თეატრი პირდაპირ „ცის ნამი“ იყო,- როგორც აკაკი ამბობდა.

დ. ერისთავის „სამშობლომ“ გამოაგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, სიხარულისაგან მთელი ღამე იზეიმეს ქართველებმა. დ. ერისთავი „ბენგალის ცეცხლით და ტაშისკვრით“

სახლამდე მიაცილეს. ეროვნული თავისუფლებისა და ქრისტიანობისათვის ბრძოლოს იდეამ გააერთიანა სცენა და დარბაზი. როცა რუსმა შოვინისტმა კატკოვმა სპექტაკლზე კრიტიკული წერილი დაწერა, აკაკიმ გულისტკივილით უპასუხა: „იმისთანა პასუხს არავინ გვათქმევინებს, თორემ მაშინ დავუმტკიცებდით რა მშვიდობიანიც ბრძანდებიან და თუ ჩვენი ქვეყანა არ მოსწონთ, ვუჩვენებთ, სადაც შეჰფერით ბინა“.

ღირებულებათა გადაფასების დროს, ახალგაზრდობაში ყოველთვის იჩენს თავს რვოლუციური რადიკალიზმი. მას წინ უნდა აღუდგეს გამოცდილი, ბრძენი პატრიოტი ისე, როგოც აკაკი გამოექომაგა „სამშობლოს“. მიუხედავად იმისა, რომ თავისი შენიშვნებიც ჰქონდა პიესის მიმართ.

აკაკის თეატრის უზენაესი ღირებულება იყო ეროვნული იდეა და მუდამ მის დასაცავად იბრძოდა.

დოდო ჭუმბურიძე

აკაკი წერეთელი და საქართველოს ისტორიის საკითხები

ისტორია ერის ვინაობის გამომხატველია. ის ამხნევებს ადამიანებს და აფხიზლებს, იმედსაც უნერგავს და პასუხისმგებლობასაც უჩენს, ის ფესვებია, რომელიც აცოცხლებს სამამულო ხეს, ამიტომაც არის ფაქიზი და მოსავალი,— ასე ესმოდათ ისტორიის როლი ქართველ სამოციანელებს. ისტორია უბედურების მეცნიერებააო, — ამტკიცებენ ევროპელი ისტორიკოსები, ჩვენში კი ყველაზე დიდი გასაჭირისა და მართლაც უბედურების ხანაში ისტორიით იმაგრებდნენ გულს, იკაჟებდნენ ნებისყოფას ათასჯერ დიდ და მრავალრიცხოვან მტერთან შესარკინებლად. ქართული ლიტერატურა უძველესი დროიდან ისტორიულ გმირთა მაგალითებით კვებავდა და ასულდგმულებდა მკითხველს, უღვივებდა გამარჯვების ფანტაზიას, ამიტომ არის, რომ ჩვენი მწერლობა მარტო მხატვრული პარადიგმა კი არა, მთლიანად ერთი დიდი ისტორიული წყაროა, სადაც ხატოვნადაა გადმოცემული ამბავი საქართველოს გადასარჩენად მებრძოლი ქართული სულისა...

აკაკი წერეთელმაც, მისი თაობის სხვა მწერალთა მსგავსად, განსაკუთრებული დატვირთვა მისცა ისტორიულ თემატიკას, იგი თავისი შემოქმედებითი მიზანდასახულების განხორციელებისათვის მოხერხებულად გამოიყენა. პოეტი წარსულის გამორჩეულ მომენტებს არ ტოვებდა უყურადღებოდ და მათ ხან მხატვრული, ხანაც პუბლიცისტური მსჯელობის საგნად აქცევდა. მის შემოქმედებით ინტერესში მოხვდა კოლხეთის მეფის ასულის — მედეას, გიორგი სააკაძის, თეიმურაზ კახთა მეფის, კახეთის აჯანყების მონაწილე გმირების — შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების, ბიძინა ჩოლოყაშვილის, ერეკლე მეორის და სხვათა ისტორიული სახეები. პოეტმა სცადა მათი მხატვრული ტიპების შექმნა, ზოგ შემთხვევაში კი პუბლიცისტური ტექსტებით გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება ამ ადამიანთა ეროვნულ-საზოგადოებრივი ღვაწლის მიმართ. მართალია, აკაკის ზოგიერთი შეხედულება მის თანამედროვეებშიდაც კამათს იწვევდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, ბევრმა მისმა თვალსაზრისმა შეინარჩუნა აქტუალობა, ბევრი პრობლემა ჩვენს ისტორიოგრაფიაში კვლავაც საკამათო თემად დარჩა. პოეტის ყველა შეხედულება გულწრფელი პატრი-

ოტიზმის გამოხატვა იყო, მისი ყველა ნააზრევი, მეცნიერულად მისაღები თუ მიუღებელი, საინტერესოა, რადგან დიდი ქართველი პოეტისა და მოღვაწის სულიერი პორტრეტი, ამ ნააზრევის გარეშე, ვფიქრობ, სრული ვერ იქნება.

ცნობილია, რომ აკაკი აკრიტიკებდა და მტრების მიერ ქვეყნის ანიოკებაში ადანაშაულებდა კახეთის მეფე თეიმურაზ პირველს, ეროვნულ გმირად და დიდ პატრიოტად მიიჩნევდა გიორგი სააკაძეს, აქებდა და ადიდებდა რუს მოხელეს — მიხეილ ვორონცოვს, რაშიც არც ზოგი მისი თანამედროვე მოღვაწე ეთანხმებოდა და სრულად მის აზრს, არც დღევანდელი ისტორიოგრაფიული მეცნიერება იზიარებს. აკაკის შეხედულება, რეალურისაგან რაც არ უნდა განსხვავებული იყოს, მის პატრიოტიზმსა და გულწრფელობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. პოეტის ყველა თვალსაზრისს ჰქონდა მყარი არგუმენტაცია და მხოლოდ მის ეროვნულ სულისკვეთებას გამოხატავდა.

თუ აკაკის არავინ შეედავებოდა — ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების, მეფე დავით კურაპალატის, თორნიკე ერისთავისა და სხვა გმირების გაიდეალებისათვის, ასე არ იყო იმათთან დაკავშირებით, რომელთა ბუმბერაზ სახებას თან დაჰყვებოდა აჩრდილები ქართველი ხალხის ეჭვისა და უნდობლობისა. ერთი მათგანი უმძიმესი და ტრაგიკული XVII საუკუნიდან ამოზრდილი გმირის — გიორგი სააკაძის სახება გახლდა. თუ XVII საუკუნეში გიორგი სააკაძეს ხოტბით მოსავდნენ იოსებ თბილელის (1681-1688), ფარსადან გორგიჯანიძის (1626-1696) და არჩილის თხზულებები, XVIII საუკუნეში უკვე გამოუჩნდა ოპოზიცია სააკაძეს იმის გამო, რომ იმ დროს თეიმურაზ I-ის მემკვიდრეები — თეიმურაზ II და ერეკლე II აქტიურ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ატარებდნენ. გახშირდა მისი კრიტიკა და უფრო მეტად განმტკიცდა უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი სააკაძეზე. ეს პროცესი შენელდა და სააკაძის რეაბილიტაცია დაიწყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. სააკაძე ჩაითვალა ეროვნულ გმირად, ხოლო ქართველი მეფეები უფრო მეტად საკუთარი ხელისუფლების განმადიდებელ და ერთგული თავადების ინტერესების დამცველებად, ხალხის ბედის არად ჩამგდებ პიროვნებებად. ქართველ მეფეთაგან მხოლოდ მცირენი იყვნენ გულმოწყალენი (მაგალითად, თამარი), რომელთა საქმეებს ახლა რუსი მწყალობელი იმპერატორები და მოხელეები აგრძელებდნენ. სააკაძის ფენომენი რუსეთს სჭირდებოდა საქართველოს უკეთ დასამორჩილებ-

ლად, უნდა განმტკიცებულიყო აზრი: ქართველები უნდა ჩადგნენ რუსეთის სამსახურში და ამით ეროვნული გმირის ტიტულსაც მოიპოვებენ, ისევე, როგორც ეს სააკაძის შემთხვევაში მოხდა. რუსული იმპერიული აზროვნების სრული მოწინააღმდეგე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი თაობა, სამოციანელები, ხელისუფლების ამგვარ პოზიციას უპირისპირებდნენ დავით აღმაშენებლის ღვაწლის გამოკვეთას, მკვდარი საქართველოს ფენიქსისებრ აღდგომის იდეას. სააკაძეს გამოუჩნდნენ ახალი კრიტიკოსები, თუმცა ამ თაობის ზოგიერთი მოღვაწე, აკაკის მსგავსად, სააკაძისადმი გარკვეულ სიმპათიას გამოხატავდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სხვადასხვა მოტივაციის მიუხედავად, ამ საკითხში მათი და ხელისუფლების თვალსაზრისი ერთმანეთს ემთხვეოდა...

აკაკის წინა თაობის წარმომადგენელმა, რუსული ხელისუფლების სამსახურში მყოფმა პლატონ იოსელიანმა, გიორგი სააკაძესთან ერთად, ქება შეასხა თეიმურაზ I-საც. აქ კი მისი თვალსაზრისი კარდინალურად შორსაა აკაკის შეხედულებიდან.

პლატონ იოსელიანის შრომა, რომელსაც ერქვა — „დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“, დაიბეჭდა 1848 წელს, თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიაში. თეიმურაზ I-ზე დაწერილი ისტორიული პოემაც (1853) აქ არის დაბეჭდილი და მიძღვნილია მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისადმი (იოსელიანი : 1977). ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ იოსელიანი ამ პოემის მთავარი სათქმელით ცდილობდა ვორონცოვი ესიამოვნებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ეპოქაც და უშუალოდ დამკვეთიც (რამაზ დიმიტრის-ძე თარხან-მოურავი, სააკაძის შორეული ნათესავი) ისტორიკოს პლატონ იოსელიანისგან სააკაძის ერთმნიშვნელოვან შეფასებას ელოდნენ, მან ეს არ გააკეთა და თავის ისტორიაში არ დამალა სააკაძის მიერ ჩადენილი ანტიეროვნული ქმედებანიც. მას ხომ სხვა გამოყენებულ ისტორიულ წყაროთა შორის ხელთ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაც ჰქონდა, სადაც პირდაპირ იკვეთება, რომ სპარსეთის პირსისხლიანი შაჰის ლაშქრობებში ეს დიდი ქართველიც იყო გარეული. მართალია, აკაკი თავის პუბლიცისტურ ნაშრომში ჩამოთვლიდა ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა აღმატებულ შეხედულებებს სააკაძეზე, მაგრამ არ ახსენებდა პლატონ იოსელიანს. ვორონცოვსა და სააკაძეზე ერთნაირი აზრის მიუხედავად, მას იოსელიანი არ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში დაემოწმებინა თუნდაც იმიტომ, რომ

იოსელიანის ტექსტში სააკაძისადმი კითხვის ნიშანი მაინც არ იყო წაშლილი. აკაკი კი ამ პიროვნებაზე ერთნიშნად ამაღლებული აზრის იყო. „საკვირველია, ამისთანა პატარა სამეფომ, როგორ წარმოშობა ასე განუზომელი ტარიელი გმირთაგმირი?“ — კითხვას სვამდა პოეტი. ამ საკმაოდ ვრცელ წერილში — „აკაკის სიტყვა გიორგი სააკაძის შესახებ“— დაწვრილებითაა საუბარი მარტყოფის ბრძოლაზე, მარაბდის ომში გიორგი სააკაძის თავგანწირვაზე, თეიმურაზ მეფესთან დაპირისპირების მიზეზზე (მოურავს სპარსეთის მონობა არ სურდა, მეფე და დიდებულები კი შეჩვეულნი იყვნენ ამას და ეწინააღმდეგებოდნენ სააკაძის მტრობას სპარსელებთანო), გიორგი სააკაძის დიდი დიპლომატიურ და მხედრულ ნიჭზე. წერილს ასეთი შთამბეჭდავი დასასრული აქვს: „ასე დასრულდა ამბავი ამ საარაკო გმირის. ამის სურვილი იყო ენახა საქართველო თამარის დროინდელ საქართველოდ, ამას შესწირა ყოველივე სოფლის დიდება: ოჯახი, ცოლ-შვილი, ჩაიგდო თავი განსაცდელში. იტანდა ყოველ გასაჭირს 35 წლის განმავლობაში და ბოლოს საფლავში ჩაიტანა სურვილები!.. დღეს, როდესაც ჩვეულებათა გვაქვს გადაქცეული ფეხზე წამოდგომით პატივი ვსცეთ სრულიად უმნიშვნელო პირებს... ვასამართლებთ საარაკო დევ-გმირს, თავდადებულ მამულიშვილს და ერთმანეთს ვეკითხებით: მოღალატეა თუ არაო? ვაი, ამისთანა დროს და უი ჩვენც, ამ დროს ჩაცვენილებს!..“

წერილიდან ნათლად იკვეთება, რომ პოეტის თანამედროვეებშიც, სააკაძეს საკმაოდ ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა, რომელთაც აკაკი არ ეთანხმებოდა და მათი მსჯელობა აღიზიანებდა კიდეც, სწორედ მათ საპასუხოდ დაუწერია ეს ისტორიულ-პუბლიცისტური ესსე (წერეთელი 2010: 138).

აკაკი წერეთელი მიხეილ ვორონცოვს, რუს მოხელეთაგან ერთადერთს, თვლიდა ქართველი ხალხის მეგობრად, მის კეთილისმყოფლად და ბედნიერების მომტანად. ვორონცოვმა მართლაც დატოვა საქართველოში გამორჩეული კვალი, მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა. მაგრამ, XIX საუკუნეშიც იყვნენ ადამიანები, რომლებმაც კარგად იცოდნენ ამ დიპლომატი მოხელის ფარული მიზნები და ინტერესები. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიტანოთ ალექსანდრე ორბელიანის შეხედულება იმ დრისათვის სახელგანთქმულ რუს მოხელეზე: „დრო ვარანცოვისა საქართველოში... სულ სხვაგვარი მოსატყუებელი დრო იყო ჩვენი ვარანცოვისაგან. ბევრის კაიკაცობის ალერსითა მითომ კაიკაცობას გვიჩვენებ-

და, ნამდვილად... ვინც რუსეთის ინტერესებზე იქცეოდა, ამასთან ხელგაშლილი ჩინებს და სხვა ჯილდოებს იძლეოდა, თან ბევრი შექცევა და განცხრომა ჰქონდა ხოლმე... ქართველებს ასე ეგონათ, საქართველოში ეს ამბავი ასე დარჩებოდა. იმისთანა ჯილდოები, იმისთანა განცხრომა-შექცევანი, იმისთანა თეატრ-ლიტერატურობა, იმისთანა თავისუფლებანი და ამიტომ ვარანცოვის სახელს ადიდებდნენ — ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო...“ ეს სიტყვები იმაზე ადრე ითქვა, ვიდრე აკაკის ვორონცოვისადმი მიძღვნილი პოემა დაიწერებოდა.

თავად მიხეილ ვორონცოვი, კავკასიაში თავისი მოღვაწეობის დასასრულს ასე უპატაკებდა იმპერატორ ნიკოლოზ II-ს: „ მე გულმოდგინედ შევასრულე ყველა თქვენი დავალება იმისათვის, რომ მომხდარიყო მრავალეროვნული კავკასიის შერწყმა და შესისხლხორცება რუსეთთან“ (კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, X).

ვერ დავიჯერებთ, რომ აკაკის არ ესმოდა ვორონცოვის პოლიტიკის შეფარული არსი. რუსი მოხელეების განუკითხაობის ხანაში, ვორონცოვის იდეალად დასახვა მისთვის იქნებ, ზოგადად, რუსული ხელისუფლების კრიტიკის ფორმაც იყო! კიდეც რომ დაენახა ვორონცოვში დამპყრობელი იმპერიის მოხელის იდეალი, ეს ერთადერთი კარგი მაგალითი, სხვათა სიავისა და უკეთურების ფონზე, ვერც საქართველოს გადაარჩენდა და ვერც კავკასიის რუსული ადმინისტრაციის სახელს. აკი, ამ პოემაში, ჩვეული ირონიით, აკაკი თავად წერდა: „ვერ დავიჯერებ, შორს არის, რუსმა რომ მითხრას „ძამია“!..“ თავის სათაყვანებელ დიმიტრი ყიფიანს, ძველი თაობის სახელით კი გულახდილად იმასვე ათქმევინებდა, რასაც ვორონცოვი იმპერატორს უპატაკებდა: „რომ ეროვნული შეგვრჩეს ელფერი და რუსი ვიყოთ პოლიტიკურად, აი, რა გვინდა, სხვა არაფერი!...“

რაც შეეხება სააკაძეს, აკაკის გულწრფელად სწამდა, რომ ეს ნიჭიერი სარდალი და პოლიტიკოსი, ქართველი კაცის გმირობისა და თავგანწირვის ეტალონი იყო. მის მიერ სააკაძის პიროვნების წინ წამოწევას ჰქონდა არა რაიმე პოლიტიკური მოტივი, არამედ მარტოოდენ ეროვნული: მას სურდა არ დაკარგვოდა საქართველოს მისი გმირების ხსოვნა, ქართველებში მუდამ ყოფილიყო მათი მიბაძვის სურვილი, ქვეყნის ინტერესების პირადულზე მაღლა დაყენების უნარი. მითუმეტეს, აკაკის დროინდელ ქართველებს, კოლონიური ქვეყნის მკვიდრთა მონური ფსიქოლოგიით შეპყრობილთ, მართლაც ჭირდებოდა „ჯაჭვის გაწყვეტისა“და არაფრისმთქმელი ნირვანის გარღვევისკენ მოწოდება... გიორგი სააკაძის პიროვნება კი, ამ

მხრივ, რაც არ უნდა კამათი ყოფილიყო მისი ცხოვრების დეტალებზე, მონუმენტური ფიგურაც იყო და ძალზე შთამბეჭდავიც...

აკაკი წერდა ქართველი ხალხის უძველეს ისტორიასა და კულტურაზე, ოსმალოს ქართველებზე, ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე, ეპაექრებოდა ყველას, ვინც, მისი აზრით, არღვევდა ისტორიულ სამართლიანობას და ქართველი ერის მონაპოვარს სხვისად აცხადებდა. პოეტი არ შეეპუა ისეთ სახელგანთქმულ ლინგვისტსა და ორიენტალისტს, როგორიც ნიკო მარი იყო. როდესაც აკაკიმ თავის „კრებულში“ სომეხ მეცნიერთა საპასუხო წერილი გამოაქვეყნა, მარმა პოეტი უსაფუძვლო და არამეცნიერული არგუმენტებისათვის გააკრიტიკა. აკაკის წერილებში — „სიტყვის ბანზე აგდება“ და „ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაიასტანის და სომხეთის“, — ილიას „ქვათა ღაღადის“ მსგავსად, გადმოცემულია ქართველი მწერლის გულისტკივილი სომეხ მეცნიერთა უსაფუძვლო პრეტენზიებზე, ქართული კულტურის ძეგლების სომხურ ძეგლებად გამოცხადებაზე. პოეტი იყენებდა მაშინდელ ევროპელ მეცნიერთა ნაშრომებში მოტანილ არგუმენტებს და „კრებულის“ მკითხველს აცნობდა წინა აზიაში ქართველი ტომების განსახლების ისტორიას, მათ კულტურულ მონაპოვრებს, საუბრობდა სომეხი ტომების შესახებაც. როდესაც ნიკო მარმა ამ წერილის პასუხი გამოაქვეყნა, პოეტი არ შეუშინდა საკითხის სირთულეს და მასთან საკმაოდ სერიოზული მეცნიერული პაექრობა გააგრძელა. აკაკიმ მარის წინააღმდეგ არც სარკაზმი და არც ისტორიული არგუმენტები დაიშურა. განსაკუთრებით აღიზიანებდა ნიკო მარის მიერ ცნობილი სომეხი მეცნიერის პატკანოვის დაცვა. ისევე, როგორც ილია „ქვათა ღაღადში“, აკაკიც თავის პუბლიცისტიკაში აკრიტიკებდა პატკანოვისა და სხვა სომეხ მეცნიერთა ანტიქართულ შეხედულებებს, მარი კი მათ იდეებს იცავდა. მარისადმი საპასუხო წერილში აკაკი წერდა: „ყველაზე უფრო ის აწუხებს ბატონ მარს, რომ ჩვენს წერილებში მოწიწებით ვერ მოვიხსენიეთ მისი სასიქადულო მოძღვარი პროფესორი პატკანოვი და ვითომ ცილიც შევსწამეთ. ბ-ნმა პატკანოვმა ერთ თავის თხზულებაში გადაჭრით ბრძანა, რომ ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ და XVIII საუკუნეში მეფე ვახტანგმა შეთხზა და ესეც სომხური ზღაპრიდან, რომელიც ერთმა უმეცარმა ბერმა დასწერა მეთერთმეტე საუკუნეშიო. ამაზე განსვენებულმა დიმიტრი ბაქრაძემ ღირსეული პასუხი მისცა და მიუთითა უეჭველ საფუძველზე წიგნაკით: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“. ამ ნათელმა

საქმემ დაგვანახა ჩვენ, რომ პატკანოვს ან უმეცრებით მოსვლია ეს ცხადი და სათვალთვალო შეცდომა, ან და განგებ ჩაუდენია. ორ-ცეცხლშუა გამომწყვდეულმა პროფესორმა პატკანოვმა ჩაყლაპა დ. ბაქრაძის შენიშვნები და გაჩუმდა. მაგრამ მარი კი არ დუმდება და გაიძახის — არაო!.. ის სხვებსავით პატრიოტული მეთოდით არ სწერდაო, რადგანაც ის მხოლოდ სარწმუნოებით იყო სომეხი, თორემ რუსი მეცნიერი იყოო და მისმა გამოკვლევამ ნათელი მოჰფინა ისტორიასო და სხვანი. ერთი ის, რომ სიცრუე ვერაფერს მოჰფენს ნათელს და მეორე კიდე ისიც, რისთვის ბრძანებს ბ-ნი მარი პატკანოვზე, რომ რუსის მეცნიერი იყოო? აგრეც რომ იყოს, განა რუსის მეცნიერები კი არ სცდებიან და მიუდგომელი არიან?..“ აი, ასეთი მჭრელი და არგუმენტირებული იყო აკაკის ლოგიკა.

„სომხიყლაპიას“ სახელშერქმეული პოეტი თავს იმით იმართლებდა, რომ მხოლოდ უსამართლობის წინააღმდეგ, საკუთარი ისტორიის დასაცავად იღვწოდა და არა ვინმეს დასაჩაგრად, ან, მითუმეტეს, „ჩასაყლაპად“. ამიტომ „აკაკის კრებულში“ ხშირად უწევდა კალმის ხმალივით ქნევა და ქვეყნის ინტერესების დაცვა.

როდესაც საქართველოს წინააღმდეგ ილაშქრებდნენ რუსი შავრაზმელები და მათი თანამოაზრე ანტიქართველები, ერი თვალსა და ყურს თავის რჩეულ მწერლებს მიაპყრობდა ხოლმე. რუსი მოხელეების კარიკატურული სახეების შექმნა, თვითირონია და ფსევდოღირებულებების წარმოჩენა აკაკის შემოქმედების მთავარი ნიშანი იყო. პოეტი მთელი ცხოვრება ებრძოდა რუსულ შოვინიზმს, ჩაგვრასა და დამცირებას. მისთვის თავისუფლება ბრძოლით მოსაპოვებელი ფასეულობა იყო და ამიტომ მოუწოდებდა ერს: **„რაც ძალადობით წაიღეს ვინ დააბრუნებს ნებითა, ვინ ნახა თავისუფლება ტანჯვით და მოთმინებითა?..“** ეს იყო ბრძოლისკენ მოწოდება, რაც, ილიას მსგავსად, აკაკისაც შავრაზმული ძალებისთვის საშიშ პიროვნებად აქცევდა. აკაკი არღვევდა რუსული ცენზურის მიერ ზოგიერთ თემაზე დადებულ ტაბუს, ლექსებით ასახავდა ეკლესიის დაქვეითებასა და წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე დაწესებას, მისი აზრით, ამას დამპყრობელი მიზანმიმართულად აკეთებდა: სულიერ საძირკველს აცლიდა ეროვნულ შენობას, ხალხს ღმერთის იმედსაც აღარ უტოვებდა. **„ჯერ ეკლესიას ეძგერენ, თქვეს — აქ მარხია ძაღლიო, ჯერ ძირი გამოუთხარე, თუ გსურს დაიქცეს სახლიო, ღვთის სავედრებლად რას ვარგა რაღაცა ძაღლის ენაო...“** ლექსებითა თუ წერილებით აკაკი წერეთელმა დაგმო რუსი მოხელეების — იანოვსკის, ვოსტორგოვის, დონდუკოვ-კორ-

საკოვის, ლორის-მელიქოვის, კატკოვის და სხვათა ანტიქართული საქმიანობა. იგი სატირისა და პამფლეტის ოსტატი იყო, რასაც კარგად იყენებდა ქართველი ხალხის მტრებზე შურისსაძიებლად. სამაგიეროდ, მის შემოქმედებას დაუნდობლად ებრძოდა ცენზურა, ხშირად იღებდა გამზადებული წიგნიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან მის მწვავე სიმართლით დაწერილ ტექსტებს. პოეტის შემოქმედების ნაწილი მრავალჯერ იყო დატყვევებული რუსული სპეცსამსახურების არქივებში, რაც აკაკის ცხოვრებას ამძიმებდა. დაბეჭდვას ვერ ეღირსა მისი პოემა „ასი წლის ამბავი“, სადაც აღწერილია და ტრაგიკულად წაროჩენილი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, 1801 წლის მანიფესტიდან XX საუკუნემდე. უკანასკნელად, 1913 წელს, მისი ნაწერების II ტომის მთელი ეგზემპლარი დაატყვევა ცენზურამ და აკაკიმ მეფისნაცვალსაც კი მიმართა, თუმცა ვერაფერი გააწყო: გამოცემა მას შემდეგ დაუბრუნეს, როდესაც პოემა — „ვორონცოვი და მისი დრო“ მთლიანად ამოჭრეს. პოეტს ამ შემთხვევიდან დიდხანს აღარც უცოცხლია. კავკასიის საცენზურო კომიტეტის საარქივო ფონდში (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 480) უამრავი დოკუმენტია, რომელიც აკაკის დატყვევებულ ნაწერებს ეხება.

მაშინ, როდესაც საქართველოში კოლაბორაციონიზმი იფურჩქნებოდა, ერის თავდადებული შვილები, უმცირესობა ქვეყნისა, უარს ამბობდა ამაზე და რეჟიმს დიდი რისკის ფასად უპირისპირდებოდა. მატერიალურად უაღრესად გაჭირვებულ აკაკი წერეთელს ერთი დღეც არ უმუშავია, რადგან თვლიდა, რომ მისი დროის ყველა დაწესებულება საქართველოში რუსეთის დამპყრობლურ ინტერესებს ემსახურებოდა და პოეტს მტერთან არ უნდა ეთანამშრომლა.

ამის მიზეზს თავად ასახელებს „ჩემს თავგადასავალში“. როდესაც რუსეთიდან უნივერსიტეტდამთავრებული აკაკი დაბრუნდა, საქართველოში ახალი გადავარდნილი იყო ბატონყმობა. იმდენად უსამართლო იყო ხელისუფლება ქართველი ხალხის მიმართ, ისე დამახინჯებულად გატარდა რეფორმები საქართველოში, რუსულმა ხელისუფლებამ ქართველი ხალხის წინააღმდეგ იმდენი უსამართლობა ჩაიდინა, აკაკიმ გადაწყვიტა თავისი შემოქმედებით ებრძოლა ამ უკანონობის წინააღმდეგ. მისი სატირა და პამფლეტი ამხელდა უსულგულო მოხელეებსა და დაუნდობელ რეჟიმს. თუ სახელმწიფო სამსახურში შევიდოდა, ის ასეთ სითამამეს ვეღარ გამოიჩენდა, იძულებული გახდებოდა ზოგიერთ დათმობაზე წასუ-

ლიყო. მას რამდენჯერმე თანამდებობაც შესთავაზეს, მაგრამ გადაწყვეტილება არ შეცვალა.

1889 წელს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საზოგადო კრებამ აკაკის ერთხმად შეაძლია ბანკის დირექტორის ადგილი. პოეტმა კატეგორიული უარი განაცხადა იმ დროისათვის მეტად საპატიო თანამდებობის დაკავებაზე, ნდობისათვის კრებას მადლობა გადაუხადა და თავისი უარი შემდეგნაირად დაასაბუთა: „მე რომ დირექტორობა ვიკისრო, საკუთრად მე მოხელეობას უნდა დავუდგა გული და ეგ იქნება ჩემთვის ბორკილი, თუმცა ოქროს ბორკილი ჩემთვის პირადად სარგებელია, მაგრამ მაინც ბორკილია და იმ საქმეში ხელის შემშლელი, რომელსაც მე ამდენი ხანია ვემსახურები“. შემოქმედებითი თავისუფლება გაცილებით მეტს ნიშნავდა პოეტისთვის, ვიდრე მატერიალური უზრუნველყოფა, ამგვარ პრინციპულ პოზიციასაც ეს კარნახობდა. ამის გამო თანამედროვეთა ირონიასაც იმსახურებდა. თავად აკაკი იგონებდა ბესარიონ ღოღობერიძის მასზე ნათქვამს: „მაგასთან ბრძოლა შეუძლებელიაო! რა უნდა წაართვა და რა უნდა დააკლო, რომ არა აბადია რაო?! ჭამა-სმას არ დაგიდევს და საწოლ-სახურავს!.. მარტო ჰყეფს და იღრინებაო!“ „ყეფდა და იღრინებოდა“ საქართველოს ბედზე, აკრიტიკებდა რუს ჩინოვნიკებს, ბრალს დებდა საქართველოს გაუბედურებაში.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა და ქართველი ერის ჩაგვრა აკაკიმ გადმოსცა სტატიაში „სიმართლე“, პოემებში — „ვორონცოვი“, „ასი წლის ამბავი“ და „რაჭა-ლეჩხუმი“. ყველა მათგანი ცალ-ცალკე ნაწარმოებად დაიწერა, მაგრამ ცენზურის გამო ვერ დაიბეჭდა. ცენზურისათვის თვალის ასახვევად პოეტმა პოემების შერწყმაც სცადა, თუმცა მათი გამოქვეყნება მაინც ვერ მოახერხა (გაბოძე: 218-223).

პუბლიცისტურ ნარკვევში — „სიმართლე“, რომელიც თავის დროზე ასევე ვერ გამოქვეყნდა, პოეტმა ყურადღება გაამახვილა პეტრე I-ის დაპყრობით გეგმებზე, მისი მემკვიდრეების პოლიტიკაზე და მთელი ისტორია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა XVIII საუკუნის ბოლოს, მის მიერ საქართველოს დაპყრობა-დამონება, იმპერიული ბატონობის ხერხები თანმიმდევრობით გადმოსცა (წერეთელი 2010:98-113).

„ეკატერინე II ... მიხვდა, რომ კავკასიაში ფეხის ჩასადგმელად კავკასიონის დაპყრობაა საჭირო. იმას კი ისე ვერ დაიპყრობს, თუ საქართველო ან მტრობით, ან მოყვრობით არ ჩაიგდო როგორმე

ხელში. მაგრამ სამტრო მიზეზი რომ არა ჰქონდა რა, მელური მოყვრობა მოინდომა!... ღენერალ-პორუჩიკმა პოტიომკინმა ითხოვა მეფე ერეკლეს ქალი, ანასტასია ბატონიშვილი და პირობასა სდებდა, რომ დუშეთში დაესახლებოდა, ჩამოიყვანდა რუსის ჯარს და დარიალის ხეობას გაამაგრებდა, რომ მტერი ვეღარ შემოსულიყო. აქ განზრახვა სულ სხვა იყო: უნდოდა, რომ გახსნილი გზით შემოეყვანა რუსები საქართველოში, რაც ძალადობით შეუძლებელი იყო! — მეფე მიუხვდა ამ ვერაგულ განზრახვას თუ იუკადრისა: უბრალო გენერალი როგორ მიბედავს ქალის თხოვასო, უარი შეუთვალა და აღარ მოხდა საქმე. მაშინ რუსეთი სხვა გზას უნდა შედგომოდა, რომ განზრახული აზრი სისრულეში მოეყვანა და კიდევაც მალე მიეცა შემთხვევა" (წერეთელი 2010: 103).

ამას მოსდევდა ტოტლებენის ქმედების აღწერა. პოეტის აზრით, იმ დროს, როდესაც რუსეთმა (1768 წელი) ომი გამოუცხადა ოსმალეთს, „საქართველოს მდგომარეობა გამოვარგისებული იყო". აღმოსავლეთში ქართულ სამეფოს ჭკვიანი მეფე ერეკლე განაგებდა, დასავლეთს კი „სოლომონ დიდი, კაცი სახელგანთქმული და შორსმჭვრეტელი", რომელიც ერეკლე მეფეს მხარს უბამდა ყოველ ეროვნულ საქმეში. აქ ერეკლეს გადაწყვეტილებასაც ეხებოდა პოეტი და საკმაოდ სწორ კონცეფციას აყალიბებდა : „ამ დროს გარეგან მოუსვენრობას, შინაგან განხეთქილებას და ერეკლეს ღრმა მოხუცებულობას ზედ დაერთო სნეულებაც და ყოველივე ამან იქამდი მიიყვანა გმირი მეფე, რომ მოასურვა რუსეთთან შეერთება, **მაგრამ ისეთი კი არა, როგორსაც დღეს ვხედავთ. იმას უნდოდა, რომ სამეფო ხელშეუშლელი ყოფილიყო და მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში დამორჩილებოდა რუსეთს".**

მე-19 საუკუნის ქართული ტრაგედია აკაკის შემოქმედებაში რელიეფურად დაიხატა. ყველა საღად მოაზროვნე ქართველისთვის ცხადი გახდა, რომ რუსეთმა მოატყუა საქართველო, დაარღვია ყველა დადებული პირობა, მოშალა მისი ადათ-წესები და ძალად მოახვია თავისი კანონები. ქართველი ინტელიგენციის თვალსაზრისი ორად გაიხლიჩა: ერთნი ბრძოლის იდეას აყენებდნენ, მეორენი მორჩილებასა და რუსეთის შეცვლა-განახლების ლოდინს ამჯობინებდნენ. ცხადი გახდა, რომ რუსეთს იარაღით ქართველები ვერ შეებრძოლებოდნენ, ქვეყნის დაპყრობიდან საუკუნის მთელი მესამედი აჯანყებული ქართველობა ამაოდ შეენარცხა იმპერიის პიტალო კედელს, ახლაც იგივე განმეორდებოდა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ პოეტს ხელის ჩაქნევისა ან და-

ნებებისკენ მოეწოდებინა. პირიქით, თავისი უაღრესად ხალხური მოტივებით შექმნილი პოეზიით ის იმედსა და ბრძოლის წყურვილს აღვივებდა, საქართველოს უკეთესი მომავალის უეჭველობას ირწმუნებოდა.

აკაკიმ 1901 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის დღესასწაული ფარსად გამოაცხადა და ამ ას წელს საკმაოდ მკაცრი და გაბედული შეფასებაც მისცა: „რუსობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ძალადობაზე დადგა... რა პირობა? რის პირობა? რაც ჩვენ გვსურს, ის უნდა მოხდესო. დაუწყეს ნგრევა საუკუნეობით დაწესებულ წეს-წყობილებას ჩვენში, რომ მათი სახსენებელიც აღარ ყოფილიყო და შეუდგენ ახალს, თავისას. მას აქეთ სწორეთ ერთი საუკუნეა და ხალხმაც იდღესასწაულა ვითომ ეს ბედნიერი მოვლენა, შეერთება, მაგრამ რას ვამბობ, როგორ თუ ხალხმა? ორმილიონიან ხალხში მხოლოდ რამდენიმე ასმა კაცმა თუ იტლინკა და ისიც ღენერლებმა და გარუსებულებმა. ხალხს მონაწილეობა არ მიუღია! მაზრის უფროსებმა მოახსენეს მთავრობას, რომ ხალხს სიხარულში არ მიუღია მონაწილეობა, ერთი ზარიც არ დაკრულა, რომ პარაკლისი ვისმეს გადაეხადოსო! ასე... ის გული ხალხის მართალი იყო და ანკი რა მართებდა ქართველ ხალხს სასიხარულო, რომ ასი წლის განმავლობაში რუსების ხელში უკან-უკან მიდიოდა...რუსი ჰხედავდა, რომ ეს ხალხი ძნელი დასამონებელია, სანამ სარწმუნოება არ ჩამოერთმევა და ზნეობითად არ დაეცემაო. ეს განიზრახა და ხელი შეუწყო მის დაცემას, ცხოვრების ყოველგვარი სარბიელი დაიჭირეს რუსებმა ხელში და ხაფანგად მოუწყვეს ხალხს, რჯული, აღზრდა, სამსჯავრო და სხვა ყველაფერი მიტომ უნდოდათ, რომ ხალხში სული მოეკლათ და მერე უფრო ადვილათ გაერუსებიათ. და თუ ეს აღარ მოხერხდებოდა, ქართველობა ამოეფხვრათ და მათ ადგილზე რუსები დაესახლებიათ...“

აკაკი აკრიტიკებდა რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას საქართველოში, მიაჩნდა, რომ ქართველთა სარწმუნოებრივი გრძნობები დაქვეითდა, ეკლესია დაშორდა ხალხს. პოეტს მოჰქონდა მაგალითები კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების საქმიანობიდან, მათ მიერ ქართული ეკლესიების საგანძურის გაძარცვის, ერის ინტერესთა დამცველი ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან. აკაკი ზიზღით იხსენებდა ვოსტორგოვის რეაქციულ და შავრაზმულ პოლიტიკას ავტოკეფალისტებისა და, ზოგადად, ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ, რუსი შოვინისტი ეგზარქოსების საქმიანობას, გამოჰყოფდა ეპისკოპოსების

— კირიონისა და ლეონიდეს ღვაწლს. პოეტის აზრით, იმან, რომ რუსულმა ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ ქართულ ეკლესიებში დაცული ქონება გასაყიდად გაიტანა, ხალხის რწმენა დააქვეითა, ქართველობას გული გაუტეხა.

აკაკი წერეთლის რისხვას რუსული ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკაც იმსახურებდა. პოეტი წერდა, რომ ქართული სწავლა-აღზრდა გადაგვარდა და მისი მიზანი მხოლოდ ერის გარუსება გახდა. ის იგონებდა 1871 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვიზიტს საქართველოში, რუს მოხელეთა და ტახტის ერთგულ ქართველ ჩინოვნიკთა მიერ უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნის შეცვლას კადეტთა კორპუსის დაარსების მოთხოვნით. ამასთან დაკავშირებით აკაკი ერთ ფაქტს იხსენებდა: „ერთხელ მეგრელიის თავადმა გამასინჯია მისი ბიბლიოთეკა და წერილებში სხვათაშორის ვასილ ოსიფიჩ ბებუთოვის წერილიც შემხვდა შემდეგი შინაარსის: „მამაო დავით, — სწერდა დავით დადიანს, — შენ მოგისურვებია, რომ დავით აღმაშენებლის მიბაძვით წელიწადში ორმოცორმოცი ახალგაზრდა მეგრელი გაგზავნო ხოლმე უცხოეთისაკენ სწავლა-განათლების მისაღებად და რჩევას მე მეკითხები? რა უნდა გირჩიო მის მეტი, რომ გონს მოხვიდე?! ვირი რომ რაშად გადაიქცეს, თავს აღარავის გაახედნიებს. დღეს თუ შენ მთავარი ხარ, ბატონი და მეგრელებიც გემორჩილებიან, ეს იმიტომ, რომ არა იციან რა და რაღაი კი შენ განათლებას შეიტან სამეგრლოში, მაშინ შენს მთავრობასაც უნდა გამოეთხოვო“. სწორეთ ამ აზრის იყო ადგილობრივი რუსობაც იმ დროს საქართველოს შესახებ და ბარონ ნიკოლაიმაც იმ განზრახვით არ მოისურვა ტფილისში მაღალი სასწავლებელი“, — ასკვნიდა პოეტი.

აკაკის აზრით, ახლადდაარსებულ კადეტთა კორპუსის კარიც მხოლოდ იმ ქართველებს ეღებოდა, „რომლის დედ-მამაც გადარჯულებულნი იყვნენ“. გარუსებას ემსახურებოდა მართლმსაჯულებაც, ადგილობრივი კანონები და ადათ-წესები დავიწყებას იყო მიცემული. 1901 წელს დაწერილ სტატიაში პოეტი წერდა: „ეკლესია უნდა დამოუკიდებელი იყოს და თვითონ მოუაროს თავის თავს, რომ ეს ასი წლის უკუღმართობა გამოასწოროს. სწავლა-განათლება უნდა დავიწყოთ დედა-ენით, ისე როგორც პედაგოგიკა მოითხოვს და არა ენის ამოგლეჯით. ადგილობრივ კანონებს უნდა პატივი ეცვას და სამსჯავროებიც მათ ხელში იყოს, რომ სამართალი და არა უკუღმართობა შემოჰქონდეს ხალხში“...

აკაკის გული ტკიოდა, რომ ისტორიულად უშიშარი ქართველი ხალხი, რუსის ჩექმის ქვეშ მოქცეული, შიშით ელოდა უსამართლო განაჩენს, ძველებურად აღარ იბრძოდა და უსამართლობას არ აპროტესტებდა. მისი აზრით, რუსულმა ხელისუფლებამ შეძლო ერის გმირული სულის ჩაკვლა, ქართველების დაშინება. როდესაც რუსეთის ბატონობის პირველ ხანას იხსენებდა, პოეტი გულდაწყვეტით წერდა: „მაშინ ყველა გმირი იყოო“. ერმოლოვის მთავარმმართებლობის დროიდან (1816-1827) საზოგადოებაში გახმაურებულ ერთ ამბავს იხსენებდა: „ასლან ყაფლანიშვილი ჩააბეზღეს მთავარმართებელ ერმოლოვს, რომ ქართველობს და რუსების არა სწამს რაო! ერმოლოვმა მოიხმო და უბრძანა: „ხმალი აიხადეო!.. ასლანს ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ ბოლოს რომ დარწმუნდა, აღარ მეხუმრებიანო, გაუკვირდა და უთხრა: „ეს ხმალი ერეკლეს ნაბოძებია და მის მეტიც ვერავინ ამხდისო!.. თქვენი ეს არის და მიირთვითო. მოიხსნა ყელიდან ჯვარი და დაუდვა წინ. მოთმინებიდან გამოსულმა ერმოლოვმა მიაყვირა: შენ იცი, რომ მაგ ურჩობისთვის სიკვდილი გეკუთვნისო?

— ვიციო, მაგრამ არც ის დამვიწყებია, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო!“ — მიუგო დინჯად და ზრდილობიანად დაუდგა წინ. დღეს კი ერთი წაილაპარაკა პრისტავმა: ქართველობავ, იარაღი აიყარეო, და დანის ერთაც კი აღარავის აქვს მთელს იმერეთში. გაიგებენ თუ არა, რომ ამა და ამ სოფელში რამდენიმე რუსი მოდისო, მთელი მაზრა ძრწის“...

XX საუკუნის დასწყისში, როდესაც ქართული პარტიები ჩამოყალიბდნენ, აკაკიმ გამოხატა თავისი პოზიცია ამ პარტიებისადმი, კერძოდ, ფედერალისტების, სოციალ-დემოკრატებისა და ნაციონალისტებისადმი, როგორც აკაკი უწოდებს მათ. ცნობილია, რომ პოეტი ერთხანს სოციალ-დემოკრატების მომხრედ გამოდიოდა სათათბიროს არჩევნებში. „ამან სამად გაჰყო ქართველობა, — წერდა პოეტი პარტიებზე, — ესენი ერთსა და იმავე კურდღელს მისდევენ, მაგრამ ისე კი არევიათ გზა და კვალი, რომ ერთმანეთს ეღობებიან წინ.. ეს სამი გუნდი ერთმანეთის ნევრს სასიკვდილოდ არა ჰზოგვენ და მით ამღვრევენ შინაურ საქმეებს. ახირებულ მონადირესავით აქ, შინ, ხელში დასაჭერ ჩიტებს უშვებენ და ჰაერში მომფრინალ ქორს კი მისდევენ დასაჭერად და იმასაც უხერხულად, მხოლოდ „ჰაუ-ჰაუს“ შეძახებით. ეს წრეები სამივე მომწონს მათის გულწრფელობით, მაგრამ არცერთს არ ვეთანხმები სავსებით“. მიუხედავად ამისა, აკაკი ვერ მალავდა, რომ მას მოსწონდა სოციალ-

დემოკრატიული იდეები, ქრისტიანობის მსგავსი აზროვნება, სადაც თანასწორობასა და ჰუმანურობაზე იყო გეზი აღებული, თუმცა აღიზიანებდა ერთა დაახლოებისა და შერწყმის მათეული პოზიცია. „ის, ვინც ცდილობს, რომ თავისი სამშობლო გააძლიეროს მხოლოდ გულწრფელის და კეთილის სამსახურით და მერე ისე შეუერთოს მსოფლიოს, ის მთელ ქვეყანასაც ემსახურება, აი, რატომ მწამს მე სოციალ-დემოკრატობა და ჩვენი ქართველი სოციალ-დემოკრატებიც ეროვნობას რომ არ უარყოფდნენ და თავის მოძღვრებასაც, იმ მოძღვრებას, რომელსაც ქრისტე მხოლოდ სიყვარულს უდებს საფუძვლად, ხანდახან მსხვერპლს არ უდებდნენ, სრულის მათი თაყვანისმცემელი ვიქნებოდი“...

ისევე, როგორც სხვა ქართველ თერგდალეულებს, აკაკისაც უბედურებად მიაჩნდა პატარა საქართველოს დაყოფა პარტიებად, კლასებად, დასებად... მისი აზრით, კოლონიური უღლის გადაგდება და თავისუფალი ქვეყნის შვილობა მხოლოდ ეროვნული ერთსულოვნებითა და გამთლიანებით მიიღწეოდა. აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ისტორიული წარსულის ხსოვნას საქართველოს მარადიულობის სიმბოლოს ფუნქცია ეკისრება. ბიბლიური გმირებიდან და ისტორიული ლეგენდებიდან დაწყებული, მის შემოქმედებაში, პოეტური სიტყვით, მხატვრული პროზის ენითა თუ პუბლიცისტურ-ესეისტური ტექსტებით უამრავი გმირი გაცოცხლდა. საქართველოს ისტორია პოეტისთვის ქართველი ერის უკვდავი სულის გამოხატულება იყო.

დამოწმებანი:

იოსელიანი 1977: იოსელიანი პ. *„დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება“*. თბ.: 1977.

წერეთელი 2010: წერეთელი ა. *უცნობი პუბლიცისტიკა*. თბ.: 2010.

აქტები, X: *კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები*. X, თბ.: 1889.

სცსსა ფონდი 480: *საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი*. ფონდი 480, აღწერა 1.

გაბოძე 2009: გაბოძე ჯ. *აკაკის თხზულებათა გამოცემები*. თბ.: 2009.

წერეთელი 2010ა: წერეთელი ა. *უცნობი პუბლიცისტიკა*. თბ.: 2010.

„ბაში-აჩუკი" კინოსამზერიდან
(გრიგოლ რობაქიძის ერთი დაკვირვების კვალზე)

— ეს სადაური რა გამოდისო, — მღელვარებას ვერ დაიოკებდა აკაკი წერეთელი, — ქართლის ცხოვრება თითქოს არც არსებობდეს და არც არაფერს გვაუწყებდეს ბახტრიონის ბრძოლაზე, არც ზაალ არაგვის ერისთავზე გვსმენოდეს რაიმე და არც იმ სამ წამებულ გმირზე, ბიძინა ჩოლოყაშვილსა და შალვა და ელიზბარ ერისთავებზეო.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის" წაკითხვას აეღელვებინა.

რა — ვითომ ასაღელვებელი არ იყო?!.

დაეძებდა და ვერსად პოულობდა მისთვის უფრო ნაცნობ, გაცილებით უფრო მშობლიურ სახელებს, ვიდრე თუნდაც ზეზვა გაფრინდაული გახლდათ. ზეზვას სანინააღმდეგო განა რამე ჰქონდა, არც მისი ჰეროიკული ღვაწლი უნდა დაჩრდილულიყო და პოემის მხატვრულ სურათებში მისი მონუმენტური ფიგურაც წარმომდგარიყო, მაგრამ ამ წამებულთა შემცველად კი არა!..

იმათ დაჩრდილვას ვინ ჩივის, საერთოდ გამქრალიყვნენ „ბახტრიონის" მხატვრული სცენიდან — ვითომც ყოფილან და ვითომც არაო.

ვითომ ასე პირწმინდად უნდა გადაეყლაპა აღმოსავლეთ მთიანეთის ხალხურ პოეზიასა და გადმოცემებს ისტორიული ქრონიკები?..

რატომაც არაო, — თავისი დაებეჯითებინა ვაჟა-ფშაველას და... „ქართლის ცხოვრების" ანარეკლსაც არ გააჭაჭანებდა თხრობაში.

გაელვება რაღა იყო, გაელვებითაც ვერ მოხვდებოდნენ საისტორიო ქრონიკის გმირები პოემის ქარგაში.

სახალხო გმირების იქით არ გაიხედავდა, თითქოს ჯერაც საყმოს შვილი ყოფილიყოს, იმ ტრადიციული საზოგადოების, რომლის მიღმაც მის წევრებს არაფერი, სრულიად არაფერი ეგულებოდათ, გარდა მითოსური ქაოსისა.

წესრიგი მხოლოდ საყმოს სივრცეში სუფევდა — მის ყოფასა და მითოსურ-რელიგიურ წარმოდგენებში. და ისტორიაც მხოლოდ ეს იყო, რასაც ამ ტრადიციული საზოგადოების ცნობიერება ინახავ-

და, მითოსური დროის კვალობაზე დალაგებული, ეპოქები თავისებურად რომ ერწყმოდა ერთმანეთს და ქრონოლოგიური ჟამისაგან განსხვავებულად წარმოდგებოდა, მაგრამ საყმოს შვილთათვის ეს უფრო სარწმუნო ისტორია გახლდათ, ვიდრე ის ქრონოლოგიური, რომელიც პირწმინდადაც გაქრებოდა ხსოვნიდან, მატიანეებს რომ არ შემოენახათ.

ვაჟა-ფშაველას საგმირო ეპოსი რაკიღა ტრადიციული საზოგადოების გარემოდან ამოზრდილიყო, ახალი ჟამის ეპიკოსი ბოლომდეც მიენდობოდა ამ სივრცეს, მის წიაღში ჩაეფლობოდა, მხოლოდ ამ ხმებს მიაყურადებდა და კიდევ ერთხელ იგრძნობდა, რომ ამ გარემოდან ოდნავი გადახედვაც კი რაღაცას დაურღვევდა სულში, ხოლო ეს „რაღაცა“ უბრალო რამ არ გახლდათ, რაკიღა საგმირო ეპოსს გამოაცლიდა ხელიდან.

ამიტომაც გახედავდა დანანებით „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებს და გუნებაში მოუბოდიშებდა მისთვისაც სათაყვანებელ გმირებს: მხატვრული თავისებურების ბრალია, თორემ თქვენ დასავიწყებლად როგორ გაგიმეტებდითო.

აკაკი წერეთელი არ დაგიდევდა ამ მხატვრულ თავისებურებას. ვერავითარ აუცილებლობას ვერ დაინახავდა ისტორიული ქრონიკებისათვის გვერდის ასავლელად და ბახტრიონის ბრძოლის ამგვარ გააზრებას ვაჟა-ფშაველას ახირებას მიაწერდა: ენობრივი მიკერძოება აღარ იმყოფინა და მხოლოდ სალიტერატურო ქართულს კი არ აქცია ზურგი ასე კადნიერად, არამედ ნამდვილ ისტორიასაცო.

რა გამოდიოდა —

ერთი კუთხე დაემჯობინებინა მთელი ქვეყნისათვის?

ვაჟა სხვაგვარად განსჯიდა — ნამდვილი ქართული მეტყველება ფშაურმა კილომ შემოინახა და ეროვნული, ჰეროიკული სულიც მთაში უფროა გადარჩენილი, ვიდრე ბარში, ამიტომაც ზოგადქართული ენაც და წარმოდგენებიც ამ გარემოდან უფრო განზოგადდება, სწორედ ეს წვეთი აირეკლავს ყველაზე ღრმად და სრულყოფილად ჩვენს ეროვნულ ცნობიერებასო.

გარეგნულად ხომ ასერიგად დაცილებულიყვნენ, და ვაჟა-ფშაველა ვერც წარმოიდგენდა, უნებურად აკაკი წერეთლის მხატვრულ ძიებებს თუ აგრძელებდა — საკუთარ ქურაშიც აწრთობდა, კალაპოტსაც ახალს გაუჭრიდა, მაგრამ პირველსათავე მაინც ის იყო.

არც აკაკი წერეთელი ჩაკვირვებია ამ ვითარებას და არც დაიჯერებდა, ვინმეს რომ შეემჩნია და ეს მოსაზრება მისთვისაც გაეზიარებინა: ვაჟა-ფშაველას სახით ლიტერატურული მემკვიდრე გამოგიჩნდა, ოღონდ სრულიად განსხვავებული შენს ეპიგონთაგან, თვითმყოფად მოვლენად ჩამოყალიბდა, დაცილებითაც ბევრგან დაგვცილდა, მაგრამ მისი მხატვრული სამყაროს პირველბიძგი შენს შემოქმედებაში იძებნებაო.

რა გასაკვირია, მტკიცედ თუ უარყოფდა აკაკი წერეთელი: ჩემთვის მიუღებელი სტილურ-ენობრივი თავისებურება ჩემი მხატვრული ძიებებით როგორ უნდა იყოს შთაგონებულიო?!.

და ის შეხედულებაც აღიზიანებდა და ვერა და ვერ ეპატიებინა ილია ჭავჭავაძისათვის: მე და აკაკიმ კალამი ძირს უნდა დავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთო.

დებიუტანტის გამოჩენას ასე როგორ აღეფრთოვანებინა, რომ სიტყვა ვეღარ მოეზომა და ახალგაზრდა კაცის სახელი ერთბაშად მწვერვალზე აეტყორცნა?..

გაუძლებდა კი ჭაბუკის შეგნება ასეთ აღმატებას სახელოვანი კაცისაგან?

ვაითუ სულაც დაელუპა, თუკი პატივმოყვარეობა ძალუმად დარევდა ხელს და დაიჯერებდა, მისაღწევისათვის უკვე მიმიღწევია და შემიძლია ზემოდანაც ვუყურო ლიტერატურაში მოფუსფუსე ადამიანებსო.

დაიღუპებოდა თუ არა, აკაკი წერეთელს ამასთან რა ხელი ჰქონდა. ეგაა, ილიას სიტყვებით გაგულისებული არ დაახანებდა და მაშინვე შეუთვლიდა: მე არ ვაპირებ კალმის ძირს დადებას და, თუ მაინცდამაინც ასე მოხიბლულხარ, დაე შენი კალმის დადება იკმარეო.

და ეგებ გუნებაში ისიც გაევლო: ნეტა ადრევე მოგეფიქრებინა და ლექსებს ჩამოხსნოდი, „მერცხლის ჭყივილს“ რომ წერდი, იმწამსვე უნდა დაგედო კალამი ძირსო. და თავმომწონედაც გაეღიმა, რადგანაც ილია ჭავჭავაძის იმ ლექსს აკი მალევე გამოეხმაურა პაროდიული სტრიქონებით — წაჰკრა და წამოჰკრა ნესტარი.

შეთვლით კი შეუთვლიდა, შენს კალამს მიხედეო, მაგრამ გულს მაინც ვერ შეაჯერებდა და მწარედ ჩარჩებოდა ილიას ის უცნაური აღტაცება. რა, შესაფიქრიანებელი არ იყო? ვინ იცის, სხვებსაც გაეზიარებინათ ვაჟა-ფშაველას პოეზიის ეს გადაჭარბებული შეფა-

სება და ეს თავის თავად არცთუ ურიგო შემოქმედი აკაკი წერეთლისათვის შეეტოლებინათ.

როგორი მოსათმენია?

და აკაკი ეჭვითაც ადევნებდა თვალს ვაჟა-ფშაველას მოძრაობასაც სალიტერატურო სარბიელზე და იმ გამოხმაურებებსაც, რასაც მისი ცალკეული პუბლიკაციები იწვევდა — ძალიან ზემოთაც არ აზიდონ, თვითონაც მოეხსენებოდეს და სხვებმაც კარგად იცოდნენ მისი ნამდვილი ადგილიო.

გრიგოლ რობაქიძე მოზაიკური მანერით აგებულ სტატიაში „აკაკი (ფაქტები ფიქრები)" საგანგებოდ რომ ჩაურთავდა ერთ ასეთ მინიატურასაც — „აკაკი და ვაჟა" — დაბეჯითებით განაცხადებდა:

— ოცი წლის წინად ასეთი დაპირისპირება — აკაკი და ვაჟა — მაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლებოდა: ისე მაღლა იდგა აკაკი და ისე დაბლა ვაჟა.

და თავმომწონედ დასძენდა:

— დღეს კი ასეთი დაპირისპირება არა თუ შესაძლოა, არამედ... რა საჭიროა წერტილის დასმა?

თავმომწონეობა რა შუაშია?

ქვეტექსტი ისედაც გამჭვირვალეა, მითუმეტეს, გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის აღნიშნავდა თავის განსაკუთრებულ წვლილს ვაჟას კულტის დამკვიდრებაში და ცისფერყანწელებიც მოუწყინრად უდასტურებდნენ — მისი საჯარო გამოსვლებითა და წერილებით დაიწყო ვაჟას სახელის აღზევებაო.

მისი წვლილი ამ მხრივაც მართლა მნიშვნელოვანია, მაგრამ ვაჟას სახელი მანამდე უკვე აეწია ისე, რომ აკაკისთვისაც შეეთანაბრებინათ და უკვე ის პიროვნება არ შეშინებია „მაკვდინებელ ცოდვას", ეს ვინც გაბედა.

გახსოვთ „ბუნების კარში" იაკობ გოგებაშვილი ოთხ ფოტოსურათს რომ მოათავსებდა ამგვარი წარწერით — „მთავარი ქართველი მგოსნები ახალის დროისა"?

ოთხად ოთხი ფოტო ნიშნავს, რომ საკმაოდ მკაცრი საზომით უხელმძღვანელია მის ავტორს.

ეს სიმკაცრე კი უკარნახებდა, რომ რეიტინგ-ლისტიდან არაფრისდიდებით არ გამოეტოვებინა ვაჟა-ფშაველა და იგი — რაფიელ

ერისთავსა და ილია ჭავჭავაძესთან ერთად — აკაკი წერეთლის გვერდითაც ეგულისხმა.

ილიასეულ შეფასებას ეს გაგრძელება ეპოვნა — უკვე ხელშესახები დადასტურებაც და, საზოგადოებრივ აზრს, სხვა რაღა დარჩენოდა, ანგარიში უნდა გაეწია იაკობ გოგებაშვილის ამ მტკიცე გადაწყვეტილებისათვის.

გრიგოლ რობაქიძეც ამ კვალში ჩამდგარიყო და პირველობას ამაოდ იჩემებდა: მხოლოდ ჩემი ნარკვევების შემდეგ გახდა „ასეთი დაპირისპირება" შესაძლოო.

პიროვნულად აკაკი წერეთელი უფრო ნიჭიერიც შეიძლება გამომდგარიყო?

გრიგოლ რობაქიძე სადავოს არ გახდიდა ამ მოსაზრებას, მაგრამ თავის მხრივ დასძენდა: პოეტურ ნამოქმედარს ეს ვერ არკვევს ბოლომდეო.

და მოადევნებდა ვაჟას დითირამბს:

— ვაჟა პირია უპიროვნო შემოქმედების. იგი ჰომერის ნატეხია საქართველოს არეზე. აქ არის მისი სიძლიერეც.

ცხადია, „ალუდა ქეთელაურის" შემოქმედი ჰომეროსის ნატეხად ვერაფრისდიდებით ვერ ჩამოყალიბდებოდა, თუკი ფშავხევსურული, მითოსური დრო-ჟამის განზომილებას გამოეცლებოდა და ისტორიული დრო-ჟამის განზომილებაში ამჯობინებდა გადანაცვლებას. ანუ: მისთვის ყველაზე ბუნებრივს, ყველაზე ღრმად ინტიმურს ხელოვნურით შეანაცვლებდა. უნდოდა თუ არ უნდოდა, საკუთარ სიძლიერეს მოწყდებოდა და ვეღარც მარადისობის მკვიდრი შეიქნებოდა მხოლოდ კომეტასავით გაელვებული.

ჰომეროსის ნატეხობა უბიძგებდა საისტორიო ქრონიკებისათვის გვერდის ავლას — თითქოს ისიც იმ ჟამის შემოქმედი ყოფილიყოს, წერა-კითხვა ჯერ რომ არ იცოდნენ და ზეპირად თხზავდნენ საგმირო ეპოსებს, ამ ვეება ქმნილებებს. ცხადია, არც საისტორიო მატიანეები მოეძევებოდათ და მარტოდენ თქმულება-გადმოცემებს უნდა დაყრდნობოდნენ.

ჰომეროსს აკი სხვა გზა არც გააჩნდა.

ვაჟა-ფშაველას — ვითომ არ გააჩნდა, ოღონდაც ამ მხრივ იმის კვალში გადასულიყო.

ეს რანაირი რა გამოდისო, — ვერ აეხსნა აკაკი წერეთელს.

თუმც სად ედევნა ამისი ახირებებისათვის.

ბახტრიონის აღების ამბავი კი ძალიან დაენანებოდა ცალმხრივი გააზრებისათვის, საისტორიო ქრონიკის გმირებიც არ გაემეტებოდა მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ჩასატოვებლად, მხატვრული ხორცშესხმა მაინც სულ სხვა რამ გახლდათ, სხვა ძალისა და მადლისა საზოგადოებრივ ცნობიერებაში დასამკვიდრებლად, და ეს წადილი შთააგონებდა „ბაში-აჩუკს“, როგორც თვითკმარ ქმნილებასაც და როგორც გამოკამათებასაც ვაჟა-ფშაველასთან.

ეს პოლემიკა ძალზე ღრმადაა შემალული.

თუ სხვადასხვა გარემოებანი, ფსიქოლოგიური ფონი არ გაითვალისწინე, ვერც იფიქრებ, გამოკამათების ჟინმა თუ გამოიწვია მისი შექმნა.

ეს რომ მეოცე საუკუნის დასავლური თხზულება იყოს, შინაგანი მონოლოგი, განსჯა, კრიტიკული რეფლექსიები ჩვეულებრივი მოვლენა რომ გახდა თხრობისას, საამისო პასაჟები უთუოდ ჩაერთვოდა — და საკმაოდ ბლომადაც — „ბაში-აჩუკსაც“, კრიტიკულ-ესთეტიკური ნაკადი მთლიანად ამ განწყობილებითა და მრწამსით განიმსჭვალებოდა, ხოლო რაკიღა ამ ზოგადსტილური მანერის დრო არ დამდგარიყო, აკაკი წერეთელი თავის დამოკიდებულებას იმით გამოხატავდა, რომ სახალხო გმირთაგან არცერთს არ გააჭაჭანებდა.

გაელვება რაღა იყო, გაელვებითაც ვერ მოხვდებოდნენ მოთხრობის ქარგაში.

ის გარემოებაც არ გამორჩებოდა, ვაჟა-ფშაველამ მთავარ გმირებად ფშავლები რომ გამოიყვანა — ლელა და კვირია, შეთხზული პერსონაჟები, მათ შეახსნევინა ციხის კარი და მერეღა დაუტოვა ასპარეზი პოეტურ და პროზაულ გადმოცემათა გმირებს. ამიტომაც თვითონ იმერელს მოაქცევდა მოვლენათა შუაგულში, გლახუნა ბაქრაძეს არგუნებდა ბრძოლის გადაწყვეტას, შეთხზულ პერსონაჟს, ურომლისოდაც ბახტრიონი აუღებელი დარჩებოდა.

მოთხრობის ლოგიკით ასეა და მხოლოდ ასე.

აბა, ფშავლებისათვის რატომ დაეთმო გამარჯვების პატივი.

გრიგოლ რობაქიძე აინუნშიც არ ჩააგდებდა ამ ფარულ პოლემიკას და არც იმას დაგიდევდა, ფშავლებმა გადაწყვიტეს ბახტრიონის ბედი თუ იმერლებმა. ეგებ სხვა გარემოებანი გაცილებით

უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა აკაკი წერეთლის მხატვრულ სამყაროში და ჯერ იმათ უკვირდებოდა. ეგებ არც არასოდეს დაინტერესებულიყო ვაჟასთან იმის ახდილი თუ შეფარული დავაკამათით.

დიდხანს კი უტრიალა აკაკის მხატვრულ ნააზრევს და ცალკე რკალადაც გამოიკვეთება მის ესეისტიკაში ეს დაკვირვებანი და მიგნებანი.

მსჯელობა მსჯელობად, შეფასება შეფასებად და არაერთხელ მიგვანიშნებს, ზოგიერთი თემისა თუ მოტივის გაყოლას რომ აპირებდა, გაცილებით ვრცელ და საფუძვლიან დამუშავებას, თუკი საამისო მოცალეობა ექნებოდა.

ასეთ მოსაზრებას რომ გამოთქვამდა: აკაკის შემოქმედებითი ინდივიდუალობა შეუცნობელი გენიალობაა — მან ვერ მიაღწია გენიალურ შეცნობილობას. ეს არის მიზეზი, რომ მისი გენიოსური ბუნება გენიოსად ვერ იქცაო, — დასძენდა:

— აი თემა, რომელიც ჯერ-ჯერობით უცდის თავის ავტორს.

დაებადებოდა თუ არა უნებლიე პარალელი: აკაკი და ჰიუგო, — და გაახსენდებოდა, რომ აკაკის იმდენივე გავლენა ჰქონდა საქართველოში, რამდენიც ჰიუგოს საფრანგეთში, — მოადევნებდა:

— პოეტური შეპირისპირება მათი შესაძლოა მერმისმა ითავოს.

ვაჟა გადასძლევსო, — დაიბეჯითებდა თუ არა, აკი გამორკვევასაც შეეცდებოდა: ნიჭითო? მაგრამ ნიჭი აკაკის ამ „მიგდებულ“ ნაწარმოებშიც — „ჭიდაობა ნესტორ ესებუასი და კულა გლდანელისა“ — ხომ თვალსაჩინოდ იკვეთებოდა? და ესეც ხომ ხალხის შემოქმედების ნატეხი იყო? და რომ მიხვდებოდა: აქ სხვაგანაა საიდუმლოო, — და ბილიკსაც მიაგნებდა: ის უფრო მასალაში უნდა ვეძიოთო, — დაურთავდა:

— ეს კი სხვა თემაა.

ამ ყოველივეს სხვა ლიტერატორებს ანდობდა?

თუ თვითონ დამუშავება ვეღარ მოუხერხდებოდა, რატომაც არა — გულუხვად დაარიგებდა თემებს, მაგრამ უპირველესად მაინც თავისთვის შეერჩია და ფიქრობდა: საამისო დროს როგორ არ გამოვძებნიო.

ცალკე რკალადაც გამოიკვეთა მის ესეისტიკაში ეს დაკვირვებანიო...

ამასობაში ისეთ ძარღვს მიაკვლევდა, ვრცელი ნაშრომის მთავარ საყრდენადაც რომ გამოდგებოდა, საიდანაც უამრავი ბილიკი ძალდაუტანებლად განიტოტებოდა, მაგრამ გაფანტვის შიში არ ექნებოდა, ისეთ მტკიცე კომპოზიციურ ღერძს დაიგულებდა ხელთ.

მაინც რა კომპოზიციურ ღერძს?

აკაკის იუბილეს იმიტომ კი არ ვდღესასწაულობთ, რომ იგი პოეტია, როგორც ეს უმრავლესობას ჰგონია, არამედ იმისთვისაც, რომ აკაკი ქართველობის იდუმალი თან მეტყველი სახეაო, — ასე განაზოგადებდა, ამ სიმბოლიკის სიმაღლემდე აზიდავდა მგოსნის სახებას და შესაფერის კონცეფციასაც მოადევნებდა:

— ქართლის მომავალი ბედი ამ სახის გამოცნობაშიაც სდევს.

რაოდენ მრავალფეროვნად და ყოვლისმომცველად წარმოუდგებოდა გრიგოლ რობაქიძეს აკაკი წერეთლის მხატვრული სამყაროც და მისი პიროვნული სიდიადეც, რომ ქვეყნის მომავლის განსაზღვრა ამ მხატვრული სამყაროს თავისებურებათა ამოხსნაში ეგულებოდა.

რუსთველის შემდგომ ქართული სიტყვის პირველ ხელოვნად ვინ ჩაითვლებოდა?

ვინ წარმოდგებოდა რუსთველის მოციქულად?

საამისოდ აკაკი შეერჩია, „როგორც მქმნელი ქართული სიტყვისა, ქართველთა სულის ენტელეხიის სხეულება ნამდვილი“:

„სარო ტანი, მოხდენილი ქედი, მრავალფეროვანი ფრთა, მსუბუქი ფრენა, — აი, მოხაზულობა აკაკის სიტყვისა...

ხატოვანი გამოთქმების ფონზე ყველაზე უკეთ გამჟღავნდებოდა აკაკის სიტყვის ჯავარი და მადლი, რაკიღა ასეთ დროს მკაცრი მეცნიერული ტერმინოლოგია მხოლოდ მის ზედაპირთან მიგაახლოებს და იქ გატივტივებს.

ნიშანდობლივია, რუსთველის სახელის ხსენება ასე აუცილებელი რომ გამხდარა აკაკის მხატვრულ სამყაროზე ფიქრისას.

აკაკისათვის „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი მარტოდენ პოეზიის საზომი კი არა ყოფილა, მარტოდენ უწმინდესი სახელი, რომლისთვისაც თავისი ირონიისა და ენამწარეობის მიუხედავად ოდნავადაც არასოდეს გაუკრავს კბილი, არამედ უშუალო წინამორბედი, რომლის სულის აღდგენაც დავალებოდა უაღრესად მღელვარე ჟამს — ქართველობის ხელმეორე შობიერებისას.

მსჯელობისას ალექსანდრ პუშკინის სახელსაც მოიხმობდა მრავალმხრივ საგულისხმო შეპირისპირებისათვის, რისი დამოწმებაც ამჯერად ზედმეტია, მხოლოდ იმას დავუკვირდეთ, რომ აკაკი იბადება მაშინ, როდესაც ქართველობა საღამოს ბინდითაა მოცული, და ქართველთა სულს აკაკიმდე მზე რომ უხილავს, აკაკის დროს იგი უკვე ჩასულა და აკაკი მეორე სიტყვაა ხელახლა გაღვიძებული ხალხისა.

— იგი შეუცნობელ გრძნობს, რომ საქართველოს სულის სხეული დამსხვრეულია, — და ცდილობს შეუცნობელ მის ფერფლისაგან მისი ლანდი წარმოშობოს...

ამ მხატვრული სამყაროს მთავარი ძარღვი მიგნებულია.

ასპარეზიც შემოფარგლულია.

და გრიგოლ რობაქიძეს სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ დაკვირვებანი და მიგნებანი მონოგრაფიის თემად ექცია, მონოგრაფიის, რომელსაც ამ გადასახედიდან ქართლის მომავალი ბედიც უნდა განეჭვრიტა.

ბევრგვარია მიზეზი, რაც აბრკოლებს ხოლმე განზრახული თხზულების შექმნას, ოღონდ ამჯერად ის აუხსნელი გარემოებაც ხომ არ გადაიქცა ბარიერად, აგერ საუკუნე გადის და აკაკი წერეთლის მონუმენტური სახება რომ ვერა და ვერ გამოგვიკვეთავს — პიროვნების ბიოგრაფია და ხვედრი მისი სამშობლოს ბედს ხელშესახებადაც რომ წარმოაჩენდეს და სრულადაც — ფრაგმენტულად კი არ აირეკლავდეს.

ღრმა, მახვილგონივრულ თეზისთა ჩამოყალიბებაც დიდად დასაფასებელია, შთამომავალთ რომ წაადგებათ შთაგონებისათვის.

აკაკის ლანდი იმთავითვე რომ სდევდა თან გრიგოლ რობაქიძეს, დიდხანს უპირველესად მაინც პოეტად მიიჩნევდა, პოეტურ აზროვნებაში ხედავდა მის უმთავრეს ძალას, პროზაული ნაწერებიც წაეკითხა სიყმაწვილისას და ხელახლა გადაკითხვა აღარც მოუნდომებია, რაკიღა ვერც შეადრიდა მის პოეტურ მიღწევებს ვერც სტილისა და ვერც კომპოზიციის მზრით.

მრავალი მისი პროზაული ნაწერი დავიწყებას მისცემოდა?

მკითხველს ბავშვობაში გაცნობა ეკმარა და შემდეგ შემთხვევით თუ აუღია ხელში, შემთხვევით თუ გადაუფურცლავს, შემთხვევით თუ გადაუვლია თვალი?

გრიგოლ რობაქიძე მკითხველს არ ამტყუნებდა, რადგანაც თვითონაც დავიწყებისათვის მიეცა ეს თხზულებანი.

ეგაა, სხვათა მსგავსად შემთხვევით მოუხდებოდა „ბაში-აჩუკის“ გადაკითხვა.

და... სხვათაგან განსხვავებით, კითხვას რომ ჩაამთავრებდა, გაოცებული დარჩებოდა „პირდაპირ კლასიკური ნაწარმოებით. განსაკუთრებით ამბავის საოცარი ხვეულებით“.

პირწმინდად ლიტერატურული თვალსაზრისით რომ დარჩენოდა ამგვარი შთაბეჭდილება, ჯერ ესეც რაოდენ მნიშვნელოვანია — მოხდა აკაკის, როგორც დიდებული პროზაიკოსის, აღმოჩენაც... მაგრამ აქ სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანია — „ბაში-აჩუკი“ კინორომანად რომ წარმოუდგება. თანაც, ვარაუდად კი არ დაებადა ეს მოსაზრება, არამედ დაბეჯითებით ირწმუნებს და სხვებისათვის გაზიარებასაც მოინდომებს.

სტატიის სათაურშივე ამიტომაც გაიტანა მისი კინორომანობა.

სტატია გამოქვეყნდებოდა ჟურნალ „დროშის“ 1925 წლის მე-20 ნომერში.

ეს ის დროა, როდესაც ხელოვნების ეს ახალი დარგი ისე მომძლავრებულა და ისეთი ზეგავლენა მოუხდენია საზოგადოებრივ აზრზე, რომ ამა თუ იმ თხზულების ხვეულები უკვე კინოს ხაზებით იზომება.

შეფასების კრიტერიუმი ამ ხელოვნების მოთხოვნილებანი გამხდარა.

ამ საერთო ტენდენციას გრიგოლ რობაქიძეც აჰყოლია — თანამდებობითაც (განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარეა) და სულიერი მიდრეკილებითაც — და შეგნებულად თუ უნებლიეთ ყველაფერს ამ კრიტერიუმით უდგება. ამჯერად სწორედ უნებლიეთ მიუსადაგებდა შემთხვევით ხელთ მოხვედრილ „ბაში-აჩუკს“ კინოს ხაზებს, თორემ აკაკი წერეთლის ამ ნაკლებმნიშვნელოვან (როგორც მანამდე ეგონა!) თხზულებას რატომ უნდა გამოეწვია ამის სურვილი?

უნებლიეა თუ რა, დასკვნა ასეთი გამოაგნებელი აღმოჩნდებოდა:

— თუ ამ ხაზებით გავზომავთ „ბაში-აჩუკს“, მივიღებთ იდეალურ კინორომანს.

ზოგიერთი ნიშანი, ესა თუ ის საერთო კი არა, თურმე სულაც იდეალური.

ყველაზე ნიშანდობლივ ადგილებს გამოარჩევდა.

უპირველესად აღნიშნავდა კინორომანის უმთავრეს თვისებას, რომ ის გაკვირვებით უნდა იწყებოდეს.

და თურმე:

— აკაკიმ იცის ეს საიდუმლო და ამბავს გაკვირვებით იწყებს.

და დეტალურად ჰყვება მოთხრობის დასაწყისს — აჯანყებისათვის სამზადისი, არაგვის ერისთავის ცოლის სიმბოლური სიზმარი, უცნობი ჭაბუკის მოულოდნელი გამოჩენა, მისი ვინაობის გამჟღავნება, მასზე გამიჯნურებული თავადის ასული, საგმირო საქმეთა აღსრულებას რომ სთხოვს ჭაბუკს, მისი წასვლა კახეთში ბიძინა ჩოლოყაშვილთან, ქალის გულის მოსაგებად — რათა არამარტო სიუჟეტის სათავის დიდი ხელოვნებით წარმოსახვას მიაქციოს მკითხველის ყურადღება, არამედ მის არტისტულობასაც.

და რაც მთავარია, აღნიშნოს ამგვარი დასაწყისის უაღრესი კინემატოგრაფიულობა.

აღნიშნავდა კინორომანის კიდევ ერთ თვისებას — ფართო არეს საჭიროებას.

ეს არეც შესაფერისად შემოფარგლულიყო.

თეიმურაზ პირველი ჩრდილოეთისაკენ გადახრილიყო ერთმორწმუნეობის იმედად, და შაჰ-აბასი მუქარით სავსე წერილებს რომ გამოუგზავნიდა, კიდეც ცეცხლითა და მახვილით გაანადგურებდა კახეთს. ბიძინა ჩოლოყაშვილი არ ემორჩილება ყიზილბაშებს, მაგრამ საწადელის მისაღწევად მოსაჩვენებლად გადადის მათ მხარეს და ემსახურება ალი-ყული-ხანს. იბადებიან მეამბოხეთა გუნდები და ბიძინა ფარულად მოთავეობს ამ გუნდებს.

— აი საერთო არე.

შიგადაშიგ გამოარჩევს ნამდვილ კინოეპიზოდებსაც.

ყაენის ტახტზე აბრძანების დღეობისას გამართული ჭიდაობა.

ჯირითი, ყაბახობა, მაღალი ჭადრის წვერიდან ისრით თასის ჩამოგდება.

ჭიდაობაში გამარჯვებულმა გლახუნა ბაქრაძემ ამჯერადაც უნდა გამოიჩინოს თავი, შემდეგ კი ვითომ თასი მაყაშვილს უნდა გადასცეს, ქართველთა მოღალატე და ყიზილბაშთაგან დიდად დაფა-

სებულ თავადს, ოღონდ ის რომ მიეახლება, ხმლის ერთი მოქნევით თავი მოჰკვეთოს და გასხლტეს. მაყაშვილის სხეული ჯერაც ფეხზე დგას, თავი რომ მიწაზე კოტრიალობს. ყიზილბაშები კი მხედარს მისძახიან: ბაში-აჩუკ! ბაში-აჩუკ! — მის ფაფანაკს ვერ შეამჩნევენ და ამიტომაც თავშიშველი ჰგონიათ.

სიუჟეტის ამგვარი განვითარებით კუნთების დაჭიმვა საზღვარს რომ აღწევს, აკაკი „შესვენებას იძლევა. მაგრამ შესვენებაში შეჰყავს სხვა ხაზი".

იმერეთში სტუმრად მყოფ ქართლის მეფეს ათ ქალიშვილს რომ მიართმევენ საჩუქრად, მათ შორის იმყოფებიან გლახუნა ბაქრაძის დებიც. გზად მეფის ამალას თავს დაესხმიან და ქალებს ათავისუფლებენ. ცხადია, ეს თავდასხმა ბაში-აჩუკის გარეშე არ მოხდებოდა.

თხრობაში უნდა გამოჩნდეს სიყვარულის სილბილე, როდესაც აბდუშაჰილს შეუყვარდება გლახუნა ბაქრაძის — ვისაც გამწარებული დაეძებს სამაგიეროს მისაზღველად ჭიდაობაში დამარცხებისათვის — დებისაგან ერთ-ერთი ტყუპისცალი.

გრიგოლ რობაქიძე აბდუშაჰილის „ველად გაჭრას" ახსენებს თუ არა, საგანგებოდ გამოკვეთს:

— აქ აკაკის შეაქვს რომანტიული ხაზი ფანტასტური ელვარებით. კინოსთვის ეს ხაზი ულამაზესია.

დებისაგან ერთ-ერთი ტყუპისცალიო... მეორე და თავს რომ გასწირავს, ოღონდაც ყიზილბაშების ხელთ არ ჩავარდეს, აბდუშაჰილს ის ჰგონია მისთვის სანატრელი ქალი და ხშირად ატარებს ღამეს ძვირფას სამარესთან.

— აქ აკაკის შეაქვს კიდევ ერთი ულოდნელობა, რომელიც კიდევ უფრო რომატიულია და კიდევ უფრო კინემატოგრაფიული.

აბდუშაჰილს უნდა გამოეცხადოს სწორედ ის სანატრელი ქალი და მისი შიში, გაოცების კანკალი — ჰგონია, მიცვალებული მომევლინაო — უეცრად სიტკბილედ გადაიქცეს, რასაც უნდა მოჰყვეს სიყვარულის უზომო, ნაპირებგადაღვარული ფიცი.

აკაკის ფანტაზია აქ რომ არ ჩერდება, ამიტომაც უნდა გამჟღავნდეს ყველასათვის აბდუშაჰილის ვინაობა — მისი ქართული წარმომავლობა. თანაც მაინცდამაინც მელანოს ძმა უნდა აღმოჩნდეს, ამბოხებულთათვის თავგადადებული ქალისა და ბაში-აჩუკის ნანდაურის.

— კიდევ ულოდნელობა და გაოცება. როგორც კინოში ყოველთვის...

გრიგოლ რობაქიძემ „შესანიშნავის“ ეპითეტით უნდა შეამკოს „ბაში-აჩუკის“ კინორომანობა და დაბეჯითებით განაცხადოს: არ არის არცერთი ელემენტი, კინოს მახასიათებელი, რომელიც არ იყოს აქ უხვად მოცემულიო: გმირობა, სიყვარული, საოცრება, ამბავთა ერთიმეორეში პარალელური შეჭრა, ბუნება, შეთქმულება, ძმადფიცულობა, ხალხის ვარამი, ინტრიგის საოცარი ხლართი, დინამიურობა თანდათანი, მაგრამ შესვენებისათვის არა პირდაპირი, არამედ მიკიბულ-მოკიბული, და არ ვიცი, კიდევ სხვა რაო.

სტატიის ფინალში „ბაში-აჩუკის“ მხატვრულ ღირსებებს დითირამბი უნდა შეესხას („ფანტაზიის მხრით ამ მოთხრობას ქართულ ლიტერატურაში არა ჰყავს ტოლი. მე მაქვს მხედველობაში სხვადასხვა ხილვის ტეხილები. შემოქმედება აქ უფროა. მე მგონია, ბევრს უცხო განთქმულ ნაწარმოებსაც გაუტოლდება იგი ამ მხრით. ამ ნაწარმოებით აკაკი წერეთელი ერთი ორად იზრდება“) და რატომღაც (ეგებ არა რატომღაც) ილიას მოთხრობებს შეუფარდდეს, მაგრამ მთავარი აკი ამ მოთხრობის კინემატოგრაფიულობაა, აკაკი წერეთლის შინაგანი შეგრძნება და წინასწარი ხილვა ამ სიახლის, ისევე, როგორც ყოველგვარი სიახლისა.

ერთი მხრივ, გარდასულ ჟამში ჩაძირული, ისეთ განცდასაც რომ გიჩენს, თითქოსდა XIII საუკუნის მკითხველისათვის წერდა, ყოველ შემთხვევაში, გალაკტიონ ტაბიძე სწორედ ასე აღიქვამდა მისი პოეტური მემკვიდრეობის ერთ რკალს.

მეორე მხრივ კი სიახლეთა წინაშე გულგადახსნილი, გუმანიც რომ უკიდურესად გამახვილებოდა.

სხვაგვარად არ მოინდომებდა, მასზეც შექმნილიყო მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის თხზულება — იმჟამად მეორეხარისხოვნად, მარგინალურად მიჩნეული ჟანრისა.

არც ავტობიოგრაფიულ რომანს მოჰკიდებდა ხელს („ჩემი თავგადასავალი“), როგორც ასევე მარგინალურ ჟანრად შერაცხილს.

არც შავი ქვის მრეწველობით დაინტერესდებოდა ასერიგად, საქართველოს მარგანეცს რომ აღმოუჩენდა და მისი შესწავლა-დამუშავების პირველსაფუძვლებსაც რომ შექმნიდა, და ეს მაშინ, რო-

დესაც საზოგადოების თვალში მრეწველობა, ვაჭრობისა არ იყოს, ქართველთათვის შეუფერებელ საქმიანობად მიიჩნეოდა.

ჯერაც ბევრ რამეში გაურკვეველი, დაბნეული საზოგადოების თვალში!..

არც პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის მთავარი გმირი შეიქნებოდა — არადა, მისი პერსონაჟობით, რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობით დაიწყებდა ქართული კინემატოგრაფი არსებობას.

აქეთ კი გრიგოლ რობაქიძე:

— დღეს რომელიმე ნაწარმოების ხვეულებს კინოს ხაზებით ვზომავთ.

საგულისხმო სწორედ ესაა, საყოველთაო შეხედულებად და მისწრაფებად რომ გადაქცეულა ბელეტრისტულ თხზულებათა მორგება კინემატოგრაფის მოთხოვნებისადმი, თხრობაში სცენარის ნიშების მიგნება, სურვილი — სიუჟეტური ქარგის თუნდაც საფუძვლიანი გადაკეთებისა, ოღონდაც ამ მასალაზე კინოსცენარი ამოიზარდოს.

და ასეთ დროს აკაკი წერეთლის მოთხრობას არც საფუძვლიანი და არც ოდნავი გადაკეთება არა სჭირდება.

„ბაში-აჩუკი“ მზამზარეული სცენარია.

და გაოცდებოდა გრიგოლ რობაქიძე, აბა, რა იქნებოდა — რაც მეორეხარისხოვან თხზულებად ჩარჩენოდა ხსოვნაში, არამარტო ჩინებული მხატვრული ქმნილება აღმოჩნდებოდა, არამედ ასერიგად გაუსწრებდა დროს და კინემატოგრაფიული ეპოქის სრულფასოვანი ნაწილი გახდებოდა.

ჩინებული თარგი კინორომანთათვის.

ეს ხომ ის დროა, როდესაც ის-ისაა აცახცახდა გამოსახულება ეკრანზე.

ფოტოს ამოძრავება ვერაფრისდიდებით რომ ვერ წარმოედგინათ, ძმები ლიუმიერები კიდეც გადარევდნენ პარიზს სინემატოგრაფის პრემიერით. ამოძრავება ამოძრავებად და... მატარებელი რომ გამოქანდებოდა ეკრანზე, ერთბაშად დამფთრახლი და დაზაფრული მაყურებელი ყვირილითა და კივილით მიაწყდებოდა გასასვლელებს — აცა, არ გაგვიტანოსო!..

1895 წელია.

„ბაში-აჩუკი“ კი მომდევნო წელს უნდა შეიქმნას.

კინოხელოვნების საწყისად ეს პრემიერა რომ არის მიჩნეული, ყველა ენციკლოპედია თუ ცნობარი გვაუწყებს, რომ ძმები ლიუმერების 15-20 მეტრიან ფილმებში ჯერ მხოლოდ მომავალი კინოხელოვნების ელემენტები გვხვდებოდა. ერთი წერტილიდან გადაღებული ეს მასალა თეატრალურ სპექტაკლს უფრო ჰგავდა, ვიდრე კინოკამერის წინ გათამაშებულ მოქმედებას. ხოლო უხმოობის სანაცვლოდ ისეთი გადაჭარბებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა მიმიკას, მსახიობთა თამაში აშკარად თვითმიზნური ხდებოდა და მაყურებელზე მთლად სასურველ ეფექტს ვეღარ ახდენდა.

მხოლოდ 1908 წლიდან დაეტყობოდა კინემატოგრაფს საკუთარი სპეციფიკის, თავისი ენის, უშუალოდ მისთვის ნიშანდობლივ მხატვრულ ხერხთა თუ საშუალებათა დამუშავება-გამოკვეთის მცდელობა.

თუმც ხელოვნება ჯერაც ვერ დაერქმეოდა.

და კინოსცენართა სპეციფიკის დამუშავება-დახვეწაც თანდათან თუ მოხდებოდა.

ამასობაში სადღაც შორს დარჩებოდა „ბაში-აჩუკის" შექმნა.

აკაკი წერეთელი ამ დროს რომ მოსწრებოდა, მაშინ გვენახა მის კინორომანთა მთელი წყება.

კინემატოგრაფიული ეპოქის სრულფასოვანი ნაწილი გახდებოდაო...

არადა, თუ სიახლეთადმი აკაკის შინაგან ლტოლვას, მის უჩვეულო ალღოს გავითვალისწინებთ, გასაოცარი განა რა შეიძლება იყოს?!.

ჭიდაობის სცენა ნამდვილი კინოეპიზოდის ნიმუშად რომ არის მოხმობილი, იმ მხრივ არანაკლებ — და კიდევ უფრო მეტადაც — მნიშვნელოვანია, შიდასიუჟეტურ ჩარჩოს რომ ქმნის. „შიდა" ამჯერად რიგითს სულაც არ გულისხმობს, რადგანაც ეს სიუჟეტური ხაზი მოთხრობაში ყველაზე მკვეთრია და შინაგანი დრამატიზმის წარმმართველი.

ეს ჭიდაობა ხომ თავისთავადი სცენა არ არის — აქ უნდა დაიწყოს შეურიგებელი ჭიდილი გლახუნა ბაქრაძესა და აბდუშაჰილს შორის, და ეს ჭიდილი ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა შემორკალულიყო, ღიად ვერ დარჩებოდა: ან ერთი უნდა დაღუპულიყო, ან მეორე, ანდა ორივეც იმ დაუნდობელი შეტაკებისას... მაგრამ აკაკიმ გამოძებნა ყველაზე ეფექტური დასასრული ამ სიუჟეტური ხაზისათვის, პერსონაჟთა ხასიათებისთვისაც და კინოდრამატურგიისთვისაც შესაფერისი — აბდუშაჰილი ბაში-აჩუკს დაეძებს რო-

გორც მტერს, მაგრამ უნდა შეხვდეს როგორც მოყვარეს. მისი ქართული ნარმომავლობის უეცარი გამჟღავნება ყველაზე ბუნებრივად აგვირგვინებს ამ ხაზსაც და სავსებით ამართლებს გაყიზილბაშებული ქართველის თავდადებულ მონაწილეობასაც ბახტრიონის ციხის აღებაში.

ეს შიდასიუჟეტური ჩარჩოა, მიხეილ ჯავახიშვილს რომ უბიძგებდა, „არსენა მარაბდელის“ ერთიანი კომპოზიციური ჩარჩო ამ საყრდენზე აეგო, საკმაოდ მტკიცე, მიმზიდველ საყრდენზე, დინამიზმითა და ექსპრესიით აღსავსეზე.

ამხელა რომანი დაეშენა აკაკი წერეთლის მიგნების გაღრმავებას.

ცხადია, მიხეილ ჯავახიშვილის რანგის ხელოვანი და კომპოზიციის ოსტატი სჭირდება ამ მიგნების გამორჩევას, გაძლიერებას, განზოგადებას და შესაფერისად მომარჯვებას.

გრიგოლ რობაქიძეს ეს მიგნება რომ არ გამორჩენოდა, კინორომანის ნიშნებზე მსჯელობისას მართალია მხოლოდ გაკვრით აღნიშნავდა, ოღონდ მისთვის მნიშვნელობის მისანიჭებლად აუცილებლად დასძენდა: მაგრამ ეს უკვე სხვა თემააო.

ჩვენც ასე დავიბეჯითოთ, რომ ეს მართლაც სხვა თემაა.

ამისთანა „სხვა თემა“ აკი უამრავი მიმობნეულა აკაკი წერეთლის მხატვრულ მემკვიდრეობაში, ზოგი უკვე აღნიშნული, ზოგიც მისაგნები და გამოსარჩევი, თანდათან ყოველივე შესაფერისადაც რომ გაცხადდება და, რაც მთავარია, შეიქნება აუცილებელი ნაწილები თუ რეალიები იმ ბიოგრაფიული ყაიდის ვრცელი თხზულებისა, რომელსაც აკაკი წერეთელი ჯერ კიდევ როდის ნატრობდა და... ჯერაც ვერ მოგვიბამს თავი მისი მონუმენტური სახების შესაფერისად.

არადა, ყველაფერი აქეთ გიბიძგებს!..

***

მწამს კი აკაკი ამ ჟინით ანთებულიყო და გამოკამათებას აუცილებლად მიიჩნევდა: აბა, თუ არ არსებობს ქართლის ცხოვრების ქრონიკები და მხოლოდ სახალხო მთქმელთა იმედად უნდა ვიყოთ!.. აბა თუ ზეზვა გაფრინდაული მიუძღოდა ამბოხებულთ და ბიძინა ჩოლოყაშვილი არაო!.. იმ ისტორიული ნიშანსვეტის მხატვრულ გააზრებას მარტო „ბახტრიონი“ რას გაწვდება, თუ „ბაში-აჩუკიც“ არ ამოქმედდებაო...

აკაკის ერთი უცნობი ავტოგრაფი

ლექციიდან „ძველი ნაშთები“

მკითხველს სიამოვნებით ვთავაზობთ ფოტო-ასლს აკაკი წერეთლის ერთ-ერთი უცნობი წერილისა — „ლექციიდან „ძველი ნაშთები“, რომლის ხელნაწერის ავტოგრაფიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში.

როგორც ცნობილია, 1912 წლის ივლისში აკაკიმ იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. ამ მოგზაურობის შესახებ არაერთი ნაშრომია დაწერილი და ყველა მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოეტმა 22 ივლისს (ძვ.სტ.) ჭრებალოში წაიკითხა ლექცია საქართველოს არქეოლოგიური ნაშთებისა და ზეპირსიტყვიერების შესახებ. ლექციის სრული ტექსტი დღემდე მიკვლეული არ იყო. თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით, შესაძლოა, სწორედ ჩვენ მიერ ქვემოთ წარმოდგენილი ხელნაწერი იყოს რაჭაში წაკითხული ლექციის ავტოგრაფი.

სამომავალოდ ეს მასალა განთავსდება აკაკი წერეთლის თხზულებათა ოცტომეულის შესაბამის ტომში, რომელსაც გამოსცემს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ახლა კი, ვფიქრობთ, მკითხველისათვის მეტად საინტერესო იქნება დიდი შემოქმედის ორატორული ხელოვნების კიდევ ერთი ნიმუშის გაცნობა ავტოგრაფული ხელნაწერიდან.

ჯულიეტა გაბოძე

ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
აკაკის ფონდში № 79.

აკაკი წერეთელი

რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია

აკაკი წერეთელი

რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია

(დაბადებიდან 170-ე და გარდაცვალებიდან 95-ე წლისთავი)

201ო წელს შესრულდა დიდი ქართველი მწელისა და საზოგადო მოღვაწის — აკაკი წერეთლის დაბადებიდან 170 და გადაცვალებიდან 95 წლის იუბილე.

აკაკი წერეთელმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ყველას ხიბლავდა მისი ენის სიმსუბუქე და თხრობის სისადავე, თუმცა სალიტერატურო კრიტიკამ იმთავითვე დაამკვიდრა აკაკი-პოეტისა და აკაკი-პროზაიკოსის გამიჯვნის ტრადიცია: აკაკის ერთსულოვნად აღიარებდნენ ბრწყინვალე პოეტად, პროზის თაობაზე კი ხშირად ურთიერთგამომრიცხავი რეცენზიები ქვეყნდებოდა. აკაკის შემოქმედება დღემდე შეუნელებელ ინტერესს აღძრავს არა მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსთა თუ თეორეტიკოსთა, არამედ ენათმეცნიერთა, ფილოსოფოსთა, ეთნოგრაფთა თუ ფოლკლორისტთა შორის;

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, არაერთი მონოგრაფია თუ ნარკვევი დაიწერა აკაკი წერეთლის ცხოვრების, შემოქმედებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადდა წინამდებარე რჩეული ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რათა მკვლევრებს, სტუდენტებსა თუ აკაკის შემოქმედებით დაინტერესებულ პირებს გაუადვილდეთ ორიენტირება დიდი მწერლის შესახებ შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მასალის შერჩევა და ანოტირება დასრულდა 2010 წელს (მეცნიერ-კონსულტანტი: იუზა ევგენიძე; კოორდინატორი — ნანა ფრუიძე). ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების გარდა, ანოტაციების შედგენაში მონაწილეობა მიიღეს თსუ ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმაც.

ანოტაციების ავტორთა ინიციალები
(ანბანური რიგით)

მ.ა. – მაია არველაძე
ჯ.გ. – ჯულიეტა გაბოძე
მ.გ. – მარიამ გიორგაშვილი
ე.ზ. – ელზა ზარდიაშვილი
მ.კ. – მანანა კვატაია
ს.-ფ. მ. – საბა-ფირუზ მეტრეველი
ნ.ფ. – ნანა ფრუიძე
ა.ფ. – ანა ფედოროვი
ნ. ჩ. – ნათელა ჩიტაური

I. აკაკი წერეთლის შემოქმედება

ა) აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულები

წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად. თბ.: სახელგამი, 1940-1959.

წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. თბ., სახელგამი, 1950-1963.

წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თვრამეტ ტომად. თბ.: საქართველო, 1991 (გამოვიდა მხოლოდ პირველი ტომი).

წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. თბ.: საქართველო, 2010-2011 (გამოსულია პირველი და მეორე ტომი).

ბ) თხზულებანი

წერეთელი ა. თხზულებანი. ტფ.: ქართველთა ამხანაგობა, I, II, 1893.

წერეთელი ა. თხზულებანი. თბ.: საბჭოთა საქართველო (შემდგ.: მ. ლებანიძე). 1980.

წერეთელი ა. თხზულებანი. თსუ, I, II, 1992.

გ) რჩეულები

წერეთელი ა. რჩეული ნაწერები. ტფ.: I, II, III, IV, სახელგამი, 1925-1928.

წერეთელი ა. რჩეული ლექსები და პოემები. თბ.: სახელგამი, 1937.

წერეთელი ა. რჩეული ნაწერები. თბ.: ფედერაცია, (რედ.: *ა.მაშაშვილი, შ. დადიანი, გ. ქიქოძე*). 1940.

წერეთელი ა. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. თბ.: საბჭოთა საქართველო, 1988-1990.

წერეთელი ა. რჩეული: ლირიკა, თარგმანი, პოემა (შემდგ.: *ტ.ჭანტურია, გ. ალხაზიშვილი.* რედ.: *დ. მალრაძე*). თბ.: მერანი, 2006.

დ) კრებულები

უცნობი აკაკი
თსუ, 2001

წიგნი გამოსაცემად მომზადდა თსუ აკაკი წერეთლის კაბინეტში (შემდგ.: ი. ევგენიძე, ნ. ფრუიძე). ი. ევგენიძის ვრცელ შესავალ წერილში მიმოხილულია კრებულში დაბეჭდილი თხზულებები, საუბარია მათ მნიშვნელობასა და მხატვრულ ღირსებაზე; წიგნი ხუთი განყოფილებისაგან შედგება: ლექსები, პოემა, პროზაული ესკიზი, პუბლიცისტიკა, პირადი წერილები და დოკუმენტები; სულ კრებულში 80-ზე მეტი ქმნილებაა შესული, მათ შორის პოემა „ასი წლის ამბავი".

კრებულს ერთვის შენიშვნები, კომენტარები, ვარიანტული ნაირწაკითხვები და ფოტომასალა;

ნ.ფ.

აკაკი წერეთელი, უცნობი პუბლიცისტიკა
თბ., 2010

კრებულში წარმოდგენილია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-ტექსტოლოგების მიერ ბოლო ათწლეულების მანძილზე გამოვლენილი აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის (მათ შორის საბჭოური იდეური კონიუნქტურის) გამო აქამდე უცნობი იყო მკითხველი საზოგადოებისათვის; გამოცემაში ასევე შევიდა ის ტექსტები, რომლებიც სულ ახლახან იქნა მიკვლეული პირად არქივებსა თუ სამუზეუმო ფონდებში.

კრებულში თავმოყრილი მასალა არ მარტო რაოდენობრივადაა უხვი (57 ერთეული), არამედ თემატურადაც მრავალფეროვანია. ბევრი მათგანი მნიშვნელობას მოკლებული დღესაც არაა, კერძოდ: დასელების მოღვაწეობის, ბანკის დაარსების, ჭიათურის მარგანეცისა თუ სომხურ-ქართული ურთიერთობების თემატიკაზე შექმნილი სტატიები.

ტექსტი აღჭურვილია შესაბამისი სამეცნიერო აპარატით, კომენტარებითა და საძიებლებით. წიგნი განკუთვნილია როგორც მეცნიერთა და სტუდენტთა, ისე აკაკის შემოქმედებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

ნ.ფ.

აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ
თსუ, 2004

თსუ აკაკის წერეთლის კაბინეტში მომზადებული კრებული მოიცავს ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებულ დიდძალ მასალას (860 გვერდი); წარმოდგენილია იმგვარი ამონარიდები აკაკი წერეთლის თხზულებებიდან (პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა, პირადი წერილები), რომლებშიც საუბარია ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. კრებული მკითხველს გააცნობს დიდი მწერლის შეხედულებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ლიტერატურისა და ხელოვნების რაობა, მისი დანიშნულება, მხატვრული გამოსახვის ფორმები, შემოქმედებითი პროცესის თავისებურებები და ა. შ.; წიგნი შესაძლებლობას მისცემს მკითხველს, გაეცნოს აკაკი წერეთელს, როგორც ესთეტს, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსსა და კრიტიკოსს, ფოლკლორისტს, თეატრალურ კრიტიკოსს და ა. შ.

წიგნს უძღვის სარედაქციო წერილი და შესავალი ნარკვევი; ერთვის კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები (პირთა, გეოგრაფიულ სახელთა, თხზულებათა, აკაკის კერძო წერილთა, პერიოდულ გამოცემათა).

„დამატების“ სახით წიგნში შესულია მასალა, რომელიც ამოკრებილია აკაკის შესახებ სხვადასხვა პირთა მოგონებებიდან და შეიცავს ცნობებს იმგვარ საკითხებზე, რომლებიც კრებულის თემატიკას შეესატყვისება.

კრებული განკუთვნილია ქართული ესთეტიკური აზრის განვითარების ისტორიით, საზოგადოდ, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნ.ფ.

აკაკი წერეთელი თეატრის შესახებ
თბ., „ხელოვნება“, 1955

კრებული ორი ნაწილისაგან შედგება: ვრცელ შესავალ წერილში — აკაკი ხელოვნებისა და თეატრის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ — საუბარია იმ ღვაწლზე, რომელიც აკაკიმ დასდო ქართული თეატრის აღორძინების საქმეს. აქვე მოხმობილი და გაანალიზებულია აკაკის შეხედულებები დრამის თეორიის, აქტი-

ორული ოსტატობის, მოძმე ხალხთა თეატრალური კულტურისა და რუსული თუ უცხოური დრამატურგიის შესახებ.

წიგნის მეორე ნაწილში აკაკის 27 წერილია წარმოდგენილი, რომელთაგან ზოგი სრულადაა დაბეჭდილი, ზოგი – ფრაგმენტულად, იმის კვალობაზე, რამდენად ეხება სათეატრო თემატიკას.

კრებული შეადგინეს და შესავალი წერილი დაურთეს ნანა ღვინეფაძემ და ვასილ კიკნაძემ.

ნ.ფ.

აკაკის მოსწრებული სიტყვები
ამორჩეული ი. გრიშაშვილის მიერ
თბ., 1933

წინასიტყვაობაში შემდგენელი, ი. გრიშაშვილი, მიუთითებს, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში აკაკის ავტოგრაფთა შორის (№1486) დაცული ყოფილა თავად აკაკის ხელით დაწერილი „მოსწრებული სიტყვა-პასუხი". პოეტს ამ კრებულისათვის წინასიტყვაობაც დაუწერია; როგორც ჩანს, დაბეჭდვას აპირებდა. სწორედ ამ ხელნაწერი კრებულიდანაა ამონარიდები მოცემული აღიშნულ გამოცემაში; შემდგენელმა დაუმატა „ივერიიდან" (1904, №182) ამობეჭდილი იუმორისტული თხზულება „მეთაური წერილის თავგადასავალი".

იოსებ გრიშაშვილის აზრით, ამგვარ მასალას თავისებური „ეშხი და მზეოსნობა" აქვს მწერლის რაობის გასაცნობად.

ნ.ფ.

აკაკის სამრეკლო
თბ., „განათლება", 1990

წიგნი ეძღვნება აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლის იუბილეს. კრებული (შემდგ.: ჯ. თითმერია, ზ. ჩილაჩავა) შედგება ორი ნაკვეთისაგან: წერილები და მოგონებები. მკითხველი გაეცნობა როგორც XIX საუკუნის ცნობილ მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის, ა. ფურცელაძის, ალ. ხახანაშვილის, კ. კეკელიძის, ე. თაყაიშვილის, ვ. კოტეტიშვილის და სხვათა), ისე მეოცე საუკუნის მწერალთა და კრიტიკოსთა (გ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, ს. ჩიქოვანის, გრ. კიკნაძის, ბ. ჟღენტის, გ. ასათიანის, ა. ბარნოვის, ნ. წულეისკირის და სხვათა) წერილებს.

მეორე ნაკვეთში წარმოდგენილია ა. ლაისტის, ი. მეუნარგიას, გრ. რობაქიძის, ს. კაკაბაძის, ა. შანიძის, ე. ჩერქეზიშვილის, ვ. წერეთლისა და სხვათა მოგონებები.

კრებული ე.წ. მასობრივი გამოცემის ტიპისაა, ამდენად, მას არ ერთვის არც საძიებელი და კომენტარები და არც წყაროებია დასახელებული.

ნ.ფ.

აკაკი წერეთელი. წერილები ცოლ-შვილთან
„ლიტერატურა და ხელოვნება"
თბ., 1966

წიგნი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ბეს. ჟღენტმა. კრებულში თავმოყრილია აკაკი წერეთლის მიერ სხვადასხვა დროს ცოლ-შვილთან გაგზავნილი 90 წერილი. მათი არსებობის შესახებ 1964 წელს პარიზში მყოფ ქართველ მწერალთა დელეგაცას აცნობა ვიქტორ ნოზაძემ. წერილები ძირითადად პირადი ხასიათისაა, რაც საშუალებას აძლევს მკვლევრებს, შეავსონ აკაკის ბიოგრაფიული მონაცემები.

აღნიშნული წერილები აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია..

ჯ.გ.

II. აკაკი წერეთლის ცხოვრება, შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა

ა) ბიბლიოგრაფიული კრებულები

აკაკი წერეთელი
(დაბადების 125 წლისთავი)
ლიტერატურის მოკლე სარეკომენდაციო სია
თბ., 1965

სარეკომენდაციო სია ეძღვნება აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავს და შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე. ქართული ნაწილი შეიცავს 8, ხოლო რუსული — 5 ძირითად განყოფილებას. პირველ განყოფილებაში — აკაკი წერეთლის შემოქმედება — წარმოდგენილია პოეტის თხზულებათა სრული კრებულები, რჩეული ნაწერები, საბავშვო და ცალკეული ნაწარმოებები.

მეორე განყოფილებაში — ლიტერატურა აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ — მოცემულია იმ ნაშრომთა ნუსხა, რომლებშიც განხილულია პოეტის ცხოვრების გზა, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა; აქვეა გამოყოფილი სხვა თემატური ჯგუფებიც, კერძოდ: აკაკი და 1905 წლის რევოლუცია, აკაკი წერეთელი ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი, აკაკი წერეთელი ქართული ფოლკლორის მოამგე, აკაკი წერეთელი ხალხთა მეგობრობის შესახებ. აკაკი წერეთელი და ჭითურის შავი ქვა. აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი.

მესამე ძირითადი განყოფილებაა აკაკი მუსიკაში, მეოთხე — აკაკი წერეთელი სახვით ხელოვნებაში, მეხუთე — აკაკი და კინო, მეექვსე — აკაკი და ქართული ენა და ლიტერატურა; მეშვიდე — აკაკის მეგობრობა გამოჩენილ მოღვაწეებთან და მერვე — აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ლექსები; რუსული განყოფილება შედგება შემდეგი თავებისაგან: აკაკი წერელის შემოქმედება; ლიტერატურა აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. აკაკი წერეთელი და საბჭოთა კავშირის ხალხები, აკაკი წერეთელი და ხელოვნება; აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ლექსები;

სარეკომენდაციო სიის შემდგენლები არიან ნ. აკერმანი, ნ. ლაიშვილი და გრ. ზაქარაია.

ნ.ფ.

აკაკი წერეთელი
(დაბადების 140 წლისთავი)
ლიტერატურის მოკლე სარეკომენდაციო სია
თბ., 1980

სარეკომენდაციო სია ეძღვნება აკაკი წერეთლის დაბადების 140 წლისთავს. და შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე. ახლავს სახელთა საძიებელი ორივე ენაზე. ლიტერატურა წარმოდგენილია მოკლე ანოტაციებით, შერჩეული მასალა მოიცავს პუბლიკაციებს ბოლო იუბილედან (1965 წლიდან) 1980 წლის ჩათვლით.

მასალა განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა გამოცემები; აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება (ბიოგრაფიული მასალები, შემოქმედების შესახებ; კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი სხვა ხალხებთან); აკაკი წერეთელი და ხელოვნება; საკუთარ სახელთა საძიებელი.

სარეკომენდაციო სიის შემდგენლები არიან ტ. საპატოვა, ი.ერიაშვილი, ვ. ნანაძე და გ. პოგრებიჟსკაია.

ნ.ფ.

ბეგლაროვი ივ.

აკაკი წერეთელი სომხურ ლიტერატურაში
(ანოტირებული ბიბლიოგრაფია)
თბ., 1940

ცნობარს წინ უძღვის შემდგენლის წინასიტყვაობა, რომელშიც საუბარია აკაკის დამოკიდებულებაზე სომხური კულტურისა და სომეხი ხალხისადმი. ცნობარი შედგება ორ განყოფილებისაგან; პირველში შემოთავაზებულია ინფორმაცია სომხურ ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა დროს აკაკიზე გამოქვეყნებული წერილების, მოგონებების, განცხადებებისა და სხვა ამგვართა, ხოლო მეორეში — აკაკის ნაწარმოებთა სომხური თარგმანების შესახებ; წარმოდგენილი სია ორენოვანია, თუმცა მოკლე ანოტაციები მხოლოდ ქართულ ენაზეა შედგენილი.

მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით; წინამდებარე ნაშრომი აგვარი ცნობარის შედგენის პირველი ცდაა და არ გააჩნია სისრულის პრეტენზია. კრებულს ერთვის საკუთარ სახელთა საძიებელი ქართულ და სომხურ ენებზე.

ნ.ფ.

გორგაძე ი., გურგენიძე ნ.

აკაკი წერეთელი (1940-1915)
ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე ბიბლიოგრაფიული ქრონიკა
თბ., „მეცნიერება", 1989

წიგნი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ასახავს აკაკი წერეთლის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფაქტებს, მოვლენებს, პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან ამბებს.

მატიანე მთელი სისრულით აღრიცხავს მწერლის ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების გამოქვეყნებას, მათი დანერის თარიღებისა და წყაროს ჩვენებით; ლიტერატურულ და საზოგადოებრივ გამოსვლებს, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრებსა და მოგზაურობათა ქრონიკებს, პირად მიმოწერას, რომლებსაც რამე მნიშვნელობა გააჩნიათ აკაკი წერეთლის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესასწავლად. ამასთან, წიგნი მკითხველს გააცნობს მნიშვნელოვან ლიტერატურულ გამოხმაურებებს მწერლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ.

წიგნს უძღვის მოკლე წინასიტყვაობა, რომელშიც მითითებულია, თუ რა მასალას ეყრდნობოდნენ შემდგენლები ბიო-ბიბლიოგრაფიის მომზადებისას და ერთვის სახელთა საძიებელი.

ნ.ფ.

ბ) ცხოვრება და მოღვაწეობა

აკაკი წერეთელი — ცხოვრება და შემოქმედება
საგამოფენო მასალები სკოლებისა და საბავშვო ბიბლიოთეკებისათვის
(ავტორი და შემდგ.: ბ. კანდელაკი)
თბილისი, 1990

წიგნში წარმოდგენილია აკაკის ბიოგრაფია, რომელსაც ერთვის საილუსტრაციო მასალა. აქვე განხილულია პოეტის შემოქმედება, ვრცლადაა საუბარი აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილეზე; მოთხრობილია ამ იუბილესათვის მზადების შესახებ; გადმოცემულია, როგორ აღინიშნა ეს თარიღი თბილისში, ქუთაისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში; ასევე, საქართველოს ფარგლებს გარეთ. ტექსტს ერთვის აკაკის ანდერძის ფოტო.

წიგნი გაფორმებულია მდიდარი ფოტო მასალით. გამოყოფილია საგანგებო თაეები: „აკაკი კინოში“, „აკაკი მუსიკაში, „აკაკიზე უთქვამთ“.

ჯ.გ.

აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს
შემდგ.: კ. გოგოძე, რედ.: გ. ბარამიძე
თბ., 1970

ნაშრომი ეძღვნება პირველი ქართული დოკუმენტური კინოს ავტორს და მის მიერ აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის გადაღებას. წარმოდგენილია ცალკეული კადრები ფილმიდან სათანადო წარწერებით.

წიგნს ამ მოგზაურობის ამსახველ ფოტომასალასთან ერთად ერთვის ლ. ბზვანელის, გ. ლეონიძის, გ. ახვლედიანის, ს. დოლიძის, რ. ჩხეიძისა და სხვა მოღვაწეთა ჩანაწერები; მიხეილ ალავიძისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა მიერ გამოთქმული შეფასებები ამ ფილმისა და მისი ავტორის შესახებ. წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ჯ.გ.

ალავიძე მ.
აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში
თბ., 1990

ნაშრომში აღწერილია აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს და შეიცავს მდიდარ უცნობ ფაქტობრივ მასალას. წიგნი შედგება ხუთი თავისაგან: I. მოგზაურობის აღწერა; II. შევსება-დამატებანი (გამოკლევები); III. „ზღაპრული ზეიმის ამსახველნი“; IV. კრიტიკული შენიშვნები და V. აკაკის ბოლოთქმა (დანართი).

წიგნი ნახევარსაუკუნოვანი კვლევის შედეგია და არის მეორე შევსებული გამოცემა (პირველი გამოვიდა 1947 წელს). 1955 წელს მიხეილ ალავიძემ, ვასილ ამაშუკელმა და კარლო გოგოძემ იმოგზაურეს აკაკის ნაკვალევზე, ჩაატარეს 11 საღამო, ჩაიწერეს თვითმხილველთა მოგონებები და შეძლეს აღედგინათ აკაკის მიერ მოგზაურობის დროს წარმოთქმული უცნობი სიტყვები.

I თავში დეტალურადაა გადმოცემული ის მარშრუტი, რომელიც გაიარა აკაკი წერეთელმა თავის მხლებლებთან. II თავში ავტორი გამოთქვამს შეხედულებას რაჭის ტოპონიმებზე, აკაკის ლექსის „აღმართ-აღმართ“ დანერის ადგილის შესახებ, გვაცნობს აკაკის აზრს ჰ- და ს- პრეფიქსების ხმარებასთან დაკავშირებით და სხვა საინტერესო დაკვირვებებს. III თავში გადმოცემულია ლადო ბზვანელის (ნაცვლიშვილი) ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა. სწორედ მან აღწერა და გამოსცა პირველმა „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ და მასვე ეკუთვნის 1912 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმისათვის კინოლიბრეტო. IV თავში (კრიტიკული შენიშვნები) მოგზაურობასთან დაკავშირებული დიდძალი მასალიდან ამოკრებილი და კრიტიკულად განხილულია უნებლიე ფაქტობრივი შეცდომები და ზოგიერთი ავტორის სადავო ნააზრევი.

ჯ.გ.

ასათიანი ლ.

ცხოვრება აკაკი წერეთლისა
„სახელმწიფო გამომცემლობა“, თბ., 1953

ოცდარვა თავისაგან შემდგარ ხუთასგვერდიან მონოგრაფიაში დაწვრილებითაა შესწავლილი აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება. იმ დროისათვის გამოვლენილ ყველა დოკუმენტურ წყაროსა და ლიტერატურათმცოდნეთა მიერ გამოთქმულ კრიტიკულ-ფილოლოგიური ნააზრევის გათვალისწინებით შექმნილი ეს წიგნი წარმოადგენდა იმ დროისათვის ყველაზე ვრცელ და სრულყოფილ მონოგრაფიას პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. წიგნმა თავის დროზე მაღალი შეფასება დაიმსახურა და უფრო მეტიც, წლების შემდეგაც კი იგი აკაკის შემოქმედებისა და ზოგადად XIX საუკუნის საქართველოს კულტურულ-ლიტერატურული სფეროს მკვლევართათვის შესანიშნავ გზამკვლევად რჩება.

ავტორი დაწვრილებით იკვლევს წერეთლების გვარის გენეალოგიას, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქველი წერეთელი, რომელიც მოხსენიებულია იოსებ თბილელის „დიდმოურავიანში“, ეკუთვნის ქართლელი წერეთლების შტოს, რომლებიც შემდეგ გადავიდნენ იმერეთში.

რამდენიმე თავი ეძღვნება აკაკის ბავშვობის წლებს, გიმნაზიაში სწავლის პერიოდს, პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებულ სტუდენტობის ხანას. ავტორი აღწერს აკაკი წერეთლის გამოჩენას

სამწერლო ასპარეზზე, მის მოღვაწეობას ჟურნალებში: „ცისკარი", „დროება", „კვალი", საკუთარი ჟურნალის — „აკაკის თვიური კრებული" — დაარსებას. წარმოჩენილია აკაკი წერეთელი, როგორც საზოგადო მოღვაწე, ქართული თეატრის ერთ-ერთი მესვეური; ჭიათურის შავი ქვის საქმის დამწყები, თუ ახლად შემოერთებული ბათუმის ოლქის მაჰმადიანი ქართველთა დელეგაციის მასპინძელი, ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრება-შეგროვების ინიციატორი თუ ცარიზმთან შეუდრეკელი მებრძოლი.

მონოგრაფიაში დაზუსტებულია ბევრი ნაწარმოების შექმნის თარიღი. მონოგრაფია ეყრდნობა უაღრესად საგულისხმო წყაროებს, როგორებიცაა საისტორიო და წერილობით დოკუმენტები თუ აკაკის თანამედროვეების: ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის, ი. მანსვეტაშვილის, ზ. ჭიჭინაძის და სხვათა მოგონებები. გამოთქმულია მრავალი მნიშვნელოვანი შენიშვნა და მოსაზრება. ამდენად ეს წიგნი არის არა მხოლოდ აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების, არამედ მთლიანად XIX საუკუნის II ნახევრის ისტორიულ-ლიტერატურული მატიანე.

ჯ.გ.

დოლიძე გ.

აკაკის მოგზაურობა — 90
თბ., 2002

წინამდებარე ნაშრომი მესამე წიგნია, რომელიც ეძღვნება აკაკი წერეთლის ისტორიულ მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს. მასში ყურადღება გამახვილებულია ამ მოგზაურობის მნიშვნელობასა და გადაღებულ ფილმზე, რომლის ავტორია ქართული კინოს პიონერი ვასილ ამაშუკელი; „აკაკის მოგზაურობა" იმდროინდელი მსოფლიო დოკუმენტური კინოს უნიკალურ ძეგლადაა მიჩნეული.

წიგნში დაბეჭდილია რუსი პროფესორის, სერგეი ანისიმოვისა და მისი თანმხლები პირების წერილი (სრული ვერსია) ამ მოგზაურობის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 1912 წ. 23 ნოემბრის „სახალხო გაზეთში".

წიგნს ერთვის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შედგენილი რუკა, რომელიც ასახავს აკაკი წერეთლის მოგზაურობის მარშრუტს.

ჯ.გ.

ფანჩულიძე დ.

აკაკი წერეთელი საფრანგეთში
თბ., 1980

წიგნში მკითხველი გაეცნობა 1905 და 1911 წლებში აკაკის პარიზში მოგზაურობის შესახებ არსებულ მასალებს; ავტორი ნაშრომის დიდ ნაწილს უთმობს საზოგადოების წარმომადგენლებთან და ჟურნალისტებთან პოეტის შეხვედრებისა და გამოსვლების შესახებ შემონახული დოკუმენტური წყაროების გადმოცემას. დ.ფანჩულიძე საგანგებოდ განიხილავს პარიზში დაწერილ ნაწარმოებებს. ავტორი მკითხველს მოუთხრობს, როგორ შეხვდნენ აკაკის პარიზში მცხოვრები ქართველები და სთავაზობს დე როპანის მიერ აკაკის ლექსების ფრანგული თარგმანის მოკლე მიმოხილვას.

ნაშრომში აღნიშნულია, თუ როგორ აისახა აკაკის შემოქმედება საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა შრომებში. წიგნს ერთვის რეზიუმე რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ჯ.გ.

შარაძე გ.

აკაკი წერეთელი, 1840-1915
ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება
ფოტომატიანე ხუთ წიგნად
ბიოგრაფიული ბიბლიოთეკა „ბიოგრაფიკა"
წიგნი I
თბ., 2006

აღნიშნული გამოცემა აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დანერილი პირველი წიგნია, რომელიც გამოიცა ბიოგრაფიული ბიბლიოთეკის — „ბიოგრაფიკის" — ეგიდით. პირველი წიგნი მოიცავს 1840-1867 წლებს. მასში დამოწმებული და გაანალიზებულია პოეტის ბიოგრაფიასა და ამ პერიოდის შემოქმედებასთან დაკავშირებული მდიდარი სამეცნიერო, ფაქტობრივი თუ დოკუმენტური მასალა. საქართველოსა და საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში ავტორის მიერ მოძიებული იკონოგრაფიული და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტები.

წიგნი შედგება 5 თავისა და ბოლოთქმისგან. თავი I. საჩხერე—სხვიტორი—სავანე; II თავი. ქუთაისი; თავი III. პეტერბურგს გამგზავრება; თავი IV. პეტერბურგის უნივერსიტეტში; თავი V. მოსკოვი, დაცოლშვილება; ბოლოთქმა.

წიგნს ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ჯ.გ.

შარაძე გ.

აკაკის იუბილე
ბიოგრაფიული ბიბლიოთეკა „ბიოგრაფიკა"
წიგნი III
თბ., 2006

გამოცემის მესამე ტომი მთლიანად მგოსნის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავის გრანდიოზულ იუბილეს ეძღვნება, რომელიც 1908 წლის დეკემბერში დაიწყო თბილისში და მომდევნო წლებში საქართველოს თუ მსოფლიოს მრავალ ქალაქში აღინიშნა. წიგნი არის ამ იუბილეს ისტორიულ-ფილოლოგიური დასურათხატებული მატიანე.

წიგნი მოიცავს XXI თავს და თითოეულ მათგანში საგანგებოდაა წარმოდგენილი, თუ სად და როგორ აღინიშნა პოეტის იუბილე.

ტომს ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ჯ.გ.

შარაძე გ.

აკაკის საიუბილეო მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში
ბიოგრაფიული ბიბლიოთეკა „ბიოგრაფიკა"
წიგნი IV
თბ., 2006

გამოცემის მეორე ტომი ეძღვნება რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობას, რომელიც მისი სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავს მიეძღვნა. ეს მოვლენა კინოფირზე აღბეჭდა ვასილ ამაშუკელმა, ფოტოები გადაიღო კოტე ქავთარაძემ, ხოლო წიგნი მოგზაურობის შესახებ გამოსცა ლადო ბზვანელმა (ნაცვლიშვილი). ყველა ამ მასალის, ასევე პირველწყაროთა თუ გამოკვლევათა გათვალისწინებით, წიგნში აღდგენილია ამ უნიკალური მოგზაურობის სრულყოფილი სურათი და წარმოდგენილია ის მდიდარი ფოტო და კინომასალა, რომლის მოპოვებაც მოხერხდა. წიგნი შედგება სამი თავის, დანართისა და საძიებლებისგან. თავი I. აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის ისტორია; თავი II. აკაკის მხლებლები რაჭა-ლეჩხუმში; თავი III. აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობისდროინდელ პორტრეტთა კატალოგი; დანართი: რაჭა-ლეჩხუმი დიუბუა დე მონპერნეს ალბომში; პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და ფოტოსურათებზე გამოსახულ პირთა საძიებლები.

ჯ.გ.

შარაძე გ.

აკაკის სიკვდილი და დაკრძალვა
ბიოგრაფიული ბიბლიოთეკა „ბიოგრაფიკა"
წიგნი V
თბ., 2007

გამოცემის მეხუთე ტომში თავმოყრილია აკაკის გარდაცვალებასა და დაკრძალვასთან დაკავშირებული მასალა. წიგნს ახლავს ავტორის წინათქმა. შედგება შესავლისა და სამი თავისაგან: თავი I. მიახლოება უკვდავებასთან; თავი II. აკაკის ავადმყოფობა; თავი III. აკაკის სიკვდილი;

წიგნის I თავი დეტალურად აღწერს მგოსნის ავადმყოფობის ისტორიას. ცალკე თავი ეძღვნება პოეტის სიკვდილს, სხვიტორიდან თბილისში გადმოსვენებას, პანაშვიდს ქაშუეთის ეკლესიაში და მთაწმინდაზე დასაფლავებას. აქვეა დაბეჭდილი მრავალი სამგლოვიარო განცხადების ტექსტი; ტომის მესამე თავი უმდიდრეს მასალას გვთავაზობს. მასში გამოქვეყნებულია აკაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები, წერილები, მოგონებები, მგოსნის ორმოცზე წარმოთქმული სიტყვები, სამგლოვიარო ბარათები და დეპეშები. ტომს ასრულებს რუსული, სომხური და აზერბაიჯანული პრესის გამოხმაურებანი ა. წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ამ ტომსაც ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ჯ.გ.

გ) შემოქმედება

აბაშიძე კ.

ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ
ქუთაისი, 1911

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში ავტორი აანალიზებს ქართველ მწერალთა (ალ. ჭავჭავაძის, გრ, ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა) შემოქმედებას. მეორე ნაწილში მიმოიხილავს რ. ერისთავის, შ. არაგვისპირელისა და დ.კლდიაშვილის შემოქმედებას.

აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ქვეთავში ავტორი გამოკვეთს აკაკის, როგორც რეალისტი მწერლის თავისებურებებს. იგი საუბ-

რობს სიყვარულისა და ბუნების თემის გამოსახვაზე აკაკის პოეზიაში. ალნიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში პოეტი სიყვარულის ნატურალისტურ დახასიათებას იძლევა, ზოგ შემთხვევაში კი – იდეალისტურს; მკვლევარი მიუთითებს იმასაც, რომ აკაკის პოეზიაში მნიშვნელოვანი თემაა სიკვდილ-სიცოცხლე და რომ სიცოცხლის ერთადერთ საზრისად პოეტი სამშობლოს სამსახურს მიიჩნევს.

მ.გ.

აბზიანიძე გ.

აკაკი წერეთელი
თბ., 1960

გ. აბზიანიძის მონოგრაფია აკაკი წერეთლის შესახებ არ არის დაყოფილი თავებად. მას არც წინასიტყვაობა ერთვის და არც სამეცნიერო აპარატი.

წიგნში ავტორი მოგვითხრობს აკაკის ბიოგრაფიას, კერძოდ: მისი ბავშვობის, პეტერბურგში სწავლისა და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის ამბებს. მკვლევარი მიუთითებს, რომ აკაკი ახალგაზრდობიდანვე ფიქრობდა და იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის და ამ იდით შთაგონებული არაერთი თხზულებაც შექმნა. მკვლევარი ათწლეულებად ყოფს აკაკის მოღვაწეობას და ამავე პრინციპით აანალიზებს ამ უკანასკნელს. გამოკვეთს პოეტის მიმართებას ნაციონალურ იდენტობასთან. გ. აბზიანიძის დასკვნით. აკაკის შემოქმედებაში გამოიხატა ქართველი ხალხის საუკეთესო ნაციონალური თვისებები.

მ.გ.

არველაძე მ.

აკაკი წერეთლის პოემა „პატარა კახი"
(ტექსტოლოგიური ანალიზი)
თბ., 2005

ნაშრომი შეისწავლის ა. წერეთლის პოემის — „პატარა კახი" — შემოქმედებით ისტორიას ავტორიზებული ასლების ანალიზის საფუძველზე. დადგენილია პოემის პროზაული რედაქციები: „ირაკლი ბატონიშვილი" და „გელა". მეფის რუსეთის ცენზურის უხეში ჩარევის გამო, ნაწარმოებმა საკმაოდ რთული მეტამორფოზა განიცადა — დრამიდან დრამატულ პოემამდე. პოეტი იძულებული ხდებოდა, შეეცვალა არა მარტო ნაწარმოების სათაური, არამედ

მოქმედ პირთა ჩამონათვალი, სტილი და ჟანრიც კი. ნაშრომში შესწავლილია ნაწარმოების ისტორიული, ლიტერატურული და ფოლკლორული წყაროები, რომლებზეც დაყრდნობითაც შეიქმნა ა. ნერეთლის დრამატული პოემა.

წიგნში პირველად ქვეყნდება „გელას“ ტექსტიც.

მ.ა.

ასათიანი გ.

სათავეებთან
თბ., 1980.

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში („სათავეებთან“) ავტორი ლიტერატურულ და ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით აანალიზებს ქართული ეროვნული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების თავისებურებებს. მეორე ნაწილში („ქართული პოეტური აზროვნების ევოლუცია XIX საუკუნეში) განხილულია ქართული რომანტიზმისა და კრიტიკული რეალიზმის პოეტური მემკვიდრეობა.

ნარკვევში „აკაკი წერეთელი“ ავტორი საუბრობს აკაკი წერეთლის დამსახურებაზე როგორც ქართული ლიტერატურის, ასევე ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების წინაშე; მიუთითებს, რომ ილიასა და აკაკის ნოვატორული ღვაწლი პოეტური მეტყველების შესატყვისი რიტორიკული ფიგურების მოძიებაშიც ვლინდება. გურამ ასათიანი აკაკის ეპიკურ ნაწარმოებებსაც აანალიზებს, საუბრობს თითოეული პოემის მხატვრულ ღირსებასა და სტილურ მახასიათებლებზე. ნარკვევის ბოლო ნაწილში მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს აკაკის პოეტური ენის განსაკუთრებულ, ინდივიდუალურ თვისებებზე და მიიჩნევს, რომ აკაკის ლექსის შინაგანმა მუსიკამ განსაკუთრებული გავლენა იქონია ახალი ქართული პოეზიის განვითარებაზე.

მ.გ.

ილია და აკაკი
თბ., 1992

წიგნი ორი ნარკვევისაგან შედგება: ილია ჭაჭავაძე — წიწამური და აკაკი წერეთელი — ტკბილი ოცნება და მწარე სინამდვილე. ისინი მოგვითხრობენ ილიასა და აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ნარკვევებს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

ნარკვევი — „ტკბილი ოცნება და მწარე სინამდვილე — აკაკი წერეთელი“ — ქვეთავებადაა დაყოფილი. თავდაპირველად ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს აკაკის ცხოვრებაზე, ოჯახზე, განათლებაზე, უიღბლო ქორწინებაზე. შემდეგ იგი პოეტის ლირიკას აანალიზებს. საუბრობს დროით და სამყაროულ მთლიანობაზე, რომელიც აკაკის პოეზიისთვისაა დამახასიათებელი. საგანგებო თავი ეთმობა ლექსს „სულიკო“, პოემას „გამზრდელი“. ამ უკანასკნელს აკაკი ბაქრაძე „ხევისბერ გოჩასთან“, „ტარას ბულბასა“ და „მატეო ფალკონესთან“ შეპირისპირებით აანალიზებს. სამივე შემთხვევაში სვამს დანაშაულისა და პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხს.

ნარკვევის შემდეგ ნაწილში მკვლევარი აკაკის საზოგადოებრივი საქმიანობის ცალკეულ ფაქტებზე საუბრობს. ეხება პოეტის დამოკიდებულებას თეატრისა და ბანკისადმი. ნარკვევის ბოლო ნაწილი აკაკის სიცოცხლის უკანასკნელ წლებზე, მის ავადმყოფობასა და გარდაცვალებაზე მოგვითხრობს.

მ.გ.

მოთხრობები ლიტერატურაზე
თბ., 2008
(„შენც წახდი, მეც წამახდინე“, გვ. 46–61; „ შემდეგი აზრი სთქვას აქ წერტილმა“, გვ. 62–69)

წიგნს უძღვის თავად ავტორის მოკლე წინასიტყვაობა. ნაშრომში წარმოდგენილ წერილებში ავტორი აანალიზებს ქართველ შემოქმედთა ტექსტების მხატვრულ თავისებურებებს; კერძოდ, მიმოიხილავს ჯ. ქარჩხაძის, აკ, წერეთლის, დ. ფანჯიკიძის, მ. მაჭავარიანის, რ. ინანიშვილისა და სხვათა შემოქმედებას.

წერილში — „შენც წახდი, მეც წამახდინე“ ლ. ბრეგაძე აანალიზებს აკაკის იმ ნოველებს, რომელნიც ქართველთა უძველეს ჭირზე — ერთმანეთის გაუტანლობასა და ძმათა შუღლზე მოგვითხრობენ. მკვლევარი ასკვნის, რომ ამგვარ ნოველებს განსაკუთრებული ზნეობრივი და ეთიკური მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებისათვის.

მეორე წერილში — „შემდეგი აზრი სთქვას აქ წერტილმა“ — მკვლევარი საუბრობს ცენზორის კვალზე მე-19 საუკუნის წიგნებში. ავტორი აკაკის თხზულებათა პირველი ორტომეულის მაგალითზე (1893 წ.) მსჯელობს მისი პოეტური ქმნილებებისადმი ცენზურის დამოკიდებულებაზე.

მ.გ.

გაბოძე ჯ.

აკაკის თხზულებათა გამოცემები
თბ., 2009

მონოგრაფიაში პირველადაა შესწავლილი აკაკი წერეთლის თხზულებების გამოცემის ისტორია, ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისგან. პირველ თავში გაანალიზებულია მწერლის თხზულებათა სრული კრებულები: რჩეული ნაწერები ოთხ ტომად (1925-1928 წ.წ.), თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად (1940-1961 წ.წ.) და თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად (1950-1963წ.წ.). მეორე თავი ეთმობა 70-80-იან წლებში განხორციელებული გამოცემების ტექსტოლოგიურ-შემოქმედებით კვლევას; მესამე და მეოთხე თავებში წარმოდგენილია 90-იანი წლების ყველა ის გამოცემა, რომელთა მომზადებაშიც თავად ავტორს მიუღია მონაწილეობა: „თხზულებანის“ 1893 წლის I-II ტომები. ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული“; „აკაკის ლექსთა კრებული „სალამური“ 1893 წ. „პატარა კახის“ 1890 წ, „მედეას“, „ნათელას“ და სხვა ნაწარმოებთა ავტორიზებული გამოცემების ისტორიები. მეხუთე თავში შესწავლილია აკაკის სიცოცხლის ბოლოდროინდელი (1900-1915) ნაწერების გამოცემის ისტორია. მათ შორის, საიუბილეო გამოცემები, აკაკის „ჩემი ნაწერების“ 1912-1913 წწ. I-II წიგნები. შესწავლილია მათი შემოქმედებითი ისტორია, და დადგენილია, რომ პოემა: „გამზრდელი“ და რამდენიმე სხვა ცნობილი ნაწარმოები აკაკის სიცოცხლის ბოლოს შემოქმედებითად გადაუკეთებია. პოემა „გამზრდელის“ ფოლკლორულ წყაროდ მიჩნეულია აფხაზური თქმულება.

დადგენილია რამდენიმე ნაწარმოების დაწერის თარიღი („მედეა", უცნობი პოემა „ასი წლის ამბავი", ლექსები; „განთიადი"), დათარიღებულია აკაკის რამდენიმე პუბლიცისტური და პირადი წერილი.

ნაშრომის საგანგებო ქვეთავები ეძღვნება ცალკეულ ნაწარმოებთა ტექსტოლოგიურ ანალიზს და მწერლის ენისა და სტილის ზოგიერთი თავისებურების გამოკვეთას. წიგნს ერთვის სახელთა საძიებელი.

ჯ.გ.

გამეზარდაშვილი დ.

ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან
ტ. I, თბ., 1961

აკაკი წერეთლის შემოქმედება წიგნის რამდენიმე ქვეთავშია განხილული: „ქართველ სამოციანელთა გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე", „თერგდალეულები პეტერბურგის უნივერსიტეტში და მათი ურთიერთობა რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან"; ასევე, „იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა 60-70-იან წლებში, კრიტიკული რეალიზმის გაბატონება ქართულ ლიტერატურაში", „თერგდალეულთა ლიტერატურული შეხედულებები რეალიზმის თეორიის შუქზე".

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს აკაკის ლიტერატურულ შეხედულებებს, მის აზრს მწერლისა და მწერლობის დანიშნულებასა თუ ტიპისა და ტიპიურობის შესახებ; მკვლევრისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგნადაა ქცეული აკაკის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნები.

ნ.ჩ.

გიორგაძე ო.

აკაკი წერეთლის ბელეტრისტიკა
„საბჭ. საქართველო", 1982

წიგნი აკაკი წერეთლის მდიდარი პროზაული მემკვიდრეობის მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდაა. მკვლევარი განიხილავს აკაკის ბელეტრისტიკაში წარმოჩენილ ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის იდეების, სიყვარულისა და

ოჯახის შექმნის, ბავშვთა ჰარმონიული აღზრდისა და სულის წრთობის საკითხებს. ნაშრომში ნაჩვენებია აკაკის სატირული პროზის სოციალურ-პოლიტიკური სიმახვილე და სიმძაფრე; მიგნებულია ბელეტრისტულ თხზულებათა ისტორიული წყაროები და მათი გამოყენების თავისებურებანი, გარკვეულია აკაკის ბელეტრისტული ოსტატობის ზოგიერთი საკითხი, მწერლის ადგილი და როლი ახალი ქართული პროზის განვითარებაში.

ნ.ჩ.

გრიშაშვილი ი.

კრილოვი და აკ. წერეთელი
წიგნში: ი. გრიშაშვილი, თხზულებანი 5 ტომად
ტ. V, 1985

სტატიაში წარმოდგენილია ი. ა. კრილოვის აკაკისეული თარგმანების ღრმა ანალიზი. რუსი მეიგავის ქართულ ენაზე მთარგმნელებისა და მათი თარგმანების მოკლე მიმოხილვის შემდეგ ი. გრიშაშვილი გვაძლევს სრულ ინფორმაციას აკ. წერეთელზე — კრილოვის იგავების საუკეთესო მთარგმნელზე. ნაშრომში შედარებულია აკაკისა და რ. ერისთავის თარგმანები, რის საფუძველზეც ი. გრიშაშვილი ასკვნის, რომ აკაკისეული თარგმანები უფრო გადმოკეთებულია, მაშინ, როცა რ. ერისთავი შედარებით ზუსტად იცავს დედნის თავისებურებას. აკაკი ცვლის და თავისებურ ელფერს აძლევს თითოეული იგავის დასკვნით ნაწილსაც.

მ.ა.

ევგენიძე ი.

აკაკი წერეთელი
წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III
თბ., 2009

ნაშრომში წარმოჩენილია აკაკის შემოქმედების ის ასპექტები, რომლებიც ეროვნულიცაა და ზოგადსაკაცობრიოც. მკვლევარი ასაბუთებს, რომ არა მხოლოდ მის ეპოქას, არამედ დღევანდელობასაც ეხმიანება აკაკის მიერ ცოდვა-მადლის გააზრება, ადამიანის სულის რღვევის წარმოჩენა, ქართველის შინაგანი ბუნების „ავადმყოფობის“ ტკივილიანი განცდა, ერის ზნეობრივი გადაგვარების გამძაფრებული აღქმა.

ნაშრომის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მკვლევარმა აკაკის შემოქმედებაში მოიძია არა მხოლოდ ის მიზეზები, რომლებმაც მიიყვანა ქვეყანა არასახარბიელო მდგომარეობამდე, არამედ წარმოაჩინა ერის უკეთესი მერმისის ამსახველი ტენდენციების.

ნ.ჩ.

ვახანია ვ.

რეალიზმის საკითხები ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში
წ. I, თბ., 1988

მონოგრაფიაში განხილულია შემდეგი საკითხები: 1. აკაკი წერეთლის იდეურ-ლიტერატურული პოზიციები მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. 2. აკაკი წერეთელი და ხელოვნების რეალისტური თეორია. 3. აკაკი პოეტის როლისა და დანიშნულების შესახებ. 4. ტიპისა და ტიპურობის საკითხი აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-თეორიულ ნააზრევში.

ნაშრომში აკაკი წერეთლის შეხედულებები და თეორიული ნააზრევი ხელოვნების შესახებ გამოკვეთილია მისი ნაწარმოებების (მხატვრული თუ პუბლიცისტური) განხილვის ფონზე. მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ აკაკის მრწამსი ხელოვნების ცხოვრებასთან მიმართების საკითხში ისეთივეა, როგორიც სხვა სამოციანელებისა, მაგრამ მას ამ შემთხვევაშიც აქვს თავისი საკუთარი, ორიგინალური, „აკაკური“ ხედვა.

ნ.ჩ.

ინგოროყვა პ.

ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლები:
ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი
თბ., „მერანი“, 1975

მონოგრაფიაში აკაკის შემოქმედება განხილულია ჟანრების მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, მკვლევარი მსჯელობს ა. წერეთლის ისტორიული პოემების, მხატვრული პროზისა და დრამატული ნაწერების შესახებ. საუბრობს თითოეული მათგანის ღირსებებზე როგორც ფორმისა და შინაარსის, ისე მხატვრული განსახოვნების თვალსაზრისით. ნაშრომში აღნიშნულია, რომ პუბლიცისტიკასა და კრიტიკა-ლიტერატურათმცოდნეობაში აკაკიმ შექმნა თავისებური

ჟანრი: მხატვრული ფელეტონი — ნარკვევი, რომელშიც ის „საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემის ფხიზელ მეთვალყურედ გვევლინება".

ნ.ჩ.

კენჭოშვილი აკ.

აკაკი წერეთელი
თბ., 1960

მონოგრაფიაში ასახულია აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მომენტები. მკვლევარი მიიჩნევს, რომ აკაკის ცხოვრების გზა მისი შემოქმედების ერთგვარი გასაღებია.

გამოკვლევაში განხილულია აკაკის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები. ნაშრომში წარმოჩენილია აკაკის ლირიკის ის მახასიათებლები, რომლებმაც განაპირობა ქართულ პოეზიაში ახალი ესთეტიკური იდეალების დამკვიდრება.

მონოგრაფიაში განხილულია აკაკის შემოქმედების აქამდე ნაკლებად შესწავლილი სფეროები. აღნიშნულია, რომ აკაკი ქართული ბალადის ერთ-ერთი შექმნელია.

ნაშრომში ყურადღებას იქცევს დაკვირვება აკაკის მოთხრობებზე. ი. კენჭოშვილის აზრით, აკაკი ქართული მოთხრობის ნოვატორია, რადგანაც სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებებს ქმნის, რომლებშიც „მთავარია... არა რომელიღაც წმინდა სოციალური ტიპის ასახვა, არამედ ყურადღების გადატანა საზოგადოდ ინტელექტუალური ადამიანის თავისებურ ფსიქო-ანალიზზე... ".

ნ.ჩ.

კეკელიძე პ.

აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები:
„თორნიკე ერისთავი", „ნათელა"
ტექსტოლოგიური გამოკვლევა
თსუ, 1961

მკვლევრის ინტერესი ამ ისტორიული პოემების მიმართ განაპირობა ნაწარმოებთა ავტოგრაფებისა და ხელნაწერი ნუსხების აღმოჩენამ. დადგენილია პოემათა დეფინიციალური ტექსტები, წარმოდგენილია ავტოგრაფები და ნუსხები, აღნუსხული და განხილულია ყველა ცვლილება, რომლებიც პოემებს განუცდია როგორც ავტორის, ისე — გადამწერთა და რედაქტორ-გამომცემელთა მიერ.

მკვლევარმა შეისწავლა „თორნიკე ერისთავის" ენობრივ — ორთოგრაფიული საკითხები და წარმოადგინა სათანადო დასკვნები.

ნაშრომში გაანალიზებულია პოემების ისტორიული წყაროები, საინტერესოდაა განხილული აკაკის მიერ ამ ისტორიულ წყაროთა გამოყენების ზოგიერთი თავისებურება.

გამოკვლევას ერთვის სიტყვათა ინდექსი, საძიებლები, ავტოგრაფებისა და ხელნაწერ ნუსხათა ფოტოპირები.

ნ.ჩ.

კვიტაიშვილი ე.

აკაკი წერეთელი
თბ., 1990

მონოგრაფიაში დახატულია აკაკი წერეთლის შემოქმედებითი პორტრეტი. ავტორს მოხმობილი აქვს აკაკის თანამედროვეთა და შემდგომი ხანის ქართველ მწერალთა (თ. სახოკია, ნ. ნიკოლაძე, ექ. თაყაიშვილი, გ. ტაბიძე, გ. ქიქოძე, ვ. კოტეტიშვილი, გ. ასათიანი და სხვ.) გამონათქვამები, რომლებშიც ნაირგვარი კუთხით არის წარმოჩენილი დიდი პოეტის ადგილი და მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში.

ნაშრომში განხილულია აკაკის არაერთი შედევრი, რამაც მას საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ლირიკოსის სახელი და უკვდავება დაუმკვიდრა.

ნ.ჩ.

კიკნაძე გრ.

ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიიდან
თბ., 1953

აღნიშნული ნიგნის IX თავი ეძღვნება აკაკი წერეთლის სატირისა და იუმორის შესწავლას (გვ. 349-392).

გრ. კიკნაძე ნაშრომის შესავალ ნაწილში განიხილავს აკაკის სატირული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ ზოგად ნიშან–თვისებას, გამოკვეთს მისი სატირის მაგისტრალურ ხაზს და ძირითად ტენდენციებს: ემოციურობას, დამარწმუნებლობას, შეურიგებლობას, მოურიდებლობას, ნართულობას, დასაბუთების პრინციპს, ენამოსწრებულობას. მკვლევრის აზრით, ან ნიშან–თვისებათა ერთობლიობა განაპირობებს აკაკის სატირის ხასიათსაც და საზოგადოებრივი მნიშვნელობასაც.

ნ.ჩ.

კიკნაძე გრ.

ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები
თსუ., 1978

წიგნში წარმოდგენილია გრ. კიკნაძის ნარკვევები აკაკი წერეთლის შესახებ. წერილში — აკაკი წერეთლის პროზაულ თხზულებათა პოეტურობის საკითხი (გვ. 277-294), მკვლევარი განიხილავს აკაკის პროზის პოეტურობის ნიშან-თვისებებს (საანალიზო ტექსტად მოხმობილია „ბაში – აჩუკი"). წერილში — აკაკი წერეთლის პოლემიკური ლირიკა (გვ. 295-310) — აკაკის ქმნილებები შედარებულია წინადროინდელ ქართული და რუსული პოეზიის პოლემიკური ლირიკის რამდენიმე ნიმუშთან. წარმოჩენილია აკაკის პოლემიკური ლირიკისათვის დამახასიათებელ მხატვრული თავისებურებები. ნარკვევში — მუდმივ ხატთა სისტემა აკაკი წერეთლის პოეზიაში (გვ. 311-325) — ავტორი აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთლის პოეზიის ხატოვანების „უმნიშვნელოვანესი საყრდენი ხალხური ზეპირსიტყვიერებაა". მონოგრაფიაში განხილულია აკაკის ხატოვანების სპეციფიკა, ხატთა სტრუქტურა, ხატოვან სახეთა ემოციურობისა და პოეტურობის მიზეზები.

გრ. კიკნაძის დაკვირვებით, აკაკის პოეზიის მუდმივ ხატთა სისტემაში მნიშვნელოვანია სიზმრისეული და ზღაპრულ-ლეგენდური, ბიბლიური და ისტორიული ხატები, განსაკუთრებით კი გამოკვეთილია წარმომავლობით რელიგიური, ასევე გადმოცემა-ლეგენდებიდან, ჟამთააღმწერლის ანდა პოეტთაგან მომდინარე სახეები.

ნ.ჩ.

კოტეტიშვილი ვ.

აკაკი წერეთლის შემოქმედება და ფოლკლორი
წიგნში: რჩეული ნაწერები, ტ. II
თბ., 1967

ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული აკაკის ლექსების ნათესაობა ხალხურ პოეზიასთან და ამ უკანასკნელის გამოყენების ის ოსტატობა, რომლითაც აკაკიმ საკუთარი პოეზიის მთელი სისტემა შექმნა. მკვლევრის აზრით, ეს დებულება არ ეხება მხოლოდ ლექსების გახალხურებულ ფორმას. პოეტი შინაარსის მხრივაც მეტწილად ხალხურ ზღაპრებსა და გადმოცემებს ეყრდნობოდა; მის მიერ გამოყენებული ტროპული მეტყველების ხერხებიც ახლოსაა ხალ-

ხურ პოეტიკასთან; ნაშრომში ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია უამრავი პარალელი.

წერილში ასევე საუბარია იმ დამსახურებაზე, რომელიც აკაკის მიუძღვის ფოლკლორის შეკრებისა და გადარჩენის საქმეში.

ე.ზ.

კოტეტიშვილი ვ.
ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.)
„საბჭოთა საქართველო", თბ., 1959.

წიგნი შედგება წინასიტყვაობის, შესავლისა და რამდენიმე თავისაგან. შესავალ წერილში ვ. კოტეტიშვილი აანალიზებს მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას. ქვეთავები ქრონოლოგიურადაა დაწყობილი — მკვლევარი წიგნს მე–18 საუკუნის ლიტერატურის მიმოხილვით იწყებს და ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებით ასრულებს.

ნაშრომში საგანგებო თავი აქვს დათმობილი აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მკვლევარი მიმოიხილავს აკაკის მრავალმხრივ მოღვაწეობასა და მრავალფეროვან ლიტერატურულ მემკვიდრეობას; შენიშნავს, რომ აკაკი ორიგინალური შემოქმედია და არავის არ ბაძავს, თუმცა მის შემოქმედებაში რუსი მწერლების გავლენა იგრძნობა. ვ. კოტეტიშვილი მიუთითებს ილიასა და აკაკის მსოფლმხედველობრივ ერთიანობაზე.

მეცნიერი მიმოიხილავს აკაკის ლირიკას, მისი ლექსის საზომებს და ასკვნის, რომ ძველ პოეტებთან შედარებით, აკაკის ლექსის ტექნიკა და მოქნილობა ნაკლები ღირსებისაა, რომ რეალიზმის ეპოქაში შინაარსი იმორჩილებს ფორმას და ეს ტენდენცია კარგად ჩანს აკაკის ლირიკაშიც.

მ.გ.

ლომიძე გ.

დრამის თეორია მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ კრიტიკასა და ესთეტიკურ ნააზრევში

თბ., 1984

წიგნში სხვა თემებთან ერთად განხილულია აკაკი წერეთლის შეხედულებანი დრამის თეორიის საკითხებზე. პოეტი ლიტერატურას მიიჩნევდა სინამდვილის მხატვრულ წარმოსახვად და მის ცალკეულ დარგებს ერთმანეთისაგან განასხვავებდა არა ასახვის ობიექტის, არამედ გამოსახვის საშუალებათა მიხედვით. აკაისთვის დრამატურგია წარმოადგენდა თეატრალური ხელოვნების საფუძველს და საინტერესო თვალსაზრისს გამოთქვამდა დრამაზე, როგორც ლიტერატურულ გვარზე.

მკვლევრის აზრით, აკაკი საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს ცალკეული დრამატული ჟანრების შესახებ და იძლევა მათ ორიგინალურ დეფინიციას. საკუთარი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ აკაკი იყენებს მდიდარ მასალას როგორც ქართული, ისე რუსული და დასავლეთევროპული ლიტერატურიდან.

ე.ზ.

მენაბდე ლ.

აკაკი წერეთელი

წიგნში: XIX ს. ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა

„განათლება", თბ., 1973

ნაშრომის მიზანია აჩვენოს, რამდენად საფუძვლიანად იცნობდა აკაკი ძველ ქართულ მწერლობას და როგორ ზრუნავდა ხელნაწერების შეკრებასა და დაცვაზე; ავტორის დაკვირვებით, მწერალი შესანიშნავად ფლობდა ბიბლიას, იცნობდა როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ აგიოგრაფიას, ათონელი მამების ღვაწლს; მას კარგად სცოდნია რუსული სასულიერო მწერლობაც.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა ა. წერეთლის „ვეფხისტყაოსანთან" მიმართების საკითხს. მკვლევარი აანალიზებს „ვეფხისტყაოსნისადმი" მიძღვნილ აკაკის წერილებს, განსაკუთრებით, რუსულენოვან საკანდიდატო ნაშრომს: „რამდენიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის სასარგებლოდ" (1862). გამოკვლევაში განხილულია აკაკის სხვა რუსთველოლოგიური ძიებანიც.

წიგნში შესწავლილია აკაკის მიმართება აღორძინების ხანის ქართულ მწერლობასთან. გამოკვლევის დასკვნით ნაწილში ავტორი მიუთითებს, რომ თავის სამეცნიერო და პუბლიცისტურ წერილებში აკაკი განიხილავდა ძველი ქართული მწერლობის საკითხებს. მისი დასკვნები სადღეისოდაც საყურადღებოა, თუმცა ზოგიერთი შეფასება მკაცრი და უსაფუძვლოა.

მ.კ.

მეუნარგია ი.

ქართველი მწერლები
ნ. 1, თბ., 1957

წიგნი შედგება წინასიტყვაობისა და ძირითადი ნაწილისაგან, რომელშიც საუბარია XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეებზე (გრ. ორბელიანი, ს. მესხი, ა. ყაზბეგი, დ. დადიანი). წერილში — „სამახსოვრო ფურცლები აკაკის შესახებ“ — ავტორი საუბრობს აკაკის პიროვნებაზე, იხსენებს მის 25 წლის იუბილეს, ასევე ადამიანებს, რომლებზეც აკაკის აზრი გამოუთქვამს. ი. მეუნარგია აკაკის შემოქმედებაში პოეზიას ანიჭებს უპირატესობას და XIX სუკუნის სხვა პოეტებს აკაკის შეგირდებს უწოდებს. წერილის დასკვნით ნაწილში ავტორი გვთავაზობს იმ კითხვარს, რომელზეც აკაკის ლაკონიური პასუხები აქვს გაცემული

წიგნს ერთვის შენიშვნები, კომენტარები და სახელთა საძიებლები.

ა.ფ.

მინაშვილი ლ.

აკაკი წერეთლის „პატარა კახის“ შემოქმედებითი ისტორიისთვის
წიგნში: „ლიტერატურული ნარკვევები“
თბ., 2009

ნაშრომში განხილულია აკაკი წერეთლის „პატარა კახის“ შემოქმედებითი ისტორია, მისი ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები და გზა, რომელიც პოემამ პროზაული ვერსიიდან ლექსად დაწერილ დრამამდე გაიარა.

აკაკის აზრით, სალექსო ფორმა ერთადერთია, რის მეშვეობითაც ისტორიულმა თემამ შეიძლება შეიძინოს მაღალმხატვრულო-

ბა. განსხვავებით აკაკის ლირიკისთვის დამახასიათებელი რვამარცვლიანი შაირისა, „პატარა კახში“ გამოყენებულია ათმარცვლიანი საზომი, რომელიც უახლოვდება სასაუბრო მეტყველებას.

ნაშრომში მოტანილია იდენტური პასაჟები პროზაული და პოეტური ვარიანტებიდან, რითაც მკვლევარმა წარმოაჩინა ის გარემოება, რომ ლექსად გარდათქმის დროს აკაკი არ კარგავს არცერთ აზრობრივ თუ გრძნობით ნიუანსს.

მ.ა.

ნუცუბიძე შ.

აკაკი წერეთლის შემოქმედება
წიგნში: კრიტიკული ნარკვევები
თბ., 1966

ნაშრომი შეიქმნა აკაკის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. მასში მოცემულია პოეტის როგორც ბიოგრაფიის, ისე შემოქმედების მოკლე დახასიათება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია აკაკის შემოქმედებაზე რუსული და ევროპული ლიტერატურის გავლენაზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ აკაკის პოეტური მოღვაწეობა განისაზღვრა სამი შტრიხით: 1. საქართველოს სინამდვილით; 2. რუსული ლიტერატურის გავლენით (იდეურად სამოციანელებით, ლიტერატურულად — პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვის, გოგოლის, ნაწილობრივ, ნეკრასოვის); 3. დასავლეთის დამონებული ერების ბედით (იტალიის — კარდუჩის, ალფერის; პოლონეთის — მიცკევიჩის). მკვლევრის აზრით, რეალიზმი პოეტმა შეითვისა ჩერნიშევსკისგან ერმაც განსაზღვრა აკაკის ესთეტიკური გზა.

ე.ზ.

რატიანი შ.

აკაკი წერეთელი და რეალიზმის საკითხები
თბ., 1963

ნაშრომში გაანალიზებულია აკაკი წერეთლის თეორიული შეხედულებანი რეალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის შესახებ, აგრეთვე მხატვრული ტიპის, ლიტერატურის ხალხურობისა და ტენდენციურობის, მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხები.

ავტორი განიხილავს აკაკის მიერ წამოყენებულ რეალისტური ესთეტიკის ძირითად თეზისებს. წიგნში ასევე გაანალიზებულია აკაკის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი და ის, თუ როგორ იყენებდა პოეტი ამ ზოგად თეორიულ თვალსაზრისს ცალკეული მწერლის შემოქმედების ანალიზის დროს. ნაჩვენებია ის დამსახურება, რომელიც აკაკის მიუძღვის როგორც ძველ (შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ბესიკი), ისე მისი თანამედროვე (გრიგოლ ორბელიანი, ბარბარე ჯორჯაძე, გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა) ლიტერატორთა შემოქმედების კვლევაში.

ე.ზ.

რობაქიძე გრ.

აკაკის ქნარი
თბ., 1916

წიგნში „აკაკის ქნარი“ შესულია 1908-1930 წ.წ. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში („მზე“, „აკაკის დღე საქართველოში“, „ფასკუნჯი“, „სახალხო ფურცელი“, „დროშა“, „ქართული მწერლობა“) დასტამბული წერილები: „აკაკის იუბილეს გამო“, „აკაკის ბუნება“, „აკაკი და ილია“, „აკაკი“ (გარდაცვალების გამო), „აკაკი“ (სიტყვა წარმოთქმული აკაკის სამოქალაქო პანაშვიდზე), „აკაკის ქნარი“, „ბაში-აჩუკი“ (როგორც კინო-რომანი) და აკაკი (ფაქტები და ფიქრები).

ნაშრომში მოცემულია აკაკის, როგორც პოეტის შეფასება და ადგილი ქართულ ლიტერატურაში. მკვლევარი ხსნის აკაკის შემოქმედებისა და პიროვნების რთულ ბუნებას და ასკვნის, რომ ქართველობის მებრძოლი სული აკაკის ბუნებაში განსახიერდა. წიგნში გაანალიზებულია აკაკის შემოქმედების რამდენიმე ნიშანთვისება, მათ შორის, თხზულებათა ამბივალენტური ხასიათი და პოეტის „მგოსნური სტიქიონის პოლიპერსონალიზმი“, ანუ სხვად ქცევის ნიჭი; ნაშრომში საინტერესო პარალელებია გავლებული აკაკისა და პუშკინს, ილიას, ვაჟას შორის.

ე.ზ.

ფრუიძე ნ.

აკაკი წერეთლის მხატვრული პროზის პრობლემატიკა და მხატვრული სტრუქტურა
თსუ, 1999

წიგნში განხილულია აკაკი წერეთლის ჟანრობრივად მრავალფეროვანი მხატვრული პროზა. ნაშრომში გაანალიზებულია მკვლევართა ყურადღებით ნაკლებად „განებივრებული“ თხზულებები. წიგნი შედგება შესავლის, 6 თავისა და დასკვნისაგან. პირველ თავში გამოკვეთილია აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ინტერესები პროზაულ თხზულებათა მიხედვით. მეორე თავში ავტორი ზოგადად აკაკის პროზის პრობლემატიკისა და სტრუქტურის საკითხებზე მსჯელობს; მესამე თავში — ლეგენდური აკაკის პროზაში — განხილულია აკაკის „ლეგენდის“ სახელწოდებით ცნობილი ქმნილებები და განხილულია მათში ტრადიციულ მხატვრულ სახეთა ტრანსფორმირების ნიმუშები. მეოთხე თავში საუბარია აკაკი წერეთლის ზღაპრების სპეციფიკასა და მათ მიმართებაზე კლასიკურ ჯადოსნურ ზღაპართან. მეექვსე თავი ეთმობა აკაკის პროზაულ იგავებს, მათ თემატიკასა და მხატვრულ თავისებურებებს. ბოლო, მეექვსე თავში კი შემოთავაზებულია აკაკის მიერ შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ნიმუშის — სოლომონ პირველი დიდი, იმერეთს მეფე — კომპოზიციისა და მხატვრულ-სახეობრივი სისტემის ანალიზი. დასკვნით ნაწილში კი შეჯამებულია ნაშრომის ცალკეულ თავებში წარმოდგენილი ძირითადი დებულებები.

ა.ფ.

ქიქოძე გ.

ეტიუდები და პორტრეტები
თბ., 1958.

წიგნში შესულია ავტორის ორი წერილი: აკაკი წერეთელი და აკაკი როგორც პორტრეტისტი.

პირველ წერილში — აკაკი წერეთელი — ყურადღება გამახვილებულია პოეტის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან დეტალებზე. სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, წიგნის ავტორი თელის, რომ რუსულ ლიტერატურას გავლენა არ მოუხდენია აკაკის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ შემოქმედებაზე. ავტორი განიხილავს

პოეტის მოსაზრებას ორი რუსეთის (ივანეს და პეტრეს რუსეთი) შესახებ და ასკვნის, რომ აკაკი რუსულ ლიტერატურაზე ევროპულის ძლიერ გავლენას ამჩნევს.

წერილში დაწერილებითაა გაანალიზებული აკაკის პოეზია და გაკეთებულია დასკვნა, რომ იგი ოსტატია პატრიოტული პოეზისა, რომელსაც უდიდესი ზემოქმედების ძალა აქვს. ავტორი გამოკვეთს აგრეთვე აკაკის დამსახურებას ენის რეფორმაში.

მეორე წერილში — აკაკი როგორც პორტრეტისტი — გარჩეულია „ჩემი თავგადასავალი", როგორც ერთ-ერთი უპირველესი ნანარმოები პორტრეტის ხატვის კუთხით. მკვლევრის თქმით, აკაკი ჯადოსნური ფუნჯის ორიოდე მოსმით ახერხებს თანამედროვეთა სულიერი ფიზიონომიის დახატვას ისე, რასაც სხვები ხშირად მთელი მონოგრაფიების დაწერით ვერ ახერხებენ. ავტორი თვლის, რომ აკაკის შემოქმედებაში პატრიოტულ-პროპაგანდისტული ინტერესი ხშირად სჭარბობს ობიექტურ მხატვრულს, მაგრამ ის მაინც დიდ პორტრეტისტად რჩება ისტორიული ჟანრის ნაწერებში

ე.ზ.

ყუბანეიშვილი ს.

აკაკი წერეთლის დრამატული პოემები: „თამარ ცბიერი ", „პატარა კახი"

თსუ, 1969

წიგნში ნაჩვენებია აკაკი წერეთლის დრამატული პოემების „თამარ ცბიერისა" და „პატარა კახის" შემოქმედებითი ისტორია, გაანალიზებულია ვარიანტები და მათი ურთიერთმიმართების საკითხი.

ნაშრომში მიმოხილულია სხვადასხვა მეცნიერის თვალსაზრისი აკაკის დრამატურგიაზე, კერძოდ: ვ. კოტეტიშვილის, ი. გრიშაშვილის, პ. მირიანაშვილის, პ. გუგუშვილის, შ. რადიანის, გ. ქიქოძის, პ.ინგოროყვას, ამბ. გაჩეჩილაძის და სხვ.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია აკაკის შემოქმედებითი პროცესის ერთ თავისებურებაზე, კერძოდ, პროზის ლექსად ქცევის ფაქტზე. მეცნიერი შენიშნავს, რომ აკაკი პოეტურ ფორმაში აქცევდა პროზად დაწერილ ბევრ თავის თხზულებას (მაგ.: „მედია", „ჩემი თავგადასავალი", „პატარა კახი" და სხვ.), რისთვისაც მინი-

მალური ძალისხმევა იყო საჭირო, რადგან პროზად დაწერილ პიესებში უკვე „გაისმოდა" ლექსი.

ე.ზ.

ჭილაია ს.

ლიტერატურული წერილები
თბ., 1946

წიგნი შედგება რვა თავისგან. მასში საუბარია XIX საუკუნის ქართველ მწერალთა (ნ. ბარათაშვილი, ა. წერეთელი, გ. ორბელიანი, ა. ყაზბეგი, შ. არაგვისპირელი, გ. რჩეულიშვილი, ა. ორბელიანი) შემოქმედებაზე, ასევე უახლესი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხებსა და სამშობლოსთვის თავდადების იდეაზე.

წერილში „აკაკი წერეთელი" ავტორი საუბრობს აკაკის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდზე, მისი შემოქმედების ძირითად თემატიკაზე, მისი პოეზიის ბუნებაზე. განხილულია აკაკი წერეთლის შემოქმედების ორი ძირითადი მოტივი — პატრიოტული და სოციალური. ნათქვამია, რომ ეროვნული საკითხის განსახილველად აკაკი მიმართავდა ისტორიას. იგი ისტორიულ თემებს მათი აქტუალურობის თვალსაზრისით არჩევდა და კონკრეტულ სინამდვილეს უკავშირებდა; ისტორიული ფაქტის დამახინჯება დაუდევრობით კი არ მოსდიოდა, თანადროულობის ინტერესი აიძულებდა, ასე მოქცეულიყო. აქვე ავტორი აანალიზებს აკაკის დამოკიდებულებას რევოლუციისადმი და ხაზს უსვამს ამ უკანასკნელის მისეულ შეფასებებს. განხილულია ლექსები, რომლებიც აკაკიმ ამ თემას უძღვნა. რევოლუციის ასე ორგანულად მიღებას მკვლევარი აკაკის პატრიოტიზმითა და ფართო დემოკრატიზმით ხსნის. წერილში ხაზგასმულია, რომ აკაკი წერეთლის აზროვნება და პოეტური შემოქმედება რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატების — ბელინსკის, დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ზეგავლენით ჩამოყალიბდა.

ა.ფ.

ჭილაძე თ.

„პირველად იყო სიტყვა"
თბ., 1993

წიგნში შესულია ესეისტური ნარკვევები ქართველი მწერლებისა და ხელოვნების სფეროს მოღვაწეთა შესახებ (ნ. ფიროსმანაშვილი, იაკობ ცურტაველი, გ. ქიქოძე, ე. მანჯგალაძე, გ. ტაბიძე, აკ. წერეთელი, ა. კალანდაძე და სხვ.).

წერილში „აკაკი წერეთლის პოეზია" ავტორი აანალიზებს აკაკის პოეტურ მემკვიდრეობას, გამოყოფს მისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალიზმს: ლექსის ბუნებრივობასა და სისადავეს. გარდა ამისა, საუბრობს აკაკის მიმართებაზე სამშობლოსთან, მისი პოეზიის პატრიოტულ სულისკვეთებაზე. მკვლევარი მიიჩნევს, რომ აკაკის პოეზია თავისი ფორმითა და შინაარსით დღესაც აქტუალური და ცხოველმყოფელია.

წიგნი ე.წ. მასობრივი გამოცემის ტიპისაა და არ ახლავს არც საძიებლები, არც ბიბლიოგრაფია.

მ.გ.

ჭილაძე თ.

აკაკი წერეთლის პოეზია
წიგნში: წერილები, თბ., 1977

კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა დროს შექმნილი ესეისტური პროზა და პოეტური ნარკვევები, რომლებშიც ავტორი ცდილობს მკითხველს გაუზიაროს ის განცდა, რასაც მასში ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი თუ მხატვრობა აღძრავს.

ავტორისავე შენიშვნით, წიგნში თავმოყრილი პროზა ძირითადად პირად შთაბეჭდილებებს ეყრდნობა და საფუძვლიანი ანალიზის პრეტენზია არ გააჩნია. წიგნი კიდევ ერთი ცდაა პოეზიის იდუმალ სამყაროში შეღწევისა.

წერილში — აკაკი წერეთლის პოეზია — ავტორი საუბრობს აკაკის პოეზიის თავისებურებებზე, მთავარ იდეებზე, სამშობლოს ხატის გამორჩეულობაზე, „ბულბულობისადმი" პოეტის დამოკიდებულებასა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე;

წიგნში მკითხველი ასევე გაეცნობა საინტერესო წერილებს გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, გურამ რჩეულიშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ანა კალანდაძის და სხვათა შესახებ.

ნ.ფ.

ჭილაძე ო.

ბედნიერი ტანჯული
თბ., 2003

წიგნი სხვადასხვა დროს (1968-2002) შექმნილი ესეების, პუბლიცისტური წერილებისა და ინტერვიუების კრებულია; მწერლობის რაობა და მწერლის დანიშნულება, ერი და ეროვნულობა, თავისუფლება და მონობა, სიყვარული და ომი, ქართველთა მითოლოგიური წარსული და კოლხი მედეას ფენომენი, სახელმწიფო სიმბოლიკა, ქართული ტოლერანტობა და შენიღბული აგრესიის საშიშროება — აი, არასრული სია იმ საკითხებისა, რომელთა შესახებაც საკუთარ თვალსაზრისს გვთავაზობს მწერალი.

კრებული რამდენიმე ქვეთავადაა დაყოფილი. პირველი — ბედნიერი ტანჯული — მოიცავს 6 ესეს, რომელთაგან ერთ-ერთია „აკაკი". მასში ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს აკაკის, როგორც პოეტისა და მოღვაწის მნიშვნელობა ქართული კულტურისა თუ ეროვნული თვითშეგნების განვითარების საქმეში.

ნ.ფ.

ხახანაშვილი ალ.

ქართული სიტყვიერების ისტორია
თბ., 1917

წიგნი (რედ.: დ. კარიჭაშვილი) შედგება ოთხი ნაწილისგან: წინასიტყვაობა, რედაქტორის შენიშვნა, შესავალი, ძირითადი ნაწილი და პირთა საძიებელი. ძირითად ნაწილში ავტორი საუბრობს XIX საუკუნის ქართველ მწერალთა (ს. დოდაშვილი, ა. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. ყაზბეგი და სხვანი) ბიოგრაფიებისა და შემოქმედების შესახებ. წერილში „აკაკი წერეთელი" ავტორი ეხება მწერლის ბიოგრაფიას, განიხილავს მისი პოეზიის რამდენიმე ნიმუშს, აანალიზებს აკაკის შემოქმედების თემატიკას, საუბრობს მის მიერ შექმნილ დრამატულ ნაწარმოებებზე. ალ. ხახანაშვილი მსჯელობს აკაკი წერეთლის პოემებსა და მათში წამოჭრილ დიდაქტიკურ საკითხებზე. წერილის დასკვნით ნაწილში ავტორი ყურადღებას ამახვილებს აკაკის პოეზიის ბუნებაზე, მისი ენის სილაღეზე.

ა.ფ.

აკაკის ლექსი
თბ., 1972

ნაშრომში შესწავლილია აკაკი წერეთლის 981 ლექსი, 22 პოემა და 7 დრამატული თხზულება. გაკეთებულია საყურადღებო დასკვნები. ავტორი აღნიშნავს, რომ ლექსთწყობის კანონები პოეტის საშემსრულებლო ხელოვნების საფუძველთა საფუძველია. არც ერთი სხვა კანონი, მათ შორის გრამატიკულიც კი, მისთვის ასეთი ძალის შემცველი არ არის. ტექტოლოგიურ მუშაობაში პოეტის თხზულებათა ტექსტის დადგენისას ლექსთწყობა გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს. ლექსის ძირითადი ესთეტიკური მახასიათებლები — რიტმი და მელოდია ყველაზე მეტია პოეტის ხელიდან პირველად გამოსულ ტექსტში, ამიტომ ლექსის ავტოგრაფს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფორმათა სიზუსტის დადგენაში; მკვლევრის დაკვირვებით, გამომცემლები ხშირად ცვლიდნენ ტექსტს, ასწორებდნენ დიალექტურ ფორმებს, სახელებში ვითარებითი ბრუნვის -თ დაბოლოებას, ერეოდნენ აკაკის რიტმის შემქმნელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტში, რომელსაც გადატანა, ანუ ანჟამბემანი ჰქვია. აკადემიურ გამოცემებში ასეთ ადგილებში არის მძიმეები, რასაც, მეცნირის აზრით, გამართლება არ აქვს.

ნაშრომში ვრცლადაა განხილული, აგრეთვე, აკაკის პოეზიის რიტმი და რითმა.

ე.ზ.

ღვინჯილია ჯ.

აკაკი წერეთელი
წიგნში: პოეტური ენერგია
თბ., 1989

ავტორი განიხილავს აკაკის პოეტურ ნააზრევს. მისი აზრით, აკაკის სამყაროში გაერთიანებულია პატრიოტული, სოციალური, ზოგადადამიანური პრობლემები. პოეტის ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი დაჩაგრულის მხარეზეა. აკაკი წერეთელი არ ყოფილა მიჯაჭვული პატრიოტულ თემატიკას, მის შემოქმედებაში ბევრია სოციალურ პრობლემებზე დაწერილი ნაწარმოები, რომელთაც დაუკავშირდა პოლიტიკურიც, ორივემ ერთად კი წარმოაჩინა პოეტის

მოქალაქეობრივი პოზიცია. ნაშრომში გამოწვლილვითაა გარჩეული ლექსები: „თავო ჩემო“, „ავადმყოფი“, „განთიადი“.

მკვლევარი აგრეთვე განიხილავს აკაკი წერეთლის სატირულ ლექსებს და ბევრ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს მათ შესახებ.

ე.ზ.

ჯალიაშვილი მ.

სიცოცხლის საიდუმლო
თბ., 2006

წერილში საღვთისმეტყველო სიბრტყეზე პირველად არის გაანალიზებული აკაკი წერეთლის ლექსის „აღმართ-აღმართის“ მხატვრული სისტემის თავისებურებანი. წერილში წარმოჩენილია ლექსში გამოყენებული სხვადასხვა კოდის (უპირველესად, საღვთისმეტყველო, კულტურული) მნიშვნელობა.

ანალიზის დროს პარალელებია გავლებულია ბერძნულ მითოლოგიასთან, კერძოდ, სიზიფეს მითთან და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან“, რათა წარმოჩნდეს ლექსში მოხმობილი ალუზიების მხატვრული ფუნქცია. ავტორი აანალიზებს, თუ რამ გამოიწვია ლირიკული გმირის სულიერი განვითარების „მწერვალიდან“ კვლავ „მიწაზე“ დაცემა, როგორ იყო გადაჯაჭვული ერთმანეთთან სულიერი და მიწიერი ცხოვრების გზები.

ე.ზ.

დ) აკაკი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე

ბოცვაძე ი.

აკაკი წერეთელი — ლიტერატურის კრიტიკოსი და ჟურნალისტი
თბ., 1980.

წიგნში საუბარია აკაკი წერეთლის ჟურნალისტურ მოღვაწეობასა და მის თანამშრომლობაზე ქართულ პერიოდულ პრესაში; მიმოხილულია აკაკის რედაქტორობით გამოსული ჟურნალები: „აკაკის თვიური კრებული“ და „ხუმარა“. ასევე, დიდი პოეტის ლი-

ტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი ცალკეული მწერლის შემოქმედებაზე.

წიგნი ოთხი ნაწილისგან შედგება: აკაკი — ლიტერატურის კრიტიკოსი; აკაკის ჟურნალისტური მოღვაწეობა; „აკაკის თვიური კრებული"; ჟურნალი „ხუმარა".

შესაბამისად, წიგნის პირველ ნაწილში საუბარია იმ საკითხებზე, რომლებიც აკაკის, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსის თვალთახედვის არეში იყვნენ მოქცეულნი, კერძოდ: ანტონ კათალიკოსის კონსერვატორულ-რეაქციული მსოფლმხედველობა; ჟ. „ცისკრის" პუბლიკაციები; პ. იოსელიანი, ექ. წერეთელი, ბ. ჯორჯაძე და სხვანი. ქართველი მწიგნობარი ქალების ღვაწლი (კერძოდ, დარეჯან და თეკლა ბატონიშვილები, ეკატერინე და მარიამ ერისთავები) და ა. შ. წიგნის მეორე ნაწილში მოთხრობილია, თუ რომელი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან თანამშრომლობდა აკაკი და რომელ წლებში; რა სახის პუბლიკაციებს აქვეყნებდა იგი და რა რეზონანსი ჰქონდა მის მოღვაწეობას; წიგნის მესამე ნაკვეთში ავტორი გვიამბობს, თუ რა მიზნით გადაწყვიტა აკაკიმ „კრებულის" დაარსება, რა სიძნელეების გადალახვა დასჭირდა, რომელ წლებში გამოდიოდა მისი „კრებული" და რა ამაგი დასდო მან ქართული ჟურნალისტური აზრის განვითარებას. წიგნის მეოთხე, დასკვნითი, ნაწილი კი აკაკის მიერ იუმორისტული ჟურნალის დაარსებას და მისი ხანმოკლე არსებობის ისტორიას ეძღვნება;

ნ.ფ.

კანდელაკი ნ.

აკაკი წერეთელი
წიგნში: ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება
თბ., 1961

ავტორის მითითებით, აკაკი წერეთლის მახვილგონიერი და ნათელი აზროვნება თანაბარი ძალით ბრწყინავდა წერილობითი და ზეპირი შემოქმედების სფეროებში — ლიტერატურასა და მჭევრმეტყველებაში, რასაც მისი მოსწრებული სიტყვები, ელვარე ნაკვესები და ფრთიანი გამონათქვამებიც ადასტურებს. ავტორი თელის, რომ აკაკის მჭევრი სიტყვა უკიდურესი სისადავით ხასიათდება. ფართოდაა ცნობილი მწერლის საჯარო ლექციები. ის სადღესასწაულო სიტყვის დიდი ოსტატი იყო, რაშიც მას მახვილგონიერება და მოსწრებული სიტყვაც უწყობდა ხელს. ნაშ-

რომში გაანალიზებულია პოეტის სადღესასწაულო და სამგლოვიარო სიტყვები. აქვე ხაზგასმულია აკაკის დამსახურება სამოსამართლო მჭევრმეტყველების განვითარების დარგში, კერძოდ, განხილულია მისი სიტყვა 1876 წელს ქუთაისში „სვანთა პროცესზე", საჯარო გამოსვლები ლიტერატურულ სამსჯავროებში.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შენიშნულია, რომ აკაკი წერეთელი ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების უკანასკნელი დიდი წარმომადგენელია.

მ.კ.

კოჭლავაშვილი ალ.

აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი
თბ., 1958

წიგნში მითითებულია, რომ ქართველ სამოციანელთა პროგრესული ნაწილი ხელს უწყობდა ქვეყანაში მრეწველობის განვითარებას. დოკუმენტური მასალა გვიდასტურებს, რომ აკაკი ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად პრაქტიკულად ზრუნავდა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებაზე და ჭიათურის მარგანეცის მრეწველობასაც მან ჩაუყარა საფუძველი. ამ საკითხის გაშუქებისათვის ნაშრომში გამოყენებულია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, პრესა, არქივებსა და მუზეუმებში დაცული საბუთები, მოგონებები.

ავტორი მიუთითებს, რომ მწერალს სურდა, მარგანეცის მრეწველობის განვითარებით ქვეყნის შემოსავალი გაზრდილიყო, რასაც შედეგად სკოლების, ბანკების და სხვა დანესებულებების დაარსება მოჰყვებოდა. საშური საქმე იყო ასევე ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვება და გამოცემა, რაც მარგანეცის ნარმოებით მიღებული შემოსავლით უნდა დაფინანსებულიყო. სამწუხაროდ, პოეტმა თავის ოცნების განხორციელება ვერ შეძლო.

გამოკვლევის ტექსტს ერთვის დოკუმენტური წყაროები: საყურადღებო საბუთები და მასალები, მათ შორის, ეპისტოლური ტექსტები.

მ.კ.

სიხარულიძე ქ.

აკაკი წერეთელი
წიგნში: ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება
ნ. 1, თბ., 1956

ნაშრომში აღნიშნულია, თუ რა ღვაწლი მიუძღვის აკაკის ფოლკლორული ტექსტების შეკრებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ავტორი აანალიზებს აკაკის წერილებს, რომლებიც ხალხურ ზეპირსიტყვიერებას ეძღვნება. მათში აკაკი ხაზს უსვამს ფოლკლორის მეცნიერულ ღირებულებას, მის საზოგადოებრივ ფუნქციას, მხატვრულ თავისებურებებს და სხვ. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ პოეტის ნაწარმოებები ორგანულად უკავშირდება ხალხურ შემოქმედებას. ნაშრომში ნაჩვენებია ეს კავშირი, განხილულია მწერლის მიერ ფოლკლორიდან აღებული სიუჟეტები და თემები.

ავტორის ყურადღებას იქცევს აკაკის ნაწერებში წარმოდგენილი ქართული წეს-ჩვეულებები, საქორწინო ცერემონიალი, მიცვალებულის დაკრძალვის წესი, საკანონოს მოხდა, ფიცისკაცობა და სხვა.

მ.კ.

სურგულაძე ა.

აკაკი წერეთელი
წიგნში: ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური
აზროვნების ისტორიიდან
თბ., 1981

წიგნის IV თავში — „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 70-იან წლებში“ — მკითხველი გაეცნობა აკაკი წერეთლის, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ნააზრევს არსებული პოლიტიკური ვითარების, ქვეყნის გათავისუფლების სტრატეგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

მკვლევარი დაწვრილებით მიმოიხილავს აკაკის პუბლიცისტურ წერილებს და მათში გამოთქმულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებს. განსაკუთრებით საყურადღებოდ მას 1876 წელს „დროების“ იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ფელეტონი — „ხარლამპიოს მოგონაკის წერილებიდან“ — მიაჩნია, რომელსაც ალეგორიის ბრწყინვალე ნიმუშად მიიჩნევს. ავტორი ეხება იდე-

ოლოგიურ ნიადაგზე აკაკის დაპირისპირებას ი. ჭავჭავაძესთან, ნ.ნიკოლაძესა და სხვა მოღვაწეებთან.

მ.კ.

ჩიქოვანი მ.

აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება
თბ., 1958

მონოგრაფია რვა თავისგან შედგება. პირველი თავი ეთმობა იმ გარემოს დახასიათებას, რომელშიც აღიზარდა ა. წერეთელი. ავტორი მიუთითებს, რომ პოეტზე დიდი გავლენა იქონია ხალხურმა შემოქმედებამ.

წიგნის შემდეგ თავებში ავტორი განიხილავს აკაკის ფოლკლორულ შეხედულებებს. აქ საუბარია თავად აკაკის შემკრებლობით საქმიანობაზე, გაანალიზებულია 1913 წლის 30 მარტს ალ. აბაშელის საღამოზე წაკითხული ლექცია, რომელიც მისი ნახევარსაუკუნოვანი დაკვირვების თეორიული განზოგადების მცდელობაა. გამოკვლევაში ფოლკლორული მასალა წარმოჩენილია, როგორც აკაკის შთაგონების წყარო თემატიკის, კომპოზიციის თუ მხატვრულ-სახეობრივი სისტემის თვალსაზრისით. შესწავლილია ფოლკლორული ელემენტები აკაკის ლირიკაში, დაძებნილია შესაბამისი პარალელები, საუბარია აკაკის მიერ თარგმნილ თუ ორიგინალურ იგავ-არაკებზე და მათ კავშირზე ხალხურ შემოქმედებასთან. ცალკე თავები ეთმობა აკაკის შემოქმედებაში მითოსური მასალის ასახვას. ტექსტის ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის, რომ აკაკი შესანიშნავად იცნობდა როგორც ქართულ, ისე ანტიკური ხანის ბერძნულ მითებსა და ლეგენდებს.

მ.კ.

ე) აკაკი და ქართული ენის საკითხი

დანელია კ.
აკაკი წერეთლის ნააზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე
წიგნში: ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან
ტ. II, „უნივერსალი", 2009

კრებულში შეტანილია ქართული სამწერლობო ენის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი წერილები და გამოკვლევები (ლექსიკა, ეტიმოლოგია, მწერლის ენა, მნიგნობრული სტილი, წერილობითი ძეგლების ენობრივი რაობა და ა. შ.). მათ შორისაა სტატია „აკაკი წერეთლის ნაზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე", რომელიც საგულისხმო დაკვირვებებს შეიცავს.

აკაკის არასოდეს დაუწერია სპეციალურ შრომა ენის საკითხებზე, მაგრამ ხშირად გამოუთქვამს სწორი და საყურადღებო აზრი ენის რაობასა და დანიშნულებაზე. აკაკის დაინტერესება ზოგადენათმეცნიერული საკითხებით ეროვნული მრწამსითაა მოტივირებული. მკვლევარი რამდენიმე ასპექტში განიხილავს აკაკის ენათმეცნიერულ ნააზრევს: 1. ენის ისტორია — ერის ისტორია და თავგადასავალია; 2. უმწერლობო ქართველური ენების როლი სალიტერატურო ქართულის გაძლიერების საქმეში; 3. სალიტერატურო ენის დიალექტებთან დამოკიდებულება; 4. მწერლისეული ეტიმოლოგიები; 5. სამწერლო ენის სიწმინდისათვის ბრძოლა; მკვლევრის აზრით, აკაკის ქართული ენის თვისობრივ გარდაქმნაში ისეთივე წვლილი მიუძღვის, როგორიც პუშკინს რუსულ სინამდვილეში.

კრებულს ერთვის კორნელი დანელიას შრომების ქრონოლოგიური ბიბლიოგრაფია (შემდგ.: ნანა დანელია).

ნ.ფ.

სანიკიძე თ.

აკაკი წერეთელი და ქართული ლექსიკის განვითარების საკითხები
თბ., 1984

ნაშრომში აკაკი წერეთელი მიჩნეულია ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ რეფორმატორად. ავტორი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნისთვის თითქმის არ არსებობდა ქართული სალიტერატურო ენა. მწერლები იყენებდნენ მოძველებულ, მძიმე ფორმებს. აკაკიმ მიზნად დაისახა ისეთი ენით ეწერა, რომელიც ხალხისთვის მისაღები და გასაგები იქნებოდა. მან ქართულ სიტყვებს შესძინა უბრალოება, სხვაგვარი ჟღერადობა და გამომხატველობა. აკაკის ენა გამოირჩევა თავისი გამჭვირვალობით, ლაკონიურობით, სიმარტივითა და მოქნილობით.

ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული აკაკის ლექსიკაში გამოყენებული სინონიმები, ანტონიმები, ანტონიმური კომპოზიტები, ეპითეტები, პარონიმები და სხვ. ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა აკაკის მიერ ლექსემის მნიშვნელობის ველის გაფართოების საკითხსაც.

მ.ა.

ძიძიგური შ.

აკაკი წერეთელი და ქართული ენა
წიგნში: ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა
თბ.,1971

ავტორი აკაკის მიიჩნევს ახალი სალიტერატურო ენის ერთ-ერთ თეორეტიკოსად და მისი დამკვიდრებისთვის მებრძოლ შემოქმედად. წერილში დაწვრილებითაა განხილული ის წანამძღვრები, რომლებსაც ეყრდნობოდა აკაკი ახალი სამწერლობო ქართულის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პროცესში.

მკვლევრის აზრით, აკაკის ლიტერატურული სტილის ნიშანდობლივი თვისება სწორედ ძალდაუტანლობაა. ხალხურ მეტყველებასთან, ზეპირსიტყვიერებასთან სიახლოვე გახდა პოეტის ენის მასაზრდოებელი წყარო. შ. ძიძიგური აღნიშნავს, რომ აკაკი ქართულს დიალექტური ფორმებით ამდიდრებდა, თუმცა, ამავდროულად, მისთვის მიუღებელი იყო სხვადასხვა კილოში დამკვიდრებულ ფორმათა სალიტერატურო ენაში მექანიკურად გადმოტანა.

პოეტი უარყოფდა არქაიზმებს, თუმცა ეს არ გულისხმობდა მისი მხრიდან ქართული სალიტერატურო ენის საღი ფორმების უგულებელყოფას. ავტორი ეხება აკაკის დამოკიდებულებას ქართულში ახალ სიტყვათა დამკვიდრებისადმი და ასკვნის, რომ, აკაკის აზრით, ხალხური მასალის გათვალისწინება ოდნავადაც არ ბღალავს ქართულ ლექსიკურ ფონდს, რაც ჩვენი ენის საოცარი სიმყარისა და მისი გრამატიკული წყობის დამსახურებაა.

მ.ა.

ჯორბენაძე ბ.

აკაკი წერეთელი და ქართული სალიტერატურო ენა
წიგნში: ბალავარი მწერლობისა
თბ., 1987

წიგნში განხილულია პოეტური ენისა და სტილის საკითხები. ზოგადი პრობლემები შესწავლილია დ. გურამიშვილის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, კ. გამსახურდიას, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის შემოქმედების მაგალითზე.

ნარკვევში „აკაკი წერეთელი და ქართული სალიტერატურო ენა“ ავტორი გამოკვეთს აკაკის მნიშვნელობას ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეში. მიიჩნევს, რომ აკაკი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ქართული სალიტერატურო ენის გასამდიდრებლად ქართველურ ენათა მონაცემები და კილო-კავებში გაბნეული ფორმები გაითვალისწინა. აკაკიმ ეტიმოლოგიური თუ ლექსიკოლოგიური ანალიზის გაკეთებაც სცადა. მას მყარად განსაზღვრული პოზიცია ჰქონდა მხატვრულ თხზულებათა ენის თაობაზეც. აქაც იგი ზუსტი გამოთქმების მომხრედ გვევლინება. ბ. ჯორბენაძე ასკვნის, რომ აკაკის არასოდეს უღალატია ერთხელვე არჩეული პრინციპისათვის და რომ დედაენის განვრცობა და გაძლიერება მისი შემოქმედების ბალავარი იყო.

მ.გ.

კიკნაძე ვ.

სივრცე თეატრისა
თბ., 1975

წიგნი სამი ნაწილისგან შედგება: „მწერალი და თეატრი“, რომელშიც ქართველი მწერლების შემოქმედებაზეა საუბარი; ეტიუდები, რომელშიც გამოჩენილ ქართველ მსახიობებზე არსებული მოგონებებია წარმოდგენილი და ნარკვევები, რომელიც მოიცავს წერილებს ლიტერატურისა და თეატრის შესახებ. წერილში „აკაკი წერეთელი“ ავტორი აფასებს აკაკის თეატრალურ ნააზრევს, მის მიერ ქართული თეატრის მიმართ გამოთქმულ შეფასებებს, ასევე, მის ინტერესს რუსული და უცხოური კლასიკური დრამატურგიისადმი, კერძოდ, ოსტროვსკისა და შექსპირისადმი. ავტორი ხაზს უსვამს აკაკის მოსაზრებას ქართული თეატრის განვითარების პერსპექტივის შესახებ და გამოკვეთს მის შეფასებას თეატრის მიერ საზოგადოებაში ოპტიმისტური განწყობილების დანერგვასთან დაკავშირებით.

ა.ფ.

რადიანი შ.

აკაკი წერეთელი და ქართული თეატრის პრობლემები
თბ., 1958

ნარკვევი შედგება შესავლისა და სამი ნაწილისაგან. შესავალში ავტორი საუბრობს 60-იანელთა და კონკრეტულად აკაკის ღვაწლზე ახალი ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრების საქმეში.

ქვეთავში — აკაკი წერეთლის ლიტერატურული შეხედულებანი — გამოკვეთილია პოეტის თეორიულ-ესთეტიკური მრწამსი, რომლის მთავარი პრინციპი მხატვრული რეალიზმის აპოლოგიაა. ქვეთავში — რეალისტური თეატრალური ხელოვნებისათვის — წარმოდგენილია სასცენო ხელოვნების აკაკის მიერ შემუშავებული თეორია; ხოლო ნაკვეთში — აკაკი წერეთლის დრამატურგია — მიმოხილულია აკაკის ჟანრობრივად მრავალფეროვანი დრამატურგიული მემკვიდრეობა (დრამატული პოემები, დრამები, კომედიები, სცენები); ავტორი ეხება არა მარტო ორიგინალურ, არამედ თარგმნილ და გადმოკეთებულ პიესებსაც. ნარკვევს აგვირგვინებს მკვლევრის დასკვნა: თავისი კომედიებითა და დრამებით ა. წერე-

თელს საპატიო ადგილი უჭირავს ქართული დრაატურგიის ისტორიაში და მის ქმნილებათა უმრავლესობას დღესაც არ დაუკარგავს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა.

ნ.ფ.

ხუციშვილი ს.
აკაკი წერეთელი – ქართული თეატრის ისტორიკოსი
წიგნში: ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები
თბ., 1969

წიგნში განხილულია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის, ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის მნიშვნელოვანი საკითხები. მოცემულია: ბოსლეველის, ა. ცაგარლის, გ. თუმანიშვილის, ვ. მიქელაძის, ს. დოდაშვილისა და სხვათა შემოქმედებისა და საზოგადოებრივი ღვანლის ანალიზი. წერილში „აკაკი წერეთელი — ქართული თეატრის ისტორიკოსი“ — ავტორი საუბრობს აკაკი წერეთლის მიერ შეტანილ წვლილზე ქართული თეატრის განვითარებაში. ს. ხუციშვილი ასახელებს იმ მსახიობებს, რომელთა სცენაზე გამოსვლაც აკაკის სახელს უკავშირდება. ავტორი საუბრობს აკაკის ინტერესზე რუსული და უცხოური დრამატურგიის მიმართ; მკვლევარი აკაკის ქართული თეატრის ისტორიკოსს უწოდებს, რადგან ის ამ უკანასკნელის განვითარების უშუალო თვითმხილველად მიაჩნია.

ა.ფ.

ზ) ლიტერატურული ურთიერთობები

ბურჯანაძე ქ.
მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის
ისტორიის საკითხები
თსუ, 1992

ნაშრომის მიზანია გვიჩვენოს ქართული მხატვრული თარგმანის განვითარების გზა, წარმოგვიდგინოს თარგმანის თეორიის შესახებ შექმნილ თხზულებათა ანალიზი თარგმანის თანამედროვე თეორიის ჭრილში.

წიგნის შედგება წინასიტყვაობის, შესავალი წერილისა და 5 თავისაგან. მესამე თავში — XIX ს. 60-იანი წლების მთარგმნელობითი

საქმიანობა და ქართველი სამოციანელები — ორი ქვეთავი ეძღვნება აკაკი წერეთელს: ა. წერეთელი თარგმანის შესახებ და ა.წერეთლის თარგმანი.

პირველ წერილში მკვლევარი მიმოიხილავს აკაკის მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმულ შეხედულებებს მხატვრული თარგმანის მნიშვნელობის, მასალის შერჩევის პრინციპებისა და თარგმანის შესრულების მეთოდოლოგიის შესახებ; მეორე წერილში კი შეფასებულია აკაკის მიერ თარგმნილი ტექსტები (დრამატურგია, ლირიკა, იგავ-არაკები); საინტერესოა, რომ მკვლევარი წარმოადგენს პარალელურ ტექსტებს, რითაც მკითხველს საშუალებას აძლევს, თვალნათლივ დარწმუნდეს აკაკის, როგორც მთარგმნელის, ოსტატობაში.

ნ.ფ.

ნიკოლეიშვილი ა.

ებრაული თემა ქართულ მწერლობაში

ქუთაისი, 2008

წიგნში საუბარია ებრაული საკითხისადმი ქართველ მწერალთა დამოკიდებულების არსზე. წიგნის რედაქტორები არიან ს. სიგუა და რ. ენუქაშვილი (ენოქი. ისრაელი). მასში განხილულია ებრაული თემა ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის, დ. კლდიაშვილის, მ. ჯავახიშვილის, ნ. ლორთქიფანიძისა, ტ. ტაბიძის და სხვათა შემოქმედებაში. წიგნს ახლავს ავტორის შესავალი წერილი.

ნარკვევში „აკაკი წერეთელი“ ავტორი საუბრობს აკაკის თბილ დამოკიდებულებაზე ებრაელების მიმართ, განიხილავს ამ კეთილგანწყობის მიზეზებს, კერძოდ, ებრაელი ხალხის ნიჭიერებასა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. ავტორი აანალიზებს აკაკის განსაკუთრებულ დაინტერესებას ებრაული საკითხებით, ასევე საუბრობს მწერლის მიერ ებრაელ და ქართველ ხალხს შორის დანახულ მსგავსებაზე; ასახელებს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც მას ებრაულ თემაზე აქვს შექმნილი. ა. ნიკოლეიშვილი წერილის დასკვნით ნაწილში კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მწერლის ებრაული თემით დაინტერესებას და აკაკის ქართულ ლიტერატურაში მკვეთრად გამოხატული სახასიათო ნიშან–თვისებებით აღბეჭდილ ქართველ ებრაელთა ლიტერატურული სახეების შექმნის ფუძემდებელს უწოდებს.

ა.ფ.

ი.ა. კრილოვი ქართულ ლიტერატურაში
თბ., 1945

წიგნი შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან. პირველ თავში საუბარია მწერლის ბიოგრაფიაზე. მეორე და მესამე თავებში ავტორი აფასებს გრ. ორბელიანსა და რ. ერისთავს, როგორც კრილოვის მთარგმნელებს. ქვეთავში „აკაკი წერეთელი, როგორც კრილოვის მთარგმნელი" ავტორი საუბრობს აკაკის თარგმანებზე, თარგმნის პროცესთან დაკავშირებულ სირთულეებსა და თარგმანის ხასიათზე. ავტორი საუბრობს იმ შინაარსობრივ ცვლილებებზე, რომლებიც ამ არაკების ქართულ სინამდვილეზე მორგების მიზნით განახორციელა აკაკიმ. ავტორი განიხილავს იგავების თემატიკას და ადარებს მათ ორიგინალს. ნაშრომში ავტორი აანალიზებს იგავების შემოკლების და მათი გავრცობის მიზეზებს, ხაზს უსვამს ა. წერეთლის ოსტატობას კრილოვისეულ იგავ-არაკთა რეზიუმეების თარგმნაში და ყურადღებას ამახვილებს თარგმანებში არსებულ ხარვეზებზე.

წიგნში განხილულია არაკთა სალექსო წყობა და საზომები; წერილის დასკვნით ნაწილში ავტორი თეზისურად წარმოგვიდგენს იმ ძირითად მოსაზრებებს, რომლებიც წიგნშია გაანალიზებული.

ა.ფ.

თ) საიუბილეო კრებულები

აკაკის საიუბილეო კრებული
მ.დ. კიკნაძის სტამბა
ტფ., 1908

კრებული გამოსცა აკაკის საიუბილეო კომიტეტმა. მასში შესულია ია ეკალაძის, ა. ცაგარლის, ა. ხახანაშვილის, ი. ფანცხავას, სვ. ყიფიანის, ა. ერისთავი-ხოშტარიას, ი. გოგებაშვილის, ს. მერკვილაძის, ივ. ბუქურაულის წერილები, სიტყვები და მოგონებები. ასევე, პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები, რომელთა ავტორები არიან: თ. რაზიკაშვილი, კორტოხა, დ. თომაშვილი, დუტუ მეგრელი, ცენტერაძე, ი. ევდოშვილი, ა. შანშიაშვილი, დარია, ვ. რუხაძე, შ. ნავთლუღელი, გ. ნუციძე, ლ. კატოძე, შ. მღვიმელი, ი. მჭედლიშ-

ვილი, კ. გულიაშვილი, ი. წერეთელი, კ. კვინიხიძე, კ. მაყაშვილი, პასიკო ლორ-ი, გიორგი ქიზიყელი.

ნ.ფ.

აკაკი წერეთელი
საიუბილეო კრებული დაბადების 100 წლისთავისათვის
თსუ, 1940

კრებული, რომელიც აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, ორი განყოფილებისგან შედგება: წერილები და მოგონებები;

პირველ ნაწილში 23 ნარკვევია დაბეჭდილი. კრებულს ხსნის დ. ყიფშიძის წერილი „ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი“; აქვეა წარმოდგენილი გ. ტაბიძის ლექსი „აკაკი წერეთელი“. მიხ. ზანდუკელი ვრცელ ნარკვევში „აკაკის ლირიკა“ მიმოიხილავს არა მარტო აკაკის ლექსების თემატიკას, არამედ საუბრობს იმ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზე, რომელთა უბადლო ოსტატიც იყო აკაკი. ს. ჭილაია კი წერილში „აკაკის პროზა“ საუბრობს ისტორიზმის გამოვლენის პრინციპზე, თხრობის პოეტურ სტილზე, ზღაპრულ ელემენტებზე, ტიპის ხატვის მეთოდზე, მოულოდნელობის ეფექტსა და სხვა ხერხებზე, რომელთა ერთობლიობაც აკაკის პროზას განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს. ამავე ნაკვეთში წარმოდგენილი მიხ. ზანდუკელის კიდევ ერთი სტატია — „აკაკი წერეთელი როგორც პუბლიცისტი“. მასში გაანალიზებულია თეგდალეულთა და კონკრეტულად აკაკის დამსახურება ქართული პუბლიცისტური აზროვნების განვითარებაში. აკ. კენჭოშვილის წერილში „აკაკი წერეთლის მხატვრული პროზის კომპოზიცია“ შემოთავაზებულია საინტერესო დაკვირვებები პროზაული ტექსტის აგების აკაკი წერეთლისეულ ორიგინალურ მანერაზე. კრებულში ასევე გაეცნობა მკითხველი აკ. ავალიშვილის, ს. ხუციშვილის, შ. რადიანის, კ. კეკელიძის, ლ. მელქისეთ-ბეგის, დ. გამეზარდაშვილის, მაქს. ბერძენიშვილის, ქს. სიხარულიძის, აპ. მახარაძის და სხვათა წერილებს;

კრებულის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ი. გრიშაშვილის, ფ.გოკიელის, ს. ჭოლოშვილის და ი. ელიაშვილის მოგონებები.

კრებულის რედაქტორია თსუ რექტორი, დ. ყიფშიძე, ხოლო სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: მიხ. ზანდუკელი, დ. უზნაძე, დ. ყიფშიძე, ს. იორდანიშვილი და ვ. მიქაძე.

ნ.ფ.

აკაკი წერეთელი 150
საიუბილეო კრებული
თსუ, 1993

წიგნში, რომელიც პოეტის დაბადების 150-ე წლისთავს მიეძღვნა, 15 ნარკვევია დაბეჭდილი. მათში გაშუქებულია აკაკის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი.

ბ. ჯორბენაძე წერილში „დედაენის მოამაგე" საუბრობს აკაკის ენის სპეციფიკაზე, მის ღვაწლზე ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში; ასევე, ღირსსაცნობად მიიჩნევს აკაკის საკუთრივ ენათმეცნიერულ დაკვირვებებს; სტატიის ბოლოს, იმის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად, თუ რაოდენ ჰგავდა ენის საკითხში ერთმანეთს XIX საუკუნის მოღვაწეთა პოზიცია, მკვლევარი აკაკის გამონათქვამებთან ერთად გვაცნობს ამონარიდებს ი. ჭავჭავაძის, დ. ყიფიანის, გრ. ორბელიანის, პ. მირიანაშვილის ნაწერებიდან.

ვ. ვახანია წერილში „აკაკი წერეთელი პოეტი როლისა და დანიშნულების შესახებ" მიმოიხილავს პოეტის შემოქმედებას და ასკვნის, რომ მას 60-იანი წლების იდეური პოზიციებიდან აქვს გაშუქებული შემოქმედისა და სინამდვილის ურთიერთობის პრობლემა, რაც აკაკის რეალიზმის ერთ-ერთ დიდ თეორეტიკოსად წარმოგვიდგენს.

კ. მეძველია ნარკვევში „აკაკი წერეთლის ორი ბიოგრაფიული თარიღი (1908; 1915) ქუთაისის საარქივო მასალების მიხედვით" გადმოგვცემს, თუ რაგვარი დაბრკოლებების გადალახვა დასჭირდათ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, რათა აკაკის იუბილე აღენიშნათ და რა აკრძალვები დააწესეს ცარიზმის ბიუროკრატმა მოხელეებმა; აქვეა მასალა იმის შესახებ, თუ როგორ გამოხატა ქუთაისის ინტელიგენციამ აკაკის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება.

პ. კეკელიძე თავის ნარკვევში „აკაკი წერეთლის ისტორიულ-დრამატული პოემის „თამარ ცბიერის" ქუთათური ხელნაწერი და თხზულების კანონიკური ტექსტი", მოცემულია ქუთაისში გამოვლენილი ტექსტის ტექსტოლოგიური აღწერა და ანალიზი; აქვეა დაბეჭდილი მკვლევრის მიერ აღდგენილი კანონიკური ტექსტი.

ს. ხუციშვილი სტატიაში „აკაკი წერეთლის რუსული ნაწარმოებები" აღნიშნავს, რომ პოეტის მიერ შექმნილი რუსულენოვანი

თხზულებების მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილია დაბეჭდილი აკადემიური გამოცემის (თხუთმეტ ტომად) ბოლო ტომში. მეცნიერის აზრით, ცხადია, პოეტის რუსულენოვანი ნაწერები მხატვრული ღირსებით ჩამოუვარდებიან ქართულ ენაზე შექმნილთ, მაგრამ ეს მათ მნიშვნელობას ოდნავადაც არ აკნინებს. მეცნიერი მიმოიხილავს ამ პუბლიკაციათა თემატიკას და დამატების სახით აქვეყნებს აკაკის რუსულენოვან მოთხრობას „О шести фонарях грд. Эа на Фазисе“.

კრებულში დაბეჭდილია სხვა საინტერესო ნაშრომებიც, კერძოდ: ი. ბერაძის „ერის ინტერესებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი“, თ. ახვლედიანის „ამირანის სახისთვის აკაკი წერეთლის შემოქმედებაში“, ნ. მესხიას „ისტორია და აკაკი წერეთელი“, მ. ქაჯაიას „აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მუშაობის ერთი ნიშანი“, აკ.ხინთიბიძის „აკაკის ვერსიფიკაციის შესწავლის ისტორიიდან“, ს. ყუბანეიშვილის „აკაკი წერეთლის ლირიკის თავისებურებანი“, დ. თუხარელის „აკაკი წერეთლის შემოქმედების ერთი ასპექტის შესახებ“, ლ. გრიციკის „სათაურები შემდგარი და არშემდგარი შეხვედრებისა“, ქ. ბურჯანაძის „აკაკის მთარგმნელობითი პრინციპი“, ნ. კაპანაძის „ფონეტიკური ანალიზი და სიმბოლიკა ფრანგულ თარგმანში“.

კრებულის რედაქტორია თ. კიკაჩეიშვილი.

ნ.ფ.

ი) კრებულები

აკაკი კრებული — I
აკაკი წერეთლის კაბინეტი
თსუ, 1999

კრებული შედგება 6 განყოფილებისაგან. წიგნს წინ უძღვის პროფ. ი. ევგენიძის წერილი — აკაკი წერეთელი თანამედროვეობის კონტექსტში, რომელიც არის ერთგვარი მცდელობა, წარმოაჩინოს, ერთი მხრივ, აკაკი წერეთლის მიმართება თანამედროვეობასთან და, მეორე მხრივ, აჩვენოს მისი ნააზრევის სადღეისო აქტუალურობა.

I. კრებულის პირველ ნაკვეთში იბეჭდება აკაკი წერეთლის გამოუქვეყნებელი პირადი წერილები და მივიწყებული პუბლიკა-

ციები. კერძოდ, პირადი წერილები ივ. გვარამაძისადმი და აკაკის მიერ გაზ. „თეატრში“ (№8, №10) დაბეჭდილი სტატია „წერილები ჩვენს მწერლობაზე“. ი. ევგენიძის ბოლოსიტყვაობაში მოცემულია ამ წერილების ანალიზი. აქვეა ლ. ჭრელაშვილის წერილი „ატრიბუციის ზოგიერთი საკითხი“ (აკაკი წერეთლის უცნობი ნაწერები და მივიწყებული პუბლიკაციები).

II. განყოფილებაში — აკაკი წერეთელი ქართველ პოეტთა თვალთახედვით — დაბეჭდილია ტ. ჭანტურიას და დ. წერედიანის ნარკვევები. მათში საგულისხმო კუთხითაა დანახული აკაკის ლირიკის თავისებურებები.

III. განყოფილებაში — კვალი ნათელი — წარმოდგენილია გრ. კიკნაძის წერილი — „ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პედაგოგიური თვალსაზრისით შესწავლისათვის“.

IV. განყოფილებაში — ნარკვევები და სტატიები — მასალა სამ ქვეგანყოფილებადაა წარმოდგენილი; პირველში ლ. მინაშვილის, ე. ხინთიბიძის, თ. კიკაჩეიშვილის, თ. ჯოლოგუასა და სხვათა საინტერესო ნარკვევებია წარმოდგენილი; მეორეში — ბ. უტიეს, ლ.გრიციკის, ვ. იმნაიშვილის და ა.შ. წერილებში ნაჩვენებია აკ.წერეთლის მიმართება ფრანგულ, უკრაინულ და ა. შ. სინამდვილესთან. მესამე განყოფილებაში კი ლ. ნურწუმიას, გ. ჯულაყიძის და რ. გახოკიძის წერილებში მკითხველი გაეცნობა აკაკის ესთეტიკურ-ანთროპოლოგიურ ხედვას, მის წარმოდგენას ბიზნესის განვითარების შესახებ და აკაკის ღვაწლს მანგანუმის ათვისების საქმეში ქიმიკოსის თავლთახედვით.

V. ნაკვეთში — დოკუმენტები, მასალები - მოცემულია აკაკის შესახებ შ. ბარამიძისა და ნ. ტალახაძის მიერ მოძიებული და შეკრებილი მოგონებები;

VI. ბოლო ნაკვეთში — ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები — მ.ვარსიმაშვილის, ნ. ფრუიძის, ფ. მეტრეველისა და ნ. ოზბეთელაშვილის წერილებში საუბარია აკაკის ლირიკის გრ. რობაქიძისეულ შეფასებაზე, აკაკის „ლეგენდის“ სახელწოდებით ცნობილ პროზაულ თხზულებათა და ზოგადად პროზის სპეციფიკის შესახებ; ასევე, გამოვლენილია ქრისტიანული მოტივები „თორნიკე ერისთავის ტექსტში“.

ნ.ფ.

აკაკი კრებული II
აკაკი წერეთლის კაბინეტი
თსუ, 2005

კრებული 7 განყოფილებისაგან შედგება. პირველ ნაწილში იბეჭდება აკაკის ახლად გამოვლენილი ნაწერები, კერძოდ, ლექსები, 11 პუბლიცისტური და 3 პირადი წერილი. ნაკეთს ასრულებს ნ. ფრუიძის წერილი „ზოგიერთი რამ აკაკი წერეთლის ახლად გამოვლენილ ნაწერთა შესახებ“.

წიგნის მეორე ნაწილში — აკაკი წერეთელი ქართველ მწერალთა თვალთახედვით“ — დაბეჭდილია კ. გამსახურდიას ლექსები, ტ. ტაბიძის, ნ. მიწიშვილის, ო. იოსელიანის, ფ. ხალვაშის და მ.ქურდიანის წერილები.

მესამე ნაწილში — ნარკვევები და წერილები — გამოქვეყნებულია ი. ევგენიძის, ლ. მინაშვილის, თ. კიკაჩეიშვილის, გრ. ფარულავას, ნ. ფრუიძის, თ. შარაბიძის, ლ. ფერაძის და სხვათა საინტერესო ნაშრომები;

მეოთხე ნაწილში — აკაკი უცხოელთა თვალით — დავით აგმონის, ალ. მანველიშვილისა და პერევისელის (გ. წერეთელი) წერილების გვერდით წარმოდგენილია ბულგარელი ფილოსოფოსის, გ. გაჩევის, უაღრესად საინტერესო წერილის - რუსული ეროსი — თარგმანი (თარგმნეს ნ. ფრუიძემ და ტ. მოსკალენკომ), რომელშიც ავტორი მსჯელობს აკაკი წერეთლის „ჩემს თავგადასავალში“ მოთხრობილი გაძიძავების ტრადიციის მნიშვნელობაზე.

მეხუთე ნაკვეთში მოცემულია მეცნიერების სხვა სფეროთა წარმომადგენლების — რ. გახოკიძის, რ. გამყრელიძისა და გ. ჯუღაყიძის ნარკვევები.

მეექვსე ნაწილში — აკაკი წერეთელი კინოხელოვნებასა და თეატრალურ სამყაროში — დაბეჭდილია ბ. ევგენიძის წერილი, რომელშიც აკაკის ქმნილებების კინოეკრანიზაციისა თუ სასცენო ვერსიების შესახებაა საუბარი; აქვეა დ. სილაგაძის მომზადებული ბიბლიოგრაფიული მასალა თემაზე „აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი“.

კრებულის მეშვიდე, ბოლო ნაწილი ეთმობა ახლად გამოვლენილ მასალას. აქ მკითხველი გაეცნობა ა) შ. ბარამიძისა და ნ. ფრუიძის მიერ შეგროვებულ მოგონებებს აკაკიზე; ბ) ქრონიკა-ინფორმაციებს.

ნ.ფ.

კ) თემატური კრებულები

აკაკი წერეთელი რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში
(შემდ.: მ. გოშაძე), თსუ, 1985

კრებულის რედაქტორები არიან პრ. კეკელიძე და ს. ხუციშვილი. ნაშრომს წინ უძღვის შემდგენლის წინასიტყვაობა, რომელშიც დასაბუთებულია ამგვარი კრებულის შექმნის მიზნობრივობა. მკვლევარი მიუთითებს: „რაოდენ მცდარიც არ უნდა იყოს რევოლუციამდელ ქართველ კრიტიკოსთა ზოგიერთი მოსაზრება აკაკი წერეთლის შემოქმედების ამა თუ იმ საკითხზე, მათ იმდენი პრობლემა აღძრეს და წამოჭრეს, უდავოდ დიდი სამსახური გაუწიეს დღევანდელ კალმოსნებს“.

წიგნში თავმოყრილია ყველაზე არსებითი ამონარიდები 100 ავტორის ნაშრომიდან, მათ შორის: გ. ბართაშვილის, გ. წერეთლის, ან. ფურცელაძის, ს. მესხის, დ. აბდუშელიშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა.ლაისტის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ზ. ჭიჭინაძის, ლ. ბოცვაძის, კ. აბაშიძის, ალ. ხახანაშვილის, ს. დადიანის, ივ. გომართლის, ფ. მახარაძის, ს. გერსამიას, ალ. ჭიჭინაძის, ე. თაყაიშვილის, იპ. ვართაგავას, ვ. კოტეტიშვილის, შ. დადიანის, პ. ინგოროყვას და სხვათა.

კრებულს ახლავს პირთა ანბანური საძიებელი და კომენტარები, რომელშიც მითითებულია, თუ სად და როდის დაიბეჭდა თითოეული ნარკვევი. ამასთან, შემდგენელნი გარდა ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნებისა, მოკლე ინფორმაციასაც გვაწვდიან კრიტიკოსთა შესახებ.

ნ.ფ.

სანიკიძე თ.

აკაკის პოეზიის სიხშირის ლექსიკონი
წიგნი I, ა-მ
თბ., 1982

ლექსიკონში თავმოყრილია აკაკი წერეთლის პოეტური ენის სიტყვიერი მასალა, რომელიც დალაგებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს დიდი შემოქმედის სიტყვათქმნადობის უნარს. შემდგენელი ეყრდნობა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 15 ტომად გამოცემულ აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის მონაცემებს.

ლექსიკონის შემდგენლის მიზანი იყო, გამოევლინა რაც შეიძლება მეტი სალექსიკონო ერთეული (თითოეული სიტყვის გასწვრივ ფრჩხილებში ჩასმული ციფრი მიუთითებს ერთეულის გამოყენების სიხშირეს). ლექსიკონი აგებულია განმარტებითი, სიხშირისა და სიმფონია-ლექსიკონების პრინციპით და სრულიად განსხვავდება აქამდე არსებულთაგან.

ლექსიკონში წარმოდგენილია ყველა ტიპის ლექსიკური ერთეული: დიალექტური ფორმები, უცხო სიტყვები, გეოგრაფიული და საკუთარი სახელები. ლექსიკონის შემდგენელია თ. სანიკიძე, რედაქტორი — შ. ძიძიგური.

ნ.ფ.

სანიკიძე თ.

აკაკის პოეზიის სიხშირის ლექსიკონი;
წიგნი I, ნ-ჰ
თბ., 1983

ლექსიკონის მეორე ტომს ახლავს შემდგენლის ბოლოსიტყვა, რომელშიც ერცლადაა საუბარი ლექსიკონის შედგენილობისა და დანიშნულების შესახებ. რაკი წიგნის შექმნის მიზანი იყო პოეტის სიტყვათქმნადობის უნარის სრულად გამოვლენა, შემდგენელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ მიუნიჭებია, ფორმა გრამატიკულად მართებული იყო თუ არა. მეცნიერის დაკვირვებით, იმერიზ-

მების ხმარება უფრო ხშირია პუბლიცისტიკაში, ვიდრე პოეზიასა და პროზაში.

აკაკი ხშირად შეგნებულად ხმარობს დიალექტურ ფორმას, რადგან იგი „განსპეტაკებულ პროვინციალიზმად და დედაენის თანახმად აღმოცენებულად" მიაჩნია. დასტურდება ე.წ. ტერმინოლოგიური ლექსიკაც. კრებულში ბევრი ისეთი სიტყვაა, რომელიც არ შედის არნ. ჩიქობავას „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" (მარტო ან-ზე 122 ასეთი სიტყვაა), მათგან ბევრი თავად აკაკის შექმნილია (მაგ.: აძირტკბილებს, აცხვირული და ა. შ.);

დასასრულ, შემდგენელი ვარაუდს გამოთქვამს, რომ აკაკის ლექსიკონში 6000-მდე სიტყვა აღმოჩნდება, თუკი ამაგვარადვე იქნება შესწავლილი პოეტის პროზაც.

ნ.ფ.

მ) მოგონებები

დადიანი შ.

აკაკი. მოგონებები
თბ., 1948

წიგნში ავტორი იხსენებს თავისი ცხოვრების იმ ეპიზოდებს, რომლებიც აკაკი წერეთელთანაა დაკავშირებული. აკაკი ახლოს იყო შალვას მამასთან, ნიკო დადიანთან. იგი სხვა მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად იღებდა მონაწილეობას „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, რამაც ხელი შეუწყო აკაკისთან დაახლოებას. სწორედ ამ გარემოების წყალობით ახსოვს შალვა დადიანს აკაკი ადრეული სიყრმიდან. საყურადღებოა მოგონებების ის ნაწილი, რომელშიც აკაკის შემოქმედებითი მუშაობის მანერაზეა საუბარი. აქვეა მოცემული აკაკის დამოკიდებულება ქართული თეატრის, რეჟისორების, ახალგაზრდა მსახიობების და სხვა საკითხების მიმართ.

საზოგადოებაში გავრცელებულ მცდარ მოსაზრებას, რომ თითქოს აკაკი ხელაღებით უარყოფდა ბანკის მნიშვნელობას, ნიადაგს აცლის მოგონებების ის ნაწილი, რომელშიც ავტორი დეტალურად იხსენებს, თუ რა განაცხადა აკაკიმ ბანკის სიკეთისა და ილიას ღვაწლის შესახებ.

საგულისხმო მასალას შეიცავს მოგონებები აკაკის იუბილეს შესახებ; ბევრია სახუმარო და კურიოზული შინაარსის ფაქტი პოეტის ცხოვრებიდან.

ნ.ფ.

მეუნარგია ი.

სამახსოვრო ფურცლები აკაკის შესახებ
წიგნში: ქართველი მწერლები, წ. I
თბ., 1957

იონა მეუნარგიას სურვილი ჰქონია, დაეწერა აკაკის ბიოგრაფია, ამიტომ ყველაფერს, რასაც აკაკი ამბობდა ან მის შესახებ ამბობდნენ, უბის წიგნაკებში იწერდა. აღნიშნული წერილი იონა მეუნარგიას უბის წიგნაკში შემონახული ჩანაწერებია. იგი პოეტის შესახებ ბევრ უცნობ დეტალს შეიცავს.

ავტორი გაკვრით ახასიათებს აკაკის შემოქმედებას და ყველაზე მაღალ შეფასებას ლექსებსა და მახვილსიტყვაობას აძლევს: „ლექსში კიდევ ჰყავს აკაკის ბადალი, მაგრამ მახვილსიტყვაობაში, იუმორში, ან როგორც ის თარგმნის ამ სიტყვას, ხუმრობაში, იმას სწორი არა ჰყოლია და არცა ჰყავს ქართულ მწერლობაში“, — წერს ავტორი. აკაკი შედარებულია ჰაინესთან და ჰიუგოსთან.

მოგონებები საინტერესოა ერთი დეტალითაც. ავტორს მასში ჩაურთავს ის კითხვები, რომლებიც 70-იანი წლების პარიზელთა საოჯახო ალბომებში იყო ჩაწერილი სტუმრის თავშესაქცევად. იონა მეუნარგიას ეს წესი საქართველოშიც გადმოუღია, მაგრამ არა შესაქცევად, არამედ მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი საინტერესო დეტალის გამოსავლენად. კითხვები („მე ვკითხე აკაკის“) დაწერილია იონა მეურანგიას ხელით, პასუხები კი („იმან მიპასუხა“) მიწერილია აკაკის ხელით.

ე.ზ.

მანსვეტაშვილი ი.

მოგონებანი, ნახული და გაგონილი
თბ., 1936

იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებები მრავალმხრივაა საინტერესო. ძირითადად ასახავს XIX საუკუნის 70-80 წ.წ., ანუ იმ დროს, როცა უკვე გაღვიძებული საზოგადოებრივი აზრი შეუჩერებლად

იწყებს განვითარებას. ავტორი პირადად იცნობდა აკაკის, ამიტომ საინტერესოა მისი მოგონებანი როგორც, ერთი მხრივ, მოვლენათა უშუალო მოწმისა, ისე — გონიერი, დაკვირვებული საზოგადო მოღვაწისა.

წიგნში მოხმობილია მდიდარი ფაქტობრივი მასალა. მოთხრობილია ე.წ. „ბანკოვიადას“ ისტორია; ილიასა და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან აკაკის ურთიერთობის ამსახველი ამა თუ იმ თვალსაზრისით საინტერესო ეპიზოდი.

ავტორისათვის ილია და აკაკი განუყრელნი არიან, თუმცა მათი შედარება უადგილოდ მიაჩნია. ის აფასებს აკაკის შემოქმედების ხასიათს, გვესაუბრება წერის მისეულ მანერაზე; ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, ავტორის ცნობები დაუდასტურებელი და მიუღებელიც იყოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკაკის ბიოგრაფიის შესწავლით დაინტერესებული ადამიანი მასში საგულისხმოს ბევრს ამოიკითხავს.

წიგნს უძღვის ლ. ასათიანის წინასიტყვაობა.

ნ.ფ.

იმედაშვილი ი.

ჩემი ცხოვრების წიგნი
თბ., 1978

წიგნის ერთ-ერთ ქვეთავში – აკაკი წერეთელი – წარმოდგენილია მოგონება დიდ პოეტზე. ავტორი წერს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ორი ხატება ჩაესვენა ღრმად გულში: აკაკი და ილია. შემდეგ იგი წარმოაჩენს პოეტის პიროვნების რამდენიმე საინტერესო შტრიხს და მოგონებებს ამგვარად ასათაურებს: აკაკი და შოთა; ჩემი ჟურნალის მზე; უანგარობა; სიღარიბე; რწმენა; წამქეზებელი; უგვირგვინო მეფე; სარწმუნოება, ეროვნება და სიყვარული; ნატვრა-ნაღველი; ყვავილ-ბარდი; .ჩონგური; მამულიშვილობის მოციქული.

ყოველი მოგონება აკაკის ამა თუ იმ პიროვნულ და მამულიშვილურ ღირსებას გამოკვეთს, მათ შორის, პოეტის საოცარ უბრალოებასა და უშუალობას.

ჯ.გ.

კრებული „მოგონებები აკაკიზე"
თბ., 1990

კრებული აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად მომზადდა. შემდგენლები არიან შ. ბარამიძე და ა. ლომიძე.

კრებულში წრმოდგენილია აკაკის თანამედროვე ქართველი მწერლების, თეატრალური და საზოგადო მოღვაწეების, პოეტის ახლო ნათესავების, მეგობრებისა და თანასოფლელების მოგონებანი. ეს მასალა მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის პოეტის პიროვნების, მისი მსოფლმხედველობის შესახებ.

კრებულს უძღვის შ. ბარამიძეს მოკლე წინასიტყვაობა, რომელშიც შემდგენელი საუბრობს წიგნის შექმნის მიზანსა და მასალის შერჩევის პრინციპებზე. მოგონებები ხშირ შემთხვევაში შემოკლებული სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ სარჩევში თითოეული მათგანის წყაროა მითითებული.

კრებულში მკითხველი მართლაც მრავალფეროვან და საინტერესო მასალას გაეცნობა: აქ ნახავთ ალ. აბაშელის, კოკი აბაშიძის ლ. გოთუას, შ. დადიანის, ი. ელიაშვილის, გ. და სპ. ზაბახიძეების, ე.თაყაიშვილის, ნ. კეცხოველის, ა. იურკევიჩის. ი. იმედაშვილის, ს.კლდიაშვილის, ა. ლაისტის, ნ. ლორთქიფანიძის, მიტ. ლაღიძის, ი.მეუნარგიას, გრ. რობაქიძის, გ. ტაბიძის, თ. სახოკიას, ი. ფანცხავას, აკ. შანიძის, ვარინკა წერეთლის და სხვათა მოგონებებს.

წიგნი განკუთვნილია მასობრივი მკითხველისათვის და, ამდენად, მას არ ახლავს საძიებლები და შენიშვნები.

ნ.ფ.

სახოკია თ.

ჩემი საუკუნის ადამიანები
თბ., 1984

წიგნი (რედ.: ს. ხუციშვილი, შესავალი წერილის ავტორი: ს. ცაიშვილი.) ოთხი ნაწილისგან შედგება. ავტორი XIX საუკუნეში მოღვაწე გამოჩენილ პიროვნებებზე (დ. ყიფიანი, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. ჭალადიდელი, ა. ყაზბეგი, ა. სარაჯიშვილი, ე. გაბაშვილი, ნ. ლომოური, ა. ლაისტი, თ. ჟორდანია, ვ. ბარნოვი, მ. თამარაშვილი, გ. ყიფშიძე, ე. ნინოშვილი, ვაჟა-ფშაველა, დ. კლდიაშვილი და სხვანი) საუბრობს. ცხადია, მათ შორისაა აკაკი წერეთელიც.

წერილი „აკაკი წერეთელი" ორი ქვეთავისგან შედგება. პირველ ქვეთავში ავტორი საუბრობს აკაკის თბილისში მოღვაწეობაზე და ყურადღებას ამახვილებს მისი ცხოვრების რამდენიმე დეტალზე; იხსენებს მასთან შეხვედრის ისტორიას. მეორე ქვეთავში კი საუბარია აკაკის პირველ ვიზიტზე პარიზში, მის შთაბეჭდილებებსა და სურვილზე, გასულიყო პარიზიდან ევროპის სხვადასხვა ქალაქში და მოენახულებინა იქ მცხოვრები ქართველები.

წიგნს ერთვის შენიშვნები და პირთა საძიებელი.

ა.ფ.

პირთა საძიებელი

აარონი 92
აბაშელი ალექსანდრე 86
აბაშიძე ეკატერინე 11
აბაშიძე ვასო 23
აბაშიძე ივანე 11
აბაშიძე კიტა 62, 216
აბზიანიძე გიორგი 21, 27, 217
აბზიანიძე ზაზა 9
აბიხი გ. 229
ადანი 124
ავალიშვილი ნიკო 134, 145
აკაკი (იხ. წერეთელი აკაკი)
აკერმანი ნ. 208
ალავიძე მიხეილ 211
ალექსანდრე II 167
ალექსი (იხ. წერეთელი ალექსი)
ალექსიძე ზაზა 142
ალხაზიშვილი გივი 203
ამაშუკელი ვასილ 26, 211, 215
ამირეჯიბი შალვა 134, 141
ანასტასია ბატონიშვილი (იხ. ბაგრატიონი ანასტასია)
ანისიმოვი სერგეი 213
ანტონ I (კათალიკოსი) 130
ანტონოვი ზურაბ 99, 124, 132
არაგვისპირელი შიო 56, 152, 217
არდაზიანი ლავრენტი 131, 139
არადელ-იშხნელი გ. 152
არველაძე მაია 202, 217, 222, 230, 244, 245
არჩილ მეფე (იხ. ბაგრატიონი არჩილ)
ასათიანი ლევან 62, 130, 134, 141, 212
ასათიანი გურამ 206, 218, 225
ასმუსი ვ. 50
ა.ფ. (იხ. ფედოროვი ანა)
ახვლედიანი გ. 211
ახმეტელი სანდრო 147, 155
ბაგრატიონი ანასტასია 166
ბაგრატიონი არჩილ 130, 158
ბაგრატიონი გიორგი 131
ბაგრატიონი ვახტანგ 136, 162,
ბაგრატიონი თეკლა 131, 145
ბაგრატიონი მარიამ 131, 144
ბაზილევსკაია ნატალია 14, 16
ბაზილევსკი 15
ბაირონი ჯორჯ გორდონ 77, 79, 86, 87, 89, 90, 93
ბალახაშვილი იაკობ 121, 127, 133, 141
ბარათაშვილი ნიკოლოზ 20, 124, 133, 146, 216, 223
ბარამიძე ალექსანდრე 130, 141, 143
ბარნაველი თ. 129, 141
ბარნოვი ა. 206
ბარტოლომეი მ. 129
ბაქრაძე აკაკი 118, 145, 219
ბაქრაძე დიმიტრი 140, 162, 163,
ბახტაძე სერგო 97, 102, 109
ბახტინი მიხაილ 51, 52, 61
ბებუთოვი ვასილ 168
ბელინი 124, 136
ბეჟუაშვილი ბეგო 50
ბერანჟე 26, 77
ბერიძე თეიმურაზ 138, 141
ბერძნიშვილი მაქსიმე 129, 133, 141
ბერძნიშვილი ნიკოლოზ 140
ბზვანელი ლადო 211, 212, 215
ბოცვაძე იოსებ 142
ბრანივკი ქსავერი 127
ბრეგაძე ლევან 111, 116, 219, 220
ბრეგვაძე ბაჩანა 50
ბრიკნერი ა. 122, 142
ბროსე მარი 129
ბუაჩიძე თამაზ 30, 50
ბუაჩიძე გ. 129, 142
ბულგაკოვი ს. 32, 43, 45

ბუნინი ივან 62
ბუში ერნსტ 113

გაბაშვილი ტიმოთე 130
გაბოძე ჯულიეტა 94, 95, 100, 103, 109,139, 142, 170, 202, 217, 211, 212, 213, 214, 215, 216, 220, 221
გაბუნია ნატო 23
გაგარინი გრიგოლ 129
გაგნიძე ჯუმბერ 111
გავრილოვი იგნატი 114
გამეზარდაშვილი დავით 143, 144, 221
გასეტი ხოსე ორტეგა 29, 50
გასეტი სიუ 117
გაფრინდაშვილი ლელა 117
გაფრინდაშვილი მიხეილ 125, 142
გაფრინდაშვილი ნოდარ 50
გაჩევი გ. 30
გედევანიშვილი იონა 130
გერსამია სერგო 124, 134, 137, 138, 142
გერცენი 52
გვარამაძე ლამარა 77, 93
გიორგაშვილი მარიამ 217, 218, 219, 220, 235, 245
გიორგაძე 13, 21
გიორგაძე ო. 221
გიორგი XII (იხ. ბაგრატიონი გიორგი)
გიორგი მთაწმინდელი 67
გოგებაშვილი იაკობ 25, 97, 146, 174, 175
გოგიჩაიშვილი ზურაბ 50
გოგოლაშვილი ნანა 50
გოგოლი 23, 47
გოგოძე კარლო 211
გოეთე იოჰან ვოლფგანგ 52, 112
გოლოვინი ე. 121
გორგაძე ი. 210
გორგიჯანიძე ფარსადან 158, 159
გოცაძე მიხეილ 128, 142
გრასი გიუნტერ 48, 50
გრებნევი ნაუმ 113

გრიშაშვილი იოსებ 77, 81, 93, 94, 95, 97, 100, 101, 102, 103, 105, 111, 206, 222,
გუბერი ა. 50
გუგუშვილი პაატა 128, 137, 142
გულიგა ა. 50
გურამიშვილი დავით 38, 53
გურგენიძე ნ. 13, 21, 125 142, 143, 210

დადიანი დავით 168
დადიანი ლაშა 50
დადიანი ნიკო 18
დადიანი შალვა 203
დავით აღმაშენებელი 37, 55, 149, 168
დედაბრიშვილი შიო (იხ. არაგვისპირელი შიო)
დვანაძე გიორგი 124
დიაგილევი სერჟ 25
დიაკონოვა ვ. 71
დიასამიძე ნიკო 18
დისტერვერგი 36
დიუმა ალექსანდრე 125, 142
დობროლიუბოვი 77
დოდაშვილი სოლომონ 122
დოლიძე გოგი 219
დოლიძე სიკო 211
დონდუკოვ-კორსაკოვი 20, 164
დონიცეტი 124, 136
დრაგომიროვი 115

ევგენიძე იუზა 28, 50, 95, 109, 201, 203, 222
ე. ზ. (იხ. ზარდიაშვილი ელზა)
ეკატერინე II 165
ელიაშვილი ივანე 16, 99, 103
ელისე წინასწარმეტყველი 92
ენდლერი ადოლფ 113, 119
ერეკლე II 55, 157, 158, 166, 169
ერიაშვილი ი. 209
ერისთავი გიორგი 23, 124, 128, 132, 140, 142, 150,
ერისთავი დავით 150, 155

ერისთავი ე. 128
ერისთავი ელიზბარ 157, 158, 171
ერისთავი ზაალ 65
ერისთავი თორნიკე 11, 15
ერისთავი რაფიელ 23, 24, 72, 140, 150, 175, 222
ერისთავი როსტომ 55, 69, 70, 71
ერისთავი შალვა 157, 158, 171
ერმოლოვი ალექსი 121, 128, 131, 142, 144, 169,
ეფრემი (დეკანოზი) 12

ვაგნერი 124
ვათეიშვილი 130
ვაჟა-ფშაველა 18, 47, 53, 61, 85, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 216, 231, 232
ვასილენკო ე. 80, 93
ვახანია ნინო 134, 142, 223
ვახტანგ IV (იხ. ბაგრატიონი ვახტანგ)
ვერდი ჯუზეპე 124
ვიკო ჯ. 31, 50
ვილჰელმ V 150
ვოდოვოზოვი 36
ვორონცოვა ელისაბედ 127
ვორონცოვ-დაშკოვი 100
ვორონცოვი მიხეილ 25, 94, 97, 99, 121, 122, 123, 124,125, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 158, 159, 160, 161, 164, 165
ვოსტორგოვი 164, 167

ზაბახიძე გიორგი 103
ზაბახიძე სპირიდონ 103
ზაკრევსკი არსენ 121
ზამბახიძე სპირიდონ 18
ზარდიაშვილი ელზა 202, 227, 228, 231, 233, 234, 238, 239
ზატონსკი დ. 57, 61
ზაქარაია გრ. 208
ზისერმანი 138, 142
ზურაბიშვილი ილია 9, 10

თავზიშვილი ა. 142
თავზიშვილი გიორგი 125, 126, 127, 134
თამამაშევი გაბრიელ 124
თამარაშვილი მიხეილ 134, 142
თამარ მეფე 37, 55, 149, 158
თარხან-მოურავი რამაზ 159
თაყაიშვილი ექვთიმე 129, 143, 225
თბილელი იოსებ 130, 158, 212
თეიმურაზ I 65, 157, 158, 159, 160, 181
თეიმურაზ II 158
თეკლა ბატონიშვილი (იხ. ბაგრატიონი თეკლა)
თითმერია ჯუმბერ 206
თუმანიშვილი მიხეილ 133, 140
თურდოსპირელი 18
თ. ჯ. (იხ. ჯოლოგუა თამაზ)

იანოვსკი 164
იბსენი 154
იერემია წინასწარმეტყველი 36, 37, 91
ილია წინასწარმეტყველი 92
ილიკო (იხ. წერეთელი ილია)
იმედაშვილი ალ. 152
იმედაშვილი იოსებ 9
ინანიშვილი რევაზ 219
ინგოროყვა პავლე 51, 61, 86, 93, 223
იოვიძე ა. 125, 138, 143
იოსელიანი პლატონ 130, 134, 143, 159, 160, 170,
ისარლოვი ლუკა 121, 143
იუნგი კარლ გუსტავ 38, 50

კაკაბაძე ზურაბ 29, 30, 50
კაკაბაძე სარგის 125, 131, 134, 143, 207
კალანდაძე ალ. 129, 13, 143

კანდელაკი სიკო 68
კანტი იმანუილ 28, 29, 50
კატკოვი მიხეილ 137, 138, 143, 154
კეკელიძე კორნელი 67, 68, 76
კეკელიძე პროკლე 224
კენჭოშვილი აკაკი 60, 224
კერესელიძე ივანე 13, 71, 72, 140
კვატაია მანანა 202, 229, 240, 241, 242, 243
კვიტაიშვილი ემზარ 62, 225
კვიცარიძე ისიდორე 100, 102
კიერკეგორი სიორენ 65
კიკნაძე გრიგოლ 58, 61, 62, 64, 65, 76, 206, 225, 226
კილაძე ივანე 99
კირიონ ეპისკოპოსი (იხ. საძაგლიშვილი კირიონ)
კლდიაშვილი დავით 152, 217
კლდიაშვილი სერგო 9
კორფი 36
კოტეტიშვილი ვახტანგ 62, 128, 134, 135, 143, 206, 225, 227
კრახტი კაი 117
კრეიტანი ვ. 138
კრილოვი ივან 58, 77, 222, 230
კუჭუხიძე ნუგზარ 50

ლაისტი არტურ 10, 13, 207
ლაიშვილი ნ. 208
ლ. ბ. (იხ. ბრეგაძე ლევან)
ლებანიძე მურმან 203
ლეონიდე ეპისკოპოსი (იხ. ოქროპირიძე ლეონიდე)
ლეონიძე გიორგი 10, 211
ლერმონტოვი მიხაილ 77, 78, 79, 80, 81, 82, 93
ლესინგი 56, 61
ლიუბიმოვი ნ. 62
ლობანოვა 83, 84, 85, 93
ლოლია (იხ. ნერეთელი ალექსი)
ლომთათიძე გიორგი 143
ლომიძე გივი 228
ლორთქიფანიძე ირაკლი 12
ლორთქიფანიძე კირილე 14, 79, 94, 103, 105
ლორთქიფანიძე ნიკო 70, 152,
ლორია ა. 125, 143
ლორის-მელიქოვი 164
ლუდვიგ XII 150
ლუმიერები 184, 185
ლუტიძე ბ. 28, 29, 30, 50

მ. ა. (იხ. არველაძე მაია)
მადათოვი 15
მაკიევსკი-ზუბოკი 123, 125, 143
მამაცაშვილი კონსტანტინე 144
მანოხინი თედორე 124
მანსვეტაშვილი იაკობ 99
მარიამ დედოფალი (იხ. ბაგრატიონი მარიამ)
მარიამ ნიკო 162, 163,
მაქსიმოვი გ. 143
მაღრაძე დავით 203
მაშაშვილი ალიო 203
მაჩაბელი ივანე 19
მაჩაბელი ტასო 18, 62
მაჭავარიანი მუხრან 219
მაჭავარიანი-წერეთელი ვარინკა 17, 112, 114, 117
მახათაძე ნინო 127, 130, 143
მ. გ. (იხ. გიორგაშვილი მარიამ)
მგალობლიშვილი სოფრომ 18
მეიერბერი 124
მელიქიშვილი ეკატერინე (კეკე) 19
მენაბდე ლევან 228
მესხი კოტე 134
მესხი სერგეი 18, 19, 213, 229,
მეტერლინკი მორის 154
მეტრეველი საბა-ფირუზ 202
მეუნარგია იონა 97, 124, 128, 134, 144, 207,
მეღვინეთუხუცესიშვილი დიმიტრი 129
მინაშვილი ლადო 50
მიცკევიჩი ადამ 12
მ. კ. (იხ. კვატაია მანანა)

მოსე 92
მურავიოვი ალექსანდრ 78,129
მურავიოვი ნ. 138
მუხრანსკი გიორგი 72

ნაბოკოვი ვლადიმირ 81, 93
ნანაძე ვ. 209
ნაცელიშვილი ლადო (იხ. ბზვანელი ლადო)
ნეიდგარტი ალ. 121
ნერედო ჟან-პიერ 73
ნიკოლაი ალ. 134, 168
ნიკოლაძე ანა 23
ნიკოლაძე ანასტასია (ანიჩკა) 17, 18
ნიკოლაძე ეკატერინე 18
ნიკოლაძე ლოლო 17
ნიკოლაძე ნიკო 14, 17, 18, 27, 51, 61, 135, 206, 213, 225, 242, 248
ნიკოლოზ I 121, 122, 123, 124, 136, 144,
ნიკოლოზ II 161
ნინიძე ქეთევან 139, 144
ნინოშვილი ეგნატე 227
ნუცუბიძე ქეთევან 47, 50
ნუცუბიძე შალვა 50

ობოლაძე უშანგი 59
ოდიშელი ჯუმბერ 142
ოდოევსკი ვ. 80
ოიზერმანი ტ. 50
ორბელიანი ალექსანდრე 72, 129, 135, 136, 138140, 142, 143, 144, 160,
ორბელიანი გრიგოლ 41, 128, 133,134, 144, 216, 229, 231
ორბელიანი ვახტანგ 133, 144, 216
ორბელიანი მანანა 128, 133, 141
ორბელიანი სულხან-საბა 53
ორჯონიკიძე ეთერ 122, 123, 124, 129, 132, 137, 138, 144
ოტტო ალექსანდერ 113
ოქროპირიძე ლეონიდე 167
ოქტავიანე ავგუსტუსი 73

პაპავა თამარ 144
პატკანოვი 162, 163,
პესტალოცი 36
პეტრე I 165
პიმენოვი ნ. 138
პლეშჩეევი 77
პოგრებიჟსკაია გ. 209
პო ედგარ 118
პოზენი 123
პოტიომკინი 166
პოტო ვ. 121, 144
პუშკინი ალექსანდრ 16, 26, 77, 78, 82, 83, 84, 85, 93, 127, 144, 179

ჩორდანია გ. 129, 144
ჟორდანია თედო 11
ჭუკოვსკი 59
ჭღენტი ბესო 206, 207

რაბი ჟ. 111
რაზდევიჩი 12
რაზმაძე სოლომონ 122
რატიანი ირმა 8
რეადი 130
რობაქიძე გრიგოლ 51, 55, 60, 171, 174, 175, 176, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 186, 171, 174, 175, 176, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 186, 207,
როსინი 124, 136
როჰანი დე 214
რუისი იონა 130
რულოვსი სანდრა 115
რუსთაველი შოთა 111, 178, 201, 203, 231,
რცხილაძე 47

სააკაძე გიორგი 12, 55, 149, 157, 158, 159, 161
საპატოვა ტ. 209
სარაძე ზეინაბ 50
სარჯველაძე ზურაბ 107
საფაროვა-აბაშიძე მაკო 18, 23, 147, 152

საძაგლიშვილი კირიონ 167
სახოკია თედო 144, 225
სევარსამიძე ს. 128
სიკორსკაია ტ. 113
სიმონსონი ო. 138
სკუდიერი ჯ. 124
სოლოვიოვი ვლადიმირ 80, 81, 82, 93
სოლომონ I 11, 59, 60, 68, 69, 70
სოლომონ II 166
სოროკინი პ. 29, 50
სტალინი 116
სტანისლავსკი კ. 152
სუმბათაშვილი ალ. 155
ს. ფ. მ. (იხ. მეტრეველი საბა-ფირუზ)

ტაბიძე გალაკტიონ 18, 31, 50, 109, 120, 183, 206, 225, 235, 236
ტაბიძე ტიციან 124, 144
ტაბლიაშვილი 30, 50
ტოლსტოი ალექსეი 52
ტოტლებენი 166
ტურგენევი ივან 52

უზნაძე ვ. 125, 144
ურუშაძე ვენერა 115
ურუშაძე ნათელა 124, 144

ფალავანდიშვილი ზურაბ 133
ფალავანდიშვილი იასე 122
ფანჩულიძე დაეით 214
ფანჯიკიძე დალი 219
ფაღავა აკაკი 154
ფერაძე თ. 129, 144
ფეტი 77
ფრუიძე ნანა 50, 51, 109, 201, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 232, 236
ფლერი 129
ფურცელაძე ანტონ 134

ქავთარაძე ეკატერინე 95
ქავთარაძე კოტე 215
ქართველიშვილი 24
ქარჩხაძე ჯემალ 219
ქიაჩელი ლეო 206
ქიქოძე გერონტი 47, 50, 203, 225, 233
ქორელი მ. 154

ღვინეფაძე ნანა 206
ღოღობერიძე ბესარიონ 165

ყაზბეგი ალექსანდრე 23
ყაფლანიშვილი ასლან 169
ყიფიანი დიმიტრი 20, 21, 22, 125, 133, 134, 137, 140, 145, 161,
ყიფიანი ვარდენ 94
ყიფიანი კოტე 23
ყუბანეიშვილი სოლომონ 129, 134, 139, 145,

შალიკაშვილი ვ. 154
შამილი 121
შარაძე გურამ 125, 129, 214, 215, 216
შაპ-აბაზი 68
შევჩენკო ტარას 14, 26
შუბერტი ფრანც 112
შჩერბინინი ნ. 122, 123, 127, 145

ჩარექოვი 97
ჩერნიშევსკი ნ. 14
ჩერქეზიშვილი ელისაბედ 207
ჩილაჩავა ზ. 206
ჩიქოვანი სიმონ 206
ჩოგოვაძე გ. 29, 30, 50
ჩოლოყაშვილი ბიძინა 65, 157, 158, 171, 181, 186
ჩუბინაშვილი ნიკოლოზ 137, 140, 145
ჩხაიძე 124
ჩხეიძე თ. 59, 61
ჩხეიძე ნ. 152
ჩხეიძე პაატა 119
ჩხეიძე რეზო 211
ჩხეიძე როსტომ 119, 134, 171

Ცაიშვილი სოლომონ 134, 145
ციციანოვი პავლე 122

წერეთელი აკაკი 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48,49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 89, 90, 91, 92, 94, 95, 96, 97, 99, 100, 102, 103, 104, 105, 106, 109, 110, 111, 114, 118, 119, 127, 138, 139, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 201, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249,
წერეთელი ალექსანდრე 139, 145
წერეთელი ალექსი 25
წერეთელი ანეტა 16
წერეთელი გიორგი 19
წერეთელი გრიგოლ 55
წერეთელი დავით 11
წერეთელი ვასილ 207
წერეთელი ილია 12, 13
წერეთელი ნესტორ 14
წერეთელი როსტომ 11, 14
წერეთელი ქველი 11, 212
წულეისკირი ნოდარ 206
წუწუნავა ალექსანდრე 154

ჭავჭავაძე ალექსანდრე 133, 216
ჭავჭავაძე-გრიბოედოვა ნინო 128
ჭავჭავაძე ილია 14, 19, 42,47, 54, 74, 81, 93, 109, 140, 141, 146, 147, 148, 151, 152, 162, 163, 173, 175, 183, 206, 216, 218, 219, 223, 227, 231, 232, 237, 242
ჭანტურია ტარიელ 49, 118, 203,
ჭილაშვილი-ყიფიანი ნ. 128
ჭილაძე გიორგი 18
ჭილაძე ოთარ 49, 50
ჭიჭინაძე ზაქარია 125, 134, 144, 213
ჭონქაძე დანიელ 140
ჭუმბურიძე დოდო 157

ხელთუფლიშვილები 18
ხუნდაძე ტრიფონ 125, 145

ჯაგოდნიშვილი თემურ 128, 145
ჯავახიშვილი ივანე 53, 61
ჯავახიშვილი მიხეილ 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 186
ჯანაშია სიმონ 129, 138
ჯანდიერი 65
ჯაფარიძე ჯაფარ 70
ჯაყელი ლია 117
ჯ. გ. (იხ. გაბოძე ჯულიეტა)
ჯიოევი ირინე 50
ჯოლოგუა თამაზ 50, 121, 122, 125, 126, 128, 131, 132, 133, 134, 135, 145
ჯორჯაძე არჩილ 132, 133, 134, 137, 145, 146, 147
ჯორჯაძე ბარბარე 72, 73

ხანიკოვი ნ. 129
ხელაია მანანა 144

ჰაინე ჰაინრიხ 77
ჰარტმანი ნ. 52, 61
ჰაუპტმანი 154
ჰესე ჰერმან 48, 50
ჰიუგო ვიქტორ 177
ჰომეროსი 177